საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ზურაბ ცქიტიშვილი

გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა

(საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიიდან XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში)

„მეცნიერება"
თბილისი

9 (C 41)
63.3 (2 Г)
341.7:9 (47.922) (032 ჭავჭავაძე გ.)
ᲒᲐ 966

ნაშრომში საარქივო და დოკუმენტურ მასალებზე, აგრეთვე გამოქვეყნებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით გადმოცემულია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორია XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედში.

ნაშრომის მიზანს შეადგენს — მოგვცეს ნათელი სურათი გ. ჭავჭავაძის სახელმწიფო-პოლიტიკური, უპირატესად, დიპლომატიური მოღვაწეობისა, რომელიც იყო რუსეთ-საქართველოს 1783 წლის მეგობრული მფარველობითი ტრაქტატის ერთ-ერთი მომხრე და მონაწილე, შემდეგში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პეტერბურგში (1784—1801 წწ.).

ᲒᲐ $\frac{10602}{М\ 607\ (06)—82}$ 178—82

© გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1982

შ ე ს ა ვ ა ლ ი

გარსევან (დავით) რევაზის ძე ჭავჭავაძე ქართლ-კახეთის სახელმწიფოს უკანასკნელი პერიოდის გამოჩენილი მოღვაწე, მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი, დიდმოხელე და ერეკლე მეორესთან დაახლოებული პიროვნება იყო. რთულ ვითარებაში მოუხდა გ. ჭავჭავაძეს ელჩობა რუსეთის საიმპერატორო კარზე. ეს იყო 1784—1801 წწ., როდესაც ქართლ-კახეთის სახელმწიფო გაუქმდა და რუსეთის იმპერიას შეუერთდა.

გარსევან ჭავჭავაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა როგორც 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის დადებაში, ისე მისი ცხოვრებაში გატარებისათვის. იგი ისევე, როგორც ერეკლე II, კარგად აფასებდა XVIII საუკუნის II ნახევარში შექმნილ საგარეო-პოლიტიკურ სიტუაციას, ამიერკავკასიის დაუფლებისათვის მებრძოლ სახელმწიფოთა როლსა და მნიშვნელობას საქართველოს მომავალი განვითარებისათვის. მას სწამდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფო, რომელიც თავისი სოციალ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი წყობილებით გაცილებით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ოსმალეთი და ირანი, ხელს შეუწყობდა ქართლ-კახეთის გაძლიერებას, დაიცავდა მის საშინაო დამოუკიდებლობას და ირან-ოსმალეთის აგრესორებს ჩამოაშორებდა. ასე ესმოდათ 1783 წლის რუსეთ-საქართველოს მფარველობითი ტრაქტატი ქართველ მოღვაწეებს, მათ რიცხვში გარსევან ჭავჭავაძესაც. გარსევანი ენერგიულად იბრძოდა ქართლ-კახეთის საშინაო დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული თვითმმართველობისა და თვითმყოფობის დასაცავად.

გარსევან ჭავჭავაძე უდავოდ ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფიგურა იყო საქართველოს სამეფოს არსებობის უკანასკნელ პერიოდისა და XIX ს. დამდეგის მოვლენებში. მიუხედავად ამისა, მის შესახებ სპეციალური გამოკვლევა დღემდის არ მოგვეპოვება. წინამდებარე გამოკვლევით შევეცდებით აღნიშნული ხარვეზის შევსებას.

ამ შრომის მიზანია ასახოს გ. ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის (კერძოდ, მისი დიპლომატიური საქმიანობის) ნათელი სურათი, როგორც პეტერბურგში 1784—1801 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი ელჩისა, რომელიც

თითქმის 19 წლის განმავლობაში ენერგიულად იბრძოდა საქართველოს სახელმწიფოს საშინაო დამოუკიდებლობის, ეროვნული თვითმმართველობისა და თვითმყოფობის დასაცავად. ჩვენს მიზანს შეადგენს აგრეთვე დავასაბუთოთ ის, რომ გ. ჭავჭავაძე თავისი სამშობლოს ერთგული პატრიოტი იყო და უსაფუძვლოა ბრალდება მის მიმართ, როგორც სამშობლოსადმი მოღალატისა.

გ. ჭავჭავაძის დიპლომატიური მოღვაწეობა თითქმის მთლიანად ემთხვევა ქართლ-კახეთის საელჩოს საქმიანობას რუსეთის საიმპერატორო კარზე პეტერბურგში 1784—1801 წლებში. სხვანაირად შეუძლებელიცაა, რადგან გ. ჭავჭავაძე ამ საელჩოს ხელმძღვანელი და წარმმართველი იყო.

შეიძლება დაისვას კითხვა, თუ გარსევანის მოღვაწეობა ემთხვევა ქართლ-კახეთის საელჩოს საქმიანობას რუსეთში 1784—1801 წლებში, ხომ არ აჯობებდა შრომასაც შესაფერისი სათაური ჰქონოდა? ვფიქრობთ, ამით თითქმის არაფერი შეიცვლებოდა.

ნაშრომი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მეტად აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხებს ეხება. ვგრძნობთ რა საკითხის სირთულეს, ჩვენ არ ვაცხადებთ დასმული საკითხის ყოველმხრივი ამოწურვის პრეტენზიას. შემდგომი კვლევა-ძიება ჩვენს არქივ-საცავებში, უეჭველია, ბევრ ახალ საბუთს აღმოაჩენს და საკითხის ამომწურავი შესწავლის საშუალებას მოგვცემს.

ნაშრომი ეყრდნობა ისტორიულ გამოკვლევებს, ლიტერატურულ წყაროებსა და ფართო საარქივო მასალებს, რომელთა დიდი ნაწილი პირველადაა გამოყენებული.

თავი პირველი

ძირითადი წყაროებისა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგის საქართველოს ისტორიის შესახებ წყაროები საკმაოდ უხვად მოიპოვება. რაც შეეხება, კერძოდ, გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ამსახველ დოკუმენტებს, მათი რაოდენობა უდავოდ ნაკლულია, თუმცა უნდა ითქვას, რომ არსებული მასალები მაინც იძლევა მისი საქმიანობის ძირითადი მომენტების მეტ-ნაკლები სისრულით გააზრების საშუალებას.

რუსულ ენაზე გამოქვეყნებული წყაროებიდან მთავარი ადგილი უკავია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემულ აქტებს[1]. ამ მრავალტომიან კოლექტიურ ნაშრომში ვხვდებით საკმაოდ ბევრ დოკუმენტს, რომლებიც გ. ჭავჭავაძესა და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საქმიანობას ეხება. „აქტებში" ქრონოლოგიურად დალაგებულია მთავრობის ოფიციალური მიმოწერა, საანგარიშო მოხსენებები, განკარგულებანი, თხოვნები, წერილები და სხვა საბუთები.

მეტად საყურადღებოა ცნობილი „სიგელები და სხვა ისტორიული საბუთები" პროფ. ა. ცაგარლის რედაქციით. ამ დოკუმენტებში ასახულია გ. ჭავჭავაძის ურთიერთობა ერეკლე II-თან, რუსეთის იმპერატორებთან, რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეებსა და სხვა პირებთან. საინტერესო მასალა აქვს გამოქვეყნებული დ. ფურცელაძესაც[2]. შედარებით მდიდარი მასალა დაგვიტოვა აგრეთვე ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა ბუტკოვმა[3], რომელიც 12 წლის განმავლობაში იმყოფებოდა კავკასიაში და სხვადასხვა სამხედრო სამსახურს ეწეოდა. 1801—1802 წლებში იგი განაგებდა კავკასიის ხაზის მთავარსარდლის კნორინგის კანცელარიას. ამიტომ, ცხადია, მისთვის მრავალი მასალა ხელმისაწვ-

---

[1] Акти, собранные Кавказской Археографической комиссией, Т. I, II.

[2] Д. Пурцеладзе, Грузинские дворянские грамоты, Тифлис, 1881, გვ. 30.

[3] П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803, ч. 1—3, СПб, 1869.

დომი იყო. იგი პირადად იცნობდა გ. ჭავჭავაძეს და იყო მონაწილე მნიშვნელოვანი მოვლენებისა ქართლ-კახეთის სახელმწიფოში.

ბუტკოვის მასალები რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკის გამართლების თვალსაზრისით არის შედგენილი, იგი ტენდენციურია, არაობიექტურად გადმოგვცემს XIX საუკუნის დამდეგის მოვლენებს. ქვეყანაში ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შედეგად გამოწვეულ მღელვარებას გვიხატავს როგორც „Колебание умов" და ამ საქმეში გარსევან ჭავჭავაძეს სდებს ბრალს (ასეთივე მოსაზრებისა იყო ვერცხლისმოყვარე და გაიძვერა პეტრე კოვალენსკიც).

გ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიის შესახებ საინტერესო ცნობა აქვს გამოქვეყნებული მ. ბროსეს[4].

ქართულ ენაზე არსებული დოკუმენტების ერთი ნაწილი გამოსცა ს. მაღლაკელიძემ[5]. აქ ვხვდებით გ. ჭავჭავაძისათვის მეფე ერეკლეს მიერ მიცემულ სიგელებს სოფ. ზეგანისა და მუღანლოს ბოძების შესახებ; აქვეა აღწერილი გარსევანის ყმა-გლეხთა სახნავ-სათესი, სათიბი თუ ტყიანი მიწები, მის მფლობელობაში მყოფი სოფლები: ნაფარეული, წინანდალი, მუღანლო; გამოქვეყნებულია აგრეთვე გ. ჭავჭავაძის 1806 წლის 9 ნოემბრის თხოვნა მთავარმართებელ გუდოვიჩისადმი, კახეთში მისი მამულების ხელახალი აღწერის შესახებ, ჭავჭავაძეთა გვარის გენეალოგია და სხვ.

ჩვენთვის საყურადღებო ცნობებს, რომლებიც ეხება გარსევან ჭავჭავაძეს, ვპოულობთ აკად. ნ. ბერძენიშვილის[6], აკად. ე. თაყაიშვილის[7], პროფ. ს. კაკაბაძის[8], პროფ. ი. ცინცაძის[9], დოც. შ. ბურჯანაძის[10], პროფ. ტ. რუხაძის[11], თ. ბარნაველის[12] და სხვათა პუბლიკაციებში.

---

[4] მ. ბ რ ო ს ე, Mémoirs de l'Académie Impériale des Sciences de S.-Pétersbourg, VI-me série, 1839.

[5] ს. მ ა ღ ლ ა კ ე ლ ი ძ ე, მასალები ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, „საისტორიო მოამბე", 2, თბილისი, 1946, გვ. 167—177, 185.

[6] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, თბ., 1953, გვ. 192—194.

[7] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, თბ., 1909, გვ. 335.

[8] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, გარსევან ჭავჭავაძის მოხსენება ერეკლე მეფისადმი. „საისტორიო მოამბე", წიგნი I, თბ., 1925, გვ. 233—237; მისივე, ქალაქ ტფილისის აღწერა 1803 წლისა, „საისტორიო მოამბე", წიგნი II, თბ., 1925, გვ. 59.

[9] ი. ც ი ნ ც ა ძ ე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 208—257 (მონოგრაფიაზე დართული საბუთები).

[10] შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, თბ., 1953, გვ. 92, 101.

[11] ტ. რ უ ხ ა ძ ე, ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 115—116.

[12] კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თეიმურაზ ბარნაველმა, თბ., 1961, გვ. 28.

გ. ჭავჭავაძის შესახებ მასალები გაბნეულია სხვადასხვა პერიოდულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მაგალითად, ჟურნალ „მოამბეში“ დაბეჭდილია საქართველოს მეფეთა ბრძანებანი ყაზახ-ბორჩალოს აღალარებისადმი[13], სადაც გ. ჭავჭავაძეც არის მოხსენიებული. ამავე ჟურნალშია გამოქვეყნებული გ. ჭავჭავაძის მიერ 1796 წლის 18 ივნისს მოზდოკიდან გამოგზავნილი წერილი გიორგი ბატონიშვილისადმი[14].

ჭავჭავაძეების საგვარეულოს წარმოშობის შესახებ თავისი აზრი აქვს გამოთქმული მწერალ პ. ინგოროყვას, რომელიც იმოწმებს ზოგიერთ ცნობილ დოკუმენტსა და საარქივო მასალას[15].

გამოქვეყნებული წყაროების გარდა ჩვენ შევისწავლეთ თბილისის, მოსკოვისა და ლენინგრადის არქივებში დაცული მასალები. ვმუშაობდით თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში, აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სათანადო ფონდებზე, მოსკოვის სამხედრო-ისტორიულსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებსა და ლენინგრადის სახელმწიფო-ისტორიულ არქივში. ასეთი მუშაობის შედეგად გამოვავლინეთ დღემდე უცნობი მასალების გარკვეული ნაწილი, რომელიც რამდენადმე ამდიდრებს ჩვენს ცოდნას გარსევან ჭავჭავაძის მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენთვის წყაროს მნიშვნელობა აქვს იმ ქართველ ბატონიშვილთა ცნობებს, რომლებიც გარსევანის თანამედროვენი იყვნენ და „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ გამგრძელებელთა რიცხვს ეკუთვნიან.

სამეფოს გაუქმებით უკმაყოფილო ბატონიშვილები — დავით, იოანე, ბაგრატ და სხვები გარსევან ჭავჭავაძეს ღალატში სდებენ ბრალს[16]. შედარებით უფრო მძიმეა ის ბრალდებები, რომლებსაც გარსევანს დავით და ბაგრატ ბატონიშვილები უყენებდნენ, თითქოს გარსევანმა „აიძულა“ პავლე პირველი, რომ ბაგრატიონთა სახლის წევრები პეტერბურგში გადაესახლებინა[17], თითქოს მან მთელი საქართველო გაჰყიდა[18]. ყველა ასეთ ცნობას ჩვენ კრიტიკულად ვსინჯავთ და საპირისპირო ფაქტების მოშველიებით ვამტკიცებთ, რომ ბატონიშვილები საქმის ნამდვილ ვითარებაში ვერ ერკვეოდნენ, როდესაც გარსევანს ღალატს აბრალებდნენ.

ბატონიშვილთა მიერ მოცემულ შეფასებას არსებითად იზიარებდა სამეფო სახლის ნათესავი ალექსანდრე ვახტანგის-ძე ჯამბაკურ-

---

[13] ჟურნალი „მოამბე“, 1900, №6. გვ. 1—17.
[14] ჟურნალი „მოამბე“, 1894, № 1, განყ. II, გვ. 47—48.
[15] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. I, თბ., 1957, გვ. VIII—XI.
[16] მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის-ძისა და მის ძმებისა, მ. ჯანაშვილის გამოცემა, თბ., 1905, გვ. 97.
[17] ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 77.
[18] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. 1, კ. კეკელიძისა და ალ. ბა-

ორბელიანი. ალ. ორბელიანი, ახასიათებდა რა ერეკლე მეორის მოწინააღმდეგე დასებს მე-18 ს. მიწურულში, გარსევან ჭავჭავაძეს იხსენიებს ერეკლეს მოღალატე ქსნის ერისთავებისა და ციციშვილ-ანდრონიკაშვილების რიგში[19]. „იმათ დასს უფრო ასე უნდოდათ, რომ რუსეთს მისცენ საქართველო ჯელაღებით ქვეშემრდომად. მაგრამ მეფე ირაკლი ცოცხალი იყო, ცხადად ვერ გაებედათ რა, ისე ქუშბუდანად მოქმედებდნენ და როდესაც მოკვდა, მაშინ ცხადად დაიწყეს საქმიანობა“[20], თუმცა იგივე ავტორი იძულებულია დასძინოს, რომ გ. ჭავჭავაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა „მთელს საქართუშლოს საზოგადოებაშიც“[21].

ალ, ორბელიანის მცდარი შეხედულებები საკუთრებით სამართლიანად გააკრიტიკა პროფ. ი. ცინცაძემ 1963 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში და ჩვენ მას აღარ გავიმეორებთ[22].

არსებითად განსხვავებულია ქართლ-კახეთის სამეფოს სახლის წევრებთან დაახლოებული ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის შეხედულება გარსევან ჭავჭავაძის შესახებ. პ. იოსელიანს, როგორც თვით გვაუწყებს, გარსევანის მოღვაწეობის შესახებ საარქივო საბუთებიც კი მოუხილავს და იმ დასკვნამდე მისულა, რომ მისი „მგმობელნი სცოდავდნენ“, რომ „დრო და არქივი რუსეთისა გამოაჩენს, რაოდენ მაღლა იდგა გარსევან გონიერებითა და საქმითა სხვათა ზედა ქართველთა“[23].

საგულისხმოა პროფ. ა. ცაგარლის შენიშვნა, რომელიც წერდა, რომ „თანამედროვეთა შეფასებით ის იყო თავისი დროის ერთ-ერთი უჭკვიანესი ადამიანი“[24].

რამიძის რედაქციით, ტფ., 1936, გვ. 125—131 (იოანე ბრალს დებს გარსევანს, რომ მან თითქოს დაარღვია მეფის ინსტრუქციები, არ წარუდგინა პავლე პირველს 1800 წ. 24 ივნისის ნოტის საფუძველზე ამაე წლის ნოემბერში ე. წ. „სათხოვარი პუნქტები“. ეს ნოტა გარსევანმა, როგორც ცნობილია, ნამდვილად წარუდგინა პავლე I. იხ. Акты..., т. I, გვ. 179—181; З. Авалов, Присоединение Грузии к России, СПб, 1906, გვ. 291—297).

[19] ალ. ჯ.-ორბელიანი, ირაკლი II შვილიშვილის თ. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის დღიურიდან, ჟურნ. „კვალი“, 1895, № 39, გვ. 3; მისივე, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა ქ. ტფილისში, ჟურნ. „მოამბე“, 1895, № 8, განყ. II, გვ. 121.

[20] ალ. ჯ.-ორბელიანი, მეფის ირაკლის მეორის დროის ცოცოტა ანბები, ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი. ს. კაკაბაძე, წერილი და მასალები საქ. ისტორიისათვის, ნაწ. I, თბ., 1914, გვ. 41.

[21] იქვე, გვ. 42.

[22] ი. ცინცაძე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1963, გვ. 122.

[23] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელიას რედაქციით, თბ., 1936, გვ. 152.

[24] А. Цагарели, Новые архивные материалы для истории Грузии:

ჩვენს მიერ სათანადოდ გამოყენებულია დიდმპყრობელურ მეფის ისტორიკოსთა წარმომადგენლების ნაშრომებიც. მიუხედავად მათი ტენდენციურობისა, ნარკვევებში ბევრი საგულისხმო მასალა მოიპოვება. განსაკუთრებით საყურადღებოა ნ. დუბროვინი. დუბროვინი ფაქტებს ძირითადად სწორად ასახავს. იგი მოვლენათა თანმიმდევრობას ზედმიწევნით იცავს, უხვად სარგებლობს და უთითებს წყაროებს. იგი ასე ახასიათებს გარსევანის პიროვნებას: „მეტისმეტად მგზნებარე და პირდაპირი ხასიათის ადამიანს, თავად ჰავჰავაძეს უყვარდა პირდაპირ და გულახდილად იმის ლაპარაკი, რასაც გრძნობდა, რითაც, რა თქმა უნდა, კოვალენსკის ყოველგვარ საშუალებას აძლევდა, რომ ის შემდგომ დაედანაშაულებინა“[25].

ჩვენთვის წყაროს მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმ მასალებს, რომლებიც ილუსტრირებულია დიდმპყრობელურ მეფის ისტორიკოსთა სხვა წარმომადგენლების ნაშრომებში. რა თქმა უნდა, მათი კითხვისას ყოველთვის ვცდილობდით დაგვეცვა კრიტიკული თვალსაზრისი. ნ. დუბროვინის გარდა ამ რიგებში განიხილებიან ა. ბერჟე, ვ. პოტო და სხვები[26].

ასევე ვცდილობდით არ გვეღალატნა კრიტიკული თვალსაზრისისათვის ბურჟუაზიული ხანის ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომების (ა. ხახანაშვილი, ზ. ავალიშვილი, მ. ხელთუფლიშვილი და სხვ.) გაცნობის დროს[27]. გარსევანის შეფასებაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური თვალსაზრისი გამოამჟღავნა ზ. ჭიჭინაძემ. თავის ადრეულ ნაშრომებში იგი გარსევანს დადებით პიროვნებად ახასიათებდა, ხოლო მენშევიკების ბატონობის დროს მას ქვეყნის მოღალატედ და გამცემად თვლიდა[28]. ზ. ჭიჭინაძის მსჯელობა, საერთოდ, წინააღმდე-

---

XVIII столетия, журн. Мин. Нар. Просв., январь, ч. CCXXV, СПб, 1883, с. 135.

[25] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. III, СПб, 1886. с. 531.

[26] Ад. Берже, Присоединение Грузии к России. 1799—1831. Историческое исследование, журн. «Русская старина», 1880, т. XXVIII, №№ 5,6,7; В. Потто, Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т. первый, от начала Кавказской войны до Ермолова, СПб, 1887; Н. Дубровин, Георгий XII последний царь Грузии и присоединение ее к России, СПб, 1897; მისივე, Закавказье от 1803—1806 года, СПб, 1866; მისივე, История войны и владычества русских на Кавказе, т. II, III, IV, СПб, 1886.

[27] З. Авалов, Присоединение Грузии к России, СПб, 1906; А. Хаханов, К столетию присоединения Грузии к России, журн. «Русская мысль», кн. I, 1901; М. Хелтуплишвили, Вступление Грузии в состав Российской империи, Кутаиси, 1901.

[28] ზ. ჭიჭინაძე, აღა-მაჰმად-ხანის მეორედ შემოსევა და მისი წამქეზებელნი, ტფ., 1920, გვ. 16, 17, 21; აგრ. იხილეთ მისივე, მარიამ დედოფალმა რა მიზნით მოკლა რუსის გენერალი ლაზარევი და კრწანისის ომის ამბავი 1795, ტფ., 1920, გვ. 17.

ბობით აღსავსე და უსაბუთოა, აპატონ მის განხილვას აქ არ შევუდგებით.

გარსევანის შესახებ ქართველი ბატონიშვილების შეხედულება, როგორც ჩანს, ქართული ლიტერატურის ბევრმა მოღვაწემ გაიზიარა. თუმცა უნდა ითქვას, რომ მათ რაიმე ახალი არგუმენტები არ მოუშველებიათ გაზიარებული შეხედულების დასამტკიცებლად. მათგან ანტონ ფურცელაძემ სცადა დაემოწმებინა რომელიღაც „სანდო პირი", რომელიც ფარნაოზ ბატონიშვილს იცნობდა, რომ თითქოს გარსევანმა სიკვდილის წინ ერეკლეს შვილების წინაშე ბოდიში მოიხადა „ღალატისათვის" და პატიება ითხოვა. ამავე „სანდო პირს" უამბნია თითქოს, რომ ნიკოლოზ ჩუბინაშვილს, რომელიც მისივე თქმით თარჯიმნად მუშაობდა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში, სიკვდილის წინ გაუმხელია — „საქართველო გაჰყიდა მეფე გიორგიმაო"[29].

როგორც ჩანს, ანტონ ფურცელაძის მსგავსად იყო დარწმუნებული ცნობილი მკვლევარი კიტა აბაშიძეც, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახური წრის შესახებ აკეთებდა შენიშვნებს[30].

ზემოთ დასახელებულ მოღვაწეთაგან განსხვავებით, გ. ჭავჭავაძეს დადებითად ახასიათებდნენ ი. ფანცხავა[31], ი. მეუნარგია[32] და სხვები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გ. ჭავჭავაძის ბიოგრაფი რუსი ისტორიკოსი ნ. პავლოვ-სილვანსკი. მას მოკლედ აქვს გადმოცემული გ. ჭავჭავაძის ბიოგრაფია, სადაც აღნიშნავს მის დიდ ნიჭს, მოჰყავს ადგილები მეფე ერეკლეს სიგელიდან — „თქვენმა საუკეთესო ღირსებამ გვაიძულა ამოგვერჩიე თქვენ და გაგვეგზავნე უმაღლეს ყარზე ყოველგვარი საქმეებით"[33]. რა თქმა უნდა, ბიოგრაფიის ავტორი დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მან არ იცის გ. ჭავჭავაძის დაბადებისა და გარდაცვალების წლები, მაგრამ იგი მაინც ობიექტურად აფასებს გ. ჭავჭავაძის მოღვაწეობას და არა ერთ სწორ მოსაზრებებს იძლევა: „ჭავჭავაძე ითხოვდა, ითხოვდა. მაგრამ პეტერბურგში პასუხს აყოვნებდნენ, აჭიანურებდნენ საქმეს, იწყებოდა საქართველოს ის მტკივნეული აგონია, როგორც დამოუკიდებელი სამეფოსი, რომელიც დამთავრდა 1801 წლის 20 (?!) სექტემ-

---

[29] ა. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ბაგრატიონთა დიდება, მესტვირული პოემა, ჟურნ. „ივერია", 1891, № VIII, გვ. 26.

[30] კ. ა ბ ა შ ი ძ ე, ეტიუდები ქართული ლიტერატურიდან, თ-ი ალ. ჭავჭავაძე, ჟურნ. „მოამბე", 1894, № 4, გ. 60.

[31] ი. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა, თხზულებანი, ალ. ჭავჭავაძის ლექსები, ფოთი, 1903, გვ. 228.

[32] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ალექსანდრე ჭავჭავაძე, თბ., 1937, გვ. 23.

[33] Н. П а в л о в - С и л в а н с к и й, Г. Чавчавадзе. Русский биографический словарь, СПб, 1905, с. 9.

ბერს, რუსეთთან საქართველოს საბოლოო შეერთებით, როგორც რუსული გუბერნიისა"[34]. ნ. პავლოვ-სილვანსკი დაახლოებით სწორად ახასიათებს გარსევან ჭავჭავაძის დიპლომატიურ მოღვაწეობას: „... მრავალი წელი დაჰყო ჭავჭავაძემ პეტერბურგში თავის მძიმე პოსტზე—საქართველოს საგანგებო მინისტრად. მისი მდგომარეობა მეტად საეჭვო იყო, როგორც იგი, ასევე ერეკლე II და გიორგი XII შესანიშნავად ხედავდნენ და იცოდნენ, რომ რუსეთი, რომელმაც საქართველოს თავისი ხელი დაადო, არ დაინდობდა იქ ქართველ მეფეთა ტახტს, მაგრამ, მეორეს მხრივ, ისინი იმასაც გრძნობდნენ, რომ რუსეთის დახმარების გარეშე საქართველო უცილობლად დაიღუპებოდა სპარსეთისა და სხვა მისი მტრების დარტყმების შედეგად"[35]. გ. ჭავჭავაძეს იგი გამოცდილ და ნიჭიერ დიპლომატად გვისურათებს, როცა წერს, რომ „ჭავჭავაძეს, რომელიც გულწრფელად ერთგული იყო თავისი მეფეებისა და სამშობლოს ინტერესებისა, უხდებოდა მოხერხებულად გაძრომ-გამოძრომა, თავისი გონების მთელი ძალებისა და დიპლომატიური შესაძლებლობების გამახვილება, რომ ყოველგვარი დათმობების, აღქმებისა და პირფერული სიტყვების საშუალებით მიეღწია რუსეთიდან საქართველოში ჯარების გამოგზავნას, მილიონი მანეთის სესხს და ა. შ., ამავე დროს ტრაქტატებისა და ხელშეკრულებების საშუალებით დაესაბუთებინა საქართველოს ტახტის შეურყევლობა და მეფის დინასტიის საუკუნოდ დაცვა. ბისმა მონდომებამ შედეგი არ გამოიღო"[36]. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით საქართველო რუსეთმა შეიერთა ქართველი ელჩების მონაწილეობის გარეშე. „ჭავჭავაძე იყო სასოწარკვეთილებაში, მაგრამ იმედს არ კარგავდა"[37].

ნ. პავლოვ-სილვანსკი ასევე ძირითადად სწორად გადმოგვცემს გ. ჭავჭავაძის მოღვაწეობას მეფობის გაუქმების შემდგომ და მის დამოკიდებულებას პ. კოვალენსკისთან (თუმცა მისი ცნობა, რომ გ. ჭავჭავაძე 1802 წ. ნოემბერში დააპატიმრეს თბილისში, არ შეეფერება სინამდვილეს). იგი ეხება გ. ჭავჭავაძის 1805 წლის ნოემბერში რუსეთში გადასახლების ისტორიასაც. ეტყობა, მან იცის, რომ ეს არ იყო ნებაყოფლობითი გადასახლება რუსეთში სამუდამო საცხოვრებლად, მაგრამ ამაზე გადაჭრით არაფერს ამბობს.

გარსევანის შესახებ ანგარიშგასაწევი ცალკეული შენიშვნები მოცემულია რუსულ პერიოდულ პრესაში გაბნეულ წერილებშიაც[38].

---

[34] Н. Павлов-Силванский, Г. Чавчавадзе. Русский биографический словарь, СПБ, 1905, с. 9.

[35] იქვე.

[36] იქვე.

[37] იქვე.

[38] А. Ерицов, Присоединение Грузии к России, «Тифлисский листок»,

გ. ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ საბჭოური ხანის ისტორიკოსებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრება. ამ საკითხს ნაწილობრივ ეხებიან თავიანთ ნაშრომებში აკად. ივ. ჯავახიშვილი, აკად. ნ. ბერძენიშვილი, აკად. გ. ხაჭაპურიძე, პროფესორები ი. ცინცაძე, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ა. კიკვიძე, შ. მესხია, ი. კაჭარავა, ს. კაკაბაძე, ა. სურგულაძე, გ. პაიჭაძე, ლ. ალექსიძე, ტ. რუხაძე, ა. ბენდიანიშვილი, დოც. მ. ალექსიშვილი, ვ. გუჩუა და სხვები.

გ. ჭავჭავაძის მოღვაწეობის შესახებ ჩვენ ვპოულობთ ცნობას აგრეთვე დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც[39].

ცალკე უნდა შევჩერდეთ პროფ. ი. ცინცაძეზე, რომელმაც ბევრი მასალა გამოაქვეყნა გ. ჭავჭავაძის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ და მოგვცა საინტერესო დაკვირვება პეტერბურგის ქართული საელჩოს საქმიანობაზე. პროფ. ი. ცინცაძეს მიზნად არ ჰქონია დასახული გ. ჭავჭავაძის, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა და დიპლომატის, მონოგრაფიულად შესწავლა-შეფასება, მაგრამ მის ნაშრომებში: „რამდენიმე ცნობა რუსეთის თვითმპყრობელობის დაზვერვის და მისი აგენტების საქმიანობის შესახებ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში“, „1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი“ და „აღამაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“ ჩვენთვის საინტერესო მრავალი მოსაზრებაა წარმოყენებული. პროფ. ი. ცინცაძე გ. ჭავჭავაძეს ფრთხილ პოლიტიკოსად, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუცდელ დიპლომატად წარმოგვიდგენს (მხედველობაში აქვს მისი მოღვაწეობის ადრეული წლები — 1784-1787). იგი წერს: „თვითმპყრობელობის დაზვერვის აქტივობა 1783 წელს რუსეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის მფარველობითი ტრაქტატის დადების შემდეგ უფრო თვალსაჩინოა და იმდენად არა შიგ საქართველოს ტერიტორიაზე, რამდენადაც საქართველოს საელჩოში, რომელიც ტრაქტატის გაფორმების შემდეგ რუსეთის სამეფო კართან დაარსდა პეტერბურგში“[40]. გ. ჭავჭავაძეს ვერ გაუგია მეფის რუსეთის აგენტის, პეტერბურგის ქართული საელჩოს საიდუმლო მზვერავის სვიმონ ეგნატაშვილის საქმიანობა, რომელიც ამ საელჩოში მუშაობდა და ქართულ წერილებს თარგმნიდა,

---

1891, №№ 40, 41; ანონიმი ავტორი, Беспорядки в Грузии в первое десятилетие русского владычества в Закавказьи, «Тифлисский вестник», 1873, №№ 72, 73, 74, 76, 78, 79.

[39] Большая Советская Энциклопедия, т. 47, М., 1957, გვ. 15.

[40] ი. ცინცაძე, რამდენიმე ცნობა რუსეთის თვითმპყრობელობის დაზვერვისა და მისი აგენტების საქმიანობის შესახებ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1941, გვ. 89.

რუსულად; იგი გ. ჭავჭავაძის საიდუმლო წერილებსაც კი იპარავდა და თარგმნიდა, თარგმნილს ბართლომე სავარსამიძე ამოწმებდა, ხოლო შემდეგ გ. პოტიომკინს უგზავნიდნენ. „ეგნატაშვილს, — წერს პროფ. ი. ცინცაძე, — დაკისრებული საქმე კარგად შეუსრულებია, მას დიდი ნდობა ჰქონია დამსახურებული საელჩოში, გარსევანი მას როგორღაც სავსებით მოუჯადოებია"[41]. ამიტომ რუსეთის თვითმპყრობელობა ყოველთვის „საქმის კურსში იყო და მომზადებული ხედებოდა ქართლ-კახეთის გეგმებს"[42].

რა თქმა უნდა, ქართლ-კახეთის დიპლომატიის სისუსტე მის ზურგს უკან მდგომი სახელმწიფოს შეზღუდული შესაძლებლობით იყო გაპირობებული. დიპლომატიის ძალა ხომ სახელმწიფოს ძლიერების პირდაპირ პროპორციულია.

პროფ. ი. კაჭარავას მოსაზრებით გ. ჭავჭავაძე საქართველოს ყველა უბედურების მიზეზს XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რუსეთთან დაახლოებაში ხედავდა. „ საქართველოს ყველა უბედურების მიზეზად, რომელიც კი თავს დაატყდა მას XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ა. ცაგარელი ასახელებს რუსეთთან დაახლოებას. სხვათა შორის, ასეთივე აზრისა იყვნენ თავის დროზე ერეკლე II და გარსევან ჭავჭავაძე"[43]. ასეთი შეხედულება მთლად სწორი არ უნდა იყოს. გ. ჭავჭავაძეს რუსეთთან დაახლოება თავისი ქვეყნის აღდგენა-გამოხსნისათვის სურდა და არ შეიძლებოდა, რომ იგი უბედურების მიზეზად ჩაეთვალა. ასევე ითქმის ერეკლე II-ზედაც. ჩვენს ხელთაა ერეკლეს ერთი წერილი პ. ს. პოტიომკინისადმი, 1786 წლის 6 აგვისტოთი დათარიღებული, რომელშიაც იგი საყვედურობს რუსეთის მთავრობას და დასძენს: „რა ვქნა, მე ბევრის იმედი მქონდა თქუშენისაგან და კიდეცა მაქვს. მაშ ვისთან მივიდეთ და ვის გამოუცხადოთ ჩვენი ტკივილი, — ოსმალოსთან მივიდე, მიმიშვებენ? — ყიზილბაშებთან მივიდე, შემიწყნარებენ? — დაღისტნელებთან მივიდე, მიმიღებენ?! მაშ ვისი საფარვლის სასოება მქონდეს, თუ არა რუსეთის დიდებულის ჯელმწიფისა... ვის უნდა მივმართო და ვის ვაწყინო თავი?!"[44].

მართალია, 1783 წლის მფარველობითმა ტრაქტატმა ქართველ

---

[41] ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გ. 92.

[42] იქვე, გვ. 93.

[43] ი. კაჭარავა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962, გვ. 215.

[44] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. № 194, д. № 336, часть IX, св. 114, фурц. 41—42 (ეს დოკუმენტი შემოკლებული სახით გამოქვეყნებული აქვს ნ. დუბროვინსაც. იხ. მისი «История войны и владычества русских на Кавказе», том II, გვ. 209—210, ჩვენ კი დედნის ასლი გვაქვს ხელთ ქართულ ენაზე).

პოლიტიკოსებს იმედი არ გაუმართლა, მაგრამ იმედგაცრუება მათ არ აუხსნიათ როგორც შედეგი რუსეთთან დაახლოებისა. ისინი მაინც რუსეთთან დაახლოების გზას არჩევდნენ, მიდიოდნენ მსხვერპლის გზით, რადგან სხვა უკეთეს გამოსავალს ვერ ხედავდნენ.

პროფ. ვ. დონდუას სამართლიანი შენიშვნით „გარსევანი, ქართლ-კახეთის მეფის ელჩი პეტერბურგის საიმპერატორო კარზე (1784—1802 წწ.), განუხრელად იბრძოდა ტრაქტატის პირობების დაცვისათვის. ერეკლე მას ადიდებდა როგორც საკუთარ „შვილს“ და ყოველ საქმეში მეფის „სარწმუნო“ კაცს“[45].

პროფ. მ. დუმბაძე სწორად აფასებს გარსევან ჭავჭავაძის მოღვაწეობას საქართველოს სამეფოს გაუქმების მომენტსა და მის შემდგომ პერიოდში. „პროგრესული დასის წარმომადგენლებს, — წერს პროფ. მ. დუმბაძე, — ესმოდათ, რომ მაშინ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა არ შეეძლო და თუ იგი რუსეთს ჩამოსცილდებოდა, ის ისევ ოსმალეთს ან ირანს ჩაუვარდებოდა ხელში. ამიტომ ეს დასი, რომელსაც ცნობილი გარსევან ჭავჭავაძე მეთაურობდა, საქართველოს ავტონომიას მოითხოვდა. მისი აზრით, განახლებულ-გაუმჯობესებული ქართული თვითმმართველობა, რუსეთის ბატონობის პირობებში, საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებას ხელს შეუწყობდა და მას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მოამზადებდა“[46].

განსვენებულ აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის 1965 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში მოხსენიებული და შეფასებულია გ. ჭავჭავაძის მოღვაწეობის ზოგიერთი ეტაპი[47].

გ. ჭავჭავაძის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ მოხსენიებულია საქართველოს ისტორიის ნარკვევების IV ტომშიც[48].

გარსევანის შესახებ საყურადღებო შენიშვნები აქვთ გამოთქმული ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებსაც. ლევან ასათიანის დახასიათებით: „გარსევან ჭავჭავაძე ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა იმ ფრთას ეკუთვნოდა, რომელიც კარგად ხედავდა თავის სამშობლოს პოლიტიკურ და ეკონომიურ დაუძლურებას და ამის გამო რუსეთთან საქართველოს დაკავშირების მტკიცე და დაჯერებული მომხრე იყო“[49]

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პოეტ-აკადემიკოსის ი.

---

[45] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 391.

[46] დასახელებული ნაშრომი, გვ. 399—400.

[47] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965. გვ. 241, 249, 251, 272.

[48] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1974, გვ. 689—690.

[49] ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, თბილისში წაკითხული საჯარო ლექციების სტენოგრამა, თბ., 1942, გვ. 6.

გრიშაშვილის მოკლე მიმოხილვა (4 გვერდზე) გ. ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისა, რომელიც მან ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიას დაუთმო[50]. მიმოხილვა ეყრდნობა გამოქვეყნებულ დოკუმენტებსა და საარქივო მასალებს. ავტორს ძირითადად სწორად აქვს გადმოცემული გარსევანის მოღვაწეობის ზოგიერთი მომენტი.

საბჭოური ხანის რუსი ისტორიკოსებიდან გ. ჭავჭავაძეს გაკვრით ეხებიან პროფ. ო. მარკოვა, პროფ. ა. ფადეევი და სხვ[51]. ვერ დავეთანხმებით პროფ. ა. ფადეევს, რომელიც შენიშნავს, რომ თითქოს გარსევანი საქართველოში რუსული მმართველობისა და სამოქალაქო წესების უცვლელი შემოღების მომხრე იყო[52]. სინამდვილეში გარსევანი და მისი თანამოაზრეები იბრძოდნენ ქართული მმართველობის განახლება-გაუმჯობესებისათვის და არა რუსული ადმინისტრაციის შემოღებისათვის.

ასეთია გარსევანის შესახებ ლიტერატურის მოკლე, არასრული მიმოხილვა. როგორც ვხედავთ, მკვლევრები გარსევან ჭავჭავაძეს არა სპეციალურად, არამედ ეპოქის ძირითად ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით და ისიც გაკვრით ეხებოდნენ. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ისტორიკოსების შენიშვნებს ჩვენთვის სახელმძღვანელო, საორიენტაციო მნიშვნელობა აქვს. მათი მოსაზრებების გათვალისწინება საგრძნობლად გვიადვილებს დასახული ამოცანის შეძლებისმიერ გადაწყვეტას.

---

[50] ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი. ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინთქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბ., 1940, გვ. XII—XVI.

[51] О. Маркова, Присоединение Грузии к России в 1801 году, журн. „Историк-марксист", 1940, № 3; А. Фадеев, Россия первой половины XIX в., М., 1960, იხ. აგრეთვე, Очерки истории СССР, XVIIIв., вторая половина, М., 1956.

[52] А. Фадеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

თავი მეორე

ქართლ-კახეთი XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XIX საუკუნის დამდეგს

(ზოგადი მიმოხილვა)

XVIII საუკუნის 40-იანი წლებიდან ნათელი გახდა, რომ ქვეყნის საწარმოო ძალები გამოფიტვასთან ახლოს იდგა, ეკონომიკა დაეცა, რაშიაც დიდი როლი შეასრულა როგორც უცხოელთა გამუდმებულმა შემოსევებმა, ასევე შინაურმა ფეოდალურმა უკანონობამაც; ქვეყანა სრული კატასტროფისა და გაჩანაგების ზღურბლს მიადგა[1].

XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართლ-კახეთის სამეფო აღორძინების გზას დაადგა. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ს გონივრულმა პოლიტიკამ შესამჩნევად შეამსუბუქა ამავე საუკუნის I ნახევრის ძნელბედობის — „ოსმალობა-ყიზილბაშობის“ მძიმე მემკვიდრეობა. ქართლ-კახეთის სამეფო 1744 წლიდან ფაქტიურად, ხოლო 1762 წლიდან იურიდიულად ერთ სამეფოდ გაერთიანდა.

ქართველმა ხალხმა თავიდან მოიშორა თურქთა და ირანელთა ბატონობის მძიმე უღელი, რომლებიც სოციალ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ქართველ ხალხზე უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ, რამაც საქართველოს ეკონომიკური განვითარება შეაფერხა. „თავისთავად ცხადია, რომ ყოველთვის, როცა დამპყრობლად ნაკლებ კულტურული ხალხი გამოდის, ეკონომიური განვითარება ფერხდება, ხოლო საწარმოო ძალები ნადგურდება“[2].

აღმოსავლეთ საქართველო XVIII საუკუნის 60—70-იან წლებში დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, რომელსაც თავის მხრივ მოხარკეებიც კი ჰყავდა ერევნისა და განჯის სახანოების სახით, თუმცა იგი ფორმალურად ირანის გავლენის სფეროში შედიოდა.

მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა ძირითადი ნაწილი —

---

[1] იხ. Очерки истории СССР. Период феодализма, вт. половина, XVIII в, М., 1956, გვ. 717—720; О. Маркова, Присоединение Грузии к России, жур. «Историк-марксист», М., 1940, № 3, გვ. 63—67; მ. ალექსიშვილი, რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხისათვის, თბ., 1956, გვ. 23—86.

[2] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 216.

გლეხობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მტკიცედ იყო მიმაგრებული მიწაზე, რომელიც მეფის ოჯახის, თავადების, აზნაურებისა და საეკლესიო წოდების მფლობელობაში შედიოდა. თუმცა თავადურ საქართველოში თავისუფალ მიწისმფლობელ გლეხთა არსებობის პირობები საერთოდ მეტად შეზღუდული იყო, მიუხედავად ამისა XVIII ს. მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში თავისუფალ გლეხთა ფენა არსებობდა[3]. რა თქმა უნდა, მათ ყოველთვის უპირდათ თავისუფლების შენარჩუნება, მაგრამ ეს მოვლენა მაინც მრავლისმეტყველია.

გლეხები მრავალ სხვადასხვა ნატურალურ და ფულად გადასახადს იხდიდნენ როგორც ფეოდალთა, ისე სახელმწიფოს სასარგებლოდ. გლეხთა ექსპლოატაცია თანდათან მძიმდებოდა.

„გლეხთა ექსპლოატაციის ზრდასთან ერთად უარესდებოდა მათი უფლებრივი მდგომარეობაც. XVIII ს. მეორე ნახევარში საგრძნობლად შემცირდა „მსახურთა" რიცხვი. მსახურების უმეტესობა თანდათან დაბეგრილ გლეხთა კატეგორიაში გადავიდა. გაუარესდა აგრეთვე „ნებიერ ყმათა" მდგომარეობაც: მებატონეები ცდილობდნენ თავიანთ მკვიდრ ყმებად ექციათ ისინი"[4]. ამიტომ იყო, რომ გლეხები დროდადრო სტიქიურად გამოდიოდნენ, წვავდნენ მებატონეთა სახლებს, ანადგურებდნენ ფეოდალთა მეურნეობას და ზოგჯერ ხოცავდნენ კიდეც მათ; უფრო ხშირად გლეხები კლასობრივი ბრძოლის პასიურ ფორმებს მიმართავნენ, გარბოდნენ მებატონეებიდან ცალ-ცალკე, ზოგჯერ კი ოჯახებითაც, ტოვებდნენ რა თავიანთ მოძრავ და უძრავ ქონებას[5].

ახალ ადგილებში (მთებში) გლეხები თავისუფალ თემებს აწყობდნენ და აშკარად იბრძოდნენ მებატონეების წინააღმდეგ. განსაკუთრებით მძიმედ აწვათ გლეხებს შემდეგი სახის გადასახადები: კოდის პური, კულუხი, ღალა, სამასპინძლო, სამხედრო ვალდებულება . . . „ამასთან ყველაფერ ამას ართმევდნენ ადრე გაუგონარი სიმკაცრითა და ხშირად ბოროტგამოყენებით"[6].

გლეხთა მდგომარეობა რომ მართლაც მძიმე იყო და აუტანელი,

---

[3] მ. დუმბაძე, თავისუფალ გლეხთა ფენის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში XVIII ს. II ნახევარში, თეზისები, გვ. 12—14 (ნაშრომი წაკითხულია აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის ფეოდალური ხანის განყოფილების სამეცნიერო სესიაზე 1962 წლის 14 მარტს).

[4] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. I, თბ., 1958, გვ. 366.

[5] Очерки истории СССР, XVIII в. вторая половина, М., 1956, с. 717.

[6] Г. Я. Натадзе, К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия. История классовой борьбы в Закавказьи, книга первая, Тиф., 1930, с. 137—138.

ხოლო სახელმწიფო და საბატონო გადასახადის გადაიდის საეჭვო სოუ-წესრიგებელი, ამას ადასტურებს ერეკლე მეორესადმი 1785 წ. დეკემბერში პეტერბურგიდან ფარულად გამოგზავნილი ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი ელჩის გ. ჭავჭავაძის საიდუმლო წერილი. აი რას სწერს გარსევანი ერეკლეს: „აქ გვისაყვედურებენ, რომ არა გვაქვს კანონიერად დაწესებული დაწესებულებები, ამიტომ წესებიც არ შეგვიძლია დავაწესოთ. ხელმეორედ წესების შემოღება მგონია ადვილი შესაძლებელი საქმეა, თორემ ისე თავის გამართლება არ შეგვიძლია.

ესრეთ, თუ ყოვლისშემძლე ჩვენს სამშობლოს უბოძებს კეთილდღეობას, კანონები და წესები დამკვიდრდება ამასთან ჩემი მოკლე გონებით ვითვალისწინებთ ივას, რომ თუმცა აქაური გლეხობა ჩვენსაზე უფრო დამძიმებულია სახელმწიფო და მებატონეების ხარკით, მაინც ყამიერად გარდახდით ჩვენსაზე ნაკლებ მტკივნეულობენ (საზი ჩემია—ზ. ც.), რადგან ისინი, გადაიხდიან რა თანანადებს ან დაწესებულს, თავისუფლები არიან და ფიქრობენ მხოლოდ მომავალ დროზე. ჩვენი გლეხკაცობა კი, თუმცა არც ისე დამძიმებულია, მაინც ადვილად მოთხოვნილება მათ ყაენებს აუნაზღაურებელ ტკივილს. თუ ნებას მომცემდით, ვიტყოდი, რომ მათთვის ძნელი არ იქნებოდა უწესრიგობის მოხდენა"[7].

როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის სამეფოს პროგრესულად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ ფეოდალური საქართველოს დაუძლურების უმთავრესი მიზეზი „გლეხიკაცის ამოწყვეტა" იყო. ფეოდალური დაჩიხულობიდან თავის დაღწევა და ევროპული გზით წასვლა სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის გარეშე შეუძლებელი იყო. საქართველოში წესრიგი და კანონიერება რომ დამყარდეს, — სწერდა იმავე წერილში გარსევანი ერეკლეს, — მაშინ საქართველოდან კი არ გადმოსახლდებიან აქეთ, არამედ, პირიქით, აქედან მრავალი ვაჭარი და მხატვარი გადმოსახლდება ჩვენს სამშობლოშიო[8].

გლეხთა ექსპლოატაციის შემდგომი გაძლიერება არყევდა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას, ამცირებდა სახელმწიფო შემოსავალსა და თავდაცვისუნარიანობას. „მმართველი წრეები იძულებული იყვნენ მიეღოთ ზომები, რომლითაც, სავსებით იცავდნენ რა წარმოების ფეოდალურ საშუალებას, მიზნად ჰქონდათ მესაკუთრეთა უფლების რამდენადმე შეზღუდვა ნორმებითა და დებულებებით (ადათით)"[9].

---

[7] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. 4, л. 155—157.

[8] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. 4, л. 156.

[9] Очерки истории СССР, XVIII в., вторая половина, М., 1956, л. 718.

ამიტომ იყო, რომ ერეკლე II აქტიურად ერეოდა ბატონისა და ყმის ურთიერთობის საკითხში და მებატონეს „ბატონყმობის რიგის“ დაცვას ავალდებულებდა. იგი კრძალავდა გლეხის ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გადაყვანას, ხოლო ტყეობიდან თავის მოხერხებით დაბრუნებული გლეხი თავისუფალი ხდებოდა.

„ამგვარი კანონებითა და ღონისძიებით სამეფო ხელისუფლება ბატონყმობის გაუქმებას კი არა, არამედ, პირიქით, გადაგვარების გზაზე შემდგარი ფეოდალური ურთიერთობის გამოჯანსაღებას, მის შემდგომ განმტკიცებას ცდილობდა“[10].

მძიმე მდგომარეობაში იყვნენ აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენებიც: წვრილი მოქალაქეები, ყმა-ხელოსან-ვაჭრები და სხვ. ისინი იხდიდნენ თავიანთი მებატონეების მიერ დაწესებულ სხვადასხვა გადასახადებს. როგორც პროფ. შ. მესხია წერს: „ქალაქის მოსახლეობის ექსპლოატაციის ზრდა გამოიხატებოდა არა მარტო ახალი გადასახადების შემოღებაში, არამედ ძველის გადიდებაშიც“[11].

ქართლ-კახეთის სამეფოში გაბატონებული კლასი არ იყო ერთფეროვანი. მათ შორის ხშირად მიმდინარეობდა შინაკლასობრივი ბრძოლა. ამით ოსტატურად სარგებლობდა სამეფო ხელისუფლება და ზოგჯერ ურჩ თავადებს სჯიდა და სათავადოებს აუქმებდა. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, 1743 წ. არაგვის, ხოლო 1744 წელს (1747 წლამდე) ქსნის საერისთავოებს[12]. „თავადური საქართველოს ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მეფის პოლიტიკური ხელისუფლება სათავადო სისტემას ემყარება და ამავე დროს მეფე ამ სათავადოებს ებრძვის. სხვანაირად არც შეიძლება, რადგან სათავადოს წარმოშობა დაკავშირებული არის ქვეყნის საწარმოო ძალების დეგრადაციასთან და სწორედ ეს დეგრადაცია და ჩამორჩენილობა ჰკვებავს ამ სათავადოებს“[13].

არა ნაკლებ მწვავე იყო შინაკლასობრივი ბრძოლა თავადებსა და სათავადო აზნაურთა შორის. თუმცა სათავადო აზნაურები პირადად თავისუფალნი იყვნენ და შეეძლოთ თავადისაგან წასვლა, როგორც ფეოდალური კლასის წარმომადგენლებს, მაგრამ ამ უფლების

---

[10] საქართველოს ისტორია. დამბმარე სახელმძღვანელო, ტ. I, თბ., 1958, გვ. 267.

[11] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв., Тб., 1959, с. 213.

[12] 1747 წელს ქართლის მეფემ თეიმურაზ II-მ აღადგინა ქსნის საერისთავო. ერისთავად კელა შანშე (თეალებდათხრილი) დასვა. ქსნის საერისთავო ერეკლე II-მ საბოლოოდ გააუქმა 1777 წელს. იხ. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955, გვ. 326—328.

[13] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 459.

გამოყენებას ისინი ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებდნენ თავადებთან მჭიდრო ეკონომიკური დამოკიდებულების გამო[14].

XVIII საუკუნის 50-იან წლებში გაიხსნა რუსეთისაკენ მიმავალი საქარავნო გზა. დარიალის გზის გახსნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს რუსეთთან დაკავშირებისათვის. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ გზას, ამას ადასტურებს, აგრეთვე, ქართლის მეფის თეიმურაზ II-ის ერთი სიგელი საქართველოს კათოლიკოზისა და მცხეთის ტაძრის სახელზე: „მოგახსენეთ და შემოგწირეთ თქვენ ცათა მობაძავსა წმიდას მანათობსა ყოვლისა საქართველოჲსასა კათოლიკე ეკკლესიას სვეტსა ცხოველსა და მას ზედან მჯდომარესა ყოვლად-სანატრელსა დისწულსა ჩვენსა ბატონსა კათალიკოს-პატრიარქს მეფის-ძეს ანტონის... ამ ჟამად ოსეთის გზით ქარავანმან იწყო სიარული და რადგან ღმერთმან ჩვენს მეფობაში უამრავი წყალობა მიიღო ჩვენზედან... რაც ოსეთის გზით ვაჭარნი და ქარავანი ქალაქს მოვიდოდეს, ამ ოსეთის გზიდამ რაც ბაჟი აიღებოდეს, ორს წილს ჩვენი მებაჟე ჩვენთვის აიღებდეს და მესამედს კათალიკოზ-პატრიარქის მებაჟეს მისცემდეს და პატრიარქს მიართმევდეს ამ გზიდამ მოსულს მესამედს ბაჟს“[15].

ქართლ-კახეთის სახელმწიფო მოღვაწეებს კარგად ესმოდათ რუსეთთან დამაკავშირებელი ამ საქარავნო გზის არა მარტო ეკონომიკური მნიშვნელობა, არამედ პოლიტიკურიც. ქვეყნის ცხოვრებაში გარდატეხა დაიწყო.

„საფუძვლები ამ გარდატეხისა ქართველი ხალხის ცხოვრებაში ჩაუყარა 1740 წლებში რუსეთისაკენ ახალი ეკონომიური გზების წარმოჩენამ, რამაც ნელ-ნელა ხელი შეუწყო რუსეთსა და საქართველოს შორის მტკიცე ურთიერთობის დამყარებას“[16]. რა თქმა უნდა, ეს გზა პირველ ხანებში ბევრ საქონელს ვერ გაატარებდა, მაგრამ უკვე 1769 წლიდან (ტოტლებენის სარდლობით საქართველოში რუსთა კორპუსის შემოსვლასთან დაკავშირებით) ეკონომიკური და კულტურუ-

---

[14] უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. გ. აკოფაშვილის სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV—XVIII სს. ქართლში, თბ., 1965, გვ. 97—105; მისივე, აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XV—XVIII სს. საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 32. თბ., 1955, გვ. 85—109; აგრეთვე დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 238—239, 248; Царевич Давид, Обозрение Грузии по части прав и законоведения. აპოლონ როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1959, § 242, გვ. 262—263.

[15] Акты..., т. II, გვ. 1133.

[16] ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში, „მნათობი“ № 2, 1926, თბ., გვ. 238.

ლი ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის თანდათან ვითარდებოდა[17]. ყოველივე ამან ხელი შეუწყო საქართველოს რუსეთთან შემდგომ დაახლოებას. 70-იანი წლებიდან კიდევ უფრო გაცხოველდა სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობა რუსეთთან, საიდანაც საქართველოში შემოჰქონდათ ჩაი, შაქარი, პატარა სარკეები, მაკრატლები და სხვ[18]. ჩვენს ქვეყანაში ასევე დიდი რაოდენობით შემოდიოდა საღებავი, ბეწვეული, განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო მაღალი ხარისხის რკინაზე[19]. საქართველოში რკინაზე რომ მართლაც დიდი მოთხოვნილება იყო, ამას ადასტურებს ერეკლე II-ის მიერ პავლე პოტიომკინისადმი 1785 წლის 17 ოქტომბრის თარიღით გაგზავნილი წერილი. ერეკლეს პ. პოტიომკინთან თბილისელი სომეხი ვაჭარი გრიქორა ქეთხუდაშვილი გაუგზავნია და რუსეთის მთავრობის ნებართვა უთხოვია მისთვის ასტრახანში რკინის შეძენის თაობაზე. „რადგან რკინა დიდათ სახმარი შეგვექნა ამ დროეებში არტილერიისა და სხვის სამხედროს საქმეებისათვის. ამისათვის ვითხოვ, რომ ამას თქვენის მაღალმსვლელობისაგან ბრძანება მიეცეს აშტრახანს. ყოველ წელიწადს იყიდდეს ათას ხუთასს ფუთს გაწეულს რკინას, და ბაქუსაკენ წამოიღებდეს, რომ არავინ დააბრკოლოს“[20]. საქართველოდანაც ასევე გაჰქონდათ საქონელი რუსეთში სოფლის მეურნეობისა და მანუფაქტურის სხვადასხვა ნაწარმის სახით. ბუტკოვის ცნობით თბილისიდან რუსეთში გაჰქონდათ: „ლეინი სპარსული, ნარმა, ბასმა“[21]. ამ დროიდან სპარსეთის ბაზართან კავშირი თანდათან სუსტდებოდა და ბოლოს და ბოლოს თითქმის წყდება, მაშინ როცა ასტრახანთან და, საერთოდ, რუსეთის ბაზართან კავშირი ძლიერდება[22].

ეკონომიკური ცხოვრების გარკვეულმა გამოცოცხლებამ, რაც აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან შეიმჩნევა, სტიმული მისცა ახალი რიგის მემამულეების — კერძო საბატონოების მფლობელების წარმოჩენას. კერძო საბატონო საკუთ-

---

[17] იქვე, გვ. 239.

[18] ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში, „მნათობი“ № 3, 1924, თბილისი, გვ. 266.

[19] Акты..., т. I, გვ. 481. დ. მეგრელაძე, რკინის ადგილობრივი წარმოებისა და მის შემოზიდვის შესახებ XVIII ს. საქართველოში, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრ., ტ. VII, თბ., 1963, გვ. 105—114.

[20] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 1/194, д. 350, ч. X, л. 21.

[21] П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ч. первая, СПб, 1869, с. 355.

[22] Г. Натадзе, К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия. История классовой борьбы в Закавказьи, книга первая Тиф., 1930, с. 144.

რება ისევე, როგორც სათავისთაო საბატონო, გულისხმობდა მიწაზე კერძო მეურნეთა მფლობელობას, რაც საერთო სათავადო მფლობელობასთან შედარებით საკუთრების პროგრესული ფორმა იყო. იგი ხელს უწყობდა ინტენსიური მეურნეობის განვითარებას. კერძო საბატონოს მფლობელი მემამულეები ცდილობდნენ მეტი ტექნიკური მცენარეები მოეყვანათ. „განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა მებამბეობასა და მეაბრეშუმეობას. საგრძნობლად იმატა სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენებამ“[23]. ყოველივე ამან შედარებით აამაღლა შრომის ნაყოფიერება და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სიუხვე შექმნა, ნამეტი პროდუქტი კი საქართველოს ქალაქების ბაზრებზე გამოვიდა. აღორძინება დაეტყო ქალაქებს — თბილისს, გორს, თელავს და სხვას.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან „ცალკეული ფეოდალური სახლები აღებ-მიცემობაში ებმებიან და გარკვეულ ადგილს იჭერენ. ამ მხრივ თუმანიანთ სახლია საყურადღებო“[24]. ვითარდება საიჯარო ურთიერთობაც. როგორც ცნობილია, იჯარა ფეოდალიზმის ხანაში, რა ფორმითაც არ უნდა გვხვდებოდეს იგი „გარეშე ეკონომიურ იძულებას ცვლის ეკონომიური იძულებით, ე. ი. ურთიერთობის ისეთი ფორმით, რომელიც ტიპიური არ არის ფეოდალიზმისათვის“[25].

კერძო საბატონო მფლობელობის მაგალითად აღმოსავლეთ საქართველოში შეიძლება დავასახელოთ მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა. მანუჩარ თუმანიშვილი ენერგიულად ცდილობდა დასამუშავებლად ვარგისი მიწების მაქსიმალურად გამოყენებას, ეძებდა სხვადასხვა გზებს საბატონო მიწებისა და ბაღ-ვენახების რაც შეიძლება უფრო რენტაბელურად ასათვისებლად. მის მეურნეობას სისტემატური კავშირი ჰქონდა ბაზართან. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გაჰქონდა ბაზარზე ღვინო, ეწეოდა მევახშეობას, იყენებდა გლეხთა დაქირავებულ შრომას და სხვ[26].

ის პირები, რომლებიც მოსახლეობის სავაჭრო-სამრეწველო ფენას ეკუთვნოდნენ, და მიწათმოქმედნი, „რომლებიც გადავიდნენ რაციონალურ მეურნეობაზე და ეწეოდნენ პურისა და ღვინის გაყიდ-

---

[23] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. I, თბ., 1958, გვ. 362.

[24] დ. გ ვ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 177.

[25] ნ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, იჯარა XVIII ს. საქართველოში, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-A და XXI-B, თბ., 1957, გვ. 67.

[26] გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, მანუჩარ თუმანიშვილი და მისი მეურნეობა (XVIII ს. მეორე ნახევარი, XIX ს. დამდეგი), თეზისები, გვ. 8—9 (მოხსენება წაკითხული აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის ფეოდალური ხანის განყოფილების სამეცნიერო სესიაზე 1963 წ. 19 ივნისს).

ვას, სავაჭრო-სამრეწველო წრეებთან ერთად სიმპათიით უყურებდნენ რუსეთს, რადგან საგარეო ბაზარი, რომელიც იხსნებოდა რუსეთთან კავშირის საფუძველზე, მათ უსახავდა დიდ პერსპექტივებს"[27].

XVIII ს. 60—70-იან წლებში თბილისში შესამჩნევად განვითარდა ხელოსნური წარმოება, რადგან თბილისის ამქრებში იძულებია მცირე იყო, ეს ხელს უწყობდა თავისუფალი მუშახელის გამოყენებას. ს. ეგიაზაროვის გამოკვლევით XVIII ს. მეორე ნახევარში... მხოლოდ ორ ქალაქში — თბილისსა და ახალციხეში შეიმჩნეოდა მისწრაფება ამქრებში თავისუფალი შრომის გამოყენებისა[28]. ქალაქში იყვნენ სხვადასხვა დარგის ხელოსნები: მჭედლები, ზეინკლები, მესპილენძეები, მკალავები, ოქრომჭედელნი, ვერცხლისმჭედელნი, ფეიქრები, მკერავები, ხარაზები, მექალამნეები და მრავალი სხვა. მზა პროდუქცია მათ გაჰქონდათ ბაზარზე[29].

თბილისი ამიერკავკასიის უპირველესი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი იყო და, მიუხედავად 1795 წლის მძიმე აოხრებისა სპარსეთის ურდოების მიერ, არ კარგავდა პირველობას. ამიტომ კარგად იყო განვითარებული ხელოსნური წარმოება „და ხელოსანთა წოდება წარმოადგენდა თბილისის მოსახლეობის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს"[30].

ხელოსნობა ასევე კარგად იყო განვითარებული ქართლ-კახეთის სხვა ქალაქებშიაც[31]. ხელოსნობის განვითარება ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებასაც. დარიალის გზით რუსეთთან დაწყებული ვაჭრობა „უზრუნველყოფდა სავაჭრო ურთიერთობის უშიშროებას ოსმალეთთან და ირანთან ამიერკავკასიის სავაჭრო გზების საშუალებით"[32].

საქართველოში რუსეთის მფლობელობის პირველ წლებში მთელი სახელმწიფო შემოსავალი (ქართლ-კახეთის ხელოსნური და სამრეწველო საწარმოებიდან მიღებული) იჯარით გაცემული იყო მსხვილ და წვრილ ვაჭრებზე[33]. როგორც პროფ. შ. მესხიამ გამოიკვლია, ქ. თბი-

---

[27] Г. Натадзе, დასახელებული ნაშრომი, გვ. 151.

[28] С. А. Егиазаров, Исследования по истории учреждений в Закавказьи, часть II, городские цехи, Каз., 1891, с. 265.

[29] გ. გამყრელიძე, ხელოსნობა თბილისში, თბ., 1926. გვ. 21—25.

[30] ა. ფირცხალეიშვილი, თბილისის ამქრების 1865 წლის გამოსვლის ისტორიისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XI, 1940, გვ. 35.

[31] Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, с. 210—212.

[32] ა. ფირცხალეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43.

[33] იქვე, გვ. 35 (პროფ. ა. ფირცხალეიშვილს რუსეთთან საქართველოს შეერთების დროს დასაშვებად მიაჩნდა ქართლ-კახეთის ქალაქებში, კერძოდ თბილისში,

ლისში XVII—XVIII საუკუნეებში ხელოსნები 57 სხვადასხვა სახის ნაწარმს ამზადებდნენ[34]. ხელოსნური ნაწარმი მზადდებოდა ძირითადად ბაზარზე გასატანად, ნაწილი ადგილზე იყიდებოდა, ხოლო დანარჩენი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა და მეზობელ ქვეყნებში გაჰქონდათ[35].

დიდი ყურადღება ექცეოდა ქართლ-კახეთის სამეფოში მსხვილი სარეწაოების გახსნას, რომლებსაც იმდროინდელ წყაროებში „ფაბრიკებსა" და „ქარხნებს" უწოდებდნენ. ასეთი სარეწაოები ეკუთვნოდა მეფესა და მეფის ოჯახის წევრებს. მსხვილი სარეწები იყო აგრეთვე XVIII ს. 70-იან წლებში: თბილისში არსებული ზარაფხანა, რომლის არენდიდან მეფე, იაზიკოვის ცნობით, ყოველწლიურად ღებულობდა 30000 მანეთს,შუშის სარეწი, მარილის გამოსახდელები, სამღებროები, სამეთუნეო „ქარხანა", თოფის წამლის „ქარხანა" და სხვ[36]. აღსანიშნავია, რომ ამ სარეწებში იყენებდნენ არა ყმათა შრომას, არამედ — დაქირავებულ მუშებსა და ოსტატებს[37]. „XVIII ს. 70-იან წლებში თბილისში მოქალაქე ისაია თაყუაშვილმა გახსნა თოფისწამლის დასამზადებელი სარეწაო, რომელიც, ცხადია, ოსტატთა და მუშათა დაქირავებულ შრომაზე იყო დამყარებული"[38]. 70-იანი წლებიდან განვითარება დაეტყო სამთომადნო წარმოებასაც. დაიწყო ალავერდისა და ახტალის საბადოების დამუშავება, რომლებსაც ამუშავებდნენ ერეკლე მეორის მიერ სპეციალურად ამ საქმისათვის გადმოსახლებული ბერძნები. აი, როგორ აგვიწერს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი აღმოსავლეთ საქართველოში საბადოებისა და მეტალურგიული „ქარხნების" მოწყობილობას: „საბადოებსა და მეტალურგიულ ქარხნებსაც, როგორადაც ცუდები ისინი არ უნდა იყვნენ, მოაქვთ აგრეთვე გარკვეული შემოსავალი, რადგან მათზე არაფერი იხარჯება და სამუშაოს მეტი წილი სრულდება აუნაზღაურებლად"[39].

ერეკლე II ყოველმხრივ ხელს უწყობდა და აქეზებდა ვაჭრობის განვითარებას, ყოველი ღონისძიებით ცდილობდა საქართველოში

მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის არსებობა, რასაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ. შესაძლებელია პროფ. ფირცხალეიშვილი ამ ტერმინს (ბურჟუაზიას) პირობითად ხმარობს).

[34] Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв., Тб., 1959, с. 126.

[35] იქვე.

[36] Ш. Месхиа, დასახელებული ნაშრომი, გვ. 127.

[37] იქვე.

[38] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 364.

[39] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ 233.

კაპიტალისტ წამომწყებთა მოწვევასაც. ასე, რომ XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სახელმწიფოში იყო ნატურალური მეურნეობა, მაგრამ მის პარალელურად არსებობდა და ვითარდებოდა სასაქონლო მეურნეობაც.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, XVIII ს. მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა მაინც არ იყო მყარი. სამეფო ხელისუფლება სახელმწიფოს დეფიციტის დასაფარავად ხშირად იძულებული იყო მიემართა სესხისათვის. სესხის აღების მიზეზი სხვადასხვაგვარი იყო: ძტრის ხშირი შემოსევები, გადაუხდელი ვალები, მოუსაყლიანობა, ხარჯები ტყვის გამოსასყიდად და სხვა. ხშირად იყო ხოლმე შემთხვევები, როცა ერეკლე II მიმართავდა სესხისათვის ვაჭრებს და სხვა ფულიან ხალხს (შინაური სესხი). „მეფე იძულებული იყო ბიეგართა სესხისათვის იმ ხარჯების დასაფარავადაც კი, რომელიც გამოწვეული იყო რუსეთში დელეგაციის გაგზავნით"[40]. იაზიკოვის არაზუსტი ცნობით, ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი შემოსავალი 1770 წლისათვის 150.000 მანეთი იყო[41], ხოლო ბურნაშოვის შედარებით უფრო სარწმუნო ცნობით XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის — 400.000 მანეთი ოქროთი და ვერცხლით. „სახელმწიფოს ფულადი შემოსავლები მიწისმხვნელებიდან, ვერცხლის, ოქროსა და სპილენძის მაღაროებიდან, ბაჟიდან, წყლისა და თამბაქოს იჯარიდან, ქალაქებიდან განჯისა და ერევნიდან, მეზობელი სახანოებიდან მიღებული საჩუქრების ჩათვლით, აღწევდა ოთხას ათას მანეთს ოქროთი და ვერცხლით"[42].

რეინეგსის უფრო ზუსტი ცნობით ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი შემოსავალი (80-იან წლებში) 713.200 მანეთს შეადგენდა[43]. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს თანხაც არ ჰყოფნიდა სახელმწიფოს მოთხოვნილებებს. ცნობილი ფაქტია, რომ ქართლისმეფე თეიმურაზ II, როცა იგი პეტერბურგში იყო 1761 წელს, რუსეთის მთავრობას ფულს თხოვა სესხად[44]. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის დადების შემდეგაც ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან ელჩს გ. ჭავჭავაძეს არა ერთხელ უთხოვნია რუსეთის მთავრობისათვის ფული სესხად;

---

40 ნ. ქოჩიავა, კრედიტი მე-18 საუკუნის საქართველოში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIVa-b, თბ., 1948, გვ. 24.

41 А. Цагарели, Грамоты..., т. I, с. 187.

42 С. Бурнашев, Картина Грузии, или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского... Курск, 1793, изд. 1886, Тиф., с. 5—6.

43 ვ. დუმბაძე, რეინეგსი მე-18 ს. II ნახევრის საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 35, თბ., 1963, გვ. 173.

44 А. Цагарели, Грамоты..., т. I, с. 11—12

მაგალითად 1785-სა და 1796 წლებში იგი ერეკლე II-ს დავალებით ეკატერინე II-ს სთხოვს სესხს I მილიონი მანეთის რაოდენობით[45]. ასევე 1797 წ. იგი კვლავ სთხოვს სესხს რუსეთის ახალ იმპერატორს პავლე I-ს[46], ხოლო 1800 წელს კვლავ პავლე I-ს, ამჯერად გიორგი XII დავალებით[47]. როგორც ცნობილია, მაშინ რუსეთის მთავრობამ ვერ შეძლო ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ფულის სესხად მოცემა. ამის მიზეზი ის ხანგრძლივი ომები იყო, რომელსაც ცარიზმი აწარმოებდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. მაგრამ, რა თქმა უნდა, მარტო ეს გარემოება არ გამოდგება რუსეთის მიერ სესხის მოუცემლობის მიზეზად. ჩვენ ხელთ გვაქვს ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი ელჩის გ. ჭავჭავაძის მიერ პეტერბურგიდან ერეკლე მეორესადმი გამოგზავნილი საიდუმლო წერილი, რომელშიაც იგი მეფეს ფარულად აცნობებს, რომ: „ჩემს მიერ წარმოდგენილ მოხსენებაზე ფულის შესახებ ჯერ პასუხი არ მიმიღია, თუ მოგვცემენ სესხს, კარგი იქნება. თუ გვაჩუქებენ, მაშინ იმ თანხიდან აუცილებლად უნდა დავხარჯოთ სასაჩუქროდ (ქრთამზე? — ზ. ც.) რაც შესაფერის მოთხოვნა იქნება“[48]. თუ რუსეთის მთავრობა სესხს მოგვცემს... „მე არ დავიშურებ მეთხუთმეტედ ან, უკიდურეს შემთხვევაში, მეოცედ ნაწილს“[49]. თუ სად დარაზე უნდა დაეხარჯა ეს ფული, გარსევანმა კარგად იცოდა. იგი კიდევაც შეპირებია ამ თანხის მეთხუთმეტედ თუ მეოცედ ნაწილს რუსეთის საიმპერატორო კარზე იმ პირებს, რომლებიც ეკატერინე II-თან პროტექციას გაუწევდნენ, თუ ეს უკანასკნელი დათანხმდებოდა გაჭირვებაში მყოფი ქართლ-კახეთის სამეფოსათვის სესხის მოცემაზე. ცნობილი არ არის ვინ იყვნენ ეს გავლენიანი პირნი, მაგრამ ეს საქმის ვითარებას არ ცვლის. ელჩი ერეკლე მეორეს სასწრაფოდ თხოვს სანქციას—მოქმედების უფლებას, ვინაიდან სხვანაირად შეუძლებელია სესხის მიღებაო («без чего обойтится нельзя»)[50]. თუ მე დროულად არ მივიღე თქვენიდან მოქმედების უფლება, — მიახსენებს გარსევანი ერეკლე II-ს,—მე მატყუარა გამოვალ და დიდ სირცხვილში ჩავვარდებიო. გარსევანი ცდილობს ყველაფერი ეს დიდი სიფრთხილით მოხდეს, რადგან „...ვლდებული ვარ ფიცით, რომ ეს საიდუმლო, თქვენს გარდა, არავის არ ეუწყნა“[51]. რა თქმა უნდა, ამ ქრთამს ჩვენ ისინი საჯაროდ ვერ მოგვთხოვენ, მაგრამ თუ ეს ამბავი იმპერატრიცას

---

[45] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 125.
[46] იქვე, т. II, вып. I, გვ. 139.
[47] იქვე, გვ. 171.
[48] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. IV, л. 161.
[49] იქვე.
[50] იქვე, გვ. 162.
[51] იქვე, გვ. 162 v.

ხალხმა გაიგო. მათ (ე. ი. „პროტექტორებს“—ზ. ც.) საშიშროება შეექმნებათო, რამდენადაც თვით გარსევანმა მშვენივრად იცოდა ის ჭეშმარიტება, რომ ცარიზმს დაზვერვის საქმე საქართველოში კარგად ჰქონდა ძოგვარებული[52]. „მათ ყველაფრის შესახებ ზუსტი ცნობები აქვთ“ — წერდა ამავე წერილში გარსევანი ერეკლეს.

ფულის შესახებ მე ხმა დაეყარე, — აუწყებდა გარსევანი ერეკლეს, — ვითომ ჩვენ ერთ მილიონ მანეთს მოვითხოვთ სესხად: „ვნახოთ რას მოგვცემენ და რას გვაჩუქებენ, თუმცა მე წერილობით არ განმიცხადებია თანხის რაოდენობის შესახებო“[53]. ეს ცნობა რომ მართლაც სინამდვილეს შეეფერება, ამას ადასტურებს 1785 წლის ნოემბერში ქართლ-კახეთის დესპანის გ. ჭავჭავაძის მიერ გ. ა. პოტიომკინისადმი[54] წარდგენილი მოხსენებითი ბარათი. მიუხედავად გ. ჭავჭავაძის დიდი სიფრთხილისა, პეტერბურგიდან მის მიერ ერეკლე II-ის სახელზე გამოგზავნილი საიდუმლო წერილები რუსეთის დაზვერვას ჩაუვარდა ხელში და ამით საიდუმლოებას ფარდა აეხადა.

ვფიქრობთ, რომ 1785 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსადმი რუსეთის მიერ სესხის მოუცემლობის ერთ-ერთი მიზეზი (და არა ერთადერთი მიზეზი) ამ საიდუმლო წერილების თვითმპყრობელობის დაზვერვის ხელში ჩავარდნის შედეგიც იყო[55].

ამ ხანებში (1784—1785 წწ.) რუსეთის მთავრობას არც სამხედრო დახმარების გაწევა შეეძლო საქართველოსათვის პოტიომკინს არ შეეძლო ირაკლისათვის არავითარი დახმარების გაწევა, რადგან კავკასიის ხაზზე განლაგებული მთელი ჯარი განკუთვნილი იყო კავკასიის ჩრდილოეთ კალთაზე დაწყებული მღელვარების დასაწყნარებლად, რაც გამოწვეული იყო ჩეჩნეთში წინასწარმეტყველის გამოჩენით, რომელიც ხალხს ამხედრებდა ქრისტიანების წინააღმდეგ[56]

საინტერესოა ერთი წერილი, რომელსაც ერეკლე II 1784 წ. 24 მაისს წერს ვ. ტამარას: „რადგან ჩ ვ ე ნ ი შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი გ ა ს ა ვ ა ლ ზ ე მ ე ტ ო ბ ს[57] (ხაზი ჩემია — ზ. ც.) და ამგვარ მოქმედებაში

---

[52] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. IV, л. 162 v.

[53] ი ქ ვ ე.

[54] იხ. ი. ც ი ნ ც ა ძ ე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 250—251.

[55] უფრო დაწვრილებით გ. ჭავჭავაძისა და ერეკლე II-ის საიდუმლო წერილების თვითმპყრობელობის დაზვერვის ხელში ჩავარდნის შესახებ იხ. ი. ც ი ნ ც ა ძ ე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 145—150.

[56] Н. Д у б р о в и н, История..., т. II, СПб, 1886, с. 85.

[57] ამ სიტყვაში ერეკლე წერს: „შემოსავალი გასავალზე მეტობს“, მაგრამ ასეთმა, ერთი შეხედვით, უცნაურმა წერილმა არ უნდა გაგვაკვირვოს. როგორც სიტყვის შესწავლიდან ირკვევა, ერეკლე II-ის რუსეთის წარმომადგენლისათვის იმის თქმა სურდა,

თეთრის საჭიროება გვექნება, ამისათვის ხაზინიდან თეთრის ღონიერება უნდა მივიღოთ"[58]. ქვეყანას მატერიალური დახმარება ესაჭიროებოდა. „ქართველობამ" პროგრესისათვის ბრძოლაში მოკავშირე ნახა, ასეთი მოკავშირე რუსეთი იყო, მაგრამ როგორც ვხედავთ ასეთ მოკავშირესაც ჯერჯერობით არ შეეძლო საჭირო დახმარების გაწევა და ქართლ-კახეთის სამეფოს ჩიხიდან გამოყვანა. ის ფაქტი, რომ საქართველოს პოლიტიკოსები თავიანთ სიხარულსა და გაჭირვებას („ნუჟდას") ასე გულახდილად უზიარებდნენ რუსეთის სახელმწიფოს, იმის დამადასტურებელია, რომ მათ სწამდათ დიდი მოკავშირის რეალური დახმარებისა.

სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოს პროგრესულ ძალებს თვალი რუსეთისკენ ეჭირათ. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს, „ასევე იყო ახლაც, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. იმ დროს როცა ქართულ ფეოდალურ რეაქციას თვალი ერან-ოსმალეთზე ეჭირა, პროგრესული ძალები საქართველოს გამოხსნა-აღდგომის საქმისათვის ბრძოლაში მოკავშირეს რუსეთში ხედავდა"[59].

საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნის, მისი წინსვლის პროგრესული ბრძოლის სათავეები, როგორც ცნობილია, შორეულ წარსულში იყო. „ქართველი მოღვაწეები ამ ბრძოლას იმთავითვე უკავშირებდნენ რუსეთის სახელმწიფოს"[60].

ჯერ კიდევ 1752 წ. ქართლ-კახეთის მეფეებმა თეიმურაზმა და ერეკლემ რუსეთში ელჩად გაგზავნეს ათანასე თბილელი და სვიმონ მაყაშვილი. მეფეები სთხოვდნენ რუსეთის სამეფო კარს ფულითა და ლაშქრით დახმარებას. ათანასე თბილელი ქართლის მეფის თეიმურაზ II-ის ელჩი იყო, ხოლო სვიმონ მაყაშვილი კახეთის მეფის ერეკლე II-ისა. 1752 წლის ნოემბერში ელჩები რუსეთის მთავრობას წარუდგნენ: „თეიმურაზისა და ერეკლეს წერილი განიხილა საგარეო საქმეთა კოლეგიამ, მაგრამ პასუხი მეტისმეტად დააგვიანა"[61].

1754 წ. სვიმონ მაყაშვილი თავისი მხლებლებით საქართველოში დაბრუნდა, ხოლო ათანასე თბილელმა მიიღო რუსეთის ქვეშევრდო-

---

რომ ქართლ-კახეთის სამეფოს შეეძლო ვალის გადახდა. მშვიდობიანობის დროს მართლაც „შემოსავალი გასავალზე მეტობდა".

58 ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 331, ч. VI, л. 15.

59 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი", თბ., 1954, № 6, გვ. 138.

60 ვ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, 1957, გვ. 27.

61 ი. ციცაძე, რამდენიმე ახალი ცნობა XVIII საუკუნის ქართლის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. IV., თბ., 1942, გვ. 5.

შობა და სამუდამოდ რუსეთში დარჩა. ამ ელჩობამ არავითარი შედეგი არ გამოიღო.

1760 წ. საქართველოდან თეიმურაზ II გაემგზავრა პეტერბურგში, ასტრახანზე გავლით, მის ამალაში 69 კაცი იყო. „1760 წ. თეიმურაზთან ერთად ერეკლემაც გაუგზავნა სხვადასხვა პირებს წერილები და სთხოვა დახმარებოდნენ თეიმურაზს, როცა იგი სხვადასხვა შუამდგომლობას აღძრავდა მთავრობის წინაშე"[62]. არც ამ ელჩობას გამოუღია რაიმე შედეგი. ქართველებმა ვერ მიიღეს ფულადი დახმარება და ლაშქარი. აქვე, პეტერბურგში 1762 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა ქართლის მეფე თეიმურაზ II.

ქართველი პოლიტიკოსები გულს მაინც არ იტეხდნენ. მე-18 საუკუნის 70-იან წლებში საგარეო ურთიერთობის სფეროში კიდევ უფრო მეტი გარკვეულობა ჩანდა.

1772 წ. ერეკლემ, ამჯერად გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფემ, ელჩები გაგზავნა რუსეთში თავისი შვილის ლევანისა და ანტონ კათალიკოზის მეთაურობით. ერეკლე კარგად ხედავდა, რომ საჭირო იყო ძლიერი მოკავშირისათვის შეეფარებინა თავი. იგი თხოვდა ეკატერინე II-ს, რათა საქართველო მიეღო რუსეთის მფარველობის ქვეშ. ერეკლე მას ჰპირდებოდა, რომ იმ გადასახადს, რომელსაც იგი წინათ სპარსეთს უხდიდა, ახლა მას მისცემდა. სამაგიეროდ რუსეთს საქართველოში უნდა ჰყოლოდა 4000 ჯარისკაცი. ერეკლე დაპირებას აძლევდა, რომ საქართველოში არსებული ბუნებრივი სიმდიდრეები რუსეთს გადაეცემოდა. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, რუსეთის სამეფო კარზე მაშინ საქართველოს საკითხი მომწიფებული არ იყო. რუსეთი ფიქრობდა, რომ იმჟამად საქართველოს ისინი ვერ შეინარჩუნებდნენ. არც ამ ელჩობას მოჰყოლია რაიმე რეალური შედეგი.

1782 წ. გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინმა ერეკლესთან მოლაპარაკება დაიწყო (მთავრობის დავალებით) ექიმ რეინეგსის მეშვეობით[63]. რეინეგსს უნდა დაერწმუნებინა ერეკლე II, რომ თითქოს რუსეთის ხელმწიფეს სხვა არაფერი აქვს მიზნად, თუ არა ერთმორწმუნე საქართველოს სამეფოს დაცვა. „სხვათა შორის რეინეგსს დავალებული ჰქონდა, რომ აღეძრა ირაკლი, ეთხოვა ფორმალური მფარველობა რუსეთის თვითმპყრობელობისა, რასაც მოჰყვა უმაღლესი ნებართვა"[64]. მართლაც, 1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლემ რუსეთის მეფის მფარველობა ითხოვა, რაც წინასწარ მომზადებული იყო

---

[62] იასე ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ.II, თბ., 1940, გვ. 15; ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII ს. მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი II, თბ., 1968, გვ. 15—137.

[63] А. Цагарели, Грамоты, т. II, вып. II, с. 27.

[64] П. Бутков, Материалы..., ч. II, СПб, 1869, с. 118.

რუსეთის მთავრობის დიპლომატიის მიერ. ერეკლემ რუსეთის სამეფო კარისადმი 1771 წლის წარდგინება გაიმეორა (რომელიც თავის დროზე ანტონ კათალიკოსმა და ლევან ბატონიშვილმა წარუდგინეს რუსეთის საიმპერატორო კარს) და დაუმატა ახალი „სათხოვარი პუნქტები", რაც გამოწვეული იყო 1771 წელთან შედარებით შეცვლილი მდგომარეობით.

1783 წლის 24 ივნისს ციხე-ქალაქ გეორგიევსკში დაიდო მფარველობითი ტრაქტატი რუსეთსა და საქართველოს შორის. „არსებულ პირობებში ეს იყო საუკეთესო გამოსავალი, რომელსაც ერთადერთს შეეძლო ქვეყანა პროგრესის გზით ახალი ცხოვრებისაკენ წაეყვანა"[65]. ტრაქტატი ორმხრივი ვალდებულებების გამომხატველი აქტი იყო. მასში მოცემული იყო როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის ვალდებულებანი. საქართველოდან ტრაქტატს ხელს აწერდნენ იოანე მუხრანბატონი და გ. ჭავჭავაძე. „მეორე მხრით, ეს აქტი იმის აღიარებაც იყო,რომ გარედან დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად საქართველოს ღონე არ შესწევდა დაემარცხებინა რეაქციის ძალები და უზრუნველეყო ქვეყნის გამოხსნა-აღდგომის საქმის გამარჯვება"[66]. 1784 წლის 24 იანვარს ერეკლემ ხელი მოაწერა ხსენებულ ტრაქტატს და იგი ძალაში შევიდა. ტრაქტატი შემდეგ ძირითად ვალდებულებებს შეიცავდა: 1) ამიერიდან საქართველოს უფლება არ ჰქონდა რუსეთის სანქციის გარეშე რომელიმე მეზობელ ქვეყანასთან ზავი დაედო ან ომი გამოეცხადებინა, ე. ი. შეზღუდული იყო სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის სფეროში; 2) რუსეთი საქართველოს შინაგან საქმეებში ვერ ჩაერეოდა; 3) საქართველოს სამეფო კარზე იქნებოდა რუსეთის წარმომადგენელი მინისტრ-რეზიდენტი (ასევე რუსეთის საიმპერატორო კარზედაც); 4) რუსეთს უნდა ჰყოლოდა საქართველოში ორი ბატალიონი ჯარი, ხოლო საჭირო შემთხვევაში „კავკასიის ხაზის" სარდალს უფლება ჰქონდა დამხმარე ძალები გამოეგზავნა; 5) ის ქვეყნები, რომლებიც საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ მტრის ხელში იყო (სამცხე, ჭარ-ბელაქანი), რუსეთის დახმარებით უნდა განთავისუფლებულიყო და კვლავ საქართველოს დაბრუნებოდა. ამრიგად, ტრაქტატს ორივე ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ დრომ სულ სხვა რამ აჩვენა. საქართველოს მეზობელმა მაჰმადიანმა ქვეყნებმა ამ ტრაქტატში საკუთარი ქვეყნისათვის საშიში ძალა დაინახეს და ამოქმედდნენ, დაღისტნელ ფეოდალთა მოთარეშე რაზმები მომრაველდნენ. მათი დამრაზმავის როლში თურქეთი გამოდიოდა.

---

[65] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი", № 6, 1954, გვ. 139.

[66] იქვე.

1785 წელს ხუნძახის მფლობელი ომარ-ხანი 20.000-იანი ლაშქრით შემოვიდა საქართველოში და მრავალი კუთხე ააოხრა, მოშალა ახტალისა და ალავერდის საბადოები. ერეკლეს მტრულად უყურებდნენ ოსმალეთიცა და სპარსეთიც. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ერეკლე II მთელ იმედებს რუსთა გადაუდებელ დახმარებაზე ამყარებდა. იგი წერილს წერილზე უგზავნიდა კავკასიის ხაზის მთავარსარდალს პ. პოტიომკინს და ითხოვდა მისგან ქმედით დახმარებას, დაწვრილებით აუწყებდა საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ. ჯერ კიდევ 1785 წლის აგვისტოში, ომარ-ხანის მოსალოდნელ შემოსევამდე, ერეკლემ წინასწარი ზომები მიიღო და აცნობა კავკასიის ხაზის მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელს გენერალ მ. ლეონტიევს (ამ დროს კავკასიის ხაზის მთავარსარდალი პ. პოტიომკინი ასტრახანში იმყოფებოდა — ზ. ც.), რომ მან დაუბრკოლებლივ გაამგზავროს ზაზა სოლაღაშვილი პეტერბურგში[67], რათა ამ უკანასკნელმა დროულად მოახსენოს რუსეთის საიმპერატორო კარს ქართლ-კახეთის სამეფოზე მტრის მოახლოების ამბავი, ხოლო თვით გენერალ ლეონტიევისაგან სასწრაფო დახმარება მოითხოვა „ორის ცხენოსნის პოლკით, რათგან იმისის იმპერატორობის დიდებულების მოწყალის ჯელმწიფის ჩვენზე მფარველობა ითხოვს ამას ტრახტატის სიმტკიცით“[68].

კავკასიის ხაზის მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ მიხეილ ნიკოლოზის ძე ლეონტიევმა ერეკლეს წერილის შინაარსი აცნობა ასტრახანში მყოფ მთავარსარდალს პ. პოტიომკინს, რომელმაც 1785 წლის 9 სექტემბერს ასტრახანიდან სპეციალური „რაპორტი“ გაუგზავნა გ. ა. პოტიომკინს. პ. ს. პოტიომკინი ასტრახანიდან აცნობებდა გ. ა. პოტიომკინს, რომ მან მიიღო მისი მოვალეობის შემსრულებლის მ. ლეონტიევის წერილი გზაში, ასტრახანთან მიახლოებისას. როგორც ამ წერილიდან და საქართველოში მყოფ პოლკოვნიკ ბურნაშოვის „რაპორტიდან“ ცნობილი გახდაო: „საქართველოს ემუქრება ხიფათიო“[69]. პ. პოტიომკინი შეახსენებს გ. ა. პოტიომკინს, რომ მას არა აქვს მისი (გ. პოტიომკინის — ზ. ც.) ბრძანება, ამიტომ არ შეუძლია სამხედრო დახმარება გაუწიოს საქართველოსო[70], მაგრამ მაინც საჭიროდ ჩაუთვლია ასეთი შინაარსის წერილის

---

[67] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 350, ч. IX, л. 20 (თაეადი ზაზა სოლაღაშვილი ერეკლემ პეტერბურგში გაგზავნა ქართლ-კახეთის სრულიფლებიან ელჩ გ. ჭავჭავაძესთან საიდუმლო ზეპირი მითითებით. იხ. ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. IV, л. 156).

[68] იქვე.

[69] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 350, ч. IX, л. 8.

[70] Я не имея поведения вашей светлости, не могу дать помощи царем требуемой (იხ. ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 350, ч. IX, л. 8).

ბაგზავნა გენერალ ლეონტიევისადმი: „მოზდოკისკენ წასწიეთ ორი პოლკი იმ სახით, რომ ყოველ შემთხვევაში ქართველები გაამხნეონ და ხმა დაიყაროს საქართველოზე თავდამსხმელებს შორის“[71] (ესეც დახმარებაა). თუ რა ფასი ჰქონდა ასეთ „დახმარებას“, ამას კარგად ამჟღავნებს დუბროვინის ერთი ცნობა.

„არც ხმების გავრცელებას, არც ჯარების გადაადგილებას არ შეეძლო დაეშინებია ან მოეტყუებია ლეკები და სხვა დაღესტნელები, რომლებიც ერთდროულად მოქმედებდნენ საქართველოსა და კავკასიის ხაზზე განლაგებული ჯარების წინააღმდეგ. მთიელებმა კარგად იცოდნენ, რომ ხაზზე მთელი ჯარი დაკავებული იყო“[72] ... და რომ მათ (რუსის ჯარს — ზ. ც.) საქართველოში მხოლოდ ერთი ძნელად გადასასვლელი გზა ჰქონდათ. საქართველოს მტრებმა ისიც აგრეთვე კარგად იცოდნენ, რომ რუსეთს იმჟამად არ შეეძლო საქართველოს დახმარებოდა და, როცა საქართველოს თავს ესხმოდნენ, იმედი ჰქონდათ წარმატებისა[73]. 1785 წლის 25 სექტემბრის წერილით ერეკლე II კვლავ თხოულობს პ. პოტიომკინისაგან სასწრაფოდ დახმარებას დამატებითი ჯარით. „გარდა ორთა ამათ ბატალიონთა მანდეთურმა ჯარის მთავარმა უნდა ჯარით გვიშველოს“[74]. ქართლ-კახეთის მეფემ კარგად იცოდა, რომ ოსმალეთის მიერ წაქეზებულნი: „შეთქმულებითა თათართაგან და ლეკთაგან იტანჯების ქვეყანა ჩვენი“[75]. იგი შეახსენებს პოტიომკინს, რომ თუ ამ 12 ან 15 დღეში „მანდედამ ჯარი არ მოვიდა, დაჯერებით ბრძანდებოდეთ დიდის განსაცდელის მოლოდების ფიქრში ვიქნებითო“[76]. 14 ოქტომბრის წერილით ერეკლე კვლავ თხოვს პ. პოტიომკინს დახმარებას ჯარით, ფულით და აგზავნის მასთან გაიოზ არქიმანდრიტს[77], ხოლო ამავე წლის 18 ოქტომბერს წერილით ერეკლე მოახსენებს პ. პოტიომკინს, თუ რამ გამოიწვია ქართველთა მარცხი ომარ-ხანის შემოსევის დროს და როგორ შეიყვანა იგი ომარ-ხანმა შეცდომაში. პასუხობს რა ერეკლე პ. პოტიომკინს, თუ რატომ არ უბრძანა მან რუს-ქართველთა ჯარს ომარ-ხანთან შებმა, იგი დასძენს: „როცა ომარ-ხან და დაღისტნის უფროსები ახლო მთაზე მოვიდნენ, ჩვენს ქვეყანას ოთხის მხრით საფიქრებელი და საფრთხილებელი

---

[71] იქვე.

[72] Н. Дубровин, История войны..., т. II, СПб, 1886, с. 138.

[73] იქვე.

[74] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 350, ч. IX, св. 113, л. 143.

[75] იქვე.

[76] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 350, ч. IX, св. 113, л. 144; იხ. აგრეთვე, Н. Дубровин, История..., т. II, СПб, 1886, с. 142.

[77] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. I/194, д. 350, ч. X, л. 18. მსგავს თხოვნას ერეკლეს დავალებით ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი ელჩი გ. ჭავჭავაძე 1785 წ. ნოემბერში უდგენს გ. ა. პოტიომკინს. იხ. ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 248—252.

გვქონდა, სანამდისინ მტკვარს გავიდოდა, პირველად სულეიმან ფაშისაგან, რომ ქართლსა სცემდა, და იმისგან ვერ მოიცალეს, რომ ჯარი გამოგვეყვანა სხუა მხარეს. შილდასა და ყვარელზე ლეკის ჯარები ორ რიგად მთაზე წამოაყენეს, და მეოთხედ ომარხანი ჯარისას უთუოდ ქისიყზე მოსვლას ამბობდნენ და ყვარელზედაც"[78]. ომარ-ხანი წინა ხანებში ასე გვითვლიდაო: „მე ჯარს ავყრი და თუ საქართველოში მოსვლის ხმა არ დავაგდე, ჯარი არ გამომყვებაო"[79]. თქვენთან სამტრო მე არაფერი მაქვს და ჩემ მესისხლე ფათალიხანზე მივალო. ალაზანს გამოსული ომარ-ხანი სწრაფად აყრილა და მართლაც თავის „მტრის" მიმართულებით წასულა და ამით „მოუშლია" ქართველები, შემდეგ ივრის მხარეს სწრაფად გამობრუნებულა, ერეკლემ კი ზემოდასახელებული 4 მიზეზის გამო ჯარი სასწრაფოდ ვერ შეკრიბა. მსუბუქად შეიარაღებულ მტერს ქართველი ჯარი უკან გამოუდგა, მაგრამ, ვინაიდან ქართველებს და რუსებს ზარბაზნები და ურმები ჰქონდათ, სწრაფად ვერ იარეს და ომარ-ხანმა თავისი ლაშქრით ახტალის ხეობაში შეასწრო. მან აიღო ახტალა და, როცა რუს-ქართველთა ლაშქარი ახტალას მიადგა, გამაგრდა მაღლობებზე, ბრძოლა არ მიიღო, „მინდორზე არ გამოვიდა"[80]. ერეკლემ ვერ გაბედა სიმაგრეზე მცირერიცხოვან რუს-ქართველთა ჯარით შეტევა, მეორე დღეს კი ომარ-ხანი ახტალიდან ახალციხისაკენ გაიპარა[81]. ასე შეუყვანია ომარ-ხანს ერეკლე II შეცდომაში.

1785 წლის 5 ნოემბრის წერილით ერეკლე II აცნობებს პ. ს. პოტიომკინს, თუ ომარ-ხანმა და ახალციხის სულეიმან-ფაშამ როგორ აიღეს ვახანის ციხე. განაწყენებული ერეკლე დახმარებას მოითხოვს და აუწყებს პ. ს. პოტიომკინს, რომ „ქ ვ ე ყ ა ნ ა წ ა მ ი ხ დ ა დ ა მ ე ც მ ტ რ ი ს ს ა ც ი ნ ე ლ ი შ ე ვ ი ქ ე ნ დ ა მ რ ა ვ ა ლ ი ი ქ ნ ე ბ ი ა ნ რ ო მ დ ა თ ა თ რ დ ნ ე ნ, და ზ ო გ ი ე გ ე ბ ი ს კ ი დ ე ც გ ა ლ ე კ დ ე ს, და ს ხ ვ ა ნ ი ა ქ ა დ ა ი ქ ა დ ა ი ფ ა ნ ტ ე ბ ი ა ნ, და ზ ო გ ნ ი ე გ ე ბ ი ს წ მ ი ნ დ ი ს ა ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მ ო წ ა მ ე დ ა მ ო ღ ვ ა წ ე შ ე ი ქ მ ნ ე ნ"[82]. გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ მოკავშირეს მფარველმა ვეღარ უშველა, თუმცა განაწყენებული ერეკლე არ აკლებდა წერილების გაგზავნას „კავკასიის ხაზის" მთავარსარდლის პ. ს. პოტიომკინის, რუსეთის იმდროინდელი სხვა გავლენიანი პირებისა და თვით იმპერატორ ეკატერინე II-ის სახელზე. 1786 წ. 31 ივლისით დათარიღებულ ერთ წერილში იგი რეალურ დახმა-

[78] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 1/194. д. 350, ч. X, св. 113, л. 17.
[79] ი ქ ვ ე.
[80] ი ქ ვ ე.
[81] ი ქ ვ ე, ფურც. 17 V.
[82] იქვე, ფურც. 19.

რებას სთხოვდა თავის მფარველს: „მაღალ მსწლელო უფალო პაზრანი ესე ჩემნი აღარა ითხოვენ თქვენგან მოსალოდებულისა შეწევნისა აღთქმასა. აწ. ესე ჟამი დაუთმობელ არს, რათა საქმით გვაჩვენო აღსრულება თხოველთა ჩემთა"[83]. ასევე სთხოვდა ერეკლე II დახმარებას იმავე პოტიომკინს 6 აგვისტოს წერილით: „უ პ ე შ მ ა რ ი ტ ე ს ა დ გ ა მ ო ე ც ხ ა დ ო ს თ დ ღ ე ს რ ო მ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ქ მ ე უ პ ი რ ს დ ი დ ი შ ა ჰ ა ბ ა ზ რ ო მ ი ყ ო შ ე მ დ გ ო მ ა დ მ ი ს ა ა ს ე ს ა ქ მ ე ა ღ ა რ გ ა ს ჭ ი რ დ ე ბ ა ... ა მ ჟ ა მ ა დ გ ვ ე ჭ ი რ ე ბ ა ს ა ქ მ ე დ ა მ ო ხ მ ა რ ე ბ ა, ა მ ა ს ნ უ ი ნ ე ბ ე ბ თ, რ ო მ პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი დ ა ნ კ ი დ ე ვ ა მ ბ ა ვ ი მ ო ე ლ ო დ ი ნ ო თ დ ა ნ უ რ ც ა თ ქ მ ე ვ ი ნ ე ბ თ ვ ი ს ა მ ე ა მ ა ს, რ ო მ დ ი დ ი ს ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ს ჟ ა მ ს ა დ ა ჭ ე ლ მ წ ი ფ ო ბ ა შ ი რ უ ს ე თ ი ს შ ე ე რ თ ე ბ ი ს მ ი ზ ე ზ ი თ მ ი უ შ ვ ე ლ ე ბ ლ ო ბ ი თ დ ა ი ქ ც ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო"[84] (ხაზი ჩემია — ზ. ც.). ერთი წლის შემდეგ 1787 წლის 7 ივლისს ერეკლე II კიდევ უგზავნის წერილს პ. პოტიომკინს. იგი სთხოვს მფარველს ორი პოლკით, ზაობაზნებით და ფულით დახმარებას. „და მე რაც ვიცით თქვენს მაღალმსვლელობას მგონია თანამდებობა აქვნდეს რათამცა შეგვეწიო, და ა რ ა თ უ მ ა რ ტ ო მ ე ზ ო ბ ლ ე ბ თ ა ნ ა ც ი ს გ ზ ა ვ ნ ი თ დ ა მ ი წ ე რ-მ ო წ ე რ ი თ, თ უ მ ც ა უ ს ა რ გ ე ბ ლ ო ა რ ც ე ს ი ქ ნ ე ბ ა, მ ა გ რ ა მ ბ ე ვ რ ნ ი მ ო გ ვ ა ტ ყ უ ე ბ ე ნ დ ა ზ ო გ ნ ი პ ო ლ ე ტ ი კ ი თ მ ო გ ა ხ ს ე ნ ე ბ ე ნ რ ა ს მ ე. რ ო მ ჩ ვ ე ნ შ ე წ ე ვ ნ ა ზ ე დ ა გ ა ბ რ კ ო ლ ო ნ დ ა ე ს ჩ ვ ე ნ ა რ ა ს გ ვ ა რ გ ე ბ ს. ჩ ვ ე ნ ი ს გ ვ ა რ გ ე ბ ს, რ ო მ ო რ ი პ ო ლ კ ი ყ ა ზ ა ხ ი ო რ თ ვ ე ს დ ა ნ ა ხ ე ვ ა რ ს გ ვ ა თ ხ ო ო დ ა მ ა ს უ კ ა ნ წ ა ი ყ ვ ა ნ ო თ... დ ა ი ს ზ ა რ ბ ა ზ ნ ე ბ ი ც დ ა ი მ ი ს ი ჯ ა ბ ა ხ ა ნ ა თ ა ვ ი ს ი ს გ ა წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ი თ დ ა წ ა მ ლ ი თ უ ნ დ ა გ ვ ი ბ ო ძ ო ა მ ი ს გ ა ნ ნ უ ღ ა რ დ ა გ ვ ი გ ვ ი ა ნ ე ბ თ"[85] (ხაზი ჩემია — ზ. ც.).

1786 წ. 6 აგვისტოს წერილში ერეკლე დაბეჯითებით მოითხოვს პ. პოტიომკინისაგან აცნობოს თუ ბოლოს და ბოლოს რა ძალა და როდის გამოეგზავნება მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ქვეყანას. „რაც შარშან (ე. ი. 1785 წ.—ზ. ც.) და შარშანწინ (ე. ი. 1784 წ.—ზ. ც.) დააკლდათ, ამ შეწუხებულსა მცირეს ერისთვის ისიც კმა საყოფელი იყო. სწორე ჩვენი შეტყობინება ეს იქნება, რომ მალე გამოგვეცხადოს თქუშენგან ამაების მოპირდაპირე ძალი ან ვითარ იქნება, ან რაოდენი და ან როდის"[86]. ერეკლე დასძენდა: „რ ო დ ე ს ა ც ს ნ ე უ ლ ი ა კ ა ც ი, მ ა შ ი ნ დ ა ი კ ვ ნ ე ს ე ბ ს, ე ს ე ე ბ ი ს უ ლ ჩ ე მ ს ნ ა ტ უ რ ა ზ ე დ ჩ ა ნ ს"[87].

---

[83] ЦГВИА СССР. ф. 52, оп. 1/194, д. 336, ч. IX, л. 35.
[84] იქვე, оп. 194, д. 336, ч. IX. св. 114. л. 41.
[85] იქვე, д. 416, ч. I, л. 376.
[86] იქვე, д. 336, ч. IX, св. 114, л. 41.
[87] იქვე.

მაშინდელი ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებს იესე ბარათაშვილიც თავის ისტორიაში: „აღდგენენ ყოვლის მხრით მაჰმადიანნი ქრისტიანეთა ამოსაწყვეტად, — შეითქმნენ: მთლად დაღისტანი, ხონთქარი დაფარავით ხაზინასაც ჰპირდება და ჯარსაც... დიდი განსაცდელი გვიძს"[88]. როგორც მოტანილი საბუთებიდან ჩანს, ქართლ-კახეთის სახელმწიფოს არც 1784, 85, 86—87 წლებში ჰქონდა მოსვენება. 1787 წლის 22 სექტემბრის წერილით ერეკლე II კვლავ შეახსენებდა გენერალ-ფელდმარშალ გ. ა. პოტიომკინს საქართველოში დამხმარე ჯარის დროულად გამოგზავნის შესახებ. იგი წერდა, რომ „თვით გარსევან რევაზოვიჩისაგანვე მივიღე უწყება, რომ აზრთა მათ მოხსენებულთა ჩემთა ზედა გამოვიდა მოწყალებითი რეზელუცია უმოწყალესისაგან მონარხინაჲსა ჩემისა, გარნა ვერ მსახურა ბედნიერობამ ქვეყანასა ჩუენსა ვიდრე აქამომდე დადგა მოწყალებითი იგი რეზელუცია, ამისათვის ყოველთა მტერთა ჩვენთაგან საცინელთა ვიქმნენით"[89] ქვეყანა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მას შემდეგ, რაც 1787 წელს რუსეთის ჯარმა დატოვა საქართველოს ტერიტორია[90]. „ამის შემდეგ აშლილი მეზობლები დროებით მოურიგდნენ ერეკლეს: ოსმალეთმაც რამდენადმე შეანელა მტრობა"[91]. ყოველივე ამან მეფის ავტორიტეტი შელახა და საბაბი მისცა რეაქციას, შეეტია რუსული ორიენტაციის მომხრეებისათვის. სამეფო ხელისუფლებამ და პროგრესულმა დასმა სერიოზული მარცხი განიცადეს.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში სამეფო ხელისუფლებას კიდევ ერთი მარცხი მოუვიდა. 1791 წელს ერეკლემ გამოსცა ანდერძი, რო-

---

[88] „იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი", ა. იოსელიანის რედაქციით, თბ., 1950. გვ. 103.

[89] ი. ციცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 265.

[90] თუ რა მიზნით დატოვა საქართველო რუსეთის კორპუსმა, ამაზე პ. ბუტკოვი პირდაპირ პასუხს იძლევა. მაგრამ იგი ტენდენციურია. როცა მთავარ მიზეზად მესამე მუხლში დასმულ საკითხს მიიჩნევს. ჩვენი აზრით, ჯარის გაყვანის მთავარი მიზეზი პირველ მუხლში ჩამოყალიბებული დებულება იყო. აი რას წერს ბუტკოვი: «Причины побудившия к выводу из Грузии российских войск заключались во многих статьях: 1-я, что в плане войны вновь открывшейся с Турками не было предложено действовать против их в сей стороне: 2-ая, что царю Ираклию удобнее будет в течение сей войны обезопасить себя через возобновление прежних своих союзов, разрушившихся единственно пребыванием в земле его российских войск (თუ ბუტკოვი სწორია, კითხვა ისმის, მაშინ რატომ შემოიყვანა რუსეთმა ჯარი საქართველოში საერთოდ და თუ შემოიყვანა, რატომ მაინცდამაინც 1787 წელს გაიყვანა იგი, როცა საქართველოში ამ ჯარის ყოფნა თურქეთთან ომის გაგრძელებელი იყო?—ზ. ც.) и 3-я главнейшая, что сии два батальоне почти всегда в Грузии терпели голод» (მაშ რატომ არ გაიყვანეს 1801 წელს საქართველოდან უფრო მრავალრიცხოვანი რუსის ჯარი ?—ზ. ც.). იხ. П. Бутков, Материалы..., часть вторая, с. 196.

[91] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 360.

ბლის ძალითაც იცვლებოდა მემკვიდრეობის ძველი წესი. ამიერიდან ტახტი უფროს შვილზე კი არ გადადიოდა მემკვიდრეობით, არამედ ძმიდან ძმაზე. ერეკლემ მალე უარჰყო ეს კანონი[92], მაგრამ იგი მისი სიკვდილის შემდეგ მაინც შეიქმნა საშინაო განხეთქილების ერთ-ერთ წყაროდ. 1792 წ. მიიღეს კიდევ უფრო რეაქციული კანონი, რომლის ძალითაც ქვეყანა საუფლისწულოებად ნაწილდებოდა. ამას უარყოფითი შედეგი მოჰყვა. ამიერიდან ეს საუფლისწულოები წარმოადგენდნენ რეაქციის საბუდარებს. ამ ფაქტმა ნაწილობრივ თავისი ნაყოფი გამოიღო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს.

ირანში 1779 წელს ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ შინაფეოდალური ანარქია დამყარდა. სპარსეთის ტახტის ხელში ჩასაგდებად იბრძოდნენ ტახტის მაძიებელნი. მათ შორის გამარჯვება წილად ხვდა კასპიისპირეთისა და ასტრაბადის მფლობელს, ყაჯართა საგვარეულოს წარმომადგენელს ხოჯა აღა-მაჰმად-ხანს. 1794 წ. აღა-მაჰმად-ხანი უკვე ემზადებოდა საქართველოზე გამოსალაშქრებლად, ხოლო 1795 წ. 11 სექტემბერს, მიუხედავად ქართველების თავგანწირული წინააღმდეგობისა, თბილისი აიღო და ააოხრა[93].

„1795 წლის აქტი (კრწანისის ომი) საქართველოს სახელმწიფოს ღრმა კრიზისის მაჩვენებელი იყო. მას საბოლოოდ გაუტყდა სახელი"[94]. აღა-მაჰმად-ხანმა დაარბია ჩვენი ქვეყანა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მას თბილისი აღებული ჰქონდა, მაინც არ სჯეროდა, რომ ქართლ-კახეთი დაიმორჩილა, რადგან ერეკლე ცოცხალი იყო. იგი ელჩებს უგზავნიდა ერეკლეს და აუწყებდა, რომ თუ იგი მას დაემორჩილებოდა, მაშინ იგი ზარალსაც აუნაზღაურებდა და ტყვეებსაც დაუბრუნებდა, მაგრამ ერეკლესაგან უარყოფითი პასუხი მოდიოდა. სექტემბრის ბოლოს იგი თბილისიდან აიყარა და სპარსეთს გაემგზავრა. ევროპის პოლიტიკოსები ულოცავდნენ აღა-მაჰმად-ხანს გამარჯვებას, ხედავდნენ რა მასში რუსეთის დამარცხებას. რუსეთის სამეფო კარზე მიხვდნენ თავიანთ შეცდომებს და 1796 წ. ვ. ზუბოვის მეთაურობით გამოგზავნეს ჯარი სპარსეთის წინააღმდეგ. 1796 წ. რუსმა ჯარმა ქართულ კორპუსთან ერთად განჯის მხარე დალაშქრა და დიდძალი ნადავლით უკან დაბრუნდა. რა თქმა უნდა, სპარსეთში ლაშქრობის მთავარი მიზეზი საქართველოს 1795 წ. აოხრება არ ყოფილა. იგი

---

[92] Акты..., т. I, с. 297; Н. Дубровин, Георгий XII, последний царь Грузии, СПб, 1867, с. 51—52.

[93] ამის შესახებ დაწვრ. იხ. ი. ციბაძე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1963, გვ. 135—177.

[94] ნ. ბერძენიშვილი, საანგარიშო მოხსენება (მოსკოვ-ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებისა, 1946 წ.), მიმომხილველი, 1, თბ., 1949, გვ. 359.

მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო[95]. მთებში გაჩიზნული მოსახლეობა თბილისში დაბრუნდა, მაგრამ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა მაინც უდიდესი ტრაგედია იყო, რომელმაც ჩვენს ეროვნულ კულტურასა და სახელმწიფოებრიობას აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა. არა ერთი კულტურული ძეგლი დაიღუპა ამ შემოსევისას.

1796 წლის 6 ნოემბერს გარდაიცვალა რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II, ტახტზე ავიდა მისი შვილი პავლე I, რომელმაც მოშალა სპარსეთის ლაშქრობა და რუსეთის ჯარი უკან გამოიწვია. ამ ამბავმა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქართლ-კახეთის სამეფო. აღა-მაჰმად-ხანმა რუსთა ჯარის გაბრუნება თავის გამარჯვებად ჩათვალა და 1797 წ. კვლავ აპირებდა საქართველოს აოხრებას. ერეკლესადმი გამოგზავნილ 1797 წ. ივნისის დასაწყისის ფირმანში[96] იგი მოითხოვდა რუსეთთან კავშირის გაწყვეტას. გაზაფხულზე მან აიღო ყარაბაღი და საქართველოს მოსაოხრებლად ემზადებოდა. მაგრამ მკვლელის დანამ მას სიცოცხლე მოუსპო 1797 წლის 5 ივნისს[97].

მალე, 1798 წლის 11 იანვარს, 78 წლის ასაკში, თელავში გარდაიცვალა ერეკლე მეორე. ერეკლემ მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას შეალია. ერეკლე ხედავდა, რომ შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა ქვეყნის ძირეული გარდაქმნის აუცილებლობას. იგი შორს იხედებოდა და საქმესაც ამის მიხედვით აკეთებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე გაიმართა პოლიტიკური ჭიდილი. ტახტზე ავიდა

---

[95] აი რას წერს ამის თაობაზე პ. ბუტკოვი: «Предметом введения в Персию войск великой Екатерины было не суетное желание побед, ни распространение пределов и без того обширнейшей в свете империи; но чтоб под предлогом наказания Ага-Магомет-Хана за Грузию, главнейшее основать твердым образом с Персию нашу торговлю. Для сего, в Грузия должна была быть так распространена и увеличина в силах своих, чтоб не только самобытность свою содержать, но по связи с Армянами и Имеретией, иметь влияние и на Персию и, в случае войны с Турками, на Анатолию; обеспечить кавказскую линию от набегов хищных народов, линия должна быть тесно связана с Грузией».

Но все для распространения в Азии российской торговли» (П. Бутков, Материалы.., часть вторая, СПб, 1869, გვ. 367—368). კიდევ უფრო კონკრეტულადაა ჩამოყალიბებული რუსეთის ცარიზმის სპარსეთში ლაშქრობის მიზნები გენერალ-პორუჩიკ გრაფ ვალერიან ალექსანდრეს ძე ზუბოვისადმი 1796 წ. 19 თებერვალს მიცემულ უმაღლეს ბრძანებულებაში, რომელიც 30 პუნქტისაგან შედგება (იხ. ЦГВИА ВУА, д. 2799, л. 1—7).

[96] Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 133—134.

[97] იქვე, გვ. 136.

ერეკლეს მემკვიდრე გიორგი XII. ამ დროს იგი უკვე დაავადებული იყო[98].

რა მდგომარეობა იყო ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში? ომარ-ხანის 1785 წ. და, განსაკუთრებით, აღა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევების შემდეგ ქვეყნის მეურნეობა მოიშალა. ქვეყნის მწარმოებელი მოსახლეობა 1783 წელთან შედარებით თითქმის განახევრდა. ამის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა „აქტებში" 1801 წ. 28 ივნისის თარიღით გამოქვეყნებული გენერალ კნორინგის მოხსენება უმაღლესი კარისადმი: „... ამრიგად, 61000 ოჯახიდან, რომელიც იმყოფებოდა საქართველოში 1783 წლამდე, ახლა ძლივს არის 35000"[99].

გლეხობა განიცდიდა საშინელ სიღატაკეს და შევიწროებას. ისედაც მძიმე ყოველგვარი გადასახადები, ნახევრად განადგურებულ ქვეყანაში, გლეხობას გაათკეცებული სიმძიმით აწვებოდა. აი რას წერდა ამაზე ნ. დუბროვინი: „ უბედური მცხოვრებლები, რომლებიც მტრისაგან სიცოცხლის გადასარჩენად გაიქცნენ, დაბრუნდნენ თავიანთი სახლების ნანგრევებისა და ფერფლის დასატირად, დაცარიელებულ სოფლებში. მათი ბედი იმათზე შესაშური არ იყო, რომლებიც ტყვედ წაიყვანეს"[100].

მართალია გიორგი XII გამეფდა, მაგრამ მისი ძმები ჩაიკეტნენ საუფლისწულოებში და მის წინააღმდეგ ინტრიგებს აწყობდნენ. ავადმყოფ მეფეს არ შესწევდა გაბედული მოქმედების უნარი. ქვეყანა ანარქიამ მოიცვა. გიორგი XII-ის თხოვნით 1799 წლის 18 აპრილს იმპერატორ პავლე I-მა ტახტის მემკვიდრედ დავით გიორგის ძე დაამტკიცა[101]. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამწვავა შინაური პოლიტიკური ვითარება ქართლ-კახეთის სამეფოში ტახტის მაძიებელ დავით და იულონ ბატონიშვილებს შორის. ამან აიძულა გიორგი XII რუსეთის სამეფოს წინაშე ახალ დათმობებზე წასულიყო. მისი დავალებით ელჩებმა: გ. ჭავჭავაძემ, გ. ავალიშვილმა და ელიაზარ ფალავანდიშვილმა იმპერატორ პავლე I-ს წარუდგინეს ეგრეთწოდებული „სათხოვარი

---

[98] ერთ-ერთ წერილში (1791 წლის 20 მაისი) გიორგი ბატონიშვილი რეინეგსს სწერდა: „თავბრუ მესხმის ხოლმე და გულიც შემიწუხდება ხოლმე და ბუასილიც შეკრული მაქვს ... და თვიცა დიაღ მძიმეთ მაქვს და ამისი სასარგებლო წამალიც მიბოძეთ და გარჩევითაც მიბძანეთ როგორ უნდა მივიღოთ"... (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H—609, წერილი 40, გვ. 123); „ხანდისხან სასმელ-საჭმელი გულზედ დამიმეავდება ხოლმე და ამის წამალიც მიბოძე რამე"... (იქვე, წერილი 39, გვ. 122).

[99] Акты..., т. I, გვ. 426; იხილეთ აგრეთვე Утверждение русского владычества на Кавказе, т. I, Тифлис, 1901, с. 3; М. Думбадзе, Из истории борьбы грузинского народа против колониальной политики царизма, საზ. მეც. განყოფილების მოამბე, № 5, თბ., 1963, გვ. 68—69.

[100] Н. Дубровин, Георгий XII..., СПб, 1867, с. 61—62.

[101] Акты..., т. II, გვ. 1147.

პუნქტები", რითაც შემდგომში ოსტატურად ისარგებლა ცარიზმმა. „ქართლ-კახეთის მესვეურები რუსეთისაგან მეტ დახმარებასა და მეტი ჯარის გამოგზავნას მოითხოვდნენ, მაგრამ ისინი სრულებით არ ფიქრობდნენ ხელის აღებას საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე თუ შეზღუდულ ავტონომიურ თვითმმართველობაზე"[102]. ამის შესახებ ისტორიკოსი ნ. დუბროვინი წერს: „ძნელი არ არის დავინახოთ, რომ გიორგის სურდა და იმედოვნებდა თავისთვის გამოეთხოვა მეფის მთელი უპირატესობა, ამასთან ესარგებლა რუსის ჯარითა და რუსული ფულებით"[103]. გიორგი XII რუსეთის იმპერატორისაგან იმასაც კი მოითხოვდა, რომ შეენარჩუნებინა გავლენა ერევნისა და განჯის სახანოებზე[104]. იგი ფულად ჯამაგირსა და ყმა-გლეხებსაც მოითხოვდა რუსეთისაგან[105]. მაგრამ აქ არაფერია უჩვეულო. სამართლიანად წერს პროფ. მ. დუმბაძე: „შევნიშნავთ, რომ ადრე ირანის ვასალებს—ქართველ მეფეებს შაჰისაგან გამოყოფილი ჰქონდათ ხელფასი და სოფლები ირანში"[106].

ავადმყოფი მეფის ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა. ლოგინად ჩავარდნილი მეფე ვეღარ მართავდა სახელმწიფოს. გიორგი XII-ის მოსალოდნელმა სიკვდილმა კიდევ უფრო გაამწვავა ვნებათა ღელვა მოწინააღმდეგე პარტიათა შორის. ამას ააშკარავებს დოკუმენტები, რომლებიც გიორგი XII-ის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში დაწერილი. აი რას სწერს ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი 1800 წლის 15 დეკემბერს კახეთში თავის ძმა ბაგრატ ბატონიშვილს: „ბატონი (გიორგი XII — ზ. ც.) ავად არის და შენ საქმეზედ ბეჯითად იყავ. მანდაური ხალხი განამხნე. მზადა გვყვანდეს, რომ მოხდეს რამე (ე. ი. გიორგი რომ გარდაიცვალოს — ზ. ც.) მაშინვე ფიცს მიაყოლე. ახლა კი უმართებულო იყო მაგათი ფიცი მანამ ცოცხალი არის. ბიძა შენებმა თუ კიდევ ყრილობა შექმნან რამე, შენ მანდ ჯარი შეიყარე, თიანეთს ადი და შენ რომ იქ ახვალ ისინი სულ დაიშლებიან"[107]. დავით ბატონიშვილი იმავე ბაგრატს 1800 წლის მიწურულში წერდა: „ამილახვარი გაიქცა და იულონთან ბელთს მოვიდა, ორასი კაცი ჰყავთ. და სოფელ-სოფელ დაეთრევიან. რომ გეკითხა რა ვქნათ ... თოფი

---

[102] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 386.

[103] Н. Дубровин, История войны в владычества русских на Кавказе, Спб, т. III, с. 335.

[104] Акты..., т. I, გვ. 179—181; ob. აგრეთვე, Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 292—294.

[105] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 293.

[106] М. Думбадзе, Из истории борьбы грузинского народа..., საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოამბე, № 5, თბ., 1963, გვ. 73, სქოლიო 23.

[107] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Н—607, წერილი 22, ფურც. 14.

ვესროლო თუ არა, როგორც ლეკს, ისთე თოფი ესროლე"[108]. დავით ბატონიშვილი დღე-დღეზე მოელოდა მეფის ტიტულსა და კურთხევის ნებართვას, ამიტომ იგი თავის ბიძას იულონს აუგად იხსენიებდა.

1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა. გიორგის გარდაცვალებამ კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა მოწინააღმდეგე პარტიათა შორის, იულონმა ქართლში ხალხის დაფიცება და აკლება დაიწყო[109], კონტრზომები მიიღო დავით ბატონიშვილმა თავის მხრივაც. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ასეთი კრიზისული მდგომარეობა კარგად გამოიყენა მეფის რუსეთის მთავრობამ. ჯერ პავლე პირველმა 1801 წ. 18 იანვრის მანიფესტით, ხოლო შემდეგ ალექსანდრე I-მა 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო საბოლოოდ რუსეთის იმპერიას შეუერთა.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო დაეცა არა მარტო როგორც ქვეყნის შინაური კრიზისის მსხვერპლი, არამედ რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის წყალობითაც, რომელიც ძველთაგანვე მიისწრაფოდა ამიერკავკასიისა და მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ხელში ჩაგდებას. აღმოსავლეთ ქვეყნებში ცარიზმის საგარეო პოლიტიკის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა:

„კონსტანტინეპოლის დაპყრობასაც... ცარიზმი საუკუნეების მანძილზე ესწრაფვის, რისთვისაც სისტემატურად ატარებს სათანადო პოლიტიკას და ამისათვის იყენებს ყოველგვარ წინააღმდეგობასა და შეჯახებას დიდ სახელმწიფოთა შორის"[110].

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX ს. დამდეგს ფრიად გამწვავებული იყო წინააღმდეგობა ინგლის-საფრანგეთს შორის, რაც ხელს უწყობდა მეფის რუსეთის წარმატებას აღმოსავლეთში, კერძოდ კი კავკასიაში. ინგლისი და საფრანგეთი აშკარად ხედავდნენ ამას და ხან ოსმალეთის და ხან ირანის საშუალებით ცდილობდნენ მეფის რუსეთის წინსვლის შეჩერებას. სწორედ ამის გამო ცნობდნენ ისინი ირანოსმალეთის პოლიტიკურ უფლებებს ამიერკავკასიის ქვეყნებზე[111].

რუსეთი კი „მხოლოდ საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიური მიზნებით უყურებდა საქართველოს"[112]. საქართველო ცარიზმის დასაყრდენი პუნქტი უნდა გამხდარიყო ახლო აღმოსავლეთის ხელში ჩასაგდებად.

---

108 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H—607, ფურც. 33.

109 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H—607, წერილი 27, ფურც. 15.

110 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მეოთხე გამოცემა, ტ. 23, გვ. 159.

111 საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ნაწ. I, თბ., 1958, გვ. 384.

112 М. Думбадзе, Из истории...., საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოამბე, № 5, თბ., 1963, გვ. 75.

XIX საუკუნის დამდეგს ცარიზმმა უკვე შეცვალა თავისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ და იგი გადავიდა „ ... ამიერკავკასიის უშუალოდ მეფის რუსეთის შემადგენლობაში შეყვანაზე“[113].

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. შემუშავდა საქართველოს მმართველობის ახალი დებულება.

ახლად შემოერთებული ქვეყნის — საქართველოს მართვა-გამგეობა რუსეთის შიდა გუბერნიების წესზე მოეწყო. საქართველოს უმაღლესი მმართველობა იყოფოდა ოთხ ექსპედიციად: სახაზინო, აღმასრულებელ, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ექსპედიციებად[114].

საქართველოს რუსეთთან შეერთებას, მიუხედავად ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკისა, ქართველი ხალხის შემდგომი ბედისათვის პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

მოკლედ, ძირითად ხაზებში ასეთი იყო ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა XVIII ს. ბოლოს.

---

[113] А. Р. Иоаннисян, Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия, Ереван, 1958, с. XXI.

[114] ა. ყიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954, გვ. 29.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

გ. ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა

§ 1. გ. ჭავჭავაძის მოკლე ბიოგრაფია

გ. ჭავჭავაძის შვილი ალექსანდრე[1] და მისი მოგვარეები — დიმიტრი, დავით და სვიმონ[2] ჭავჭავაძეები 1820 წლის ნოემბერში საქართველოს კეთილშობილთა დეპუტატების საკრებულოსადმი წარდგენილ ერთ თხოვნაში აცხადებდნენ, რომ მათი მამამთავარი იყო ბამუკა ჭავჭავაძე.

საქართველოს ისტორიაში ჭავჭავაძეთა გვარი XVI საუკუნის დასაწყისიდან იხსენიება.

„თავადი ჭავჭავაძე არიან ორ გვარად. პირველნი, რომელნიცა სახლობენ გაღმა მხარეს ყვარელსა შინა. იგინი არიან ძველთაგანვე დროსა მეფესა ლეონისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1529. ესენი იყვნენ ადგილით და მუნ მოსახლენი თავადადვე და მერე გადმოსახლდნენ ყვარელსა შინა და მუნ მისცა ადგილნი“[3]. და ახლა იწოდებიან: 1) გლახასშვილებად და მელქისადეგისაშვილებადო. „ხოლო მეორე ჭავჭავაძენიც არიან მუნვე ადგილიდან მოსულნი, რომელნიც ამბობდენ მონათესაობასა მათსა, გარნა არ აქვნდათ მათთან მამულნი და ამათ მსახურეს ერეკლესა მეფესა (ერეკლე I-ს — რ. ც.) დუშეთს და ოდეს გამეფდა მეფე ირაკლი პირველი წელსა ქრისტეს აქეთ 1680-სა შემდგომად მსახურებისათვის დაახლნა ადგილსა წინანდელსა და მიიღო აზნაურად[4]. თეიმურაზ II-მ შემდგომში ეს გვარი მცირე თავადის

---

[1] ს. მ ა ღ ლ ა კ ე ლ ი ძ ე, მასალები ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, „საისტორიო მოამბე“, 2, თბ., 1946, გვ. 186; იხ. აგრეთვე აკ. კ ე ნ ჭ ო შ ვ ი ლ ი, ალ. ჭავჭავაძე (ცხოვრება და შემოქმედება), თბ., 1953, გვ. 4.

[2] საქ. ცსსა, ფ. 213, საქ. 130, ფურც. 5.

[3] იხ. X დამატება; მასალა ისტორიისათვის, შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. 13, თავადი ჭავჭავაძე, „ივერია“, 1884, №№ 5-6, გვ. 40.

[4] იხ. X დამატება: მასალა ისტორიისათვის, შემოკლებითი აღწერა საქართველოს

ზარისხში აიყვანა და უბოძა „მცირე რამ ყმა და ზვარი სამეფო“[5]. ერეკლე II-მ კი მათ საბოლოოდ დაუმტკიცა ჭავჭავაძეობა. ეს გვარი პირველად მამუჩიშვილებად იწოდებოდნენ. ჭავჭავაძეები შემდგომში ასეთი გვარითაც იხსენიებიან (ჭავჭავაძეობასთან ერთად): მამუჩიშვილები, ივანესშვილები, ბერი ნაზირის შვილები, გარსევანისშვილები და სხვა[6]. ეს გვარი — მამუჩისშვილობა მამეული სახელის გამო გაუთვისდათ.

პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის[7] აზრით ჭავჭავაძენი პირველად გლეხები ყოფილან (ამავე აზრს იზიარებს აკ. კენჭოშვილიც). რა თქმა უნდა, მოტანილი საბუთით თითქოს შეიძლება ამის დამტკიცება („დაასახლნა ადგილსა წინანდელსა და მიიღო აზნაურად)“, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს საბუთი არ კმარა ჭავჭავაძეთა სოციალური წარმოშობის დასამტკიცებლად. ხომ შეიძლებოდა, რომ მეფეს სხვა კუთხიდან მოსული აზნაური კვლავ აზნაურად მიეღო?

ჭავჭავაძეებს (გ. ჭავჭავაძის შტოს) ჰქონდა თავისი საკუთარი საგვარეულო ღერბი. ღერბზე გამოსახულია: ცხენი, სკამი, ღუზა, ხმალი და ფარი. 1) ცხენი — შრომის ემბლემაა; 2) სკამი— მბრძანებლობის; 3) ღუზა — ზღვისა და ხმელეთის მბრძანებლობის; 4) ხმალი და ფარი — ბრძოლისა და ბედის[8]. კახეთის სამეფო კარის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღოდა გარსევანის მამა-პაპას, რომლებიც ერთგულებითა და თავდადებით გამოირჩეოდნენ[9].

კახეთის მეფის კონსტანტინეს მიერ 1726 წ. გაცემულ საბუთში ნათქვამია: „სიგელი გაგიახლეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა დიდათ ერთგულთა და მრავალჯერ ჩვენთვის თავდადებით გარჯილთა, ჭავჭავა-

---

შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. 13. თავადი ჭავჭავაძე, „ივერია“, 1884, № 5—6, გვ. 40.

[5] იქვე.

[6] იქვე.

[7] ა. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბ., 1940, გვ. XI, იხ. აგრეთვე აკ. კ ე ნ ჭ ო შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 3.

[8] ჭავჭავაძეთა საგვარეულო ღერბის ასეთი ინტერპრეტაცია მოგვაწოდა წინანდლის აღ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მეცნიერ მუშაკმა თინათინ ალადაშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

[9] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, თბ., 1957, გვ. VIII—XI.



ნუსხა წარდგენილია ალ. ჭავჭავაძის მიერ თავადაზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში, თავადის წოდებაში მის დამტკიცებასთან დაკავშირებით, ს. მ ა ღ ლ ა კ ე ლ ი ძ ე, მასალები ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, „საისტორიო მოამბე“, 2, თბილისი, 1946, გვ. 186. იხ. აგრეთვე ა კ. კ ე ნ ჭ ო შ ვ ი ლ ი, ალ. ჭავჭავაძე (ცხოვრება და შემოქმედება), თბილისი, 1953, გვ. 4.

ПОКОЛЕННАЯ РОСПИСЬ РОДА КНЯЗЕЙ ЧАВЧАВАДЗЕВСКИХ



Коему пожалована грамота царя Константина 1726 года
Подлинную подписал князь Симон Чавчавадзе. С подлинным верно: канцелярист Элиозов. ЦГИА ГССР, ф. 213, д. 130, л. 5.

ნუსხა წარდგენილია დავით, სიმონ და დიმიტრი ჭავჭავაძეების მიერ 1820 წლის ნოემბერში თავადაზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში, თავადის წოდებაში მათ დამტკიცებასთან დაკავშირებით

ძეს სუფრაჯს გიორგის და მეჯინიბეთუხუცესს გარსევანს (გარსევანის პაპა — ზ. ც.), ძმათა თქვენსა შამუჩის, მამუკას და მერაბს და სულხანს, რამაზს, რევაზს (გარსევანის მამა — ზ. ც.) და ბიძინას ასე, რომ ოდეს მამაპაპანი ჩვენსა ერთგულებასა და სამსახურსა შინა აღსრულებულ იყვნეს, რამეთუ მრავალნი შრომანი და ჭირნი თავს ესხნეს, და მრავალჯერ ექსორიაქმნილ იყვნეს უცხოთა ადგილთა და ქვეყანათა კურთხეულთა მათ მეფეთა და სანატრელთა ჯელმწიფეთა მამათა და პაპათა ჩვენთა თანა. ხოლო აწ, რომელნიც დაშთომილ იყვენით შვილნი მათნი უფროსნი მსახურებანი აღასრულენით: „ამეთუ არა ჰრიდეთ ხორცთა თქვენთა სიკვდილად“[10] მათი დამსახურების შესახებ ნათქვამია, აგრეთვე, 1747 წ. 17 სექტემბერს ერეკლე II-ის მიერ გაცემულ სიგელშიც, სადაც იხსენიებიან ეშიკაღასბაში სულხანი, მისი ძმა რევაზ, ბიძაშვილები ზაალ და ბერი .. „სიგლითა დაგიმტკიცეთ თქვენ, მრავალფერად თავდადებულს და ჩვენსა სამსახურსა შინა ნიადაგ მზადყოფსა და ერთგულება დაჯერებულს, და ყმათა ჭავჭავაძეს, ეშიკალასბაშს სულხანს, ძმასა შენსა რევაზს, ბიძაშვილსა შენსა ზერაბს, ზაალს და ბერსა, ამად რომე ბიძისა ჩვენისა მეფის კონსტანტინეს აღზრდილი იყავ და ჭირნახულ დადებული და ოდეს ამაღლებულმან ერანის ჯელმწიფემან მამა ჩვენი ღთვ ცხებული მეფეთა-მეფე თეიმურაზ წინაშე მოუწოდა და თანა წარიტანა და უცხოთა თემთა და ქვეყანათა ყანდარისათა შინა ჯეროვანის სამსახურისთა და სრულისა გულითა მსახურე, ვითარცა შეჰგავს მონასა უფლისათვის სიკვდილს სულისა დამდებელსა და ოდეს ჲნდოთა ქვეყანათა დაპყრობად მოინება და ჩვენს მოგვიწოდა ერანისა ჯელმწიფემან .. მეფესა და მამასა ჩვენსა და ჩვენ ორთავე კვალად უმეტესად გვმსახურე და გარდამეტე და წარმოგავლინეთ ქართულად საქმისა რასმე განსაკარგავად და მუნვე ჩვენდა მოიწინვე და კვალად რაჲცა სახვაშიადო ასუ საზენარო საქმე იქმნებოდა შენვე წარგავნილ ენდით მასვე ჯელმწიფესა თანა განზრახვისა ჩვენისა მისანდობელსა“[11] (ხაზი ჩემია — ზ. ც.).

გარსევანის ბიძას სულხანს განსაკუთრებული ერთგულების

---

[10] საქ. ცსსა, ფ. 1450, დავთ. 11, საქ. 12, ფურც. 15.
[11] იქვე, საქ. 10, ფურც. 11, 11v.

გამოჩენისათვის თეიმურაზ მეორემ ეშიკაღასბაშობა უბოძა, მასვე მისცა მისი განაყოფის „პაატა იასონის შვილის ნაქონი სოფელი წინანდალი თავისი მსასჯულობელის გლეხითა, მთითა, ბარითა, სოდაბუნითა, მარნითა, ზვარს გარდა“[12]...

გარსევანის მამას, მილახვარ[13] რევაზს, განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ერეკლე მეორის 1750 წ. 1 სექტემბრის სიგელით, ებოძა წინანდლის ზვარი: „რადგან შენმა ძმამ (მიმართავენ ეშიკაღასბაშ სულხანს), მილახვარმა რევაზმა, ბატონს მამაჩვენს კიდემ დიდს გაჭირებაში დიდათ მსახურა ჩვენც კიდემ იმ წინანდლის ზვარი ისევ თქვენ გიბოძეთ. ღმერთმა ჩვენს ერთგულებაში მოგახმაროსო“[14].

კახეთის მეფის კონსტანტინეს 1726 წლის წყალობის წიგნიდან ირკვევა, რომ მას ჭავჭავაძეებისათვის დაუმტკიცებია ის მამულები, რომელნიც „ჟამთა შლილობის შიგან ლეკისაგან ზოგი დაგკარგოდათ ... რაც რომ მამული მამა-პაპათა თქვენთა ქონდეს იმგვარად განგვიახლებია“[15]. განახლებულ წყალობის წიგნში მოხსენიებულია როგორც სამკვიდრო, ასევე სახელოდ და სამოურავოდ ნაბოძები მამულები. სამკვიდროდ ნაბოძები მამულებია: ურიათუბანი (დღევანდელი ვაზისუბანი — ზ. ც.), წინანდალი, ახალკალო, მუკუზანი, ველისციხე, შილდა, შალვაური, ქვემო ხოდაშენი, ოლოველი (?), კოკობა, ახთალა. სახელოდ გაცემულია: „ენგიანი ენისელში, ყანდახი, თოფრა-ყალა, ყურუ-ბაღჩა, აღოზანი მოსულში, რაც ამათი ყოფილიყოს ენისელში, რაც სახელოდ ქონებოდეს ის დაგვიმტკიცებია და რაც ყმად ყოლოდესთ ასე დაგვიმტკიცებია და ახლა ჩვენს ერთგულებას შინა სამოურავოდ გიბოძეთ ძაგნაკორს ლაფანაშვილები“ ...[16]

გარსევან ჭავჭავაძის ბიძა სულხანი და მამამისი რევაზი იყვნენ აგრეთვე ყაზახის მოურავები, საიდანაც მათ გარკვეული ფულადი შემოსავალი ჰქონდათ მახტის სახით.

გ. ჭავჭავაძე დაიბადა 1757 წლის 20 ივლისს[17]. ბავშვობაში, 15

---

[12] საქ. ცსსა, ფ. 1450, დათ. 11, საქ. 10, ფურც. 12. 11ც.

[13] მილახვარი შეესატყვისება მეჯინიბეთუხუცესს. ამის შესახებ იხილეთ ერეკლე II-ის 1770 წლის 10 აპრილის წარდგინება რუსეთის წარმომადგენელ ანტონ მოურავოვისადმი (ანტონ თარხნიშვილისადმი — ზ. ც.). „ჭელის უფალნი ქართველთა მეფის კარისანი, ძველად ენითაჭ ქართულთა თუ ენთარ იწოდებოდნენ, და ანუ აწ ვითარითა სახელითა იწოდებიან. АВПР МИД СССР, ф.Сношения России с Грузией, оп. 110/2. д. 6, 1768—1771, л. 216.

[14] საქ. ცსსა, ფ. 1450, დათ. 11, საქ. 10, ფურც. 12 და 12 v.

[15] საქ. ცსსა, ფ. 1450, დათ. 11, საქ. 12, ფურც. 15.

[16] იქვე.

[17] იხილეთ: M. Brosset, Mémoires de l'Académie Impériale des sciences de S. Petersbourg. VI, me série, 1839, გვ. 494—495; ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულება-

წლის ასაკში, გარსევანს მძიმე ავადმყოფობა გადაუტანია[18]. მამამისი ეშიკაღასბაში რევაზი ჯერ კიდევ გარსევანის ბავშვობაში გარდაიცვალა. ყოველ შემთხვევაში, 1768 წლისათვის იგი უკვე ცოცხალი აღარაა[19]. გარსევანი მეფე ერეკლეს მუდმივი მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა.

ერეკლე II-ის 1783 წლის 23 იანვარს გაცემულ წყალობის წიგნში, რომლითაც მან გარსევანს ქ. თბილისში ბეითალმანი სახლი უწყალობა, ვკითხულობთ: „ეს. წყალობის. წიგნი. და ფარმანი შეგიწყალეთ. და გიბოძეთ. შენ ჩვენს. დიდად. და მრავალსახედ. ერთგულს. და ჩვენის მორჭმა დიდებისათვის. დიდად მომჭირნეს და მცველს. ჩ ვ ე ნ ს ს ა ფ ა რ ვ ე ლ ქ ვ ე შ. პ ა ტ ი ვ ი თ ა ღ ზ რ დ ი ლ ს. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს ე შ ი გ ა ღ ა ს ბ ა შ ს გ ა რ ს ე ვ ა ნ ს“[20]. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, „ჭავჭავაძე იყო კახი თავადი, რომელსა მამუჩიშვილად უხმობდნენ, და აღეზარდა ობოლი მეფესა ირაკლის ვითარცა ძე“...[21] მამის გარდაცვალების შემდეგ იგი ხდება მეფის ეშიკაღასბაში და ყაზახის მოურავი (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეშიკაღასბაშები ჰყავდათ დედოფლებს, ბატონიშვილებს და დიდ ფეოდალებსაც). ეშიკაღასბაშის მოვალეობას შეადგენდა მეფის განკარგულებათა შესრულება, შინაწესრიგის დაცვა, სადავო საკითხების მოგვარება და სხვ. საამისოდ მას ხელქვეითი მოხელეები ჰყავდა[22]. ჩვენ ხელთ არსებული საბუთები ადასტურებენ ზემოაღნიშნულის ჭეშმარიტებას.

მრავალი დოკუმენტი მოწმობს, რომ გარსევან ჭავჭავაძე ყოველმხრივ ცდილობდა თავისი მამულებისა და ყმების რაოდენობის გაზრდას. მან თავის სიცოცხლეში ბევრი ყმა და მამული შეიძინა.

ჯერ კიდევ 1760 წელს[23] გარსევანის მამამ რევაზმა თავის ბიძა-

ნი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნითა და ლექსიკონით, თბ., 1940, გვ. XV.

[19] კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, კრებული, შეადგინა და განმარტებები დაურთო თეიმურაზ ბარნაველმა, თბ., 1961, გვ. 28 (1772 წლის 28 ნოემბერს გ. ჭავჭავაძეს ალავერდის მონასტრისათვის ვერცხლის სასანთლე შეუწირავს. „შემოგწირე სასანთლე ესე ვერცხლისა ჩვენ ჭავჭავაძემ, საქართველოს მეფის ირაკლის ეშიკაღასბაშმან გარსევან, დიდსა სნეულებასა შინა მყოფმან“).

[19] საქ. ცსსა, ფ. 1450, დავთ. 53, საქ. 33, ფურც. 27 (რევაზი რომ ცოცხალი ყოფილიყო, იგი ამ საბუთში აუცილებლად იქნებოდა მოხსენიებული).

[20] აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. sd, საბ. 1167.

[21] ბ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 77.

[22] ეშიკაღასბაშების სახელისუფლოს შესახებ უფრო დაწვრილებით იხ.: ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით (ენიმკის „მოამბე“, 1943 ,ტ. XXII, გვ. 185-195).

[23] ეს დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს 1819 წლის 15 დეკემბრის სასამართლო ექსპედიციაში წარდგენილი დედნის ასლს, 1730 წლით თარიღდება (ქნ. უიმ), მაგრამ

შვილ ბერი ჭავჭავაძისაგან იყიდა ზემო დათუკაშვილის მამულის ნახევარი[24]. 1770 წ. 3 მარტს გ. ჭავჭავაძე რევაზ იოთამაშვილისაგან ყიდულობს კრეფას ნასახლებში მისი დედის ნამზითს — დავითა-შვილებს ნინიასა და სტეფანას[25], ხოლო 1775 წ. 10 ნოემბერს — გიორგი მაჩაბელისაგან საკუთრად ნასყიდ ყმა ტიღა გაბრიელს: „სახლით, კარით და თავისის შესაფერის საქონლის ქონებითა"[26]. 1783 წ. 23 იანვარს გარსევანმა თავეთის პატრონისაგან შეიძინა გირაოდ დადებული ბეითალმან სახლი ქ. თბილისში[27], 1793 წ. 13 მარტს — რევაზ ანდრონიკაშვილისაგან იმერელი კვირიკაძე[28], ხოლო 1799 წ. 5 სექტემბერს დავით გერმანოზიშვილის ქვრივ ხორეშანისაგან — მიკირტუმა შაევრდა-შვილი შვილებით: ნონიათი, თულათი, სვიმონითა და დათიათი[29]. მსგავსი საბუთების დასახელება კიდევ შეიძლებოდა. ამაში მას განსაკუთრებით უწყობდა ხელს საგრძნობი ფულადი შემოსავალი, რასაც იგი მეფის სამსახურისა და საკუთარი მეურნეობიდან იღებდა. როგორც ჩანს, გარსევანი მკაცრი მებატონე არ ყოფილა და ყმებისადმი რამდენადმე ლმობიერებას იჩენდა.

საარქივო მასალებში გარსევან ჭავჭავაძეზე გლეხთა რაიმე საჩივარი არ მოიპოვება. საინტერესოა გარსევანის ერთი წერილი ციციანოვისადმი, 1803 წელს წარდგენილი კოვალენსკის საქმის გამო: „სიყრმითგან აქომიმდე ვყოფილვარ მე არა წყარო მცხოვრებთა შერყევისა, არამედ მიზეზ მყუდროებათა მათთა, რომელსა ზედაცა ვგონებ დამემოწმენ თითქმის ყოველნი სხუა და სხუა სარწმუნოებისა მქონნი აქა მცხოვრებნი ერნი და ნათესავიცა ჩემნი მოზიარითურთ მათით არა ვისგანმე დღემდე არა არიან ცნობილი არა ვითარმი სახითა ცხადითა არცა იდუმალითა მიზეზ ერთა"[30]. გარსევანი „ბატონყმობის რიგის" დამცველი იყო, მაგრამ ამავე დროს შესანიშნავად გრძნობდა საქართველოს ცხოვრების გარდაქმნის აუცილებლობას, ამიტომ იყო, რომ აქტიურად უჭერდა მხარს იოანე ბაგრატიონის ცნობილ კანონ-პროექტს.

გ. ჭავჭავაძის განათლების აღსანიშნავ დოკუმენტებს ჯერჯერობით

ტექსტის სხვა საბუთებთან შეჯერებისას ირკვევა, რომ საბუთი მართლაც 1760 წელსაა შედგენილი. გადამწერს ან შეშლია, ან სწორად ვერ ამოუკითხია ქორონიკონი და ნაცვლად „უმქ"-ისა „უიქ" დაუწერია.

24 საქ. ცსსა, ფ. 1450, დავთ. 11, საქ. 34, ფურც. 36.

25 საქ. ცსსა, ფ. 1450, დავთ. 11, საქ. 17, ფურც. 22.

26 იქვე, საქ. 11, ფურც. 12—13.

27 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. sd, საქ. 1667.

28 საქ. ცსსა, ფ. 1450, დავთ. 11, საქ. 24, ფურც. 28—29.

29 იქვე, საქ. 15, ფურც. 19—20.

30 საქ. ცსსა, ფ. 1448, საქ. 9273, აღწ. 1, ფურც. 1.

ვერ მივაგენით. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გარსევანი მაღალი სამოხელეო არისტოკრატიისა და სამეფო კართან დაახლოებული ოჯახიდან იყო, ცხადია მასაც ისეთი განათლება უნდა მიეღო, როგორსაც იმდროინდელი ფეოდალური წრეების წარმომადგენლები იღებდნენ, მით უმეტეს, რომ ამ დროს (1755 წლიდან) თბილისში უკვე გახსნილი იყო ფილოსოფიის სემინარია. მას რომ მართლაც კარგი განათლება უნდა ჰქონოდა მიღებული, ეს ნათლად ჩანს მთელი მისი მოღვაწეობიდან. იგი შესანიშნავად იცნობდა ქართულ მწერლობასა და ისტორიას, წერდა ლექსებსაც. რაც შეეხება იონა მეუნარგიას შენიშვნას, რომ მან (გარსევანმა) იცოდა რუსული ენა (რუსეთში გამგზავრებამდე), ეს არ შეეფერება სინამდვილეს. 1785 წ. 7 სექტემბრის წერილით გარსევანი ერეკლეს სთხოვდა, რომ მასთან გამოეგზავნათ რუსული ენის მცოდნე პირი[31]. რუსულ ენას გარსევანი ცოტა მოგვიანებით, 90-იან წლებში დაეუფლა.

§ 2. ქართლ-კახეთის საგეფო ურთიერთობა რუსეთთან და გ. ჰავჰავაძის როლი 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის დადებაში

ერეკლეს, ისე როგორც მის ირგვლივ შემოკრებილ მოწინავე დასს, რომელშიაც გ. ჭავჭავაძეს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკავა, ნათლად ესმოდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის საჭიროება, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად სათანადო პირობები მაშინდელ საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა. ერეკლე ენერგიულად იბრძოდა ქვეყნის განახლება-გაუმჯობესებისათვის, ცდილობდა მის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ გაძლიერებას, სახელმწიფო წყობილების გადახალისებას, ხელს კიდებდა გაბედულ წამოწყებებს, მაგრამ ყოველივე ამის ბოლომდე მიყვანისათვის სათანადო სახსრები იყო საჭირო. მართალია, მან „მორიგე ლაშქრის“ შექმნით დიდი ღონისძიება განახორციელა, მაგრამ დროის შესაფერისი „რეგულის“ ჩამოყალიბება ვერ შეძლო ისევე, როგორც საბოლოოდ ვერ დაამარცხა ფეოდალური რეაქცია, რომელიც ყოველი დიდი სახელმწიფო საქმის რეალიზაციას აბრკოლებდა. ქვეყანამ თავი ვერ დააღწია ფეოდალურ ჩიხს.

შინაურ აშლილობას, რასაც ერთვოდა მეზობელი აგრესიული ქვეყნების განუწყვეტელი თავდასხმები და ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურების მუქარა, უნდა დაპირისპირებოდა რაიმე გადამჭრელი ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობდა თავნება თავადებისა და

---

[31] საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2876, ფურც. 1—4.

გარეშე მტრული ძალების ალაგმვას. ერეკლეს ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად რუსეთის სახელმწიფოს დახმარება მიაჩნდა.

გ. ჭავჭავაძე 1783 წ. მფარველობითი ტრაქტატის გაფორმების ერთ-ერთი მონაწილე, მომხრე და მისი ცხოვრებაში გატარებისათვის თავდადებული მოღვაწე იყო.

ტრაქტატის მომზადებისათვის ორივე მხარე დიდი სერიოზულობით იღწვოდა. ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში, სადაც უნდა მომხდარიყო რწმუნებულთა შეხვედრა, საქართველოდან 1783 წლის ივლისში გაემგზავრა დელეგაცია 24 კაცის შემადგენლობით, რომელსაც სათავეში ედგნენ იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი და გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე, რუსეთის მხრიდან რწმუნებულად იყო გენერალი პავლე სერგის ძე პოტიომკინი.

საინტერესოა ერთი ფაქტი: 1783 წლის 9 და 10 მაისის წერილებით პოტიომკინი ერეკლესაგან მოითხოვდა, რათა ქართლ-კახეთის სამეფოს გეორგიევსკში გაეგზავნა ორი სრულუფლებიანი წარმომადგენელი: „დროსა ჩემისა აქა ყოფისასა მტკიცე ესე შეერთება იქმნების და თავისა ჩემისათვის ჩინებულსა დიდებისა, აღრჩეულ ვარ მე აღმასრულებლად ამისსა. დაჰშთების ჩემდა თხოვად თქვენისა მიმართ უგანათლებულესობისა, რათა ჰაზრისამებრ ტრაქტატისა უგანათლებულესობამან თქვენმა სრულისა ძალისა ჰრწმუნებულნი და აღრჩეულნი ორნი პერსონანი და ინებოთ წარმოგზავნათ ლინიასა ზედა გეორგის კრეპოსტისასა, რომელიც არს ადგილი ყოფისა ჩემისა“[32].

რუსეთის დიპლომატიამ იცოდა, რომ ერეკლეს რუსეთთან კავშირის დადება ყველაზე უფრო მეტად სამხედრო დახმარებისათვის სურდა, მართლაც, ქართველ პოლიტიკოსებს ტრაქტატის დადება რუსეთთან ყველაზე უფრო მეტად სამხედრო დახმარების მიღებისა და ლეკიანობის ალაგმვისათვის ჰსურდათ. აბიტომ იყო, რომ პოტიომკინი პირდებოდა ერეკლეს — დაიდება თუ არა ტრაქტატი, ჩვენი ჯარი იმწამსვე გადმოვა თქვენს ქვეყანაში და დაიცავს მის საზღვრებსო: „და უკეთუ იკადროსმცა ეინ შეხებად საზღვართა თქვენთა,

---

[32] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. sd — 2272, წერილი 9 (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. sd, — 2272-ში დაცულია 1783 წ. პ. ს. პოტიომკინის მიერ ერეკლე მეორისადმი ტრაქტატის დადებამდე და ტრაქტატის დადების შემდეგ გამოგზავნილი 31 წერილის ასლები. ზემოხსენებული წერილების ასლები გადათარგმნილია რუსულიდან ქართულად. ეს წერილები ფრაგულ ენაზე გამოაქვეყნა მ. ბროსემ (იხ. M. Brosset, Histoire de la Géorgie depuis l' antiqilie, jusqu, au XIX siècle, ტ. II, წ. II,ს. - პეტერბურგი, 1857, გვ. 563—576). ვინაიდან ქართული თარგმანი შესრულებულია, როგორც ბროსე ამბობს, ძალიან კარგად და, მეორეს მხრივაც, ერეკლე მხოლოდ ქართული თარგმანით ეცნობოდა პოტიომკინის წერილებს, ჩვენ ყველგან ქართულ თარგმანს დავიმოწმებთ.

იწვიოს თავის ზედა საჭურველი რუსეთისა"[33]. პავლე პოტიომკინი წინასწარ ულოცავდა ერეკლეს ტრაქტატის მომავალ გაფორმებას და მას ერეკლესათვის „სასარგებლო ანბავად" თვლიდა...[34] „და თუმცა აქამდისაც არ ბრძანდებოდით ასრეთ მიღებულნი, მაგრამ აჩვენებდით დიდს ერთგულებასა და სამსახურსა თქვენსა. ეს ახალი მომხდარი თქვენთვის სასარგებლო ანბავი მომილოცავს თქვენის უგანათლებულესობისათვის და ბედნიერებაში ჩამიგდია, რომ ასეთი სახელოვანი საქმე ჩემს დროს მოხდა, თქვენსა და რუსეთს შორის ასეთი სიყვარული ჩამოვარდა, და მე ამ საქმეების წინამძღოლი და აღმასრულებელი ვარ"[35].

ქართველი ელჩები, ისევე როგორც ერეკლე II, არ უმალავდნენ რუსეთის წარმომადგენლებს, რომ მათ ნამდვილად სურდათ რუსთა სამხედრო დახმარების მიღება. ქართლ-კახეთის სრულუფლებიან წარმომადგენელთა ეს „მიდრეკილება" შეუმჩნეველი არ დარჩენია პ. პოტიომკინს. იგი 1783 წლის 24 ივლისის საიდუმლო „რაპორტში" გ. ა. პოტიომკინს სწერდა: „ისინი (ქართველი ელჩები — ზ. ც.) თხოულობენ ტრაქტატის დადებას, რომ მის ძალით ვუბრძანო ორი ბატალიონის სასწრაფოდ შეყვანა; მაგრამ თქვენი ბრწყინვალების ზუსტი მითითების გარეშე არ შემიძლია ამის დაშვება; თქვენი წერილობითი ბრძანების მოლოდინში დავაიმედე ისინი, რომ როგორც კი მეორე სეპარატული მუხლის ძალით იქნება შეთანხმება მეფესთან, ბატალიონების შენახვის შესახებ, მაშინვე გავგზავნი მათ"[36].

ერეკლე მეორის სახელზე პ. პოტიომკინის მიერ 1783 წელს გამოგზავნილ ხსენებულ წერილებში (ტრაქტატის გაფორმებამდე და ტრაქტატის გაფორმების შემდეგ) კიდევ უფრო აშკარად ჩანს ორი გარემოება: 1) ერეკლე მოელოდა რუსეთის სამხედრო დახმარების დროულად მიღებას; 2) პ. პოტიომკინი ერეკლეს გამამხნევებელ წერილებს უგზავნიდა და მასაც „ეჩქარებოდა" ჯარის გამოგზავნა საქართველოში. ჯერ კიდევ 1783 წლის 9 მაისს პ. პოტიომკინი ერეკლეს სწერდა: „მხედრობა იგი, რომელიცა ტრაქტატსა შ"ა დანიშნულ არს, მზად ჰსდგანან ფერხთა ზედა, და შ"დ ჰაზრთა დამტკიცებისა (ე. ი. ტრაქტატის ხელის მოწერის შემდეგ — ზ. ც.) დაუყოვნებლივ შემძლებელ არიან მოსვლად სამზღვარსა შ"ა სამეფოისა თქვენისათა"...[37] 1783 წლის 28 ივნისის წერილით პ. პოტიომკინი კვლავ აცნობებდა

---

[33] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. sd — 2272, წერილი 9.
[34] იქვე, წერილი 10.
[35] იქვე.
[36] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, ч. I, оп. 1/194, л. 162—163.
[37] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი sd — 2272, წერილი 9.

ერეკლეს, რომ ვცდილობ ჯარის საქართველოში გადმოსაყვანად გზა გავაკეთოო[39].

1783 წლის 24 სექტემბრის წერილით პ. პოტიომკინი აცნობებდა ერეკლეს, რომ ტრაქტატის ძალით მომავალ თვეში ორი რუსული ბატალიონი საქართველოს საზღვრებში შემოვაო[39]. 1783 წლის 12 ოქტომბრის წერილით იგი ატყობინებდა ერეკლეს, რომ ამ დღეებში „ორი ბატალიონი პატარას ყაბარდოდამ გადმოდგება და საქართველოსაკენ წამოვლენ“ ...[40]. მსგავსი საბუთების დასახელება კიდევ შეიძლებოდა.

ლეკიანობის ალაგმვის საკითხზე ელჩებს თავიანთი თვალსაზრისი ჰქონდათ, რომელიც, ალბათ, გაუზიარეს პ. პოტიომკინს. ეს მოსაზრება რომ სინამდვილეს შეეფერება, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტი. 1783 წ. ზაფხულში ერეკლეს პ. პოტიომკინისათვის მიუწერია ჭარელების დაწერილებითი აღწერილობა (ალბათ, თუ რა ზიანს აყენებდა ჭარ-ბელაქანი საქართველოს) და ჭარ-ბელაქნის განადგურებაში რუსეთის დახმარება უთხოვია. როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სახელმწიფო მესვეურებს ასე ესახებოდათ ლეკიანობის მოსპობის პრობლემა... მათ სურდათ ჭარ-ბელაქნის განადგურებით ლეკიანობის ბუდის ამოგდება. ამის საპასუხოდ 1783 წლის 24 სექტემბერს პ. პოტიომკინი აცნობებდა ერეკლეს, რომ თუმცა ჩვენი მხედრობისათვის არ არის გასაჭირი მათი წახდენა, მაგრამ მრავალი მოსაზრება მაკავებს ამ ნაბიჯის გადადგმიდანო, ამიტომ მოითხოვს ერეკლესაგან პასუხს 3 კითხვაზე: 1)ჭარ-ბელაქნის წახდენით დამყარდება თუ არა საქართველოში სიმშვიდე; 2) ჭარის წახდენა სხვა ლეკებს შეაშინებს, გააბოროტებს; 3) თქვენი მხედრობა შეეცადოს მათ დამშვიდებას[41]. ამრიგად, მეფის რუსეთი არ დაეთანხმა საქართველოს პოლიტიკური მესვეურების ამ გეგმას[42].

---

[38] იქვე, წერილი 13.

[39] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი sd — 2272, წერილი 18.

[40] იქვე, წერილი 24.

[41] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი sd — 2272, წერილი 23.

[42] დარიალის გზის მშენებლობის გასინჯვის ჟროს (რომლითაც რუსთა ორი ბატალიონი ტრაქტატის ძალით უნდა შემოსულიყო საქართველოში) პ. პოტიომკინი რუსეთის წარმომადგენელს ქართლ-კახეთის სამეფოში ს. ბურნაშოვს 1783 წლის 1 ოქტომბერს სოფ. ნაურიდან საიდუმლოდ სწერდა: «Весма нужно знать мне обстоятельно, какие народы под названием Джарцы в которой части Грузии они находятся, какое имеют основание, кому повинуются, давно ли они противны власти Его Св. Царя Ираклия? Сколько их всех вооруженным сщитать должно,. с которой стороны и удобнее подчинить их возможно? Прошу мне дать о том ясное и обстоятельное понятие» (Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшаго в Грузии с 1783 по 1787 г., под редакцией профессора А. А. Цагарели, СПб, 1901, с. 11).

ომარ-ხანის შემოსევების შემდეგ 1785 წ. ნოემბერში ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი რუსეთის სამეფო კარზე გ. ჭავჭავაძე გ. ა. პოტიომკინისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში საყვედურობდა რუსეთის მთავრობას, რომ მათ თავის დროზე არ მიიღეს ჩვენი მეფის წინადადება, თორემ ეს ამბავი არ დაგვემართებოდაო. ეტყობა თავის დროზე ჭარ-ბელაქნის „წახდენის" მომხრე გარსევანიც ყოფილა. „თუ წარსულს წელიწადს ჭარი და ბელაქანი ახოცილ იყვნენ, ახლა ამისთანა გაჭირება არ მიადგებოდათ"[43]. ამას ერეკლე შეძლებს, „თუ აქედან მიეცემის შემწეობაო"[44]. რამდენად მძიმე უნდა ყოფილიყო ქართლ-კახეთის მდგომარეობა ლეკიანობის შედეგად, რომ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკის მესაჭეებს ასეთი გეგმები დაუსახავთ მიზნად. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ის ამბავი, რომ ჭარში რუსთა გაბატონებამდის „ლეკთა საქმე იყო „მხოლოდ თავდასხმების მოწყობა" ან თავდაცვა"[45].

1783 წ. მაისში პოდპოლკოვნიკმა ტამარამ ერეკლეს თბილისში ჩამოუტანა ტრაქტატის პროექტი[46]. ტამარა განათლებული კაცი იყო და დიპლომატიაშიც კარგად გაწაფული. დუბროვინის ცნობით, მან მეფის სახელით თვითონ შეადგინა რწმუნების სიგელები სრულუფლებიანი წარმომადგენლებისათვის და მრავალჯერ აუხსნა მეფესა და მის მრჩევლებს თითოეული სიტყვა[47]. მისივე ცნობით მეფე ერეკლე სრულუფლებიანი წარმომადგენლების დანიშვნას აყოვნებდა. ტამარას არც კი დაუცდია, სანამ ერეკლე დანიშნავდა სრულუფლებიან ელჩებს, და ქუთაისში წასულა სოლომონ I-თან[48]. ერეკლემ პირობა მისცა, რომ იგი საქმეს მალე გადაწყვეტდა. 5 ივნისს პოდპოლკოვნიკი ტამარა ქუთაისში ჩავიდა, ხოლო ივნისის ბოლო რიცხვებში დაბრუნდა თბილისში, სადაც გაიგო, რომ სრულუფლებიან რწმუნებულად ერეკლეს დაუნიშნია თავადები ოტია ანდრონიკაშვილი და სულხან თუმანიშვილი[49]. მაგრამ არც ეს არჩევანი იყო უკანასკნელი. 24 ივნისს მან საბოლოოდ დაამტკიცა ქართლ-კახეთის სრულუფლებია-

---

[43] ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 350.

[44] იქვე.

[45] იხ. მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ., 1953, გ. 12—13; ავრეთვე Д. Г. Мегреладзе, Из истории Грузино-дагестанских взаимоотношений, автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1954.

[46] Н. Дубровин, История..., т. II, с. 4.

[47] იქვე, გვ. 6.

[48] იქვე.

[49] იქვე, გვ. 7.

ნი წარმომადგენლები. პირველ ელჩად აღიარებულ იქნა მეფის სიძე — ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი, მეორედ კი გარსევან ჭავჭავაძე. ეს უკანასკნელი იხსენიება როგორც ერეკლეს „გენერალ-ადიუტანტი და ყაზახის პროვინციის უფროსი". ელჩების „ასისტენტად" დაინიშნა რუსული ენის მცოდნე გაიოზ არქიმანდრიტი. გამოიყო აგრეთვე საელჩოს ერთი მდივანი (ზაზა გაბაშვილი — ზ. ც.) და ამალა 20 კაცის შემადგენლობით. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით ერთ-ერთი რწმუნებული ტრაქტატს ხელს ვერ მოაწერდა, მეორეს რწმუნება ჰქონდა, რომ ეს საქმე გადაეწყვიტა[50].

28 ივნისს იოანე მუხრანბატონმა და გ. ჭავჭავაძემ მიიღეს რწმუნების სიგელი, სადაც ვკითხულობთ: „...აღვარჩიეთ და სრულისა-ძალისა მქონებელ ეჰყავით ჩუᲥნ კერძო საყვარელნი და ერთგულნი Იმანი ჩუᲥნნი: კნიაზი იოვანე კონსტანტინოვიჩი ბაგრატიონი, მხედრობისა ჩუᲥნისა მემარცხენე სპასპეტი, რომელსაცა აქუნ ჰრწმუნებულ საქმენი ერევნისანი, და კნიაზი გარსევან რევაზოვიჩი ჭავჭავაძე, ჩუᲥნი მანდატურთ-უხუცესი და ზედამხედველი ყაზახისა სამთავროსა, რომელთათჳსცა მიგვიცია სრული მინდობაჲ, რათა მისისა იმპერატორების დიდებულებისაგან განწესებულთა სრულ ძალას მქონებელთა თანა: რაჲცა განაწესონ, დაამტკიცონ და მოაწერონ ტრაქტატთა"[51] ... სიგელს ხელს აწერდნენ: მეფე ერეკლე, თავადები, პირველი მინისტრი დავით ორბელიანი და მეორე მინისტრი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი[52].

15 ივლისს საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლები ამალითურთ მოზდოკში ჩავიდნენ; 16 ივლისს მათ შესახვედრად გაიგზავნა პორუჩიკი თავადი ჩელოკაევი. ამავე დღეს ქართველი ელჩებისა და მისი ამალისათვის: „დაწესებულია სრულუფლებიანი ელჩებისა და მისი ამალისათვის 50 ცხენის შესანახი ადგილები მოზდოკიდან გეორგიევსკის სიმაგრემდე"[53].

მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცულია ცნობები ამ ელჩობის შესახებ; «Подневная записка» და საიდუმლო „რაპორ-

---

[50] Н. Дубровин, დასახელებული ნაშრომი, ტ. II, გვ. II.

[51] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, გვ. 99; გ. ვეშაპელი, საქართველო და რუსეთი, თბილისი, 1918, გვ. 27-28.

[52] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. I/194, д. 286, ч. I, св. 109, с. 346.

[53] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, ч. I, оп I/194, ფურც. 164 (პორუჩიკი ჩელოკაევი რუსეთის სამსახურში შესული ქართველი ჩოლოყაშვილია, იგი კარგად ფლობდა რუსულ ენას. რუსეთის მთავრობა მას იყენებდა საქართველოს სამეფო კართან ურთიერთობის საქმეებში. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდ № 2272-ში მრავალჯერ იხსენიება პორუჩიკი ჩოლოყაშვილი. მაგალითად, 1783 წ. 20 იანვრის წერილში პ. პოტიომკინი სწერს ერეკლეს: „თქვენის უგანათლებულესობის პატიეცემული წიგნი, ჩემგან გამოგზავნილის პარუჩიკ ჩოლოყაშვილის ხელით, ღირს ვიქმენ მიღების").

ტი“, პავლე პოტიომკინის მიერ გენერალ-ფელდმარშალ გ. პ. პოტიომკინისადმი გაგზავნილი: „ხვალ, ე. ი. 18-ში, საქართველოდან წამოსული ელჩების შესახვედრად გაემგზავრება სეკუნდმაიორი კამარსკი პავლოვსკის სიმაგრეში, სადაც დაელოდება მათ მოსვლას, მთავარსარდლის სახელით მიულოცავს მშვიდობით ჩამობრძანებას და გააცილებს გეორგიევსკის სიმაგრემდე“[54].

სეკუნდმაიორი გრაფი აპრაქსინი საელჩოს მარშლად ითვლებოდა, ამიტომ ცხენდაცხენ შეხვდა ქართველ ელჩებს. მან სტუმრებს მთავარსარდლის სახელით მიულოცა მშვიდობით მგზავრობა, ხოლო პოლკოვნიკი მოლუანინოვი, როგორც ციხე-სიმაგრე გეორგიევსკის კომენდანტი, პარმაღთან შეეგება მათ და გაუმასპინძლდა სასმელებითა და ვახშმით (იმ სახლის პარმაღთან, რომელიც ელჩებისათვის იყო განკუთვნილი).

„18-ში, საღამოს 8 საათზე, ელჩები მთელი თავიანთი ამალით, რომელიც შედგება ოცდაოთხი კაცისაგან და რომლებსაც დაწესებული ცერემონიალის მიხედვით შეხვდნენ და მიაცილეს, მივიდნენ გეორგიევსკის სიმაგრეში“[55].

19 ივლისს დილის 9 საათზე ქართველ ელჩებთან მთავარსარდალმა პ. ს. პოტიომკინმა გაგზავნა საელჩოს მარშალი გრაფი აპრაქსინი თხოვნით — 11 საათისათვის მობრძანებულიყვნენ პირველ აუდიენციაზე, შემდეგ კი სადილად, რისთვისაც გაუგზავნეს ეკიპაჟები: პირველ კარეტაში ისხდნენ: „პირველი სრულუფლებიანი თავადი ივანე, კონსტანტინეს ძე ბაგრატიონი, ქართველთა ჯარის გენერალი, მარცხენა ფრთის სარდალი, და მასთან მეორე სრულუფლებიანი თავადი გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე, მეფის გენერალ-ადიუტანტი და ყაზახთა ხალხის უფროსი“[56].

მეორე კარეტაში ისხდნენ: „მამა არქიმანდრიტი გაიოზი და მასთან საელჩოს მდივანი. როდესაც ელჩები გაუთანასწორდნენ საგუშაგოს, მწყობრი გასწორდა და პატივი სცა დოლების დაკვრით“[57]. შემდეგ დაწვრილებით არის აღწერილი ელჩობის ყოველგვარი წვრილმანი 27 ივლისამდე.

პირველი აუდიენციის დღეს — 19 ივლისს — მთავარსარდალმა პოტიომკინმა საქართველოს წარმომადგენლები სათანადო პატივისცემით მიიღო. პარმაღთან მათ შეხვდა ორივე ადიუტანტი: შემოსასვლელში უმცროსი, ზემოთ კი უფროსი, ხოლო შემდეგ ელჩობის მარ-

---

[54] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, ч. I, оп. 1/194, фурс. 164.
[55] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, оп. 1/194, фурс. 165.
[56] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, оп. I/194, л. 165.
[57] იქვე, ფურც. 165.

შალი აპრაქსინი, რომელმაც ისინი მიაცილა სააუდიენციო ოთახამდე, სადაც მთავარსარდალი პ. ს. პოტიომკინი, გენერალ-მაიორი სამოილოვი და შტაბის ყველა ოფიცერი იმყოფებოდა.

„სააუდიენციო ოთახში შესვლისას მთავარსარდალი თავისი ადგილიდან ადგა, მიესალმა და სთხოვა მისი იმპერატორობითი უმაღლესობის პორტრეტის წინ მდგარ სავარძელზე დაბრძანება, რამდენადმე მარჯვენა მხარე დაუთმო პირველ ელჩს, ბაგრატიონს, და მარცხენა მხარე იმავე მანძილს დაცილებით—მეორე ელჩს—თავად ჭავჭავაძეს“[58]. არქიმანდრიტ გაიოზს დაბალი სკამი მიართვეს. ნაშუადღევის 5 საათზე მოლაპარაკება დაიწყო. სხდომა გახსნა პ. პოტიომკინმა, რომელმაც სიტყვით მიმართა ელჩებს.

სხდომის დაწყებამდე პ. პოტიომკინმა ანიშნა სააუდიენციო დარბაზში მყოფ დამსწრე საზოგადოებას, დაეტოვებინათ ოთახი.

სააუდიენციო დარბაზში დარჩნენ: პავლე პოტიომკინი, პოდპოლკოვნიკი ვ. ტამარა, იოანე მუხრანბატონი, გარსევან ჭავჭავაძე, არქიმანდრიტი გაიოზი, ზაზა გაბაშვილი (ქართული საელჩოს მდივანი —ზ. ც.) და რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ორი თარჯიმანი — პორუტჩიკი თავადი ჩოლოყაშვილი და პორუტჩიკი სავარსიმიძე[59].

პირველ აუდიენციაზე სიტყვა წარმოსთქვა მეორე ელჩმა გარსევან ჭავჭავაძემ:

„ბედის განსაზღვრის წინ ღმერთმა, რომელმაც დააწესა კაცთა ნათესავი, მთელს ქვეყანაში ყოვლად ბრძენ, საკვირველ და დიდებულ ხელმწიფე იმპერატრიცას, დიდი ეკატერინეს სულს მოუწოდა ახალი სიუხვისაკენ, რომლის გამარჯვებებმა და სათნოებამ ელვარება მოჰფინა მთელ სამყაროს; მისმა უქრობმა სხივებმა გააბრწყინეს ახლა ჩვენი სამშობლო, გამოუთქმელი სიხარულით აავსეს ჩვენი უკეთმსახურესი ხელმწიფე, რომელსაც ჰსურდა ჩვენ დაგვენიშნეთ ახსნისათვის, რომ, დაგემორჩილებოდით რა სრულიად რუსეთის ტახტს, მისი გული იქნებოდა უწმინდესი და უბიწო საკურთხეველი, სადაც არ შეწყვეტს თავისი სამფლობელოს მსხვერპლად შეწირვას. ისმინე, გამარჯვებული ჯარების ბელადო, ეს წარმოთქმული! ღირსყავი ჩვენთან ერთად დადოთ საკურთხეველზე ჩვენი ქვეყნის ეს მსხვერპლი, რომელიც გვიბოძეთ უბრწყინვალესი თავადის, წარჩინებული გვარის, იმპერატორის ტახტის ახლობელის, მინისტრის გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინის შუამდგომლობითა. მიიღეთ ჩვენი ყოფნა ჩვენი მეფისა და ხელმწიფის სახელით, თავგამოდება მხურვალე სიყვარულით დედოფლისად-

---

[58] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, ч. I, оп. I/194, л. 165.
[59] იქვე, л. 165—166.

ში, რომლის პიროვნებას თქვენ განსაკუთრებით კეთილმოსურნეობთ"[59].

ეს მორჩილების ტონი დიპლომატიური სვლაა. საქართველოს წარმომადგენლებს სურთ მორჩილების გამოცხადების გზით გამოიყენონ რუსთა შეიარაღებული ძალები.

ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ ძლიერი რუსეთის იმპერიის პოლიტიკური მბრძანებლობის აღიარებით შესაძლებელი იქნებოდა ქართული ვასალური სახელმწიფოს არსებობა (ასე ესმოდათ მათ რუსეთთან „შეერთება" 1783 წ.), რაც, მათი აზრით, ამ სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერებისა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვების საწინდარი გახდებოდა.

1783 წ. ტრაქტატის ოფიციალური ნაწილი ისეა გაფორმებული, რომ თითქოს ეს მხოლოდ ქართველების სურვილის შედეგად მოხდა და მეფის რუსეთის მთავრობა მოწყალებას იღებდა. მართალია, ქართლ-კახეთის სახელმწიფო დიდად იყო დაინტერესებული, რომ თუნდაც ამგვარი ხელშეკრულების გზით სამხედრო დახმარება მიეღო, მაგრამ ტრაქტატი იმ კონკრეტულ ვითარებაში მეფის რუსეთის იმპერიის დამპყრობლურ მიზნებს ექვემდებარებოდა და მისი გაფორმების მომენტშიც უმთავრესად ამ იმპერიის სურვილების მაქსიმალური რეალიზაცია მოხდა. არსებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ეს ხელშეკრულება ორივე მხარის თანასწორუფლებიანობას გამორიცხავდა და ძლიერი იმპერიის უპირატესობას ემყარებოდა.

როგორც ცნობილია, რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა აშკარად დამპყრობლურ ხასიათს ატარებდა[60]. ცარიზმმა ეს პოლიტიკა საქართველოს მიმართ გამოამჟღავნა ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომის პერიოდში, როცა საქართველოში გენერალ ტოტლებენის კორპუსი გამოაგზავნა. თუ რა მიზნები და ამოცანები ჰქონდა ამ დამხმარე ჯარს, ჩვენ ამის გარკვევას აქ არ შევუდგებით. ეს თავის დროზე გაარკვიეს პროფ. ა. ცაგარელმა[61], პროფ. ი. ცინცაძემ[62], პროფ. ვ. მაჭარაძემ[63] და სხვ. ცნობილია, რომ საიდუმლო მრჩეველმა გრაფმა ნ. პანინმა 1770 წლის 16 ივლისს წერილი გამო-

---

[59] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, оп. 1/194,

[60] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XVI, часть II, М., 1936, с. 7.

[61] А. Цагарели, Грамоты ..., т. I, გვ. XVIII, XXIV.

[62] ი. ცინცაძე, ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან 1768—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 340—341; შისივე, XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 32, გვ. 123—151.

[63] ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბილისი, 1957, გვ. 155—156.

უგზავნა საქართველოში მყოფ ტოტლებენს. წერილში ნათქვამია: „საქართველოს სიშორე და მგზავრობის სიძნელე — აი ორი შემთხვეულება, რომლებიც ამ მიწების ათვისებას არამტკიცედ ქმნის. შესაძლებელია მომავალში გამოჩნდების საშუალებანი, რომლითაც ეს სიძნელეები აღარ იქნებიან ასეთი (ხაზი ყველგან ჩვენია — ზ. ც.), მაგრამ ახლა მთავარია, რომ ქართველებიომში დაგვეხმარონ ისე, რომ.... მოკლედ მოკლედ რომ ვთქვათ: უკეთესიასული აქაური იყოს, ხოლო სხეული ქართული"[64].

პანინის წერილში გამოსჭვივის თვითმპყრობელობის შორეული მიზნები. მართლაც, როცა ცარიზმისათვის ეს სიშორე და უგზოობა სიძნელეს აღარ წარმოადგენდა, შეიერთა კიდეც საქართველო.

არანაკლებ საინტერესოა ის ინსტრუქცია, რომელიც ეკატერინე შეორემ კაპიტან იაზიკოვს გაუგზავნა 1770 წ. 9 ივლისს. რუსეთის იმპერატორი არ მალავდა, რომ ქართლ-კახეთის მეფის განდევნა და საქართველოს დაუფლება ომის პერიოდში სასურველი მოვლენა იქნებოდა, ოღონდ იმ პირობით, რომ რუსეთის მდგომარეობა ფრონტზე არ გართულებულიყო. თუ ტოტლებენის მიერ ირაკლის განდევნა რუსთა და ქართველთა ჯარებს შორის მტრობას არ ჩამოაგდებდა, ხომ კარგი. თუ მდგომარეობა გართულდებოდა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ქართველთა შეიარაღებული მხარდაჭერა მიეღოთ, „ერეკლე, განდევნილიც რომ ყოფილიყო, თავის ტახტზე უნდა აღედგინათ"[65].

ტოტლებენი, რომელმაც ვერ გაამართლა თვითმპყრობელობის იმედები, 1770 წლის დეკემბერში რუსეთში გაიწვიეს. მის ადგილზე გენერალი სუხოტინი დანიშნეს. 1771 წლის 13 ივნისის წერილში იმპერატორი ეკატერინე ასე მოძღვრავდა სუხოტინს: ტოტლებენის შიმოთავაზებულ საქმეს — საქართველოს რუსეთთან შეერთებას — ამჟამად მიზნად არ ვისახავთო («не ищется присовокупить грузинских земель»). მთავარი მიზანია ქართველი ჯარის დივერსია, თურქების შეწუხება და მთავარ ფრონტზე რუსთა წარმატებისათვის ხელის შეწყობაო[66].

საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეები საკმაოდ ერკვეოდნენ მეფის რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში. ამის მკაფიო დადასტურებაა ერეკლე მეორის მიერ იმპერატორ ეკატერინესადმი 1771 წლის 30 დეკემბრის წარდგინება, თუ რა პირობებში სურს მას რუსეთის მფარველობაში შესვლა. ამ წარდგინების საფუძველზე საქარ-

---

[64] А. Цагарели, Грамоты.., т. I, გვ. 155—156.
[65] იქვე, გვ. 141.
[66] იქვე, გვ. 471.

თველოს ელჩებმა — კათალიკოსმა ანტონ I-მა და ლევან ბატონიშვილმა — 1773 წლის 27 აპრილს წერილი მიართვეს გრაფ ნიკიტა პანინს. წერილში, როგორც პროფ. ი. ცინცაძე შენიშნავს, „საკმაოდ შორსმჭვრეტელურად არის დამუშავებული საქართველოს აღდგენის და მტერთაგან გამოხსნის გეგმა"[67], დაციწყებული არ არის ცარიზმის ინტერესებიც — ახალი მიწაწყლის ხელში ჩაგდება.

„თუ შეწევნითა ღვთისათა და ძლიერითა საჭურველითა მისის დიდებულებისათა სხვადასხვა მტრის მამული დაიჭირება მისის დიდებულების კორპუსის და ზოგად ჩვენის მეფის ბრძოლითა, — ის დაპყრობილი ადგილები ნებასა შინა მისის დიდებულებისასა იქნების"[68].

1783 წლის 19 ივლისს ციხე-ქალაქ გეორგიევსკში პავლე პოტიომკინთან პირველი აუდიენციის დროს ქართლ კახეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გ. ჭავჭავაძემ თქვა, რომ ერეკლე „მსხვერპლად წირავს როგორც თავის თავს, ისე თავის სამეფოს"[69]. ამ განცხადებით გარსევანი, ისევე როგორც ერეკლე, მეფის რუსეთის დამპყრობლურ მიზნებს ეხმაურება, რათა იგი საქართველოს სასარგებლოდ გამოიყენოს და მიიღოს რუსეთის მთავრობის სამხედრო-ეკონომიკური დახმარება ქვეყნის აღდგენა-გამოხსნისათვის.

„ქართველი და სომეხი ხალხების რუსეთთან ურთიერთობაში მთავარი ის კი არ იყო, — წერს პროფ. მ. დუმბაძე, — რომ გარკვეულ ეტაპზე აგრესორთა მიერ შევიწროებული ეს ხალხები რუსეთის დახმარების მიღების მიზნით რომანოვთა უმაღლეს ხელისუფლებასაც კი სცნობდნენ, არამედ ის, რომ ეს დახმარება მ ა თ მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა დ ა დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ი ს მ ო პ ო ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს დ ა ა რ ა რ ო მ ა ნ ო ვ თ ა გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ს ჭ ი რ დ ე ბ ო დ ა თ"[70].

მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ცალმხრივ პოზიციებზე იდგა, სხვანაირად შეუძლებელიც იყო იმ დროს. უანგარო დახმარება მხოლოდ სოციალიზმის ეპოქაში ხდება და ამ პოლიტიკის დამწყები რომანოვების რუსეთი კი არ იყო, არამედ ს ა ბ ჭ ო თ ა რ უ ს ე თ ი (ხაზი ჩემია — ზ. ც.).

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის აზრით, 1783 წლის ხელშეკრულება „თვით ხელშემკვრელ მხარეებს მფარველობით მოკავშირეობის"

---

[67] ი. ც ი ნ ც ა ძ ე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, 1960, გვ. 82.

[68] А. Ц а г а р е л и, Грамоты..., т. I, с. 331; т. II, вып. I, с. 92.

[69] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, ч. I, оп. I/194, л. 166.

[70] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი (პროფესორ ივანე ცინცაძის წიგნის გამო), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 33, თბ., 1960, გვ. 245.

ტრაქტატად მიიჩნიათ და ჩვენც არავითარი უფლება არა გვაქვს გვერდი აუხვიოთ მათს ცხადად გამოთქმულს ამ ნებისყოფას და იმ ზოგიერთი განსხვავების გამო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებასა და მაშინდელ უფლებრივ შეხედულებათა შორის არსებობს, 1783 წ. ხელშეკრულება სხვა თვისების საბუთად ჩავთვალოთ"[71]. საკმარისია, — განაგრძობს აკად. ივ. ჯავახიშვილი, — 1783 წ. ხელშეკრულება გადაიკითხოს ადამიანმა, რომ დარწმუნდეს, თუ როგორის სისწორით უსრულებიათ რუსეთის დედოფლის ეკატერინე II-ის ზემოხსენებული დავალება: არსად მართლაც საქართველოს მეფის და ქართველ მოქალაქეთა შესახებ რუსეთის ქვეშევრდომობის ხსენებაც არ არის"[72].

1783 წლის ტრაქტატის შესახებ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა პროფ. ლ. ალექსიძემ. იგი წერს: „საქართველომ (ქართლ-კახეთმა) 1783 წ. ხელშეკრულებით შეწყვიტა სრულიად სუვერენულ სახელმწიფოდ არსებობა და გადაიქცა დამოკიდებულ, შეზღუდულ"[73]... სახელმწიფოდ. ჩვენ ვიზიარებთ ლ. ალექსიძის აზრს. ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ საბუთში (იხ. გვ. 81) ნათქვამია, რომ ტრაქტატით რუსეთმა ქართლ-კახეთის მეფე თავის ვასალად აღიარა. 1783 წ. 24 ივლისს პ. პოტიომკინი გ. ა. პოტიომკინს «Подневная записка»-ში სწერდა: «О совершении трактата в признании империею российского царя грузинского Ираклия со всеми областями его вассалом заключеннаго 1783 года, июля 24 дня»[74]. იგივე პავლე პოტიომკინი 1783 წლის 19 ივლისის პირველ აუდიენციაზე საქართველოს წარმომადგენელ გ. ჭავჭავაძის საპასუხოდ აცხადებდა:

„მისი იმპერატორობითი უმაღლესობა, ჩემი უავგუსტოესი თვითმპყრობელი, აღასრულებს რა თხოვნას მისი ბრწყინვალების მეფე ერეკლესი, თქვენი მეფისა და მბრძანებლის, რომელიც ასე დიდხანს ეძიებდა შეერთებას სხვა სამთავროებთან ერთად, რომლებიც შეადგენდნენ რუსეთის ვრცელ იმპერიას, ახლა ღებულობს თავის ყოვლის შემძლებელ სამეფოში ქართლისა და კახეთის სამეფოს, — ცნობს მეფეს თავის ვასალად და მის სამეფოს დამორჩილებულს თავისი ელვარე-

---

[71] ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, 1919, გვ. 32.

[72] ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულობა რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, 1919, გვ. 31.

[73] Л. Алексидзе, Взаимоотношения Грузии с Россией в XVI—XVIII вв., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 94, თბილისი, 1963, გვ. 86.

[74] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, ч. I, оп. 1/194, л. 164.

სკიპტრის ქვეშ: აღუქვამს მეფეს მფარველობას და მისი სამეფოს დაცვას"[75] (ხაზი ჩემია — ზ. ც.).

ზემოაღნიშნულიდან ცხადად ჩანს, რომ პ. პოტიომკინი 1783 წ. ტრაქტატს განიხილავდა, როგორც საქართველოს რუსეთთან შეერთების დიდმნიშვნელოვან აქტს, და თავისთვის სასახელოდ თვლიდა, რომ ეს ამიერიდან მის სახელთან იქნებოდა დაკავშირებული[76]. ამასთანავე ტრაქტატს იგი ეძახდა „კავშირს" ორ ქვეყანას შორის. პავლე პოტიომკინმა თავისებურად განჭვრიტა ის შედეგები, რაც, მისი აზრით, საქართველოს რუსეთთან შეერთებას უნდა მოჰყოლოდა. „ვიმედოვნებ, რომ თქვენ — მიმართავდა იგი ქართველ ელჩებს, — ჩემო ხელმწიფეებო, იგივე გრძნობები გაქვთ, ნათლად განიცდით ამის სრულყოფის ყველა სარფსა და სარგებელს თქვენი სამშობლოსათვის და თქვენი ხალხისათვის; ვჰვრეტ თქვენს პატივმოყვარეობას იმით, რომ მომავალში ქართველი ხალხი, რომელიც დატკბება სიწყნარით, უშიშროებითა და დიდებით, არ დაივიწყებს თქვენს სახელებს, ამ განჩინების ბრწყინვალედ შემსრულებლებს"[77] (ხაზი ჩემია — ზ. ც.).

ამის შემდეგ ორივე მხარის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა გაცვალეს რწმუნებების სიგელები და მისცეს თავის მდივნებს ტრაქტატის პროექტი საბოლოოდ გასაფორმებლად. ქართველ წარმომადგენლებს გაუმასპინძლდნენ ყავით, ხოლო საღამოს ქართველმა ელჩებმა რუსეთის წარმომადგენლები ვახშამზე მიიწვიეს.

„სიტყვების წარმოთქმის შემდეგ წაიკითხეს ტრაქტატი, სეპარატული მუხლები და ფიცის ნიმუში, პირველად რუსულ ენაზე, შემდეგ ქართულად.

ამის დამთავრების შემდეგ ელჩებმა, თითოეულმა თავისი მხრიდან, დადეს ტრაქტატი და ბრძანეს მეორე დღეს თეთრად გადაწერა"[78].

20 ივლისს ქართველი რწმუნებულები დაესწრნენ ციხის ყარაულის გამოცვლას. ელჩების ყურადღებას იქცევდა რეგულარული ჯარის შეიარაღება, წყობა, ფორმა, ორგანიზაცია.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ტრაქტატის ყველა მუხლი ელჩებს არ აკმაყოფილებდა. ისინი მოითხოვდნენ ზოგიერთი მუხლის დაზუსტება-განმარტებას.

ელჩებს არ მოეწონათ ის, რომ უმაღლეს კარს უნდა დაემტკიცებინა საქართველოს სამეფო ტახტზე ამავალი მეფეები. ამიტომ ისინი

---

[75] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, ч. I, оп. 1/194, л. 168.

[76] იქვე, ფურც. 168.

[77] იქვე, ფურც. 168.

[78] იქვე, ფურც. 168—169.

იმისათვის იღწვოდნენ, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი არ ჩარეულიყო ქართლ-კახეთის სამეფოს შინაურ საქმეებში და რუსეთს ეცნო საქართველოს მეფის ტიტული, გერბი, პოლიტიკური უფლებები. ისინი მოითხოვდნენ პ. პოტიომკინისაგან დაეტოვებინათ მეფისათვის ტიტული „უმაღლესობა", ვინაიდან ადრე საქართველოს მეფეები ყოველთვის ატარებდნენ ამ საპატიო სახელს აზიაშიო. ელჩები ეშვობდნენ აგრეთვე იმასაც, რომ საქართველოს კათალიკოსის პატივისცემა ხომ არ შეიბღალებოდა იმით, თუ იგი ყაზანის მღვდელმთავრის შემდეგ იქნებოდა მოხსენიებული. პ. პოტიომკინი დაპირდა ელჩებს, რომ იშუამდგომლებდა უმაღლესი კარის წინაშე დასმული საკითხების მოსაგვარებლად. ელჩებმა შეიმუშავეს სამეფო ტიტულის ასეთი ფორმულა: „ირაკლი მეორე, მეფე კახეთისა და მეფე ქართლისა, მემკვიდრე მთავარი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსი, მთავარი კახისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მფარველი განჯისა, ერევნისა და სხვათა"[79]. ქართველმა ელჩებმა ეს ფორმულა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლებს 21 ივლისს მიართვეს: „ტაბლის მიღების შემდეგ შესაკრებელ-კამერაში ელჩები თხოულობდნენ ზოგიერთი მუხლის შეტანის ნებართვას, რომლებიც მართალია არ აჩერებენ ტრაქტატის დადებას, მაგრამ რომლებზეც ისინი თხოულობენ მთავარსარდლის აზრს, და დაწესდა საღამოსთვის მათი მომზადება"[80].

არსებულ დოკუმენტში თარჯიმნად მოხსენიებულია პორუჩიკი თავადი ჩოლოკაევი (იგივე ჩოლოყაშვილი) და პორუჩიკი სავარსიმიძე (გრიგოლ პოტიომკინს ჰყავდა რუსეთში აღზრდილი ქართველები, რომლებიც მას ქართულ საქმეებში შველოდნენ) პორუჩიკ თავად ჩოლოყაშვილზე ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. რაც შეეხება სავარსიმიძეს, იგი, როგორც პროფ. ი. ცინცაძე შენიშნავს, რუსეთის ჯაშუში იყო ქართლ-კახეთის სამეფოს პეტერბურგის საელჩოში[81].

ინერეთის ელჩის ბესიკ გაბაშვილის 1790 წ. მარტის საიდუმლო მოხსენებაში (ქ. იასიდან გ. პოტიომკინის სახელზე გამოგზავნილში) გამოაშკარავებულია სავარსიმიძის „მოღვაწეობა". ბართლომე სავარსიმიძე „ორ ფრონტზე" მოღვაწეობდა, ერთდროულად იყო რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ჯაშუში. მას დაუმსახურებია ქართლ-კახეთის სამეფოს ნდობა იგი თვალყურს ადევნებდა ერეკლე მეორისა და გარსევან ჭავჭავაძის მიმოწერას.

ბესარიონ გაბაშვილი მოუთხრობს გ. პოტიომკინს, რომ ვიდრე ამ

---

[79] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286. оп. I/194, л. 171.
[80] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, ч. I, оп. I/194, л. 169.
[81] ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 244, შენ. 1.

ხაზზე („კავკასიის ლინიაზედ“ — ზ. ც.) პავლე პოტიომკინი იყო, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ახლა, როცა იგი აღარ არის, ჩვენი საქმე ცუდად წავიდაო. ამაში იგი სდებდა ბრალს ბ. სავარსიმიძეს „და ამ დროების მხედუ[illegible]ლმან მეზობელმან ჩუ[illegible]ნმან (იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო — ზ. ც.) დააფუძნა სხუა და სხუას სახით დაფარებითა შემოყუანად რუსეთსა შინა მეთუალენი ერთგულნი ყმანი თჳსნი და ნება დართო მათ განწესებად სამსახურსა შინა რუსეთისასა, რათა ამით უკუ[illegible] საწადელი თჳსი ჰსცნას და თჳთცა თჳსი აღასრულოს“[82].

ბესარიონ გაბაშვილი ასახელებს არქიმანდრიტ გაიოზს, არქიერ ხარჭაშნელს და მირზა აბითურაბს.

„ეგრეთუე არ დააგდო თჳსადმი მიზიდულად, კავკასიის ლინიაზედ მყოფი და სათარგმანოს საქმეებში საკმარად ბართლომე სავარსიმიძე, მიცემითა მისადმი აზნაურობის ჯარისხისა“[83], რომელიც გლეხი იყოო. ამიტომ იმერეთის მეფემ „ამბების მცნობელმან, აღიღო ზონა სიფრთხილისა, თჳსისა, და დადუა უმჯობესისათჳს, რათა განეშოროს ბადესა მას შეკრულსა ლინიაზედ მისდამი“[84]. ერეკლეთი უკმაყოფილო ბესიკს სავარსიმიძის მოქმედება აწუხებს: „მართლმსაჯულმან უფალმან არა დააგდო საქმენი იგი სავარსიმიძის მრავალის უკეთურობის მაშენებლისანი“[85]. ამიტომაა, რომ ბესიკი სთხოვს გრიგოლ პოტიომკინს, რათა იმერეთიდან მოსული წიგნები გადაითარგმნოს უშუალოდ მასთან და არა კავკასიის „ლინიაზედ“. „რათა სამართლით მოგხსენდეთ იმათიცა და ჩუ[illegible]ნიც“[86].

1783 წ. 23 ივლისს ტრაქტატის რუსული და ქართული ტექსტები ერთმანეთს შეაჯერეს და გამოირკვა, „რომ ქართული თარგმანი სიტყვა სიტყვით იყო შეტანილი რუსულის მსგავსად და სულ მცირე აზრიც კი არ იყო დაკარგული“ (ტრაქტატის ქართული ტექსტი წაიკითხა გაიოზ არქიმანდრიტმა, ხოლო რუსული — პოდპოლკოვნიკმა ტამარამ. ორთავე ტექსტის იდენტურობა დაადასტურეს თარჯიმნებმა, თავადებმა ჩოლოყაშვილმა და სავარსიმიძემ)[87].

პ. პოტიომკინმა მეორე სეპარატული არტიკულის ძალით მოითხოვა შეთანხმებულიყვნენ, თუ რანაირად იქნებოდა ჯარი დაკმაყოფილებული სურსათითა და იარაღით, როცა ისინი საქართველოს ფარგლებ-

---

[82] შ. ბ ე რ ჯ ა ნ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, თბ., 1953, გვ. 17.

[83] იქვე.

[84] იქვე.

[85] იქვე.

[86] იქვე.

[87] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, ч. I, оп. I/194, л. 175.

ში შემოვიდოდნენ. იგი მოითხოვდა ამაზე შეთანხმებას ჯარის საქართველოში გამგზავრებამდე, მაგრამ ელჩებმა არ დააყოვნეს და „თავის მხრით სთხოვეს მთავარსარდალს, სასწრაფოდ გაეგზავნა ჯარები საქართველოში“[88]. პ. პოტიომკინი ხაზს (გ. პოტიომკინისადმი გაგზავნილ საიდუმლო „რაპორტში“) უსვამდა იმ გარემოებას, რომ მან, „ყველგან დაიცვა რა უმაღლესი საიმპერატორო კარის პირველობა, პირველმა ხელი მოაწერა და ბეჭდით დაამოწმა რუსეთის მხრით, ხოლო შემდეგ ქართველმა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა“[89].

ტრაქტატის მუხლობრივად განხილვის შემდეგ საქართველოსა და რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა 1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკში, ნაშუადღევის 1 საათზე, ხელი მოაწერეს შეთანხმებას (გეორგიევსკის ციხე-სიმაგრე მდინარე პოდკუმოკის ნაპირზე იყო აგებული XVIII საუკუნის 70-იან წლებში[89ა]). ამრიგად, ტრაქტატი გაფორმდა. ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლები ფეხზე ადგნენ და მადლობა გადაუხადეს პ. პოტიომკინს, ხოლო გარსევანმა გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა: „რაც შეეხება ჩვენს ჰაზრებს, ისინი ახლა აღავლენენ მხურვალე ლოცუანს ღუთისადმი და დაე გააგრძელოს აღურაცხელი წლები ყოვლად უავღუსტესი თვითმპყრობელისა, რომელმაც აღამაღლა ქართველთა მეფისა და სამეფოს დიდება“[90].

ტრაქტატზე ხელმოწერის ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ელჩები მაგიდასთან მიიწვიეს საღილზე, სადაც გაგრძელდა ზეიმი მომხდარი ამბის გამო ყველა წესის დაცვით.

24 ივლისს, საღამოთი ქალაქი გეორგიევსკი ილუმინირებული იყო, შემდეგ ელჩები ვახშამზე მოიწვიეს[90ა].

საქართველოს დელეგაციამ 25 ივლისს დაათვალიერა რუსთა ჯარის ბანაკი, ხოლო 27 ივლისს სამშობლოსაკენ გამოეშურა.

აგვისტოს დასაწყისში გეორგიევსკიდან თბილისში დაბრუნდნენ ქართველი ელჩები ამალით.

1783 წლის 20 აგვისტოს თბილისში ჩატარდა დიდი სახალხო ზეიმი. საღამოთი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. ზეიმზე ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა გაიოზ არქიმანდრიტმა[90ბ].

ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენელთა

---

[88] იქვე.

[89] იქვე, ფურც. 176.

[89ა] გ. პაიკაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1980, გვ. 36.

[90] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, ч. I, оп. I/194, л. 176.

[90ა] იქვე, ფურც. 256—259.

[90ბ] იქვე, გვ. 176.

მოზდოკში ჩასვლიდან უკან დაბრუნებამდე საელჩოს ამალას ყოველდღიურად სახარჯოდ 60 მანეთი ეძლეოდა[91].

ტრაქტატზე ხელის მოწერისთანავე პავლე პოტიომკინმა სასწრაფოდ გაუგზავნა გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინს საიდუმლო მოხსენება პოდპოლკოვნიკ ტამარას ხელით, რითაც აცნობდა, რომ 1783 წ. 3 აპრილს გადაწყვეტილი დავალება შეასრულა: «Ваша светлость усмотреть изволите, что я старался выполнить все то что в ордере вашем от 3-го апреля под № 106 мне предписано и не упустил того правила в рассуждении первенства, которого мне даржатся повелели»[92].

პავლე პოტიომკინი ქართველი ელჩების შესახებ წერდა: „ქართველმა სრულუფლებიანმა ელჩებმა, რომელთა შორის თავადი ბაგრატიონი მეფის სიძეა, ხოლო მეორე თავადი ჭავჭავაძე მისი საყვარელი კაცია და რომელიც, როგორც საქმეებიდან ჩანს, გამოგზავნილია ფრიად მახლობელ პიროვნებად, განსაკუთრებულად გამოაცხადეს გულსმოდგინება მისი იმპერატორობითი უმაღლესობის კეთილმწადნელობის მიღებაზე, უფროსღა არქიმანდრიტმა, რომელსაც სურს რაიმე თანამდებობის მიღება რუსეთში“[93]. როგორც ჩანს, ელჩების მთავარი ფიგურა გარსევანი ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ იგი „მეორე ელჩად“ გაიგზავნა.

30 ივლისს პ. პოტიომკინი წერილს უგზავნის ერეკლე II-ს, ულოცავს ტრაქტატის გაფორმებას, რომელსაც „სახელოვან და კეთილ საქმეს“[94] უწოდებს. პოტიომკინს ძალიან მოსწონებია ქართველი ელჩები. ამავე წერილში იგი სწერს ერეკლეს, რომ მისი ელჩები „ჭეშმარიტების ერთგულებით ცდილობდნენ გადიდებასა სახელისა თქვენისასა და თქვენის სამეფოისაცა. უფალნი მთელესტიბრიანი (სრულუფლებიანი — ზ. ც.) ელჩი მათი ბრწყინვალება კნიაზ იოანე კონსტანტინოვიჩი ბაგრატოვანი, და კნიაზ გარსევან რევაზოვიჩი ჭავჭავაძე და აგრეთვე მომჭირნეობა და ერთგულება მამა არხიმანდრიტი გაიოსისა, ელჩების მდივნის ზაზა გაბაშვილისა, და რაც ამათ ყოფაქცევანი ითქმის ელჩებთან თანხმობაზედა, მე ამისთვის მთელი სიმართლე და ქება მომიცია და სრულიად ვერ გამოვაცხადე ამათი პატიოსნება და ღირსება“[95]. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის მე-5 არტიკულის მიხედვით რუსეთში წარგზავნილი იქნებოდა საქართვე-

---

[91] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, оп. I/194, л. 176.

[92] იქვე, ფურც. 162.

[93] იქვე. ფურც. 163,

[94] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. sd—2272, წერილი 16.

[95] იქვე.

ლოს სრულუფლებიანი მინისტრი, ხოლო საქართველოში ასევე რუსეთის მინისტრ-რეზიდენტი.

„მინისტრ-რეზიდენტის სამეფო კარზე დანიშვნა ევროპული წესი იყო, საერთაშორისო ურთიერთობაში შემოღებული. საქართველოში სამეფო კარზე 1783 წელზე ადრე არც ერთი სახელმწიფოს მინისტრ-რეზიდენტი არ ყოფილა, საქართველოსაც არ ჰყოლია სხვა სახელმწიფოში თავისი რეზიდენტი"[96].

პ. პოტიომკინი 24 სექტემბერს სთხოვდა ერეკლე II-ს, ეცნობებინა მისთვის, თუ ვინ იქნებოდა საქართველოს ელჩი. „რიგების განწესებისა რატიფიკაცია და ფიცის შესრულების უკან თქვენმან უმაღლესობამან უნდა გამოაჩინოს ტრაქტატის ძალითა მინისტრი იმპერატორების კარზედ გასაგზავნელად, და ვისაც გამოარჩევთ, გეველრებით მაცოდინოთ, იმისათვის, რომ დავასწრა უმაღლეს კარსა მოხსენება და ჩემგან იმის გასტუმრების მომზადება"[97].

მალე ერეკლემ ქართლ-კახეთის სრულუფლებიან მინისტრად შეარჩია გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე, რაც აცნობა რუსეთის მთავრობას.

1784 წ. 23 იანვარს, თბილისში ტრაქტატის რატიფიკაციის წინა დღით, გ. ჭავჭავაძე აღიარეს რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის მინისტრად[98]. მანვე, როგორც მომავალმა ელჩმა, პოლკოვნიკ ტამარას ხელით რუსეთის მთავრობისაგან მიიღო ჯილდოდ ბრილიანტის სათუთუნე და 2500 ოქროს მანეთი, რის გამოც გარსევან ჭავჭავაძემ დიდი მადლობა გადაუხადა გ. ა. პოტიომკინს 1784 წლის 30 იანვრის წერილით. „რომელიც თქვენ მაღალმსველელობისაგან წარმოგზავნილი იყო. უფლის პოლკოვნიკის ტამარასაგან, ტაბაქეარქა ბრილიანტისა და ორიათას ხუთასი ოქროს მანეთი. და ეს მონარხული კეთილნებობითი მოწყალება ... კრძალულობით მიეიღე"[99].

ძვირფასი ჯილდოები და ფული მიიღეს აგრეთვე: კათალიკოსმა, პირველმა მინისტრმა თავადმა ორბელიანმა, მეორე მინისტრმა თავადმა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა, პირველმა რწმუნებულმა თავადმა საგრატიონმა, არქიმანდრიტმა გაიოზმა. ფულადი ჯილდოს მიცემას (1000 მანეთს) დაპირდნენ პოლკოვნიკ ტამარასაც[100].

---

96 ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 140
97 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. sd—2272, წერილი 20.
98 Н. Дубровин, დასახ. შრომა, ტ. II, გვ. 20.
99 საქ. ცსსა, ფონდი 1449, აღწ. 1, საქ. 2985.
100 ЦГВИА СССР, ф. 52, оп. I/194, д. 286, ч. I, св. 109, л. 346.

1784 წლის მაისის დამლევს გ. ჭავჭავაძე ამალით პეტერბურგისაკენ გაემგზავრა. მასთან ერთად რუსეთს გაემგზავრნენ ერეკლე II-ის შვილები მირიანი და ანტონი.

„წელსა ჩ ღ პ გ, ქორონიკონს უთა შევიდა მეფე ირაკლი საფარველსა ქვეშე რუსეთისასა, რომელსაც წარმოუგზავნა იმპერატრიცა ეკატერინამ ნოშანნი სამეფოსნი. გრამმატა და ორი ბატალიონი მხედრობა, რომელნიცა შეიკრნენ უცვალებელითა პირობითა და წარგზავნა კარსა რუსეთისასა ორნი ძენი თვისნი ანტონი და მირიან“[101]... მირიანისა და ანტონის რუსეთის გამგზავრების შესახებ საკმაო ცნობები არსებობს[102].

ერეკლე II-ს ელჩად რუსეთში ისეთი კაცი უნდა გაეგზავნა, რომელიც მალე შეისწავლიდა ევროპულ დიპლომატიას და სწორად აუღებდა ალღოს თვითმპყრობელობის ნამდვილ ზრახვებსაც, ყოველი სუსტისა და ქრისტიანობის დამცველად“ რომ მოჰქონდა თავი. ერეკლე II-ს გაუთვალისწინებელი არ დარჩენია ის ფაქტიც, რომ გარსევანი ქართლ-კახეთის კახური დინასტიის ერთგული პირი იყო და გამორიცხული უნდა ყოფილიყო მისი ყოველგვარი შემთანხმებლური ტენდენციები ვახტანგ VI-ის შთამომავალ ქართლის ბაგრატიონთა შტოსთან. ასეთი წინდახედულობის საჭიროებას აუცილებლად მოითხოვდა ათანასე თბილელის[103] სამარცხვინო საქციელი.

1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის V მუხლის ძალით ერეკლეს შეეძლო ყოლებოდა რუსეთის საიმპერატორო კარზე სრულუფლებიანი მინისტრ-რეზიდენტი, „რათა ადვილად[104] აქუნდესმცა ყოველივე იგი საჭიროჲ მიწერ-მოწერაჲ და თანჴმობაჲ რუსეთისა საიმპრჲსა კარისა თანა“ ...[105] როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, საქარ-

---

[101] ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, ჩუბინოვის გამოცემა, სანკ-პეტერბურგი, 1854, გვ. 510.

[102] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. sd—2272, წერილი 20; ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 184, ч. VI, д. 331. св. III, фурц. 18—19.

[103] ი. ციცაძე, ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში, „საისტორიო მოამბე“, 1952, № 6, გვ. 85—175.

[104] ა. ცაგარელის რედაქციით გამოცემული ტრაქტატის ქართული ტექსტის V მუხლში სიტყვა „ადგილად“ შეცდომით წერია, უნდა იყოს „ადვილად“ (იხ. А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, გვ. 104); ამავე შეცდომას იმეორებს ტრაქტატის ქართული ტექსტის ერთ-ერთი გამომცემელი გ. ეფშაველიც, იგი ხმარობს „ადგილათ“ (იხ. გ. ეფშაველი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 34). ეს შეცდომა გაასწორა პროფ. ი. ციცაძემ ტრაქტატის ქართული ტექსტის შემდგომ გამოცემაში, სადაც მას „ადგილად“-ის ნაცვლად „ადვილად“ უწერია (იხ. ი. ციცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 223).

[105] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 104.

ერეკლე II-ის მიერ 1784 წლის 23 მაისს გაცემული რწმუნების სიგელი—
გ. ჭავჭავაძისადმი

თველოს სრულუფლებიან მინისტრს ევალებოდა პეტერბურგში, რუსეთის საიმპერატორო კარზე, ინფორმაციების გაცვლა და ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე თვალყურის დევნება. ტრაქტატის ამავე მუხლში მითითებულია, აგრეთვე, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი მინისტრ-რეზიდენტი საიმპერატორო კარზე უნდა ყოფილიყო, როგორც თანასწორუფლებიანი წარმომადგენელი პეტერბურგში აკრედიტებულ სხვა სუვერენულ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მსგავსად: „რიცხუსა შინა სხუათა მფლობელთა მინისტრთა თანაჰსწორითა ნიშნითა თჳსითა"[106]. მეორეს მხრივ, საქართველოშიაც უნდა ყოფილიყო რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი[107].

რუსეთის საიმპერატორო კარმა ქართლ-კახეთში თავის რეზიდენტად დაამტკიცა აქ მყოფი პოლკოვნიკი ბურნაშევი, რომელსაც ერეკლე მეორემ თვეში 300 მანეთი ჯამაგირი დაუნიშნა[108].

რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-თან წარსადგენ რწმუნების სიგელში (1784 წ. 23 მაისის) ერეკლე ასე ახასიათებს გარსევანს: „მომრთმელი წიგნისა ამის კნიაზ გარსევან ჭავჭავაძე თქვენის იმპერატორების დიდებულებისადმი წარმოვგზავნეთ სამყოფლად უმაღლესსა კარსა ზედა თქვ. იმპ. დიდ-სა, ძალითა ყ-დ მოწყალებითსა ტრაქტატისათა. მეხუთე არტიკულისა, რომელსაც შეეეედრებ მოწყალებითსა მფარველობასა თ ქ ვ. ი მ პ. დ ი დ-სა, ვ ი თ ა რ ცა შ ე ი ლ ს ა ჩ ე მ ს ა და ს ა რ წ მ უ ნ ო ს ა ყ ო ვ ე ლ ს ა ს ა ქ მ ე ს ა შ ი ნ ა (ხაზი ჩემია — ზ. ც.) რომელსაც აქვს რწმუნებულ ყოველნი საქმენი ჩვენნი მოსახსენებელნი უმაღლესისადმი კარისა თქვ. იმპ. დიდ-სა"[109].

13 ივნისის მოხსენებაში, რომელსაც პავლე პოტიომკინი გრიგოლ პოტიომკინს უგზავნიდა, საქართველოს დელეგაციის კავკასიის ხაზზე გადმოსვლასთან დაკავშირებით, გარსევანის შესახებ ასეთ ცნობას აძლევდა თავის შეფს: „დაბოლოს მოვალეობად მიმაჩნია გაცნობოთ თქვენო ბრწყინვალებავ, რომ თავადი გარსევან ჭავჭავაძე ერთ-ერთი

---

[106] იქვე

[107] ასეთი აქტით, ჩვენი აზრით, საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებს სურდათ დაენახვებინათ სხვა ქვეყნებისათვის (განსაკუთრებით, სპარსეთისა და ოსმალეთისათვის), რომ ქართლ-კახეთის სამეფო, მიუხედავად რუსეთთან 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის დადებისა, კვლავ სუვერენულ და დამოუკიდებელ სამეფოდ რჩებოდა.

[108] «Господин полковник Бурнашев пребывающий Тифлисе получает от царя на содержание стола денег триста рублей на каждой месяц, и может быть царь надеется, что его министру при высочайшем дворе определено будет содержание» (ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 331, ч. VI, св. III, л. 18). (ხაზი ყველგან ჩემია—ზ. ც.).

[109] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 111.

ქართველთაგანია, რომელიც ყველაზე მეტად დაახლოებულია იმპერატორის კართან"[110].

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფომ თავის სრულუფლებიან ელჩად რუსეთში წარგზავნა უაღრესად სანდო, განათლებული და ნიჭიერი ადამიანი, რომელიც ამავე დროს რუსეთის საიმპერატორო კარისთვისაც მისაღები იყო. ამ დროს გ. ჭავჭავაძე 26 წლის იყო.

8 ივნისს რუსეთისაკენ მიმავალი საქართველოს სრულუფლებიანი მინისტრი გ. ჭავჭავაძე, ბატონიშვილები მირიანი და ანტონი მრავალრიცხოვანი ამალით, პოლკოვნიკ ტამარას[111] თანხლებით, მოზდოკში ჩავიდნენ[112]. 8 ივნისის „რაპორტში" პ. პოტიომკინი მოახსენებდა გ.ა. პოტიომკინს, რომ საელჩო და ბატონიშვილები მოზდოკში მცირე ხანს შეჩერდებიან, რადგან ქართველების ამალა მრავალრიცხოვანია (მათი გამგზავრებისათვის საჭიროა 100 ცხენის დაქირავებაო), მე მათ ცალკე პარტიებად გავამგზავრებო. თქვენთან კრემენჩუგში გამოვგზავნი: „ორივე მეფისწულს და მეფისაგან უმაღლეს კარზე მინისტრად დანიშნულ თავად გ. ჭავჭავაძეს"[113], ხოლო ამალას „პირდაპირ გავგზავნი მოსკოვში"[114]. შევატყობინებ რა ამის შესახებ წინასწარ გრაფ ჩერნიშოვს, რათა ამ უკანასკნელმა შეაჩეროს ისინი (ამალა) მოსკოვში თქვენ ბრძანებამდეო[115].

გ. ჭავჭავაძემ მოზდოკში შეჩერებისთანავე კავკასიის ხაზის უფროსს პ. პოტიომკინს ქართულ ენაზე დაწერილი თხოვნა მიართვა, ისეთივე შინაარსისა, როგორიც ერეკლე II-მ პოლკოვნიკ ტამარას 24 მაისს[116] გადასცა (ერეკლეს ეს წერილი და მისი რუსული თარგმანი პ. პოტიომკინმა გ. ა. პოტიომკინს კრემენჩუგში გაუგზავნა 13 ივნისს); გარდა ამისა, გარსევანმა პ. პოტიომკინს გადასცა მეფე ერეკლეს წერი-

---

[110] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 331, ч. VI, л. 34.

[111] ტრაქტატის დადებასა და გაფორმებაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის რუსეთის მთავრობამ 1783 წ. სექტემბერში პოდპოლკოვნიკ ვ. ი. ტამარას პოლკოვნიკობა უწყალობა. «Г. Тамара пожалован полковником» (С. Н. Бурнашов, Новые материалы для жизнеописания и деятельности, под редакцией проф. А. А. Цагарели, с. 10).

[112] 1784 წლის 8 ივნისს პ. პოტიომკინმა გ. ა. პოტიომკინს აცნობა, რომ «С Грузинскими царевичами прибыл сюда отправленный от царя Ираклию в Высочайшему Двору князь Гарсеван Джаджевадзев в характер министра по силу заключенного трактата» (ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 331, ч. VI, св. III, л. 18.)

[113] იქვე, იხ. ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 331, ч. VI, св. III, л. 19.

[114] იქვე.

[115] იქვე.

[116] იხ. 1784 წლის 24 მაისის წერილი ერეკლე II-ისა პოლკოვნიკ ვ. ი. ტამარასადმი. ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 331, ч. VI, св. III, л. 15—16.

ლი იმის შესახებ, თუ ტრაქტატის დადების შემდეგ რა ვნება და ზიანი მიაყენა თურქეთის ქვეშევრდომმა ახალციხის სულეიმან-ფაშამ ქართლ-კახეთის სამეფოს განუწყვეტელი თარეშით, ხალხის მოტაცებით და სხვ. გარსევანი მეფე ერეკლეს სახელით რუსეთის წარმომადგენლისაგან მოითხოვდა ახალციხის ფაშის მტრული მოქმედების ალაგმვას[117] (რუსეთსა და თურქეთს ამ დროს ზავი ჰქონდათ ერთმანეთთან დადებული — ზ. ც.). პ. პოტიომკინს გარსევანის ეს წარდგინება არ მიუღია და მისთვის ურჩევია: „მიართვით ის პირდაპირ მათ ბრწყინვალებას (გ. ა. პოტიომკინს — ზ. ც.). ვთვლით, რომ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება უფრო შესაძლებელი იქნება, თუ პორტას წარუდგენს ჩვენი მინისტრი“[118]. ე. ი. გ. ჭავჭავაძე რუსეთის მიწაწყალზე ფეხის დაბიჯებისთანავე შეუდგა დიპლომატიური მისიის შესრულებას.

13 ივნისს პ. პოტიომკინმა ქართველი ელჩი გ. ჭავჭავაძე, ბატონიშვილები მირიანი და ანტონი მოზდოკიდან კრემენჩუგში, გ. ა. პოტიომკინთან გაისტუმრა[119].

ერეკლემ იცოდა, რომ მისი ელჩი აუცილებლად შეხვდებოდა გ. ა. პოტიომკინს (მან ისიც კარგად იცოდა, თუ ვინ იყო გ. ა. პოტიომკინი და რა ძალა და გავლენა ჰქონდა მას რუსეთის საიმპერატორო კარზე). რუსეთის ამ ყოვლისშემძლე მოხელის სახელზე გაგზავნილი გ. ჭავჭავაძის რწმუნების სიგელში ერეკლე მას დახმარებასა და შუამდგომლობას თხოვდა „ვითარცა თანაშემწისა აზრის იმისის იმპერატორების დიდებულებისა რათა მიიღოთ იგი (გარსევანი — ზ. ც.) მოხედვასა შ“ა თქუჷნსა და აჩუჷნოთ მას ზედა ჩუჷდა მიმართნი მეგობრობითი თანამდებობანი“[120]. ე. ი. ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურებმა კარგად იცოდნენ, თუ ვინ იყვნენ იმ დროის რუსეთის გავლენიანი პირები და ვისთან იყო საჭირო კავშირის დაჭერა.

6 აგვისტოს გ. ჭავჭავაძე გ. ა. პოტიომკინს უგზავნის წერილს და აცნობებს, რომ მან მიიღო მისი მეფის, ერეკლე II-ს 15 ივლისს გამოგზავნილი წერილი (ეს წერილი გარსევანს გზაში, 7 ივლისს მიუღია), რომელშიაც ერეკლე აცნობებდა ჭარში დაღისტნის ლაშქრის ჩამოსვლას. მე, — მოახსენებს გარსევანი გ. პოტიომკინს, — არ მეგონა „ჩვენი აქომომდე დაგვიანება და პეტერბურგს მიუსვლელობაო“ ...

---

[117] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 331, ч. VI, св. III, фурц. 34 (ამ დროს რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი ოსმალეთში ბულგაკოვი იყო).

[118] პ. პოტიომკინი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ეს ის გ. ჭავჭავაძე იყო, რომელიც «Бывшего при заключений вторым полномочным и ныне отправляющагося к высочайшему двору министром» (იხ. ЦГВИА СССР, იქვე, ფურც. 34).

[119] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 331, ч. VI, св. III, л. 19.

[120] АВПР МИД СССР, ф. Сношения России с Грузией, 1784—1788, д. 454, л. 18.

ამიტომ გარსევანმა ერეკლე II-საგან მიღებული წერილების პირები გ. ა. პოტიომკინს საელჩოს თარჯიმნის პრაპორჩიკ რომან სიმონოვის ხელით გაუგზავნა[121].

თუ სად და როდის შეხვდა და რაზე ისაუბრა გ. პოტიომკინმა საქართველოს სრულუფლებიან მინისტრსა და ბატონიშვილებთან, ჩვენ ამის ცნობა არ გაგვაჩნია. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ქართველ ელჩსა და ბატონიშვილებს გზაში (მოზდოკიდან კრემენჩუგამდე, შესაძლებელია გ. ა. პოტიომკინმა ელჩი მოგილევშიც ჩაიყვანა) საკმაო ხანი დაუყვიათ, სახელდობრ 1784 წ. ივნისის მეორე ნახევრიდან სექტემბრის დამდეგამდე.

13 სექტემბერს გ. ა. პოტიომკინი ვიცე-კანცლერს ივანე ანდრიას ძე ოსტერმანს სწერდა: „მისი იმპერატორობითი უმაღლესობის კარზე ქართლისა და კახეთის მეფის წარმოგზავნილები, მინისტრის ხარისხით, ამ დღეებში აქ ჩამოვიდნენ“[122]. ამის შესახებ მე უკვე ვაცნობე იმპერატორ ეკატერინეს, ახლა მას თქვენთან ვგზავნი, ვინაიდან იგი (გარსევანი — ზ. ც.) „იწყებს თავის ახლანდელ ვალდებულებას“[123]. პატივით მიიღეთ და წარუდგინეთ იმპერატორს საზეიმო აუდიენციაზეო[124].

სექტემბრის მეორე ნახევარში გ. ჭავჭავაძე პეტერბურგში ჩავიდა და შეუდგა მზადებას რუსეთის საიმპერატორო კარზე მიღებისათვის. იგი საზეიმო აუდიენციაზე პირველად ვიცე-კანცლერმა ოსტერმანმა მიიღო. „ვიცე-კანცლერისაგან დანიშნულ საათზე მასთან მივიდა პირველად აქ ჩამოსული, ქართლისა და კახეთის მეფის მინისტრის ხარისხით, თავადი გარსევან ჭავჭავაძე“[125].

ვიცე-კანცლერი ოსტერმანი საქართველოს მინისტრს მისაღებ ოთახში შეხვდა. გარსევანმა მას მდაბლად დაუკრა თავი და დაჯდა ვიცე-კანცლერის ნაჩვენებ სკამზე — მის პირდაპირ. ვიცე-კანცლერმა წერილები ქართულიდან რუსულ ენაზე გადასათარგმნად მრჩეველს თავად მოურავოს გადასცა. ამის შემდეგ დაიწყეს საუბარი მეფის ჯანმრთელობაზე, ელჩის — გ. ჭავჭავაძის შესახებ და სხვ. ელჩმა სიამოვნება და კმაყოფილება გამოთქვა იმ პატივისა და დაფასებისათვის, რითაც მას — ელჩს ყველგან ხვდებოდნენ. ბოლოს ვიცე-კანცლერმა გარსევანს მოთხოვა რწმუნების სიგელი, რომელიც მას თან არ ამოაჩნდა. ვიცე-კანცლერმა გარსევანს თხოვა, რათა რწმუნების სიგელი

---

[121] საქ. ცსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2871.

[122] АВПР МИД СССР, ф. Сношения России с Грузией, 1784—1788, д. 454а, л. 18.

[123] იქვე.

[124] იქვე.

[125] АВПР МИД СССР, ф. Сношения России с Грузией, 1784—1788, д. 454а, л. 4.

მას გადასათარგმნად თავად მოურავოვისადმი გადაეცა (თავადი ა. მოურავოვი, ცნობილი პირი, წარმოშობით ქართველი ანტონ თარხნიშვილია, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ 1769—1771 წლებში იყო, როგორც რუსეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი. 1784 წელს მოურავოვი თარჯიმანი იყო და მისი შუამავლობით წარმოებდა ყოველგვარი ორმხრივი საუბარი საქართველოს სრულუფლებიან მინისტრ გ. ჭავჭავაძესა და ვიცე-კანცლერ გრაფ ოსტერმანს შორის). ვიცე-კანცლერი დაჰპირდა გ. ჭავჭავაძეს, რომ იგი გადასცემდა იმპერატორს ეკატერინეს საქართველოს სრულუფლებიან მინისტრთან შეხვედრის ამბავს[126]. ასე დამთავრდა პირველი ოფიციალური შეხვედრა გ. ჭავჭავაძეს და ა. ოსტერმანს შორის, როგორც ჩანს, რუსეთის საიმპერატორო კარი სპეციალურად მართავდა საზეიმო აუდიენციას დიდი სიზუსტითა და აკურატობით. ცნობილი ფაქტია, რომ პეტერბურგის საიმპერატორო კარზე XVIII საუკუნეში (ეკატერინე II-მდე) დიპლომატიური ეტიკეტის დაცვის საქმეს ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ[127]. ეკატერინე II-მ კი წესად შემოიღო, რომ ელჩი ოფიციალური მიღების დროს: „უნდა ხმარობდნენ იმ დროს საერთაშორისო ფრანგულ ენას, რომელზედაც პასუხობდა იმპერატრიცა; თუ ელჩი მისალმებას წარმოთქვამდა თავის მშობლიურ ენაზე, მაშინ ის უპასუხებდა რუსულად"[128].

20 სექტემბერს ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრი გ. ჭავჭავაძე საკუთარი ეტლით ზამთრის სასახლეში მივიდა. იგი შევიდა დასასვენებელ ოთახში და ელოდა საზეიმო აუდიენციაზე მიწვევას.

ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ ცერემონმაისტერმა (კანცლერმა ა. ბეზბოროდკომ — ზ. ც.) იგი საუდიენციო დარბაზში შეიყვანა, მას თან ახლდა თარჯიმანი თავადი ა. მოურავოვი. დარბაზში იყვნენ უმაღლესი საზოგადოების ორთავე სქესის წარმომადგენლები. გარსევანმა სამჯერ თავი დაუკრა დარბაზში მსხდომთ და შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ქართულად, რომლის რუსული თარგმანი ა. მოურავოვმა წაიკითხა. გარსევანმა თქვა:

„ყოვლად უგანათლებულესო, მპყრობელო, დიდო ხელმწიფე-იმპერატორო და თვითმპყრობელო რუსეთისა, ყოვლად უმოწყალესო ხელმწიფე!

მეფემ ქართლისა და კახეთისამ, რომელიც კმაყოფილია ვალდე-

---

[126] АВПР МИД СССР, ф. Снош. России с Грузией, 1784—1788, д. 454а, л. 4.

[127] История дипломатии, т. I, Москва, 1959, с. 371.

[128] იქვე, გვ. 370.

ბულებისა და ამასთან მოწიწებისა, რომლითაც ის მთელი თავისი სასახლითა და ყველა ხალხით, რომელსაც ის ფლობს, ენდობა თავის უმაღლეს ხელმწიფეს, ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარსა და მფარველს, ამირჩია თავისი გრძნობების მოწმედ.

ორკეცად ბედნიერი ვარ, როდესაც, ვიყავი რა ერთ-ერთი მონაწილე საზეიმო ხელშეკრულების განჩინებისა, რომლითაც, რუსეთის იმპერიაზე ჩემი სამშობლოს დამოკიდებულების განმტკიცებასთან ერთად, საუკუნოდ დამტკიცდა ჩვენი კეთილდღეობა და უშიშროება, ღირს იქმნება ახლა ჩემი მთავრობისა და ჩემი ყველა თანამოქალაქის სახით მიახლოება თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის უწმინდეს ტახტთან და დაცემა თქვენს ფეხებთან"[129]. გარსევანმა სიტყვით მიმართა აგრეთვე ტახტის მემკვიდრეს უფლისწულ პავლეს და რუსეთის დიდ ქალბატონს (ეკატერინე II-ს ქალიშვილს). საპასუხო სიტყვით გამოვიდა ვიცე-კანცლერი გრაფი ოსტერმანი, რომელმაც იმპერატორ ეკატერინე II-ს სახელით თქვა:

„მის იმპერატორობით უმაღლესობას განსაკუთრებით სიამოვნებს მისი უმაღლესობის მეფე ქართლისა და კახეთისას და მთელ მის მფლობელობაში მყოფი ხალხის მსხვერპლშეწირვა, რაც დაფუძნებულია მათ საკუთარ კეთილდღეობაზე.

მისი უმაღლესობა, რომელიც მის უმაღლესობასა და მის ქვეშევრდომებს უბოძებს თავის უმაღლეს მფარველობას: რაკი ერთხელ მიიღო თავისი კურთხეული სკიპტრის შვილად, რა თქმა უნდა, არ დატოვებს, ყოველთვის იზრუნებს მათ მუდმივ კეთილდღეობაზე.

ჯვრის წინ ამხსნელი პიროვნების, მისი იმპერატორობით უმაღლესობისათვის, კეთილმოშიშისა და ბეჯითის, რომელიც განამტკიცებს ქართლის მეფესა და მის ქვეშევრდომებს, განსაკუთრებით სასიამოვნოა მისი უმაღლესობისათვის, რადგან თვითონ ის იყო მონაწილე საზეიმო ხელშეკრულების განჩინებისა, რომლითაც, რუსეთის იმპერიაზე მისი სამშობლოს დამოკიდებულების დამტკიცებასთან ერთად, საუკუნოდ დამტკიცდა მისი კეთილდღეობა და უშიშროება, რის გამოც მას შეუძლია დაეყრდნოს მისი იმპერატორობითი უმაღლესობის განსაკუთრებით კეთილმწადნელობასა და მოწყალებაზე"[130].

ვიცე-კანცლერის სიტყვა ა. მოურავოვმა ქართულად გადათარგმნა. შემდეგ გარსევანმა წარადგინა რწმუნების სიგელი, ხელზე ემთხვია იმპერატორ ეკატერინეს, სამჯერ მდაბლად თავი დაუკრა და შემოუბრუნებლად გამოვიდა საუდიენციო დარბაზიდან[131]. ამ აუდიენ-

---

[129] А. Цагарели, Грамоты.., т. II, вып. II, с. 49.
[130] იქვე, с. 50.
[131] იქვე, გვ. 48.

ციით დამთავრდა საქართველოს სახელმწიფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის ცერემონიის აქტი.

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი მინისტრი გ. ჭაეჭავაძე 1784 წ. სექტემბრის დამლევიდან შეუდგა თავისი ძნელი და საპატიო მოვალეობის შესრულებას. ეს იყო პირველი ქართული საელჩო სხვა ქვეყნის სახელმწიფო კარზე. ამდენად რეზიდენტის პრაქტიკული საქმიანობის ყოველმხრივი განვრეტა ქართლ-კახეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს, ცხადია, წინასწარ არ შეეძლოთ, მაგრამ ის წინდახედულება, რაც მათ გარსევანის კანდიდატურის შერჩევაში გამოიჩინეს, ცხადყოფდა, რომ კერძო შემთხვევაში საქმის წარმატება გ. ჭაეჭავაძის მოხერხებულობას, დიპლომატიურ ნიჭს, უნარსა და ალღოს უნდა განეპირობებინა.

რუსეთის სახელმწიფოს კარზე რეზიდენტის დანიშვნას მარტო დიპლომატიური მნიშვნელობა არ ჰქონდა. „რუსეთში მყოფი საქართველოს საელჩო სახელმწიფო მართვა-გამგებლობის ახალ წესებს ეცნობოდა. საქართველოში უფრო კარგად ირანისა და თურქეთის წესებს იცნობდნენ და ზოგჯერ მაგალითებსაც აქედან იღებდნენ. 1783 წლის შემდეგ კი ქართველი დიპლომატები პეტერბურგში არსებულ მდგომარეობას გაეცვნენ და ამის შედეგია სახელმწიფო მმართველობის რეფორმისათვის ინტენსიური მუშაობის დაწყება ჩვენში, თუმცა ამ მუშაობის ცხოვრებაში გამოსაყენებლად საქართველოს სახელმწიფოებრიობას თვითმპყრობელობამ აღარ დააცალა[132].

1783 წ. ტრაქტატი უდავოდ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ცხოვრებაში.

„საქართველოში — წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი — პროგრესისა და რეაქციის ძალთა გადამწყვეტი ჭიდილი იყო. ქვეყნის გამოხსნა-აღდგენის თუ დამონების საქმე წყდებოდა. რეაქციის ძალებს მხარში ედგათ და აქტიურად ეხმარებოდნენ ოსმალეთი და ერანი. ასეთივე დახმარება უნდა გაეჩინა პროგრესისათვის მებრძოლ ძალებსაც"[133].

ჯერ კიდევ „1771 წელს პროგრესისათვის მებრძოლმა საქართველომ თავის დამხმარედ (მფარველად) პროგრესული რუსეთი მოიწვია.

ასეთი პოლიტიკური კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის მხოლოდ 1783 წელს განხორციელდა ...

---

132 ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 151—152.

133 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, მნათობი, № 6, 1954, გვ. 138—139.

საქართველოს ისტორიაში ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი... ამ აქტით საქართველო გაემიჯნაზიურ (ოსმალურ-ყიზილბაშურ) ჩამორჩენილობას და გადაჭრით პირი მიიქცია პროგრესულ ჩრდილოეთისაკენ.

მეორე მხრივ, ეს აქტი იმის აღიარებაც იყო, რომ გარედან დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად, საქართველოს ღონე არ შესწევდა დაემარცხებინა რეაქციის ძალები და უზრუნველეყო ქვეყნის გამოხსნა-აღდგომის გამარჯვება.

არსებულ პირობებში ეს იყო საუკეთესო გამოსავალი, რომელსაც ერთადერთს შეეძლო ქვეყანა პროგრესის გზით ახალი ცხოვრებისაკენ წაეყვანა"[134].

მაგრამ, როგორც აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი წერს: „1783 წლის აქტის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურებოდა. **ეს იყო იმავე დროს საქართველოს დიდი ისტორიული დამსახურება ამიერკავკასიის ხალხთა წინაშე**"[135].

რუსეთის მფარველობა იმერეთზე ამ პერიოდში არ გავრცელებულა, რადგან იგი ოსმალეთის პოლიტიკური ბატონობის სფეროდ იყო მიჩნეული. როგორც ცნობილია, ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთმა სცნო ოსმალეთის ბატონობა დასავლეთ საქართველოზე. ამიტომაც იყო, რომ იმ ეტაპზე რუსეთს თავისი გავლენის შემდგომი გაფართოება ჯერ კიდევ არ შეეძლო. მიუხედავად ამისა, იმერეთის მეფე სოლომონ პირველი და დასავლეთ საქართველოს მთავრები ოსმალთა ბატონობას არ ცნობდნენ და ფაქტიურად მაინც ქრისტიანული რუსეთის მფარველობას აღიარებდნენ.

ტრაქტატი, გასაგებია, მოასწავებდა რუსეთის სახელმწიფოს დიდ გამარჯვებას ამიერკავკასიაში და ამდენად იწვევდა ასევე დიდ გაბატონებას კავკასიის საბოლოო დაუფლებისათვის მებრძოლ სახელმწიფოებს შორის. განსაკუთრებით შეშფოთებული იყო ირანი, რომელიც ქართლ-კახეთს თავის საკასალო ქვეყნად აღიარებდა. ასევე მოსვენება ეკარგებოდა ოსმალეთს, რომლის პოზიციები საბოლოოდ უნდა შერყეულიყო არა მარტო დასავლეთსა და სამხრეთ საქართველოში, არამედ კავკასიის მთიანეთსა და დაღისტანში. ამის გამო იყო, რომ ოსმალეთი და ირანი ემზადებოდნენ და ქართლ-კახეთის სამაგა-

---

134 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, მნათობი, № 6, 1954, გვ. 138—139.

135 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 248.

ლითო დასჯისათვის ძალებს აგროვებდნენ. საკმარისია ითქვას, რომ 1787 წ. დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის ომის ერთ-ერთი მიზეზი 1783 წ. ტრაქტატი იყო. იგივე მიზეზი ჰქონდა ავარიის ომარ-ხანის ჯარების შემოსევას 1785 წ. ქართლ-კახეთს მთელი სამაჰმადიანო აუმხედრდა, გახშირდა დაღისტნელ მომთაბარეთა თავდასხმები, ქართლ-კახეთის შიგნითაც ფეოდალური რეაქცია ამოძრავდა. მხოლოდ 1787 წ. რამდენადმე შეიცვალა ვითარება, როცა ოსმალეთთან ომი დაიწყო და საქართველოდან რუსთა ჯარი გაიყვანეს. ამის შემდეგ, თუმცა დროებით, ერეკლეს სახელმწიფომ შეძლო მეზობელ მტრებთან ზავის ჩამოგდება.

გარსევან ჭავჭავაძე პეტერბურგში მოღვაწეობის პირველ წლებში (1784—1788) ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ორივე მხარეს დაეცვა ტრაქტატის პირობები, ყოველმხრივ დაეახლოვებინა ეს ორი ქვეყანა.

1784 წ. 14 დეკემბრის წერილით საქართველოს სრულუფლებიანი მინისტრი გ. ჭავჭავაძე გ. ა. პოტიომკინს თხოვდა ერეკლე მეფის ნათესავის თავად ბარათაშვილის შეწყალებას (ჭაბუკი თავადი ბარათოვი ჩადენილი დანაშაულისათვის დათხოვილი იყო გვარდიის სემიონოვსკის პოლკიდან — ზ. ც.), შეახსენებდა რა მას, რომ „ჯერ კიდევ „პავლე სერგეევიჩის პოტიომკინისაგან ოდეს ტრახტატის დაბეჭდვის დროს სრული ძალის მქონეველთ საქართველოს ელჩებთან, რომლის რიცხვში მეც თანაზიარი. ვიყავ, მეფის მაგიერათ ვითხოვეთ მისი შეწყალებაო“[136].

ჯერ კიდევ პეტერბურგში ჩასვლამდე, 1784 წ 6 აგვისტოს წერილით გ. ჭავჭავაძემ გ. ა. პოტიომკინს გააცნო საქართველოსა და ამიერკავკასიის უკანასკნელი ხანის მოვლენები. შემდეგში ასეთი ინფორმაციების გადაცემა ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრის მიერ თვით იმპერატორისადმი, რუსეთის სახელმწიფოს გავლენიანი პირებისა და საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი საელჩოს მოღვაწეობის მთელ სიგრძეზე რეგულარულად წარმოებდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი მინისტრის გ. ჭავჭავაძის მოღვაწეობიდან (1784—1785 წლებში) ჩანს, რომ იგი თავდაპირველად ამიერკავკასიის საკითხების ინფორმატორის როლში გამოდიოდა და რუსეთის სახელმწიფოს მესვეურებისათვის ქართლ-კახეთის სახელმწიფოს თვალსაზრისის წაყენებით კმაყოფილდებოდა. ასე გრძელდებოდა 1785 წლის ზაფხულამდე, როცა გახშირდა აღმოსავლეთ საქართველოზე მტრული ძალების გამოხდომები. ამოძრავდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობელი დაღისტნელი ფეოდალები და მაჰმადიანური

---

[136] საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2915.

სახანოები, განსაკუთრებით გააქტიურდა ახალციხის სულეიმან-ფაშა. როგორც სამართლიანად შენიშნავს აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი: „1784 წელს ოსმალეთს აღმოსავლეთში უმთავრესად საზრუნავი საქართველოს საკითხი აქვს ... ქართლ-კახეთსა და ოსმალურ საფაშოებს შორის ფაქტიური (თუმცა არა ოფიციალური) ომია"[137]. როგორც ჩანდა, საქართველოს სახელმწიფო მესვეურებს ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ რუსეთი ადვილად შეძლებდა მის მფარველობაში შესული ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვას. ამის გარანტია იყო მფარველობითი ტრაქტატის დადების საზეიმო ცერემონიალი და რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართველ წარმომადგენელთა დიდი პატივით მიღება. ჩანდა, რომ რუსეთის იმპერიის მმართველი პოლიტიკური წრეები საქართველოს საკითხით ფრიად დაინტერესებულნი იყვნენ. ამ გარემოებამ, საფიქრებელია, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ერთგვარი ილუზიები შექმნა, რომ რუსეთის სახელმწიფო კარი ტრაქტატით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რაიმე გართულებების გარეშე გადაჭრიდა და საქართველოს ბოლოს-დაბოლოს ნანატრი სიმშვიდე დაუდგებოდა. ასეთ მოსაზრებას ადასტურებს პეტერბურგიდან გარსევანის მიერ საქართველოში, გაიოზ არქიმანდრიტისადმი, 1785 წ. გამოგზავნილი წერილი, „ასე მგონია. აქაური ან მადაური. რჩევაც სხვა. და სხვა. იყოს. ამით. ვიცი. რომ მად რომ ვიყავ სხვა. რიგად. ვხედავდი. და ახლა. სხვა რიგად ვხედავო"[138].

მეფის რუსეთმა ვერ შეძლო საქართველოსადმი 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატით აღთქმული დახმარების აღმოჩენა, რადგან მას ამ დროს მრავალი მოსაგვარებელი საქმე აღმოუჩნდა როგორც ევროპაში, ისე კავკასიის ხაზზედაც, ამიტომ საქართველოს საკითხმა მის პოლიტიკაში მეორეხარისხოვანი ადგილი დაიკავა.

1785 წ. აპრილში გ. ჭავჭავაძემ გ. ა. პოტიომკინს ორი მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საქართველოდან 1727 წელს რუსეთში საიდუმლოდ წაღებული წმინდა ნინოს ჯვარის დაბრუნების თაობაზე (წმინდა ნინოს ჯვარი რუსეთში ბაქარის ჩამომავლობას ჰქონდა შენახული). პირველ წერილში გ. ჭავჭავაძე აუწყებს გ. ა. პოტიომკინს, რომ რუსეთში მყოფი ბაქარის ძენი და ძის ძენი ქონების გამოყოფას აპირებენ და „ნებავსთ რათა გაინაწილონ ყ~დ რაიცაღა აქუსთ, და ვინათგან ჯვარი-

---

[137] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საანგარიშო მოხსენება (მოსკოვ-ლენინგრადში სამეცნიერო მიელინებისა 1946 წ.), „მიმომხილველი", ტ. 1, თბ., 1949, გვ. 341—342.

[138] საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2874.

ცა ესე არს სახლსა შ-ა მათსა არ მიეცეს განაწილებას"[139]. მეორე წერილში — გარსევანის ვრცელ მოხსენებაში გადმოცემულია წმინდა ნინოს მიერ ქართველთა მოქცევის ისტორია. წერილი, რომელიც უშუალოდ გარსევანის მიერაა დაწერილი, საქართველოს წარსულის ღრმა ცოდნასა და მისი ავტორის დიდ განსწავლულობას ამჟღავნებს. ამ დოკუმენტში მოთხრობილია, თუ როდის და ვის მეფობაში მიიღო ქრისტიანობა საქართველომ, როგორ განაშორა ამ ჯვარმა ქართველნი არმაზისა და ზადენის კერპთაყვანისმცემლობისაგან. ეს ჯვარი, რომელიც ქართველი ხალხის პირველი სალოცავი იყო ვახტანგ VI რუსეთში წასვლის შემდეგ, ოსმალობის დროს „შიშისაგან წარმართისა დაკრძალეს წმინდა იგი ჯვარი სიმაგრესა არაგვისასა ხევის ეკლესიასა ფერიცვალებისას"[140]... შემდეგში, სახელდობრ 1727 წელს არქიერმა რომანოზ ერისთავმა წაიღო ხსენებული ჯვარი რუსეთში და ჩაუტანა ქ. მოსკოვში თავის დას, ბაქარის მეუღლეს ანნას. გარსევანი რომანოზის ამ მოქმედებას ჰკიცხავს და გ. ა. პოტიომკინს უტყუარი ფაქტებით უსაბუთებს, რომ წმინდა ნინოს ჯვარი მთელი ქართველი ხალხის საზოგადო საკუთრებაა და იგი ბაგრატიონებს არ ეკუთვნითო. „უკეთუ მივა ჩემ მიზეზსა ამის ყ-დ ჯვარი ვაზთაგან სამეფოსა მტილისათა არს შემზადებული, ესე იქმნა ჟამსა მირიან მეფისა ხოსროიანთასა და ჯერეთ არ იყო გვარი ბაგრატოვანთა, ვ-ა გარჩევით ზემორე აგვიწერია და არა მხოლოდ მეფე და სახლეული მეფისა შეიქცა ჯვარით მით ა-დ ზოგად ყოველი ერი საქართველო და ამით არა არს ჯვარი იგი სამეფო ა-დ საზოგადო"[141]. გ. ჭავჭავაძე შუამდგომლობას თხოვს გ. ა. პოტიომკინს იმპერატორთან, რათა „უკეთუ შესაძლებელ იყოს", წმინდა ნინოს ჯვარი ისევ თავის მამულში, საქართველოში, დააბრუნონ, რითაც დიდათ გაახარებთ მთელ ქართველ ხალხსო[142].

1785 წ. 30 მაისის მოხსენებით ბარათში გ. ჭავჭავაძე ატყობინებდა გ. ა. პოტიომკინს, რომ მან მიიღო მისი სიმაღლის ერეკლეს წერილი და „ყოველი აზრი" დააყენა (თუმცა მოსახსენებელი ბევრი რამ ჰქონდა გ. პოტიომკინთან). წერილში ერეკლე II გარსევანს ატყობინებდა საფრანგეთის ელჩის მიერ რუსეთის საწინააღმდეგოდ ირანში გაწეული აგიტაციის შესახებ. „სიცოცხლესა შ-ა ალიმურად ხანისას, დროს ოდეს იმყოფებოდა ქალაქს შ-ა თეჰრანს, მოიწია ელჩი ფრანცუცის ესრეთის წიგნითა და შემოთვლილობით, ვ-დ რუსები რომ ადირბეჯინის მხარეს იჭერენ რატომ ანებებ და ჯარით არ ეწინააღმდეგები, და

---

139 საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2856.
140 იქვე, საქ. 2854, ფ. 2.
141 საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2854, ფ. 2.
142 საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2854, ფ. 2.

თუ ახლა თავს არ შეიდებ ბოლოს გამოშვებული საქმე უმეტეს დაგიმძიმდება და ინანებ ამისთანა საქმეში მოექცევი"[143]. საქართველოს ელჩმა ერეკლეს ეს შეტყობინებაც სასწრაფოდ აცნობა რუსეთის სახელმწიფო კარს „შვილებრივითა ვალითა ჩემითა რუსეთისადმი ჟამის დაუკარგავათ მომიხსენებია თქვენს უგანათლებულესობის ყდ ჭტ-ის... გასასინჯავათ"[144].

26 ივნისის წერილით გ. ჭავჭავაძემ გ. ა. პოტიომკინს აცნობა საქართველოს მდგომარეობა და სამხედრო დახმარება მოითხოვა. ქართველ ელჩს საქართველოდან მიღებული ჰქონდა საბუთები, რომლითაც აშკარა ხდებოდა, რომ თურქეთი ქართლ-კახეთის წინააღმდეგ რაზმავდა მეზობელ მაჰმადიან მფლობელებს. „რომელმაც ფაშის ხაზინა ქათიბმა ადრიბეჟანის ხანებსა და დაღისტნის უფროსებს ხონთქრის ფარვანი და ფეშქაშები მოუტანდა, ის ისევე გაბრუნდა და იმას კაცნი და წიგნები გაატანეს. ესენი არიან ისმიმა შამხალმა, ქუნძაჯის ხანმა ფალათიხანმა, შამახის ხანმა აჰმადხანმა და ურუმიის ხანმა და იბრეიმ ხანმა. ამათ ასრე განუზრახავთ ოსმალნი, ადრიბეჟანის ხანები, დაღისტნელი და ჭარელნი ჩვენზედ შეთქმულან და ასრეც გვესმის ასრე ჰქონდესთ განზრახვა: ერთის მხრიდამ ოსმალნი მოვიდნენ, ერთის მხრიდამ დაღისტნელნი და ჭარელნი და ერთის მხრიდამ ადრიბეჟანის ხანები"[145]... ჭარელებმა ყაზახი ააოხრეს (გ. ჭავჭავაძის სამოურავო — ზ. ც.) და 7000 ძროხა წაასხესო. „საქართველოს გარემოების ამბავი ამჟამად ეს არის რომელიც რომ მოგვიხსენებია და აწ ითხოვს უმაღლესობა მეფისა... რათა გამოაცხადონ თქვენგან აღქმული ნუგეშინის ცემა და იზრუნვოთ ამ ჟამად კმა საყოფელი ჯარი ვითხოვოთ შესაწევნელად... ამისი საჭირო პასუხი მივიღო"[146]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ტრაქტატის გაფორმების დროს გეორგიევსკში და, ამჟამადაც, საქართველოს საელჩოს პეტერბურგში მოღვაწეობის პერიოდში ქართველი ელჩის მთელ საქმიანობას წითელ ხაზად გასდევს მცდელობა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის რუსეთის სამხედრო დახმარების აუცილებელი მიღების შესახებ. ეს ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი იყო საქართველოს სრულუფლებიანი მინისტრისა რუსეთის საიმპერატორო კარზე მისი მოღვაწეობის თითქმის მთელს (1784—1801 წლების) მანძილზე.

ჩვენ ხელთ არსებული მასალები გვიჩვენებენ, რომ საქართველოს სრულუფლებიანი მინისტრის გ. ჭავჭავაძის მოღვაწეობა და საქმიანო-

---

[143] ი. ც ი ნ ც ა ძ ე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 239.

[144] იქვე.

[145] იქვე, გვ. 240—241.

[146] იქვე, გვ. 241.

ბა მთლიანად ქართლ-კახეთის სამეფო კარის დირექტივებს ექვემდებარებოდა, მაგრამ მას წართმეული არ ჰქონდა პირადი ინიციატივის გაბედვის უფლება; პირიქით, იგი მოვალეც იყო თავისი შეხედულება გამოეთქვა და რჩევაც მიეცა ქართლ-კახეთის სამეფო კარისათვის. ქვემოთ ჩვენ საშუალება გვექნება მრავალჯერ მოვიყვანოთ ამის მაგალითები.

ვიდრე საქართველოს სამეფოს მესვეურები იმედოვნებდნენ რუსეთის სამხედრო თუ ფულადი დახმარების მიღებას (თუმცა ეს იმედი მათ არასოდეს არ გადაუწყვეტიათ შემდეგ დროსაც), ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრი განსაკუთრებით მწვავედ არ სვამს საკითხს რუსეთის საიმპერატორო კარის წინაშე. მდგომარეობა იცვლება 1785 წლის II ნახევრიდან, როცა რუსეთმა საქართველოს ვერ გაუწია სათანადო დახმარება. გ. ჭავჭავაძის წერილებსა თუ მოხსენებით ბარათებში ამის შემდეგ იგრძნობა მეტი სიმწვავე საქართველოსადმი რუსეთის დახმარების გაწევის აუცილებლობის მრავალმხრივი არგუმენტებით დასაბუთება (ტრაქტატზე დაყრდნობით), ზოგჯერ კი პირდაპირ უკმაყოფილებაც (რა თქმა უნდა, ზრდილობიანი ფორმით) მფარველისადმი ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

ქართლ-კახეთის საელჩოს და მის სრულუფლებიან მინისტრს პეტერბურგში ბევრი საჭირბოროტო საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი. ამ საქმეს იგი დიდის გულმოდგინებით ასრულებდა.

გაიოზ არქიმანდრიტისადმი 1785 წ. 7 ივნისის პეტერბურგიდან თბილისში გამოგზავნილ წერილში გარსევანი აღნიშნავდა: „... აქ დრო დიახ ძნელი საშოვნელია, დროს მისხით ყიდულობენ, იქნებ... გეგონოს აქ შექცევაში და სეირში ვიყო, ასე გასინჯე შენმა მადლმა ჯერ არც მინახავს კუცკამერი, არც ცარსკისელო, არც პეტრეღოფი, არც კრანშტატი და არც ზღვის ნაპირები“[147]. ეს ღირსშესანიშნაობანი იმდროინდელი პეტერბურგის პირველი სანახავი ადგილები იყო. გარსევანი საზაფხულო სასახლისა და ბაღის ახლო ცხოვრობდა და იქ ხშირად დადიოდა ხოლმე. ამავე წერილში გარსევანი ატყობინებს გაიოზს, რომ ეს წიგნი დაწერილი იყო, როცა „პეტრეღოფის და კრანშტატის სანახავად წავედით. ისიები ვნახეთ, ჯერ ცარსკოესელო კი არ გვინახავსო“[148]. თუ რით იყო გადატვირთული ქართლ-კახეთის ელჩი პეტერბურგში, ამ სურათის აღდგენა ნაწილობრივ შესაძლებელია. ცარიზმის იმდროინდელი ბიუროკრატიული სამოხელეო აპარატის პირობებში გ. ჭავჭავაძეს უხდებოდა უმნიშვნელოვანეს საქმეებზე-

---

[147] საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2875.

[148] იქვე.

დაც კი (რომლის გადაჭრის დაყოვნებას დრო არ ითმენდა) სხვადასხვა პირების მრავალჯერ შეხსენება[149]. ეს კი საქმის წინსვლას აფერხებდა და ქართველ ელჩს დიდ დროს ართმევდა. საქართველოდან წერილს წერილზე უგზავნიდნენ გარსევანს და ზოგჯერ უმოქმედობასაც უსაყვედურებდნენ. დიდ დროს ართმევდა გარსევანს აგრეთვე რუსულად საქმის წარმოებაც (საქართველოდან მოსული კორესპოდენციების ნაწილი მას ქართულიდან რუსულ ენაზე უნდა ეთარგმნა და ისე წარედგინა სათანადო ადგილას), ამ დროისათვის კი მას ხეირიანი თარჯიმანი არ ჰყავდა. ამის გამო გარსევანი საყვედურობდა გაიოზს: „ამ გაბრიელას (თარჯიმანი — გაბრიელ გალეგოვი — ზ. ც.) გამოსტუმრება რა მოხდა, ყ^ლთვის ეგრე იცით ცუდი საქმის გულისათვის მრავალჯერ დიდ საქმეს უკან დააყენებთ, ერთი კაცი იყო გამოვისტუმრებდი ... იმთენი შ^ი მადლი შენეწიოს, რამდენი კაი საქმე უკან დადგა“ ...[150] ამავე საკითხზე 1785 წ. 7 ივნისის მოხსენებაში აი რას სწერს პეტერბურგიდან გ. ჭავჭავაძე ერეკლეს: „მოხსენდეს თქვენს სიმაღლეს, რომ უენობამ ბევრი დამაკლო. მოენე სრულებით არავინა მყოლია, და თუ ვიშოვნიდი ოდესმე ასეთი იქნებოდა ვინმე, რომ მართებული ლაპარაკი ძნელად იქნებოდა“[151]. ახალციხისა და ლეკების თარეშის გაძლიერების შესახებ ერეკლეს შეტყობინების მოხსენება რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში გარსევანს ძლიერ გასჭირვებია: „იმ ჟამათ ასე საქმე გამიჭირდა, რომ პაპოვს ჩემის პირით ველაპარაკე ზოგი სიტყვითა, ზოგი ხელის ნიშნებით ძლივს შევატყობინე“[152]. გარსევანი მოახსენებს ერეკლეს, რომ მას აუცილებლად უნდა ჰყავდეს: „ერთი მოენე... რომელსაც თქვენი სიმაღლე ენდობოდეს“[153]. უამისოდ კი საქმის წარმოება ძნელია და ნება თქვენი სიმაღლისა იყოსო[154]. შემდეგ, როგორც ცნობილია, თარჯიმან გაბრიელ დალეგოვის დაგვიანების გამო გ. ჭავჭავაძე იძულებული იყო თარჯიმნად პეტერბურგში მცხოვრები ქართველი სიმონ ეგნატაშვილი აეყვანა[155]. გარსევანი ბევრს მუშაობდა: კითხულობდა გაზეთებს, ეცნობოდა რუსეთისა და საერთაშორისო პოლიტიკის ამბებს. იმავე 1785 წლის 7 ივნისის წერილში იგი გაიოზ არქიმანდრიტს სწერდა: „გაზეთების

---

149 იხ. А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, СПб, 1898, с. 117, 160—161.

150 საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2875.

151 იქვე, საქ. 2876.

152 იქვე

153 იქვე.

154 იქვე.

155 ი. ციანცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 147; ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. 4, л. 142.

სამდურავი მოგიწერიათ, მომირთმევია აპრილისა და მაისისა. თუ ამ წამამსვლელმა წამოიღო, თუ გინდა მთელი წლის გაზეთებს გამოგიგზავნი, რომ თარგმნა ვეღარ შეიძლო"[156].

1786 წელს პეტერბურგში გამოვიდა იაკობ შამიროვის სომხური ენიდან რუსულ ენაზე თარგმნილი წიგნი სათაურით:

„მოკლე ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა სომეხთა სამეფოსი და მათი ძველი მწერლობისა, ვითა ნამდვილი წყაროებისა, შეგროვებულია და ინდოეთში სომხურ ენაზე გამოცემულია იაკობ შამიროვის მიერ, ხოლო ამჟამად სომხურიდან რუსულ ენაზე გადმოთარგმნილია პოდპორუჩიკ ვარლამ ვაგანოვის მიერ"[157].

წიგნის ხელმომწერთა შორის, რუსეთის ისეთ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა, დიპლომატთა და სამხედრო პირთა შორის, რომელიც იყვნენ ბეზბოროდკო, ა. სუვოროვი, მ. კუტუზოვი, დ. ორლოვი გორიჩი, ისტორიკოსი მილერი, სომეხი სახელოვანი მოღვაწეები (ლაზარევი და მანუჩაროვი), ექიმი რაინეგსი და სხვა მრავალი, იყო აგრეთვე ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი ელჩი გარსევან ჭავჭავაძეც[158].

განსაკუთრებით საინტერესოა ისიც, რომ ჯერ კიდევ 1785 წლის 13 იანვარს სომეხთა არქიეპისკოპოსი იოსები (არღუთინსკი-დოლგორუკოვი) ასტრახანიდან გაგზავნილი წერილით სთხოვდა პეტერბურგში მყოფ რაინეგსს, რომ მას სომეხთა სახელით ეშუამდგომლა გარსევან ჭავჭავაძესთან, რათა ამ უკანასკნელს იმპერატორთან ეკისრა შუამდგომლობა — „ახლა ამას ვითხოვ თქვენ მის უმაღლესობას ელჩთან (ერეკლე II ელჩ გარსევან ჭავჭავაძესთან — ზ. ც.) ილაპარაკო, რომ ჩვენ უწმინდეს პატრიარქს ნება აქვს მაგის სახელით წიგნი მიართვას იმპერატორს"[159]... და პოტიომკინებსაც (პ. ს. და გ. ა. პოტიომკინებს — ზ. ც.) შეატყობინე, რომ იმათაც უთხრან ელჩს. ეს იქნება თქვენი დამსახურება ეჩმიაძინის ტახტის წინაშეო[160]. ამრიგად, გარსევან ჭავჭავაძე სომეხ მოღვაწეთა ყურადღებასაც იმსახურებდა და მისი წარმომადგენლობითი ფუნქციები საქართველოს ფარგლებს სცილდებოდა.

საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ „მინისტრ-რეზიდენტებს, ჭავჭავაძეს და ბურნაშევს, პირველს რუსეთში, ხოლო მეორეს საქარ-

---

[156] საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2875.

[157] А. Р. Иоаннисян, Россия и армянское освободительное движение 80-х годах XVIII столетия, Ереван, 1947, с. 176.

[158] იქვე, გვ. 177.

[159] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Н—609, წერილი 23, ფურც. 109.

[160] იქვე.

თველოში სხვა მნიშვნელოვანი საქმეებიც უნდა მოეგვარებინათ. მათ დაზვერვის ორგანიზაციაც უნდა მოეწყოთ"[161].

აღნიშნულ საქმეს გარსევანი დიდ ყურადღებას უთმობდა. გარსევანის ეს საქმიანობა თვალნათლივ ჩანს ერეკლე მეორისა და გაიოზ არქიმანდრიტის სახელზე პეტერბურგიდან საიდუმლოდ გამოგზავნილ წერილებში.

1785 წლის ივნისში გარსევან ჭავჭავაძე ერეკლე II-სადმი საიდუმლოდ გამოგზავნილ მოხსენებით ბარათში აფრთხილებს მეფეს, რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელი ომის შესახებ, და თხოვს საიდუმლო მიმოწერისათვის სათანადო ანბანის გამოგზავნას.

„უმაღლესო მეფეო. ჭორად. ამ ერთის პოლკის გარდმოსკლისა ვგონებ სხვა პოლკებიც გარდმოვიდეს. ამას რაც მოუნდება თქვენვე იცით. აქ ჯერ ჩურჩულსავით ისმის და ეს ჯმა არ გამართლებულა, მითამ ამათსა და ოსმალთ შუა არეულება გამოცხადებას აპირებდეს. თუ ეს ასრულთ მოხდებოდეს, სჯობს რომ ჩვენი საქმე უფრო მძიმედ დავიჭიროთ და ჟამი არ დავკარგოთ და ყოველთვის სუმბუქათ არ გავიჯდიდეთ. ეს ამბავი ოსმალთ მხრიდამაც კარგად შეიტყობა, იქაურს ამბის შეტყობინებას ეცადენით. რა ვქნა, ზოგიერთის მოხსენებისა წადილი მაქვს, მაგრამ სარწმუნო არა ვარ, რომ ამ წიგნებს ჩვენს მეტი ვერავინ ნახევდეს. ეჭვი მაქვს, რომ არამც შუაზედ სხვანიც განიხილავდნენ ხოლმე და ამ მიზეზით ყველა ვერ დამიწერია, თუ ინებებთ სხვა ანბანი მიბოძეთ"[162]. გარსევანი სთხოვს ერეკლეს აცნობოს მას, თუ როგორი პირი უჩანს მოსავალს, რა ფასად შეუძლიათ ქართველებს რუსის ჯარისათვის პურის მიცემა, რამდენი ჯარი დასჭირდება ერეკლეს და იგი რუსეთის შესამატს რას იმოქმედებს. გარსევანი აფრთხილებდა ერეკლეს, რომ არც ბურნაშოვი და არც პაველ პოტიომკინი „რაც აქიდამ არ გარიგდება და არ ებრძანება იმას გარდა არას შემძლებელნი არიან. რაც მოგხსენდებათ სულ პოლიტიკა არის და ეს მოხსენება თქვენმა სიმაღლემ კარგად განმარტოს"[163].

გარსევანი ერეკლე II-ს აცნობებდა, აგრეთვე, რომ იმპერატორი ეკატერინე უეცრად მოსკოვში წაბრძანებულა, იქაურის ამბების დასახედავად და ისევ მალე დაბრუნდება პეტერბურგში, მას თან ახლავენ ავსტრიის, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩები[164].

გ. ჭავჭავაძე მოხსენებითი ბარათების შედგენისას (რომლებსაც

---

161 ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 142.

162 იქვე, გვ. 243.

163 იქვე, გვ. 244.

164 იქვე (ეს წერილი ხელში ჩაუვარდა ცარიზმის ჯაშუშებს სიმონ ეგნატაშვილსა და ბართლომე საკარსიმიძეს. იხ. ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 244, შენიშვნა).

იგი უგზავნიდა როგორც ერეკლე II-ს, ასევე იმპერატორ ეკატერინეს, საგარეო საქმეთა კოლეგიას თუ რუსეთის სხვა გავლენიან პირებს) დიდ დახელოვნებას იჩენდა. იგი აზრს გადმოსცემდა ლაკონიურად და ყოველთვის იმ საკითხს უსვამდა ხაზს, რომელიც მიმდინარე მომენტში ყველაზე აქტუალურად გამოიყურებოდა როგორც მისი ქვეყნის (საქართველოს), ასევე რუსების ინტერესებისათვისაც. გარსევანი არა მარტო საქართველოდან მიღებულ ინფორმაციებს გადასცემდა ხოლმე რუსეთის მთავრობას, არამედ, თავის მხრივ, საქართველოში აგზავნიდა ცნობებს საერთაშორისო ამბების შესახებ, რაც საქართველოს საელჩოს პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა. როგორც ჩანს, ქართველი პოლიტიკური მესვეურების მიერ ტრაქტატის მე-5 მუხლში შეტანილი რუსეთის საიმპერატორო კარზე მინისტრ-რეზიდენტის საჭიროება, ქართველი ელჩის მეშვეობით, საერთაშორისო მოვლენების ყურადღების ცენტრში ყოფნასაც ითვალისწინებდა.

1785 წ. 7 ივნისს ერეკლე II-ადმი გაგზავნილ უმდაბლეს მოხსენებაში გარსევანი ადასტურებდა ერეკლეს მიერ მარტისა და აპრილის თვეებში პეტერბურგში მის სახელზე „მოწერილი წიგნების“ მიღებას, რომლებსაც მასში, ერთი მხრივ, მწუხარება, ხოლო, მეორე მხრივ, სიხარული გამოუწვევია. მეფის ყველა მითითება გარსევანს გაუთვალისწინებია, მაგრამ იმ საკითხებზე, რომელთა მოხსენების დრო მაშინ არ ყოფილა, დადუმებულა („იმაზე ლაპარაკი ახლა არას გვეხმარება და ვდუმებ“ ...). „და რ˜ლიც საქართველოსი ლეკთა და თათართაგან ტყუენია და აოხრება მესმა, რისთვისაც დიდათ მწუხარე შევიქენ... მოხსენდეს თქვენს უმაღლესობას რ˜ლიც ჩემგან ცდა შეიძლებოდა ანშეიძლებაარც დამიკლია და არც დავაკლებ, რისაც მოქმედებულის ნაყოფი ზოგი ვგონებ აქამდინაც გამოცხადებოდა მანდ“[165] (ხაზი ჩემია — ზ. ც).

როგორც გარსევანის ერეკლესადმი საიდუმლოდ გაგზავნილი წერილის განხილვამ დაგვანახა, ეს „მოქმედებულის ნაყოფი“ საქართველოში რუსეთის ჯარის დამატებითი პოლკების შეყვანა ყოფილა (ამ აზრის სისწორეს გარსევანის შემდგომი წერილები უფრო ასაბუთებენ). გარსევანი მოახსენებდა ერეკლეს, რომ მათი დიდებულება იმპერატორი ეკატერინე II მაისის 24-ს (ე.ი. 1785 წლის 24 მაისს) ცარსკოე სელოდან ნოვგოროფის (?) მხრისაკენ წაბრძანებულა და 17 ან 18 დღეში კვლავ ცარსკოე სელოში დაბრუნდება. ამ მგზავრობაში ეკატერინე მეორეს მისი პირველი ფავორიტი გ. ა. პოტიომკინიც („სვეტლეიში კნიაზი“) თან ხლებია, ხოლო ახალდაქორწინებული პ.

---

[165] საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2876, ფურც. 1.

პოტიომკინი მათ დაბრუნებას პეტერბურგში ელოდებოო[166]. ამის შემდეგ, გარსევანი დასძენს: „როცა რომ იმისი დიდებულება მობრძანდება კნიაზიც თან მოჰყვება, მაშინ ჩვენი საქმე სრულებით გადასწყდება, და პავლე სერგეევიჩიც სრული საქმით წამოვა და მაშინ ყველა ნათლად მოგხსენდება“[167]. განჯისა და ერევნის საქმეებზე, — სწერდა გარსევანი ერეკლეს, — ამჟამად მე არ მაქვს რჩევის მოცემის საშუალება, როგორც სჯობდეს ისე იმოქმედეთო[168]. ამასთანავე, გარსევანი კიდევ ერთ რჩევას მოახსენებდა ერეკლეს: „ამ ჟამად ჩ᾽ი რჩევაც და მოხსენებაც ეს არის, რომ პურისა ასეთი ბინა დასდვათ, პურით მდიდარნი იყუნეთ დღე ყ᾽ლ პურსათვის არა ზრუნვიდეთ“[169], ვინაიდან რუსეთის ჯარი (რომელიც რუსეთს უნდა გამოეგზავნა საქართველოში) საკმაო რაოდენობის პურის დამზადებას საჭიროებდა. გარსევანი სთხოვდა ერეკლეს ძალიან გარჯას, რადგან საქართველოს ბედნიერების „მოყვანის საფუძვლად“ რუსეთის მიერ საქართველოში დამატებითი პოლკების შეყვანაში ხედავდა. გარსევანს სურდა, სურსათით ისე კარგად ყოფილიყო მომარაგებული რუსის ჯარი, „რომ ამაზედ ყველრება არა მივიღოთ რა, მე ამ აზრზედ ასე განკაცრებით ამიტომ ვლაპარაკობ, რომ პირველი ესე საქმის ბ ე დ ნ ი ე რ ო ბ ა ს ა ქ ე დ ა ნ მ ო ვ ე ლ ი თ და მ ე რ ე ე ს ე ა მ ა ზ რ ზ ე ბ ე ვ რ ი ყ ვ ე დ რ ე ბ ა მ ი მ ი ღ ი ა და ბ ე ვ რ ი ლ ა პ ა რ ა კ ი გ ა რ დ ა მ ხ ე დ ი ა“ (ხაზი ჩემია — ზ. ც.)[170]. გარსევანი მოახსენებდა ერეკლეს, რომ მან პ. პოტიომკინს გადასცა მაჰმად-ხანის, აბაზ-ყული-ხანისა და მაჰმად-ხანისაგან „მოწერილი წიგნის პირები“, რომლებიც ვ. ს. ტამარას დაბრუნებაზე იუწყებოდნენ. დასასრულ, გარსევანი ატყობინებდა ერეკლეს: „სტანბოლს პ᾽ლი ვეზირი გამოუცვლიათ, სხვა ახალი ფაშა დაუსვამთ“[171].

გ. ჭავჭავაძე ანალოგიურ წერილს (1785 წ. 7 ივნისით დათარიღებულს) უგზავნის გაიოზ არქიმანდრიტს. ამ წერილიდან ირკვევა, რომ ბატონის (ე. ი. ერეკლეს) წერილი გარსევანისათვის დავით ჯიმშერიშვილს ჩაუტანია. ქართველი ელჩის მთავარი საზრუნავი კვლავ საქართველოში რუსთა ჯარის დროული გამოგზავნა იყო. პეტერბურგში მომხდარი ამბების მოკლედ აღწერის შემდეგ, იგი გაიოზს სწერდა: „პოლკი მგონია აქამდინ გადმოვიდოდა, იმისნი მოვალენი ხართ, რომ ეცადეთ პურზე არ აჩივლოთ, თორემ მაგათ თუ პურზედ ნაკლუ-

---

[166] საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2876, ფურც. 2.
[167] იქვე, ფურც. 3.
[168] იქვე.
[169] იქვე, ფურც. 4.
[170] იქვე, ფურც. 3.
[171] იქვე, ფურც. 4.

ლევანება მიეცათ, ბევრი საქ) უკან დადგება, მაგათის აფიცრებისა და შტაფაფიცრებისა არც ჯამაგირის მიცემის მოვალენი ხართ, და არც საჩუქრისა, არც არავინ დაგიმადლებსთ, მაგათი პურის ჭმევის მოვალენი კი ხართ, რომ გასასყიდი პური უშოოთ და აქამოთ, ყ˜ლი საქმე ამ აზრზე არის დამოკიდებული"[172]. გარსევანი აფრთხილებდა გაიოზს, ამ საქმეს დიდი სერიოზულობით მოეკიდონ, ვინაიდან ეს საქმე „მსუბუქად და ადვილად არ იქნება, ძალიან გაჭირა უნდა, ამქამათ ჩ˜ი პ˜ლი და უკანასკნელი მოწერა ეს არის"[173].

რუსის ჯარისათვის საჭირო სურსათის მომზადებაში გარსევანის მცდელობას და ღვაწლს ჩვენ წყაროებში შემდეგშიაც შევხვდებით. როგორც საბუთებიდან ირკვევა, რუსის ჯარისათვის საქართველოში სურსათის შესყიდვის სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ მართალია რუსეთის მთავრობა ფულს იხდიდა პურის დამზადებისათვის, მაგრამ ეს ფასი მტკიცედ იყო განსაზღვრული შტატით, მაშინ, როცა ამ დროს ქართლ-კახეთში პური რამდენჯერმე უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში. ამიტომ რუსის ჯარისათვის პურის შესაძენად გამოყოფილი თანხით საჭირო რაოდენობის სურსათის შეძენა ბრკოლდებოდა[174].

ამავე წერილში გარსევანი აცნობებდა გაიოზს, რომ „აქაურს ზოგიერთს ამბავს ბატონის წიგნიდან სცნობთ ... ყაზახთ არეულობის ამბავი რომ მოგეწერა, შ˜ნს წიგნს უკან კიდეე სხვა ანბავი მომივიდა, მაგათი ფიქრი ახლა ჩემს თავში არ არის, რომელიც მაგათი სიმაღლის შესამატი იყოს ღ˜ნ ისე გამოქმედოსთ, ჩ˜ი თავი ახლა სხვა ფიქრებით არის სავსე, მაგათთვის არ მცალიან" ...[175] გარსევანი ისე ყოფილა დაინტერესებული ამ საქმით, რომ მას თავისი სამოურავო ყაზახის აყრაც აღარ აინტერესებდა. რა „საქმე" იყო ეს? აღნიშნულ საბუთში საკმაოდ არის გაცემული პასუხი ამ კითხვაზე. ეს „საქმე" ქალაქ განჯას შეეხებოდა (როგორც ცნობილია, ქალაქი განჯა ერეკლე II-სა და შუშის იბრაჰიმ-ხანს სანახევროდ ეპყრათ). „განჯის საქმეს უფრო სხვა რიგად ელოდნენ ესენი (ე. ი. რუსები — ზ. ც.), ასე ეგონათ საკუთრად ბატონს დარჩებოდა, რომ გაიგონეს ისევ სანახევრო ყოფნა, ვინც რომ ჩვენ საქმეში არიან, ეწყინათ"[176]. გ. ჭავჭავაძე შეახსენებდა გაიოზს, რომ განჯაში მდგომარეობა მანამდე არ დაშოშმინდება,

---

[172] იქვე, საქ. 2875.
[173] იქვე.
[174] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, გვ. 170 (მაგ., მაშინაც კი, როცა თბილისში ფუთი პური 2 მან. ფასობდა, რუსეთის ჯარი ფუთ პურს მაინც 45 კაპიკად ყიდულობდა ქართველებისაგან).
[175] საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2875.
[176] იქვე.

ვიდრე იმ კაცს[177], რომელიც ქ. განჯის საქმეზედ „[მ] არადი ერთგულებით გემსახურათ“, მაგიერ წყალობას არ მიაგებებთ და ხეირიანად არ მოასვენებთ. „ამ აზრს ნურავის შეატყობინებ ბატონის გარდა“[178]. თქვენ რომ დროულად გამოგეგზავნათ თარჯიმანი გაბრიელა და „იმ კაცისათვის“ რაიმე გამოეგზავნათ“, „იქნებ და რომ აქამდინ ჩემს საქმეს მორჩენილი ვიქნებოდი“[179] — დასძენდა გარსევანი (რუსთა ჯარის საქართველოში გამოგზავნისა და ქ. განჯის საკითხს). ამასვე ადასტურებს გარსევან ჭავჭავაძის 26 ივნისის მოხსენებითი ბარათი გ. ა. პოტიომკინის სახელზე, ქ. განჯის საკითხზე: „... შემდეგ განჯა ისევ სანახევრო იქნება თუ არა და ღუთის შეწევნით მანდედამ რომ ძლიერება გარდმოვა, მაშინ განჯას თავისი პასუხი მიეგება“[180].

ივნისის თვის საიდუმლო წერილში (დაწერილია არა უგვიანეს 1785 წლის 10 ან 15 ივნისისა), რომელიც გარსევანმა კვლავ გაიოზ არქიმანდრიტს გაუგზავნა, აცნობებს, რომ „პავლე. სერგეევიჩ. აქ. პეტრეებრუხს. არის და ყოველთვის მითვლის. რომ შენთან მრავალი. სალაპარაკო. საქმე მაქვს. მაგრამ. დღე. ხვალობით აგდებს. მე ასე შევიტყვე რომ. ჯერ. ჩემზედ. მეტი არცარა. იმან იცის. იმიტომ. აგვიანებს. მანამ კნიაზი (ე. ი. გ. ა. პოტიომკინი — ზ. ც.) არ მოვა. ამას ჩემთან. ლაპარაკი. არ. შეუძლიან. ჯერ. ბრძანება. არა აქვს რა. ყველანი. იმას. ველით“[181]. წერილში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად „კნიაზის“, ე. ი. გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინის, უკან ჩამოსვლაა მიჩნეული. მის ჩამოსვლას ელოდებიან როგორც პ. პოტიომკინი, ასევე ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრი გ. ჭავჭავაძეც. ამ უკანასკნელს მისი ჩამოსვლით დიდი იმედი ესახება და ფიქრობს, რომ საქმეს მისი ჩამოსვლა გადაწყვეტს. გარსევანი აუწყებდა გაიოზს, რომ დავით ჯიმშერაშვილი, რომელმაც გარსევანს ერეკლე II-ის წერილი ჩაუტანა პეტერბურგში, ორი დღის მეტი აღარსად უნახავს. მან ალბათ პავლე სერგეევიჩი ტუქსავს, ეს საცოდავი უბედურებისათვის არის დაგდებული, მაგრამ ეს მათი საქმეა, ჩვენ არას დავდევთო[182]. ქართველ ელჩს სწამს, რომ „მანამ. გაბრიელი (თარჯიმანი გაბრიელ გალეგოვი — ზ. ც.) მოვა, მგონია. კარგა იქნება. თუ ავათ. ეს საქმეები.

---

[177] თუ ვინ იყო ეს კაცი ჩვენ ვერ გავარკვიეთ (საბუთში წერია: „სანამდინ მაგათ ქვეით რომ კაცი არის, რ-ლმაც განჯის საქმეზე [მ] არადი ერთგულებით გემსახურათ“).

[178] საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2875.

[179] იქვე.

[180] ი. ციციშვილი, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბილისი, 1960, გვ. 240; იხ. აგრეთვე რუსული ამონაწერი მეფე ერეკლეს წერილიდან გ. ჭავჭავაძისადმი (ЦГВИА СССР, ф. 2, оп. 194, д. 391, св. III, ч. VI, л. 33).

[181] საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2874.

[182] იქვე.

გადაწყდეს"[183], ე. ი. რუსის ჯარის საქართველოში გამოგზავნისა და ქ. განჯის საკითხი. გარსევანი სთხოვდა გაიოზს: „შენს. წიგნს. ნუ დაგვილემ. შენის წიგნით. ჩემი აზრი. განისვენებს. ხოლმე. და წიგნთან. საბმარის, ანბებით. პატარა. ამისთანა. მართეულთვას (?) გასტეხდე. ან ისე წარმოგზავნიდე. რაოდაც დავოლნა ექმნები"[184]. როგორც ჩანს, წერილში აზრის „გატეხვასთან" გვაქვს საქმე, რაც ჩვენთვის გარკვეულ სიძნელეს ქმნის, მაგრამ იმისათვის, ვისთვისაც ეს წერილი იყო განკუთვნილი, მას ამ „გატეხილი" წერილის შინაარსი მშვენივრად ესმოდა. გარსევანი მეგობრულ რჩევასა და დახმარებას სთხოვდა გაიოზ არქიმანდრიტს: „შენ რომ მწერ რჩევას აგიწესებდე. ხოლმეო. განა. მე. არ მეჭირება. და ან არ დაგამადლოებ. რომ. ჩემის. თვის. შესმემ (?). რჩევა მიმგონო რამე. და ან. რასაც. ჩემის. მოკლე. გონებით ვხედავ მოგწეროთ. ხოლმე. და არ ვიცი. მოიწონებთ. თუ დაიწუნებთ. ხოლმე"[185].

26 ივნისით დათარიღებულ მეორე მოხსენებით ბარათში (ამ დღეს გარსევან ჭავჭავაძემ ორი მოხსენების ბარათი დაწერა გ. პოტიომკინის სახელზე) ქართლ-კახეთის სრულუფლებიანმა მინისტრმა აუწყა ფელდმარშალ გ. ა. პოტიომკინს ქართლში ლეკების თარეშის გამო თურქეთის მთავრობისათვის პროტესტის გამოცხადების აუცილებლობის შესახებ. იგი წერდა: „... როდესაც რუსის კორპუსი საქართველოში გადმოვიდა იმას აქეთ რაც ახალციხელებს საქართველოდან ტყვე და საქონელი წაუსხამთ ვთხოვ, რომ ესენი სტამბოლში მყოფს იქაურს მინისტრს გამოეცხადოს. ეს ძვირის მოქმედებაებიც დაეყენოს და რაც წაეყვანოს ესენიც უკანვე მოგვცეს. სტანბოლში მყოფის მინისტრისა თანამდებად ვიცი საქართველოს საქმის ზრუნვისათვისა ვითარცა რუსეთისათვისა"[186]. გარსევანის მიერ რუსეთის მთავრობის წინაშე საკითხის ასე კატეგორიულად დაყენებამაც ვერ უშველა საქმეს (ქართლ-კახეთში ლეკთა თარეში კვლავ გრძელდებოდა); ამიტომ იგი იძულებული გამხდარა 29 აგვისტოს კვლავ წარედგინა მოხსენებითი ბარათი ფელდმარშალ გ. ა. პოტიომკინისადმი. საქართველოს ელჩი აუწყებდა რუსეთის მთავრობის წარმომადგენელს იმ ზარალის შესახებ, რაც ქართლ-კახეთის სამეფომ რუსეთის პროტექტორატში შესვლის შემდეგ განიცადა. საქართველოს ეს ზარალი გარსევან ჭავჭავაძემ ექვს მუხლში ჩამოაყალიბა და ისე წარუდგინა გ. ა. პოტიომ-

---

183 იქვე.
184 იქვე.
185 საქ. ცსსა, ფ. 1449, აღწ. 1, საქ. 2874.
186 ი. ც ი ნ ც ა ძ ე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 243.

კინს[187]. წერილის დასასრულს გ. ჭავჭავაძე ხაზს უსვამდა რუსეთის სტამბოლელი ელჩის მიერ თურქეთის მთავრობისადმი პროტესტის გამოცხადების აუცილებლობაზე. „ჩვენი ვედრებით სათხოვნელი ეს არის, რ~ლი პირველადაც მომიხსენებია: პ~ლი, რათა დააყენოს ახალციხიდამ მტერობა, სტამბოლს მყოფს მინისტრთან მიწერით და თუ იმითი არ იქნას საჭურველით; და მეორე, რათა ჯარით შემწეობა მოიღოთ და ამ ზამთარს ჭარზედ ვილაშქროთ, რათა ჩვენმა გარემო მეზობლებმა ყველამ დაინახოს, რომ ჩვენც მაოის დიდებულებისთანა ფფარველი გვყავს"[188] ახლა ამას წერს ჩემი მეფე, — აუწყებდა გ. ჭავჭავაძე გ. ა. პოტიომკინს, — „რაც უწინ უბრძანებია ჩემთვის, რ~ლიც მე თქვენთვის მომიხსენებია, ამის პასუხი ვითხოვოთ"[189]. ქართველი ელჩი კატეგორიულად მოითხოვდა პოტიომკინისაგან, „ამჟამად შემწეობა ებოძა თუ არა, რ~ლიც ჩვენი გარემონი მტერნი გვებრძვიან, ამათგან თქვენ დაგვიფარავთ თუ ჩვენი შეძლებისამებრ ჩვენი თავი ჩვენ დავიფაროთ"[190]. მე ეს ყველაფერი ჩემ მეფეს უნდა მოვახსენო დროულად, რათა მან სათანადო ზომები მიიღოს „და ჩემის თანამდებობისაგან თავისუფალი შეეიქმნა"[191]. მიუხედავად ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრის გ. ჭავჭავაძის ასეთი „ვედრებით" მოხსენებისა, რუსეთის მთავრობამ ეს წერილიც უპასუხოდ დატოვა. როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი ამ ხანებში საქართველოზე ომარ-ხანის მოსალოდნელი თავდასხმის აცილება, მაჰმადიანური სახანოების დათრგუნვა და ამ საქმეში რუსეთის მთავრობის აქტიური ჩარევა ყოფილა (საქართველოში დამატებითი პოლკების გამოგზავნით). როცა საქართველოს ელჩისათვის ნათელი გამხდარა, რომ რუსეთის მთავრობა ამჯერად ჯარით ვერ დაეხმარებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს, მას გ. ა. პოტიომკინისათვის 15 ოქტომბრით დათარიღებულ მოხსენებით ბარათში ფინანსური დახმარება უთხოვია. ქართველმა ელჩმა კარგად იცოდა, რომ თურქეთი რუსეთთან ზავის დარღვევის შიშით ერიდებოდა საქართველოზე დიდი ლაშქრით ბრძოლას, მაგრამ ფარულად ხაზინით ეხმარებოდა დაღისტნელებსა და ახალციხელებს. „ არიან დაღესტნის ხალხი მოსყიდული თეთრითა თურქთათა და ამით ძლით აწუხებენ საქართველოს ორისავე მხრიდამ ახალციხისა და დაღისტნიდამ. ამ ორ მხარეს ამათი თეთრი მუშაობს" ...[192] აუწყებდა გარსევანი გ. ა. პოტიომკინს ამის შესახებ. გარსე-

---

[187] იქვე, გვ. 244—246.
[188] ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 246.
[189] იქვე.
[190] იქვე.
[191] იქვე.
[192] ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 247.

ვან ჭავჭავაძე იმასაც მოახსენებდა პოტიომკინს, რომ ფულით ლეკებს ერეკლე უფრო იშოვნიდა, ვინაიდან ლეკებს თავიანთი სახლებისაკენ წასასვლელი გზა მშვიდობიანი ექნებათო. ერეკლე შეძლებს ლეკები და ახალციხელები ერთმანეთს დაუპირისპიროს და რითაც არ უნდა დამთავრდეს მათი შეტაკება (ლეკთა თუ ახალციხელების გამარჯვებით), მოგებული მაინც საქართველო დარჩება და „ორივ მხრიდამ მტერს ძალა მოაკლდება“[193]. გარსევანი მოითხოვდა გ. ა. პოტიომკინისაგან: „თუ ამ ჟამად რ ლისამე მიზეზით ჯარის წარგზავნა არ ინებოს უმაღლესმა კარმა, რ ლსაც უფრო მოეხსენება იგი, ვითხოვ, რომ წარიგზავნოს ამჟამად თეთრის შეწევნა“[194]. გ. ჭავჭავაძე ფინანსურ დახმარებას ჯარის დახმარების თანაბრად თვლიდა, რომლითაც ერეკლე მეორე შეძლებდა ჯარის დაქირავებას და ლეკების თურქთაგან განშორებას. მაგრამ, როგორც ცნობილია, საქართველომ იმ ხანებში მფარველი ქვეყნისაგან ვერც ფინანსური დახმარება შეიღო[195]. მიუხედავად ამისა, 1785 წ. ნოემბერში საქართველოს სრულუფლებიანი მინისტრი იძულებული იყო გ. ა. პოტიომკინისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში, ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო (ომარ-ხანის შემოსევა — ზ. ც.), ეთხოვა ჯარითა და ფულით სასწრაფოდ დახმარების გაწევა. გ. ჭავჭავაძე ვრცელ მოხსენებით ბარათში უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ რუსეთმა საქართველოს არც სამხედრო და არც ფულადი დახმარება არ გაუწია და არც ერეკლე II-ის წინადადება მიიღო (ბარ-ბელაქანზე ლაშქრობის შესახებ — ზ. ც.). ამ ჩემ მოხსენებას, — მიმართავდა გარსევანი გ. ა. პოტიომკინს, — ნუ მიიღებ „შიშად ანუ ჭკუის აზრის მოყუანილობაში, ხოლოდ ამით მოგახსენებ, რომელიც უწინაც მამულსა ჩვენსა დამარ-თებია და იმათგან ამ გუარს ჩვეულებრივს მოქმედებას მეც ბევრჯერ დავსწრებივარ და ამისათვის აუცილებლივ საჭირო არს, რომ ჰყვანდეს მეფეს ძალითა ტრაქტატისათა მიცემულ... მცველი ჯარი ანუ ხაზინა“[196]. დასასრულს გ. ჭავჭავაძე აუწყებს გ. ა. პოტიომკინს, რომ „თუმცა მამული ჩვენი სიმგრგულივ მტრის პირში ყოფილა და ყოველთვის ბრძოლა არ დაუკლიათ საქართველოზე, ოღონდ ამისთანა გაჭირება არა დროს არ მიუღიათ რომ შეთქმულებით უმტეროსთ, როგორც ახლა ოთხსავ მხარეს მტრობენ“[197]. ასეთ განსაცდელში საქართველო არ ყოფილა იმ დროიდან, რაც თეიმურაზ მეფემ, ერეკლე მეორის მამამ,

---

193 იქვე, გვ. 247.

194 იქვე.

195 თუ რა იყო ერთ-ერთი მიზეზი რუსეთის მხრივ საქართველოსადმი ფინანსური დახმარების მიუცემლობისა, ჩვენ ამის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ.

196 ი. ც ი ნ ც ა ძ ე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 249—250.

197 იქვე, გვ. 252.

შეფობა მიიღო „იმ ჟამიდან ვიდრე ამჟამომდე“[198]. მიუხედავად გარსევან ჭავჭავაძის მოხსენებითი ბარათის ასე მტკიცე ტონისა, ამ ღონისძიებამაც მფარველი ქვეყანა — რუსეთი პასიური მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანა. რუსეთის დიპლომატია ანგარიშს უწევდა მაშინდელ საერთაშორისო ვითარებაში შექმნილ ძალთა თანაფარდობას, რომელმაც რუსეთს მრავალი საზრუნავი გამოუჩინა და საქართველოსთან ურთიერთობის საკითხში აქტიური ჩარევის შესაძლებლობა წაართვა. ასეთ სიტუაციაში რუსეთის სახელმწიფოსათვის ქართველი დიპლომატიის წერილებს მხოლოდ პოლიტიკური ინფორმაციების მნიშვნელობა-ღა ჰქონდა, თუმცა რუსეთის პოლიტიკოსები დაიმედებას და წერილების გზავნას არ აკლებდნენ ქართველ მოღვაწეებს[199]; ისინი წერილებს უგზავნიდნენ აგრეთვე საქართველოს მეზობელ მაჰმადიანურ მმართველებსაც, რათა ამ უკანასკნელთ თავი შეეკავებინათ საქართველოს აოხრებისაგან და სხვ., მაგრამ ასეთი ღონისძიებანი საქმეს არ შველოდა[200].

ჩვენ ხელთ გვაქვს ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრის გ. ჭავჭავაძის მიერ პეტერბურგიდან დეკემბერში ერეკლე მეორისადმი გამოგზავნილი საიდუმლო წერილები[201] (4 წერილი), აგრეთვე გაიოზ არქიმანდრიტისა და ერეკლე მეორეს წერილები გ. ჭავჭავაძისადმი (2 წერილი). ერეკლე II ეკითხებოდა პეტერბურგში მყოფ თავის ელჩს გ. ჭავჭავაძეს, რა უნდა იღონოს მან (ერეკლემ — ზ. ც.), რომ რუსეთის მთავრობის სრული ნდობა მოიპოვოს და მათგან სამხედრო და ფინანსური დახმარება მიიღოს! გარსევანი საიდუმლო წერილებში რჩევას აძლევდა ერეკლე II-ს, თუ რა უნდა გაეკეთებინა ერეკლეს; ზოგ შეკითხვაზე კი ელჩი რჩევისა და მითითებისაგან თავს იკავებდა.

5 დეკემბრის საიდუმლო წერილში გარსევან ჭავჭავაძე ერეკლეს ურჩევდა: „ჩემი რჩევაა, სამფლობელო მიართვათ იმისათვის, რომ უახლოეს ხანებში ჩვენს საქმეს სარგებელით გამოადგეს“[202]. გ. ჭავჭავაძეს უნდოდა, რომ ერეკლეს გ. ა. პოტიომკინი თავის ვასალად გადაექცია, მიეცა რა მისთვის მთიანი ადგილები (დარიალიდან ანანურამდე). მისი აზრით ეს ღონისძიება ოსებსაც მშვიდობიანსა და გამგონეს გახდიდა, ანანური ევროპულ ქალაქად გადაიქცეოდა, იქ აშენდებოდა ფაბრიკები, მომრავლდებოდნენ ვაჭრები, მხატვრები, ხოლო საქარ-

---

[198] იქვე.

[199] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, св. 113, д. 350, ч. 9, л. 8.

[200] იქვე, д. 416, ч. 1. ფურც. 376.

[201] პროფესორ ი. ცინცაძეს ზოგიერთი წერილის შინაარსი მოტანილი აქვს თავის ნაშრომში (იხ. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 145—151).

[202] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, 2, IV, л. 132 v.

თველო-რუსეთის გზა (დარიალის გზა) საიმედო გახდებოდა[203], თუმცა გარსევანი ეჭვობდა ამ აზრის სისწორეს და დამატებით განსჯას მეფეს სთხოვდა.

ისტორიკოსი ნ. დუბროვინი გარსევანს ბრალს დებდა იმაში, რომ იგი (გარსევანი — ზ. ც.) თავისი გეგმით ატყუილებდა მეფეს „მისთვის ასე მძიმე გარემოების დროს“[204] ... დუბროვინმა ან მთლიანად არ იცოდა გარსევანის ამ საიდუმლო წერილის შინაარსი, ანდა განგებ ტენდენციურად ამახინჯებდა გ. ჭავჭავაძის აზრს (ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო სწორია). გ. ჭავჭავაძე ამავე წერილში ერეკლეს სწერდა: „ამის შესახებ დიდად მოიფიქრეთ, მისი მადლობის მოსაპოვებლად და თითქმის სახლში მოწვევის შესახებ. თუ ჩვენ ამითაც ვერ მივაღწევთ მათ ნდობას, მაინც უნდა ვენდოთ მათ (რუსების — ზ. ც.) განზრახვას მიშველიებაზე“[205]. როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, გ. ჭავჭავაძე არ ატყუებდა ერეკლე მეფეს.

ვინაიდან ჩვენსა და თურქებს შორის, — აღნიშნავდა გ. ჭავჭავაძე — დაძაბული ვითარებაა, რუსეთთან ჩვენი დაახლოების გამო ისინი (თურქები — ზ. ც.) გაოფთრებული არიან და განგაშს სტეხენ. თუ ეს ამბავი მათ გაიგეს, უფრო გააძლიერებენ თურქები ჩვენს წინააღმდეგ მხეცობას, მაგრამ ისინი ჩვენ მიმართ ასეც უნდა იქცეოდნენ: იმიტომ, რომ ჩვენსა და მათ შორის ამიერიდან აღარავითარი სიკეთე აღარაა საიმედო[206]. ამ შემთხვევაში გარსევანი საღად მოაზროვნე ადამიანი ჩანს.

ამ საქმეში (რუსეთის მხრივ) დაპირება ჩვენთვის სასარგებლო არაა. ჯერ საჭიროა დანაპირები შეგვისრულონ, ხოლო შემდეგ გამოაცხადონ. ეს ისე უნდა გაფორმდეს (გ. ა. პოტიომკინისადმი მამულების გადაცემა — ზ. ც.), რომ ეს სამფლობელოები თქვენს სამეფოში შედიოდესო და ეს მიართვი მათ დიდ ადამიანს (გ. ა. პოტიომკინს — ზ. ც.) მფლობელობაში მეგობრულად[207]. ამაში არაფერი არაა აღსაშფოთებელი, — წერდა გარსევანი ერეკლეს, — „საერთოდ თქვენი სამფლობელოები, რაც თქვენ გქონდათ, მის იმპერატორობით უმაღლესობას მიართვით“[208]. რადგან ასეა, მაშასადამე, მოიფიქრეთ: „თქვენ-

---

[203] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. IV, ფურც. 134; იხ. აგრეთვე Бутков, Материалы..., ч. II, с. 188—189; Н. Дубровин, История войны..., т. II, СПб, 1886, с. 151—152.

[204] Н. Дубровин, История войны..., т. II, с. 151.

[205] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. IV, л. 135.

[206] ЦГВИА СССР, იქვე, ფურც. 135.

[207] იქვე, ფურც. 135.

[208] იქვე, ფურც. 135—136.

თვის რა სიძნელეს წარმოადგენს ასეთი მცირედი მსხვერპლიო"[209].

თუმცა ძნელი და მძიმეა ეს წარდგინება, მაგრამ საჭიროა განუკურნებელ ავადმყოფობას წამალი დავადოთო[210]. საქმე იმაშია, რომ ან პირდაპირ უნდა მივანდოთ მათ ჩვენი სამშობლო, სამაგიეროდ კი მათ უნდა გვიბოძონ მფარველობა, მეგობრობა და ნდობა; უკეთუ არა, მაშინ სხვაგან ვეძიოთ დახმარება, რაც ხელს შეუწყობს მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვანაირად ჩვენთვის ძნელია მივაღწიოთ კეთილდღეობასო[211]. ამ წერილით ერთხელ კიდევ დასტურდება ის ჭეშმარიტება, რომ „არქივში არსებული საქმეების ცნობები თავად გარსევან ჭავჭავაძეს გვიხატავენ როგორც თავისი სამშობლოს ინტერესებისადმი უსაზღვროდ ერთგულს, მაგრამ იმავე დროს მას ნათლად ჰქონდა შეგნებული საქართველოს მძიმე, კრიტიკული მდგომარეობა XVIII ს. დასასრულს"[212].

თუ ეს შესრულდა (პოტიომკინისათვის მამულების გადაცემა — ზ. ც.), მაშინ საქართველოში აქაური წესრიგი დამყარდება და მალე თქვენ დაინახავთ თქვენ სამშობლოში, ან თქვენ სამეფოში, პატარა რუსეთსო[213]. ეს ყველაფერი ჩვენი სამშობლოსათვის კარგია, მაგრამ რადგან ამჟამად ჩვენი მეზობლები — დასძენდა გ. ჭავჭავაძე, — წინანდელზე უფრო ძლიერ გაეფთრებული არიან, საჭიროა რამოდენიმე წლით ჩვენ მოგვეცეს: დამცავი ძალა მათი სურსათით, რომ ისინი იყვნენ თქვენს განკარგულებაში[214].

ჭარ-ბელაქანის შესახებ აღარაფერი დარჩა სალაპარაკო, ვინაიდან რუსები არ იღებენ თქვენს წინადადებასო (ჭარ-ბელაქანის წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ — ზ. ც.). თუ ვინმე ამ აზრის წინააღმდეგ წავა, მეც მათ აზრზე ვდგევარო. რა თქმა უნდა, — წერდა გარსევანი ერეკლეს,—სჯობდა, რომ „ჩვენ თვითონ შეგვეძლოს ჩვენი თავის შველა. მართალია, მე თვითონ ვუწყი, მაგრამ, უმეტესად ბოვერიდები რა, ამ საბუალებას ყველაზე უკეთესად დავადგენ"[215]. რა თქმა უნდა, — აგრძელებს გარსევანი, — სჯობია აღება ვიდრე გაცემა: „მაგრამ ჩვენთვის და მომავალი დროისათვის აუცილებელია და უკეთესი საკუთარი აზრის წამოყენება ... შესაძლებელია დრო სხვანაირად განსჯის მას"[216].

---

209 იქვე, ფურც. 136.
210 იქვე.
211 იქვე, ფურც. 136.
212 А. Цагарели, Новые архивные материалы для истории Грузии XVIII столетия, журнал Министерства Нар. Просвещения, январь, ч. CCXXV, СПб, 1883, с. 136.
213 ЦГВИА СССР, ф. 52. оп. 194, д. 20, ч. IV, л. 137.
214 იქვე, ფურც. 137—137 v.
215 იქვე, ფურც. 138.
216 იქვე, ფურც. 138—138v.

მეორე საიდუმლო წერილში (1785 წ. 2 დეკემბრის) გარსევანი აცნობებდა ერეკლეს თავად ზაზა სოლოლაშვილის პეტერბურგში ჩამოსვლას და მეფის წერილების მიღებას. გარსევანი სწერდა ერეკლეს: „მე მსურს, რომ თქვენს მტრებს ისევე ეტკინოთ გული, როგორც მე თქვენი მდგომარეობის გამო"[217]. თავად სოლოლაშვილის პეტერბურგში ჩასვლამდე გ. ჭავჭავაძეს გ. ა. პოტიომკინისათვის მოხსენება წარუდგენია, რომლის პირი ერეკლესათვის გამოუგზავნია. მას სურდა ამ წარდგინებას პეტერბურგში მყოფი ერეკლეს ძე მირიანიც დასწრებოდა, მაგრამ ეს ვერ მოუხერხებია (სიმონ ეგნატაშვილის შენიშვნით, მირიანთან ერთად პოტიომკინთან მოხსენების წარდგინება გარსევანს თვითონ არ მოუსურვებია)[218].

გ. ა. პოტიომკინი ცდილობს საქართველოსათვის სამხედრო დახმარების გაწევას, გ. ჭავჭავაძემ ამის შესახებ ერეკლეს აცნობა. რუსეთის მთავრობამ პროტოპოპ ნიკოლოზის ხელით ერეკლეს კარისა და ეკლესიისათვის (მცხეთის ან სვეტიცხოვლის) გაუგზავნა ბრილიანტის ჯვარი.

გ. ჭავჭავაძე წერდა: ჩვენი საქმეების მთარგმნელია სიმონ ეგნატაშვილი, სწორედ ის, რომელიც კრემენჩუგში ჩამოსვლისას თქვენს შვილ მირიანთან განაწესა თავადის დავალებით ზედამხედველად და რომელიც ახლა აქ არის ... თუ გაბრიელ მაიორი არ გამოგიგზავნიათ, მაშინ გააჩერეთ[219]. მე იმას დიდი იმედით მოველოდი, მაგრამ ... სხვას ვენდობი, მას გავუმეღავნე ყველა საიდუმლოება და მივეცი ჩემი აღვირის თასმები ხელში, არ შემიძლია თავი ვაიძულო, რომ ახლა სხვას ვენდო[220] ... თუმცა გარსევანი მაინც დაეჭვებული ყოფილა ეგნატაშვილის გულწრფელობაში. გ. ჭავჭავაძე განაგრძობდა: „ის (ს. ეგნატაშვილი — ზ. ც.) მანებივრებს, მგონია, რიგიანად, თუმცა ცუდათ, ისე რომ გარკვეულ დროზდე უნდა ველოდო"[221]. შემდეგ გარსევანი ერეკლეს ატყობინებდა მისი შვილების ანტონისა და მირიანის ჯანმრთელობას. პირველი ნევის მონასტერში ცხოვრობდა, ხოლო მირიანს ნევის მონასტრის ახლოს დაქირავებული ჰქონდა შესანიშნავი სახლი და ორთავენი ჯანმრთელად არიანო[222]. გარსევანი იმედს აძლევდა ერეკლეს, რომ მან წარუდგინა (1785 წლის ნოემბერში) გ. ა. პოტი-

---

217 ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. IV, л. 139.

218 იხ. ქართლ-კახეთის პეტერბურგის საელჩოს თარჯიმნის (იგივე ცარიზმის ჯაშუშის) სიმონ ეგნატაშვილის შენიშვნა. ЦГВИА СССР, Ф. 52, оп. 194, д. 20, ч. IV, л. 139.

219 ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. IV, л. 142—143.

220 ЦГВИА СССР, Ф. 52, оп. 194, д. 20, л. 143.

221 იქვე.

222 იქვე, ფურც. 143.

ომკინს წერილი. გ. ჭავჭავაძე აფრთხილებდა ერეკლეს, ახლა ვსასოებ, რომ კავკასიის ხაზიდან გაცნობებენ მტრის ძალების დამარცხების შესახებ და ... იქ დარჩენილების დადუმებას[223], მაგრამ თქვენ, — მიმართავდა გ. ჭავჭავაძე, — თქვენს სასარგებლოდ კი არ უნდა გაჩუმდეთ, არამედ უნდა აიძულოთ ბურნაშოვიც[224].

1785 წ. ოქტომბერში ერეკლეს გარსევანისათვის წერილი გაუგზავნია. მანამდე, ზაზა სოლოღაშვილის ხელით გაგზავნილ 20 აგვისტოს წერილში ერეკლემ გ. ჭავჭავაძეს აუწყა საქართველოს მძიმე მდგომარეობა, რომ მოსალოდნელი იყო ომარ-ხანის თავდასხმა საქართველოზე. მართლაც, ომარ-ხანი თავს დაესხა საქართველოს და ააოხრა იგი. ერეკლე დაწვრილებით სწერს გარსევანს, თუ რა ვითარებაში მოხდა ომარ-ხანის თავდასხმა საქართველოზე, როგორ მოატყუა ომარ-ხანმა ერეკლე და სხვ[225]. ერეკლე აგრეთვე აუწყებდა თავის ელჩს, რომ გარსევანის ხელქვეითი თათრის ელები ხუთჯერ უფრო ცუდები გახდნენ და მეორე წელია, განკუთვნილ გადასახადს არ გვაძლევენო[226]. გასულ წელს, როცა ჩვენი ჯარი გავგზავნეთ განჯის წინააღმდეგ, მათ (თათრის ელებმა — ზ. ც.) მხოლოდ სურსათი მოგვცესო. ერეკლე დაწვრილებით სწერდა თავის მინისტრს დემურჩალოელი ელების მოსალოდნელი დაბრუნების, ერევნელთა და განჯელთა ქვეყნის შესახებ და სხვ[227].

ერეკლეს იმედი ჰქონდა, რომ გ. ჭავჭავაძე თავის შრომასა და ცდას არ აკლებდა და არც დააკლებდა თანამდებობის შესაძლებლობის მიხედვით. „მრავალჯერ მოგწერეთ, — წერდა ერეკლე გარსევანს, — რომ ჩ ვ ე ნ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო ა ს ე თ ს ი ძ ნ ე ლ ე ე ბ შ ი ა რ ა ს ო დ ე ს არ ყ ო ფ ი ლ ა ჩ ა ვ ა რ დ ნ ი ლ ი. ე ს რ ე თ ს ა მ შ ო ბ ლ ო ს დ ა ს ა ხ მ ა რ ე ბ ლ ა დ რ ო გ ო რ გ უ ლ მ ო დ გ ი ნ ე ბ ა ს ა ც გ ა მ ო ი ჩ ე ნ ვ ი ნ ბ ე დ ო ვ ნ ე ბ, შ ე ნ ზ ე ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი“[228] (ხაზი ჩემია — ზ. ც.). საქართველოდან პეტერბურგისაკენ მიმავალ ყოველ კურიერს ერეკლე წერილს ატანდა გარსევანთან[229].

დასასრულ, ერეკლე აცნობებს გარსევან ჭავჭავაძეს, რომ მისი

---

223 იქვე, ფურც. 144.

224 იქვე.

225 ერეკლემ მსგავსი წერილი გაუგზავნა 18 ოქტომბერს პ. პოტიომკინს, მაგრამ ამ წერილში ისე დაწვრილებით არ არის აღწერილი ომარ-ხანის შემოსევის ამბავი, როგორც ერეკლეს მიერ პეტერბურგში, ოქტომბერში გ. ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ წერილში. იხ. ЦГВИА СССР, ф. 52, оп. I/194, д. 350, ч. X, л. 17—17v.

226 ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. IV, л. 149.

227 იქვე, ფურც. 145.

228 იქვე, ფურც. 151.

229 იქვე, ფურც. 151v.

სურვილის თანახმად თარჯიმან გავრილა მაიორს მალე გაისტუმრებდა პეტერბურგში; მოიკითხავდა თავის შვილებს, ბატონიშვილებს ანტონსა და მირიანს, უსურვებდა მათ კეთილდღეობას, ბოდიშს იხდიდა, რომ მათ განსაკუთრებულ წერილს ვერ უგზავნიდა (ეს მიწერილია გ. ჭავჭავაძის წერილზე).

ამავე საიდუმლო წერილებში ინახება აგრეთვე გაიოზ არქიმანდრიტის წერილი გ. ჭავჭავაძისადმი (წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ იგი 1785 წლის ოქტომბერში უნდა იყოს დაწერილი — ზ. ც.) გაიოზი სთხოვდა გარსევანს, თუ მოახერხებს, ეცადოს, რომ გ. ა. პოტიომკინისაგან გამოითხოვოს მისი პეტერბურგში გამგზავრების ნებართვა (ამ დროს გაიოზი კავკასიის ხაზზე პ. პოტიომკინთან იყო), რათა საქართველოს მძიმე მდგომარეობის შესახებ მან პირადად მოახსენოს გ. ა. პოტიომკინს, რადგან გაიოზმა კარგად იცოდა, რომ სიტყვიერი მოხსენება უფრო წარმატებული იქნება, ვიდრე წერილობითი[230].

გარსევან ჭავჭავაძე მესამე საიდუმლო წერილით ერეკლე II-ს აცნობებდა, რომ (წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ, როგორც წერილის ანალიზიდან ირკვევა, დეკემბრის ბოლოს უნდა იყოს დაწერილი — ზ. ც.) მან მიიღო ერეკლეს სამი წერილი და იგი არ გაჩუმებულა, მოითხოვდა მფარველისაგან როგორც სამხედრო, ისე ნივთიერ დახმარებას. მაგრამ ჩემი ყოველგვარი ცდის მიუხედავად არ ვიმედოვნებ, რომ ამ ზამთარში ჯარით დაგვეხმარონ. დროც ხელს არ უწყობს ჯარის გადმოსვლას[231], თანაც ხმები დადის გზები გაფუჭებულიაო. ვიმედოვნებ, რომ ჯერ ფულად დახმარებას მოგვცემენ, „გარდა სესხისა". ვფიქრობ, ასეთი დახმარება სჯობია ზამთარში ჯარის მოსალოდნელ გამოგზავნას. როგორც თქვენ მაუწყებთ, — სწერდა გარსევან ჭავჭავაძე ერეკლეს, — მათი ჯარების საგანგებო დამორჩილებაზე, მაშინ მათი ურჩობა მოსალოდნელია სურსათის ნაკლებობის შემთხვევაშიც[232]. გ ჭავჭავაძე ერეკლეს ურჩევდა, ამ ზამთარსაც (1785—1786 წლის ზამთარი) იქონიეთ მოთმინება, მომავალი წლის ზაფხულში (1786 წლის ზაფხული) აუცილებლად დაგვეხმარებიან. ამაზე ისინი მტკიცე იმედს იძლევიან. თუ ამ ზამთარს ფულადი დახმარება მივიღეთ, მაშინ ზაფხულში აუცილებლად გაადიდებენ ჯარის რაოდენობასაც[233].

გარსევანი ასე ხსნიდა საქართველოს განუწყვეტელი აოხრებისა და აწიოკების მიზეზს. ქრისტიანული სარწმუნოება და ღვთის ეკლე-

---

230 ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. IV, л. 152.
231 იქვე, ფურც. 154.
232 იქვე, ფურც. 154 v.
233 იქვე.

სიების გავრცელება, რაც ჩვენი მიზანია, იმ შემთხვევის მძლეველობითი განსაცდელის მთავარი მიზეზია, რისთვისაც ჩვენ ძალების დაუძლურებამდე უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი საქმეები იყოს სრულიად მტკიცე და სხვებმა მოიპოვონ ჩვენი ნდობა[234].

მართალია, ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრი ზოგიერთ საქმეში თანაგრძნობას არ უწევდა რუსეთის სახელმწიფო მესვეურებს, მაგრამ ვინაიდან სხვა უკეთეს გამოსავალს მაშინ საქართველოსათვის ვერ ხედავდა, იძულებული იყო ასეთი რჩევა მიეცა ერეკლესათვის: „რადგან სხვა შესაძლებლობას ვერ ვპოულობთ, ამიტომ ჩვენ აქეთკენ უნდა ვიყუროთო“[235]. დასასრულ, გარსევანი ერეკლეს აცნობებდა, რომ ასტრახანსა და რუსეთის სხვა ადგილებში ბევრი სომეხი და ქართველი გადმოდის მუდმივ საცხოვრებლად (ეს ამბავი გარსევანს ზაზა სოლოღაშვილმა აუწყა — ზ. ც.), რითაც იგი ძლიერ ნაწყენი ყოფილა. გარსევან ჭავჭავაძე ერეკლეს სწერდა: ტრაქტატის შესაბამისად, თუმცა მათ (საქართველოს მცხოვრებლებს — ზ. ც.) მიცემული აქვთ გადმოსვლის თავისუფლება, მაგრამ სასაზღვრო ადგილებში უპასპორტოდ არ უნდა გაუშვან[236]. გარსევანს უკვირდა ეს ამბავი და დასძენდა: ჩემ დროს (ტრაქტატის ხელმოწერის დროს — ზ. ც.) დადგენილი იყო, რომ უპასპორტოდ არავინ გამოეშვათ რუსეთში (ამაზე ყაზბეგის შვილებს მიცემული ჰქონდათ ბრძანება); აქამდე მალე-მსრბოლებსაც კი არ ატარებდნენ და იმათ, ვისაც არ ჰქონდათ საბუთები, არ უშვებდნენ[237]. ახლა კი არ ვიცი, განა ბრძანება შეიცვალა?[238] — ეკითხებოდა გ. ჭავჭავაძე ერეკლეს.

გარსევან ჭავჭავაძის მეოთხე საიდუმლო წერილში, რომელიც მან ერეკლე II გაუგზავნა (წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ, როგორც ანალიზიდან დგინდება, იგი 1785 წ. დეკემბრის მეორე ნახევარში უნდა იყოს დაწერილი — ზ. ც.), იგი წერდა: „მე ვიღწვი ერთგული ძაღლის მსგავსად, მაგრამ კარგ კვალს ვერ ვპოულობ, თუმცა საიდუმლო მოხსენებებისათვის ბაჟს არ იხდიან“[239]. გარსევანს ჭორად გაუგია, რომ ვითომც მის ბრწყინვალებას გ. ა. პოტიომკინს სურს ერეკლე II-ს სიძე ეახდეს („что и пошли бог“), ნუთუ ახლაც თქვენი ქალიშვილი ანასტასია იჯიუტებს და არ შეიცვლის თავის სურვილს რევაზ ერისთავისადმი“. ეს აზრი, — მოახსენებდა გარსევანი

---

[234] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. IV, л. 155.
[235] იქვე.
[236] იქვე, ფურც. 156.
[237] იქვე, ფურც. 156.
[238] იქვე.
[239] იქვე, ფურც. 136—137.

ერეკლეს ,— დიდი საიდუმლოებით უნდა იქნეს შენახული, არავინ არ უნდა იცოდეს ამის შესახებ დედოფლის გარდა, რადგან ეს ჩემთვისაც საშიშია და არც თქვენი უმაღლესობისათვისაა სასიამოვნო, თუნდაც იმიტომ, რომ „მე ამის შესახებ სწორად არ ვიცი“[240]. ჯერ უნდა გაიგოთ თქვენი ქალიშვილის მიდრეკილება, — სწერდა გარსევანი ერეკლეს. — და თუ ღრმად დარწმუნდებით, რომ ის თქვენ დაგიჯერებთ, მაშინ სჯობს ამაზე გაჩუმდეთ, თუ არა და პირდაპირ ამის შესახებ არაფერი უთხრათ, რათა ხმა არ გავრცელდეს. ამის თაობაზე თქვენ ქალიშვილთან უნდა ილაპარაკოთ შორიდან და უნდა ჩამოართვათ მტკიცე პირობა ამ მნიშვნელოვანი საიდუმლოების შენახვისათვის, რადგან მე არ შემიძლია მოგცეთ თქვენ მტკიცე იმედი ამ საქმის წარმატებით დამთავრებისა. თუ მოხერხდება მათი შეხვედრა, ამის შესახებ წინასწარ უნდა მაცნობოთ.

ეს საქმე (გ. ა. პოტიომკინისა და ანასტასიას შეუღლება — ზ. ც.) თუ მოხდა, ყოველივე ეს შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვეყნის სასარგებლოდ და თუ არ მოხდა, ამ შემთხვევაშიც თქვენ არაფერს არა კარგავთო[241]. ჩემი პირველი მოხსენების გამო, — სთხოვდა გ. ჭავჭავაძე ერეკლეს, — თუ თქვენ საჭიროდ ჩასთვლით „წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს მ ი ც ე მ ა ს თ ქ ვ ე ნ ი ს ა ბ ჭ ო ს თ ვ ი ს, რ ო მ ე რ წ მ უ ნ ო ს ღ ი რ ს ე უ ლ პ ი რ ებ ს, მ ა შ ი ნ უ ქ ვ ე შ ე ვ რ დ ო მ ი ლ ე ს ა დ გ თ ხ ო ვ თ, თ ქ ვ ე ნ ო უ მ ა ღ ლ ე ს ო ბ ა ვ, დ ა მ ა ლ ო თ ჩ ე მ ი ს ა ხ ე ლ ი... წინადადება მიეცით თქვენი სახელით და რჩევა სთხოვეთ, ხოლო შემდეგ, როგორც ღმერთი თქვენს აზრებს წარმართავს, ისე მოიქეცით“[242] (ხაზი ჩემია — ზ. ც.).

გარსევანს არ სურს, რომ ამ წერილის შინაარსის შესახებ ხმა გავრცელდეს ქართველებში და, რა თქმა უნდა, არც რუსეთში. განსაკუთრებით კი ამის შესახებ არაფერი გაიგონო საზღვარზე მყოფმა რუსებმა[243], რადგან ამით (საიდუმლოების შენახვით) შეიძლება თქვენი საქმე მოგვარდესო. გარსევანმა კარგად იცოდა, რომ რუსეთში საიდუმლოების შენახვა საქებარი მაგალითი დაწესრიგი იყო: საიდუმლოების შენახვის ეს საქები წესი, როგორც აქ ვხედავ, საქმის წარმატების ნახევარია. მიბაძეთ თქვენც ამას — შემოიღეთ თქვენს წესში და დაიცავით — ურჩევდა გ. ჭავჭავაძე ერეკლეს — სხვარიგად თქვენს საქმეებს ბევრად წაახდენთ. „ჩვენს სახლში, რაც არ უნდა წაიჩურჩუ-

---

[240] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. IV, л. 157v—158.
[241] იქვე, ფურც. 158—158v.
[242] იქვე, ფურც. 159.
[243] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. IV, л. 159.

ლოთ, აქ ყველაფერი იციან და ამის გამო ბევრს კარგავთ"[244]... (ხაზი ჩემია — ზ. ც.). რაც ცუდი ჩვენია, ის არ შეიძლება საქებარი იყოსო.

გარსევანი აუწყებდა ერეკლეს, რომ დარიალის ციხე, ხევი და მთიულეთი, თავისი სიმაგრის წყალობით (მიუხედავად ხალხის სიმცირისა), ანგარიშგასაწევია. ეს ადგილები ფასდება დარიალის გზით, თორემ აქაური (რუსეთის — ზ. ც.) ანგარიშის მიხედვით მთელი არაგვიც კი არაფერს წარმოადგენსო. გ. ჭავჭავაძე რჩევას აძლევდა ერეკლეს: მთიულეთისა და გუდამაყრის შესახებ არაფერი არ თქვათო, ხოლო დუშეთზე, როგორც გნებავდეთო. მე ვფიქრობ, რომ მათი ხსენებაც არ ღირსო[245] (ეს ის ადგილები იყო, რომელთა გ. ა. პოტიომკინისათვის გადაცემაც გარსევან ჭავჭავაძეს უნდოდა — ზ. ც.). თუ თქვენ ჩემი წინადადება არ მოგეწონოთ, ამ საიდუმლოებას ნურვის ნუ გაუმხელთ. საიდუმლო წერილები დაწერილი იყო თვით გარსევანის ხელით, შავად დაწერილს იგი წვავდა, რომ თავიდან აეცილებინა მოულოდნელობა ამა თუ იმ ცნობის შესახებ[246] (მიუხედავად გ. ჭავჭავაძის ასეთი სიფრთხილისა, ერეკლესადმი გაგზავნილი საიდუმლო წერილების დედანი ხელში ჩაუვარდა ცარიზმის დაზვერვას[247]).

გარსევანი მოითხოვდა ერეკლესაგან, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საიდუმლო წერილის მიღებისთანავე აღეჭურვა იგი (ელჩი) ყველა მუხლზე დაწერილებით და ნათელი მითითებებით, რათა ზოგიერთ მუხლზე მითითება ზედმეტი არ ყოფილიყო, ზოგიერთზე კი უკმარისი[248].

დასასრულ, ამავე წერილით გარსევანი აცნობებდა ერეკლეს, — ფრანგულ და გერმანულ გაზეთებში წერენ, რომ ვითომც მომავალ წელს (1786 წ.) ოტომანის პორტასა და რუსეთის იმპერიას შორის ომი დაიწყება, მაგრამ რუსულ გაზეთებში ამის შესახებ არაფერს წერენო[249]. თუმცა გაზეთების ცნობები, — აღნიშნავდა გარსევანი, — სხვა არაფერია თუ არა ტყუილი, მაგრამ ჩემს მოხსენებაში ჩემს მოვალეობას ვასრულებო[250].

როგორც ზემოთ მოყვანილი წერილებიდან ჩანს, ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი ელჩისათვის ნათელი გამხდარა, რომ რუსეთს იმჟამად არ შეეძლო საქართველოსათვის საჭირო დახმარების აღმოჩენა. ამიტომ იყო, რომ მან 1786 წლის 10 იანვარს წერილი გაუგზავნა გ. ა.

---

[244] იქვე, ფურც. 159.
[245] იქვე, ფურც. 160v.
[246] იქვე, ფურც. 160.
[247] იხილეთ ი. ცინცაძე, 1783 წლის ტრაქტატი, გვ. 145—151.
[248] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. IV, л. 161.
[249] იქვე, ფურც. 163.
[250] იქვე.

პოტიომკინს და სამშობლოში დაბრუნება ითხოვა, მიზეზად ქართლ-კახეთის მძიმე მდგომარეობა და საქართველოდან კორესპონდენციების დაგვიანება მოიხსენია. ასეთი ნაბიჯით ქართველ ელჩს გარკვეული გავლენის მოხდენაც სურდა რუსეთის მთავრობაზე. ამავე წერილით გარსევანმა გ. ა. პოტიომკინს მოახსენა, რომ „რაც თქვენის უგან-ბისაგან იმედი მებრძანება, იმ იმედს მოვახსენებ მეფესა ჩემსა“[251]. ამ წერილზე გ. ა. პოტიომკინს ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრისათვის პასუხი არ გაუცია.

გ. ჭავჭავაძე იძულებული გამხდარა 1786 წლის 16 თებერვლის წერილით კვლავ ეთხოვა გ. ა. პოტიომკინისაგან სამშობლოში დაბრუნების ნებართვა. გარსევანი სთხოვდა გ. ა. პოტიომკინს იმედიანი სიტყვით გაესტუმრებია იგი ერეკლესთან, „რომ ამ შეწუხებულის დროზედ მივიდე და თქვენგან დაბარებულის იმედიანის სიტყვით მისის სიმაღლის გული გავამხიარულოო“[252]. ქართველი ელჩი გ. ა. პოტიომკინს სთხოვდა: „პოდოროჟნის წყალობა მიყოთ და აღარ დამაგვიანოთ“[253]. გარსევანს სიტყვები არ დაუშურებია გ. ა. პოტიომკინის შესაქებად. მას გ. ა. პოტიომკინი საქართველოს ბედნიერებისათვის მზრუნველად გამოჰყავდა: „მამობრივ მზრუნველო საქართველოსაო, რათა არა და

ერთობის საკითხში შებოჭილი არ ყოფილიყო (მოსალოდნელი იყო რუსეთ-თურქეთის ახალი ომიც), თანაც, როგორც ცნობილია, 1783 წლის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებანი რუსეთის მხრით „არ ყოფილა დაცული“[256].

გ. ა. პოტიომკინის სახელზე გაგზავნილ ერეკლე II-ის არც ამ წერილს მოჰყოლია რაიმე შედეგი. რით აიხსნება რუსეთის მთავრობის ასეთი წაყრუება ქართველი ელჩის სამშობლოში დროულად დაბრუნების თაობაზე?

რუსეთის მთავრობამ კარგად იცოდა, თუ რა სურდა ელჩის გაწვევით ქართლ-კახეთის პოლიტიკოსებს (იხილეთ ამის შესახებ ზემოთ). როგორც ჩანს, ცარიზმის დიპლომატიას არ სურდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურებს საგარეო ორიენტაციის გადასინჯვის საკითხზე ეფიქრათ (ქართველი ელჩის სამშობლოში დროული დაბრუნება კი ამ საქმეს ხელს შეუწყობდა). ამიტომ იყო, ალბათ, რომ გ. ჭავჭავაძის სამშობლოში გამომგზავრება ძალიან გაჭიანურდა და იგი მხოლოდ 2 წლის შემდეგ, 1788 წლის ზაფხულში, დაბრუნდა საქართველოში.

1786 წლის 14 ივნისს გ. ჭავჭავაძემ ვიცე-კანცლერ ი. ოსტერმანს წერილი[257] (записка) მიართვა, სადაც ითხოვდა რუსეთის მთავრობის მიერ ერეკლე II-ისადმი ნაწყალობევი ზარბაზნების კავკასიის ხაზიდან საქართველოში გაგზავნას, თუ არ არის რაიმე დაბრკოლებაო[258], ითხოვდა აგრეთვე მისი ოჯახის დროულად გადმოყვანას «через Кавказские горы»[259]. გარსევანი ატყობინებდა ი. ოსტერმანს იმასაც, რომ საჭირო იყო მასთან მყოფი ქართული არტილერიის კაპიტნის უკან, სამშობლოში დაბრუნება და ერეკლე II-სადმი წერილის გაგზავნა (სადაც ელჩის, გ. ჭავჭავაძის ორპუნქტიანი თხოვნა იქნებოდა გამეორებული).[260]

---

[256] გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, საქართველოს შეერთება მეფის რუსეთთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1939, გვ. 13.

[257] ეს წერილი გამოქვეყნებული აქვს პროფ. ა. ცაგარელს (იხ. Грамоты, ტ. II, вып. II, გვ. 58—59). ამ წერილში გარსევანი თხოულობდა კავკასიის ხაზიდან ოჯახის სასწრაფოდ გადმოყვანას. ნუთუ გ. ჭავჭავაძეს 1786 წლის ივნისში ჯერ კიდევ არა ჰყავს მეუღლე პეტერბურგში? მაშინ როგორ დაიბადა გარსევანის შვილი, ალექსანდრე პეტერბურგში 1786 წელს? ვფიქრობ, შეცდომას უნდა ჰქონდეს ადგილი (შეიძლება წერილში ოჯახის მოხსენიება მეუღლის გადმოყვანას არ გულისხმობდეს; მას მეუღლე უკვე დიდი ხანია პეტერბურგში ჰყავდა) საგარეო სამინისტროს-არქივში დაცული ამ დოკუმენტის დედანში. ეს წერილი 1786 წლის 14 დეკემბრითაა დათარიღებული (იხ. АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Грузией, оп. 110/3, 1784—1788, д. 454², л. 23).

[258] А. Ц а г а р е л и, Грамоты... т. II. вып. II, с. 58.

[259] იქვე, გვ. 59.

[260] იქვე.

ზემოთ დასახელებული გ. ჭავჭავაძის 1786 წლის 10 იანვრისა და 16 თებერვლის, აგრეთვე ერეკლე II-ის 22 სექტემბრის წერილი გ. ა. პოტიომკინისადმი ქართველი პოლიტიკოსების ერთ-ერთი ხერხი იყო მფარველის (რუსეთის) პოზიციის ამოსაცნობად. რუსეთის მხრივ დაუხმარებლობას მართლაც მოჰყვა ქართველ პოლიტიკოსთა მიერ თავიანთი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ხაზის ნაწილობრივ შეცვლა. შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობაში მათ მეზობლებთან უფრო ლოიალურ ურთიერთობაზე აიღეს ხაზი, ოღონდ ისე, რომ რუსეთის მთავრობასთან ურთიერთობა არ გაუმწვავებიათ. პირიქით, 1786 წლის 12 სექტემბრის წერილით ქართველი ელჩი სპარსეთის ფაქტიური მმართველის აღა-მაჰმად-ხანის რუსეთთან მეგობრობის შუამავლადაც კი გამოდის. ამ წერილში გარსევან ჭავჭავაძე გ. ა. პოტიომკინს სწერდა: „ჩვენიაზი ზახარ ივანიჩი ციციანოვი ლოფმარშალი, რომელიც რომ წასული იყო საქართველოდამ სპარსეთში თავის ნათესავების სანახავათ სარდალს აღა-მაჰმად-ხანს მის სიმაღლე მეფესთან (ერეკლესთან — ზ. ც.) გამოუსტუმრებია და ასე დაუბარებია: მე თქვენთან დიდის დოსტობისა და მეგობრობის მონდომე ვარ ... რომ ადრებეჟანიდან. რომელიც რომ საქართველოს მხარე ალაგი იყოს მიირთვით, როგორც ერევანი გიჭირავსთ, ასე ის გეჭიროსთ ... რუსებსა და ჩემ შუაც საქმის დამწყობი მისი სიმაღლე ბრძანდებოდეს. ამ საქმეზედ თავის მხრიდამ ნებას მისს სიმაღლეს მეფეს აძლევს"[261]. ამავე საკითხზე გარსევანმა 1786 წლის 23 დეკემბერს შეტყობინება გაუგზავნა საგარეო საქმეთა კოლეგიას[262].

1786 წ. ზაფხულის მიწურულში ქართლ-კახეთის სამეფო კარი ახალციხის საფაშოსთან „მეგობრული" ურთიერთობის გზას დაადგა და მათ შორის საკუთარი ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე სამშვიდობო ხელშეკრულებაც კი დაიდო[263]. ერეკლემ ეს ხელშეკრულება შემდეგ რუსეთის მთავრობასთან შეათანხმა.

გ. ჭავჭავაძემ ხსენებული შეთანხმება, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის წერილის პირი (1785 წლის 15 სექტემბრის) თურქეთის ვეზირისადმი, ახალციხელ სულეიმან-ფაშასა და ერეკლე II-ს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულების შესახებ[264], აგრეთვე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სა და ახალციხელ სულეიმან-ფაშას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების პირი[265] (1786 წ. 15 სექტემბრის) რუსეთის მთავრობას წარუდგინა პეტერბურგში.

---

[261] ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 253—254.
[262] А. Цагарели, Грамоты..., том II, вып. II, с. 61.
[263] ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 254—257.
[264] იქვე, გვ. 254—256.
[265] იქვე, გვ. 256—257.

დეკემბრის პირველ რიცხვებში ს. ლაშქაროვმა ვიცე-კანცლერ გრაფ. ი. ოსტერმანის ბრძანების თანახმად ინახულა საქართველოს ელჩი გ. ჭავჭავაძე. ქართველ ელჩთან საუბრის შემდეგ ს. ლაშქაროვმა 14 დეკემბერს მოხსენება („რაპორტი") წარუდგინა ვიცე-კანცლერს ი. ოსტერმანს. ს. ლაშქაროვი ატყობინებდა ვიცე-კანცლერს ერეკლეს მიერ სულეიმან-ფაშასთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების შინაარსს. მანვე გადასცა ი. ოსტერმანს ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრის გ. ჭავჭავაძის თხოვნაც: 1) რათა ვიცე-კანცლერს ეშუამდგომლა იმპერატორ ეკატერინე II-სთან, საქართველოში მყოფი ორი ბატალიონისათვის ორი ათას ხუთასი ფეხოსნისა და ხუთასი ცხენოსანი კაცის დამატება; 2) მესაზღვრე ჯარის უფროსი (კავკასიის ხაზის მთავარსარდალი) გაფრთხილებული ყოფილიყო, საჭიროების შემთხვევაში დახმარებოდა ერეკლეს (ჯარით); 3) ნება დაერთოთ ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრისათვის სამშობლოში დაბრუნება, რადგან მეფე ერეკლე იხმობდა ელჩს, მის სამოურავოში მომთაბარე თათრის ელების (ყაზახის) დასაწყნარებლად და რომ ერეკლე II გ. ჭავჭავაძის ადგილზე მალე გამოგზავნიდა სხვა ელჩს[266]. მსგავსი მოხსენება მიართვეს აგრეთვე (ალბათ, ისევ ს. ლაშქაროვის დახმარებით) ეკატერინე II-ის პირველ ფავორიტს, საქართველოსა და ამიერკავკასიის საქმეების უშუალო ხელმძღვანელს, ბრწყინვალე თავადს გ. ა. პოტიომკინს[267].

24 დეკემბერს საქართველოს ელჩმა სთხოვა სასახლის მრჩეველს დუზეს, რათა ამ უკანასკნელს ეცნობებინა ვიცე-კანცლერისათვის, ხოლო მას ეშუამდგომლა, რომ გ. ჭავჭავაძეს სურს: 1) რუსეთის რაიმე ორდენის მიღება და 2) თავისი ვაჟის, ალექსანდრეს, ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკში ჩარიცხვა, რა ჩინზედაც დროულად განსჯილი იქნება[268].

ვიცე-კანცლერმა უბრძანა დუზეს გადაეცა ელჩისათვის, რომ იგი ურჩევდა გ. ჭავჭავაძეს ასეთი თხოვნით პირადად მიემართა გ. ა. პოტიომკინისათვის.

ქართველმა ელჩმა გ. ჭავჭავაძემ ვიცე-კანცლერის რჩევა მადლობით მიიღო, მაგრამ ვინაიდან ბრწყინვალე თავადი გ. ა. პოტიომკინი იმჟამად პეტერბურგში არ იყო, ხოლო იმპერატორის ბრძანებით მოსალოდნელი იყო ელჩის მალე სამშობლოში დაბრუნება, მან განაცხადა, რომ ახლა არა აქვს თავადთან მიწერ-მოწერის დრო. გარდა ამისა თავის ღირსებად არ ჩათვლის იმ გარემოებას, რომ წერილობით აცნო-

---

[266] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 59—60.
[267] АВПР МИД СССР, იქვე, ფურც. 22.
[268] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 61.

ბოს ასეთი პარტიკულარული თხოვნის შესახებ[269]. ქართველმა ელჩმა კვლავ სთხოვა ვიცე-კანცლერს, მისი ეს ორი თხოვნა შესრულებული ყოფილიყო, რადგან მისთვის ორდენის ბოძებას როგორც მისი მეფე, ისე თანამემამულენი ჩათვლიდნენ როგორც მისი უდიდებულესობის უმაღლეს წყალობად[270].

24 დეკემბერს დაიწყო ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი ელჩის გ. ჭავჭავაძის სამშობლოში დაბრუნებისათვის მზადება. გრაფი ალექსანდრე ანდრიას ძე ბეზბოროდკო (კანცლერი) ივანე ანდრიას ძე ოსტერმანს (ვიცე-კანცლერს) ამ დღეს სწერდა, რომ იმპერატორმა ეკატერინემ ინება საქართველოს ელჩის გ. ჭავჭავაძის სამშობლოში დაბრუნება და მიუთითა თუ რა უნდა გაკეთებულიყო საელჩოს საქართველოში გასამგზავრებლად მოსამზადებლად: 1) ფულის გამოყოფა გზისა და საჩუქრებისათვის; 2) ელჩი სამშობლოში გამგზავრებისას უნდა შეხვედროდა გ. ა. პოტიომკინს, მისთვის ხელსაყრელ ადგილას[271].

1787 წლის 2 იანვარს ვიცე-კანცლერმა ივანე ოსტერმანმა, იმპერატორის ბრძანების თანახმად, ნამდვილ საიდუმლო მრჩეველ და გენერალ-პროკურორ თავად ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ვიაზემსკის მოთხოვა ხაზინიდან ფულის გაცემა, საჩუქრად სრულუფლებიან მინისტრ გ. ჭავჭავაძისათვის 3000 მანეთის ვერცხლით, საელჩოს მდივნისათვის 600 მანეთის, საელჩოს თარჯიმანისათვის 400 მანეთის, ხოლო ქართული საელჩოს დარჩენილი ამალისათვის 1000 მანეთის რაოდენობით.

დასახელებული ფულადი საჩუქრების გარდა, მასვე უნდა გამოეყო ხაზინიდან თანხა საელჩოს მგზავრობის ხარჯებისათვის[272].

20 იანვარს პეტერბურგის ფოსტის მდივანი ნიკოლოზ იაბლონსკი შეეკითხა საგარეო საქმეთა კოლეგიას, თუ რამდენი „ვერსი" იყო და რამდენი უნდა გადაეხადათ თითოეულ ვერსზე ორ საზიდარზე პეტერბურგიდან მოსკოვამდე, მოსკოვიდან მოგილევამდე, მოგილევიდან კიევამდე, კიევიდან ყიზლარამდე და შემდეგ საქართველოს საზღვრამდე [273]. საგარეო საქმეთა კოლეგიამ უპასუხა პეტერბურგის ფოსტას, რომ პეტერბურგიდან მოსკოვამდე 728 „ვერსია", მოსკოვიდან მოგილევამდე 561 „ვერსი", მოგილევიდან კიევამდე 474 „ვერსი", სულ 1763 „ვერსი", ხოლო კიევიდან ყიზლარამდე და შემდეგ საქართველოს საზღვრებამდე თუ რა მანძილი იყო, ამის შესახებ საგარეო საქმე-

---

[269] იქვე, გვ. 62.
[270] იქვე, გვ. 62.
[271] АВПР МИД СССР, ф. Сношения Рос. с Грузией, оп. 110/3, д. 454, 1784—1788, л. 28.
[272] იქვე, ფურც. 33.
[273] იქვე, ფურც. 35.

თა კოლეგიას ცნობები არ გააჩნდა. „ვერს“ გზაზე თითო ცხენის დაქირავებისათვის პეტერბურგიდან მოსკოვისაკენ მომავალ გზაზე, 85 „ვერსის“ მანძილზე, 4 კაპ. იხდიდნენ, ხოლო დანარჩენ გზაზე (კიევამდე) — 2 კაპიკს[274].

1787 წლის 27 იანვარს პეტერბურგში ხაზინიდან აცნობეს საგარეო საქმეთა კოლეგიას, რომ აქ მყოფი ქართველი ელჩის გ. ჭავჭავაძის ამალისათვის ორი კარეტის და 10 ცხენის დასაქირავებლად გამოყოფილიყო სახარჯო ფული[275]. 29 იანვარს პეტერბურგის საგუბერნიო მმართველობა შეეკითხა საგარეო საქმეთა კოლეგიას, ხომ არ ირიცხება თავად ჭავჭავაძესა და მის ამალაზე რაიმე ფულადი დავალიანება, რადგან მათ წასვლაზე სამშობლოში უკვე დაბეჭდილია „სანკტპეტერბურგის უწყებანის“ 7, 8 და 9 იანვრის ნომრებში[276].

27 იანვარს ვიცე-კანცლერის ბრძანებით საგარეო საქმეთა კოლეგიის მრჩეველმა მიხეილ დუზემ ინახულა ქართველი ელჩი გ. ჭავჭავაძე და შეეკითხა, რა თანხას იღებდა ელჩი სახარჯოდ, საიდან იღებდა იგი ორი კარეტისა და ათი ცხენის დაქირავებისათვის საჭირო ფულს; რას იხდიდა იმ სახლში, რომელშიაც ელჩი ცხოვრობდა. ელჩმა გ. ჭავჭავაძემ მიხეილ დუზეს უპასუხა, რომ მას რუსეთის საზღვრებში შემოსვლისთანავე აძლევდნენ დღეში 10 მანეთს; ორი კარეტა და 10 ცხენი დაიქირავა პეტერბურგში ჩასვლისთანავე, თითოეული კარეტა თვეში 25 მანეთად. თანხას იხდიდა პეტერბურგის ხაზინა საშტატო თანხიდან. მან არ იცოდა რა თანხას იხდიდნენ იმ სახლში, სადაც ელჩი ადრე ცხოვრობდა, ამჟამად კი იგი ცხოვრობდა ვაჭარ მანსუროვის სახლში, რომელსაც თვითონ შეუთანხმდა და წელიწადში 850 მანეთს უხდიდა[277].

საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიამ საქართველოს საელჩოს სამშობლოში გასამგზავრებლად საჭირო ნივთების შეძენა დაავალა ამავე კოლეგიის პორუჩიკ ივანე ბოჩაროვს, რომელსაც უნდა დაემზადებინა ქართველი ელჩის საზამთრო სვლისათვის გამოსადეგი ორი კარეტა, მათ შორის ერთი შიგნიდან მაუდით გამოკრული, ხოლო გარედან ტყავით ან „კლიონკით“, აგრეთვე ექვსი ეტლი და სხვ. ეს კარეტები და ეტლები ბოჩაროვს პეტერბურგელ ვაჭარ ეფიმ სიმონის ძე

---

[274] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Грузией, оп. 110/3, 1784—1788, д. 454а, л. 35.

[275] იქვე, ფურც. 35v.

[276] იქვე, ფურც. 38.

[277] იქვე, ფურც. 41.

სოროკინისაგან უყიდია. ბოჩაროვს ჩამოთვლილი აქვს რა ფასად იყიდა ვაჭარ სოროკინისაგან თითოეული ეტლი და კარეტა[278].

30 იანვარს ვიცე-კანცლერი გრაფი ი. ოსტერმანი პეტრე ალექსანდრეს ძე საიმონოვს სთხოვდა საგარეო საქმეთა კოლეგიის ხაზინადარ „ნადვორნი სოვეტნიკ“ ბერხმანისათვის ხელწერილ ქვეშ მიეცა 1572 მანეთი და 80 კაპ. ქართველი ელჩის პეტერბურგიდან მოგილევამდე გამგზავრებისათვის ქირისა და საგზაო ხარჯებისათვის[279] „ნადვორნი სოვეტნიკი“ პავლე ბერხმანი 4 თებერვლის „რაპორტით“ საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიას აუწყებდა აღნიშნული თანხის ხელწერილის ქვეშ მიღებას[280].

4 თებერვალს ვიცე-კანცლერი გრაფი ი. ოსტერმანი ბრწყინვალე თავადს, ფელდმარშალ გ. ა. პოტიომკინს ატყობინებდა, რომ სამშობლოსაკენ მიმავალ ქართველ ელჩ თავად გ. ჭავჭავაძეს მოსკოვზე გავლით მოგილევში გზავნის. ელჩის გამცილებლად საგარეო საქმეთა კოლეგიიდან ამოვარჩიეთ აქტუარიუსი ცებრიკოვი, რომელიც აღვჭურვე როგორც სათანადო დარიგებით, ასევე ფულით, რადგან მე არ ვიცი მოგილევიდან რა მიმართულებით სჯობია ელჩისათვის შემდგომი მგზავრობა, აქტუარიუსი ცებრიკოვი გავაფრთხილე და იგი დაელოდება თქვენს ბრძანებას მოგილევშიო. ქართველი ელჩის გ. ჭავჭავაძის სამგზავრო ფული, — სწერდა ი. ოსტერმანი გ. ა. პოტიომკინს, — მას მოუთხოვია მხოლოდ მოგილევამდე[281].

5 თებერვალს გაცემულ პასპორტში, რომელსაც ხელს აწერს ვიცე-კანცლერი გრაფი ი. ოსტერმანი, ჩამოთვლილია სამშობლოში მიმავალი ქართული საელჩოს ამალის შემადგენლობა: გ. ჭავჭავაძე მეუღლითა და მცირეწლოვანი პრმშოთი; მდივანი თავადი გ. ავალიშვილი, თარჯიმანი ფილიპე ხუციშვილი (Хутцов); ოთხი მსახური: დავით ბატიაშვილი (Батияев), დიმიტრი კახიძე (Кохов), ეგორ ბერიძე (Бриджев, должно быть Беридзе — ზ. ც.), გლახა მესხიშვილი (Месхов): ორი მოსამსახურე ქალი, ხოშია ანდრონიკაშვილი (Гендрениковой) და მარინა ზანდაროვა (Зандаровой), აგრეთვე ლეიბ-გვარდიის სემიონოვსკის პოლკის ჯარისკაცი სტეფანე ისაკოვი და მისი მეუღლე აკულინა. სულ 13 კაცი[282].

---

[278] АВПР МИД СССР. ф. Снош. Рос. с Грузией, оп. 110/3, 1784—1788, д. 454а, л. 51.

[279] იქვე. ფურც. 44.

[280] იქვე. ფურც. 56.

[281] ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 421, св. 121, л. 1.

[282] А. Цагарели, Грамоты..., т. II. вып. II, с. 62—63; ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 421, св. 121, ч. IV, л.2; АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Грузией, оп. 110/3, 1784—1788, д. 454а, л. 80.

7 თებერვალს საგარეო საქმეთა კოლეგიის მდივანმა ნიკოლოზ იაბლონსკიმ მოთხოვნა წარუდგინა სანკტპეტერბურგის ფოსტას, ქართველი ელჩის გ. ჭავჭავაძის ოჯახისა და ამალის (რომელიც 10 კაცისაგან შედგებოდა) სამშობლოში გამგზავრებისათვის, აგრეთვე საგარეო საქმეთა კოლეგიის აქტუარიუსის თანხლებისათვის მიეცათ სანკტპეტერბურგიდან მოგილევამდე მოსკოვზე გავლით 29 ქირის ცხენი, ხოლო ხსენებულ აქტუარიუს ცებრიკოვს — 3 ცხენი სამგზავრო თანხით[283].

აქტუარიუს რომან ცებრიკოვს საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიიდან სპეციალური, 8 პარაგრაფიანი დარიგება მიეცა, რომლის მიხედვითაც მას უნდა ემოქმედა ქართველი ელჩისა და მისი ამალის თანხლების დროს. 1) აქტუარიუსი ცებრიკოვი საგარეო საქმეთა კოლეგიიდან მიიღებდა ქართველი ელჩისა და მისი ამალის პეტერბურგიდან მოგილევამდე გასამგზავრებელ საჭირო თანხას; 2) მასვე ეძლეოდა დამატებითი თანხა — 300 მანეთი — ეტლებისა და ეკიპაჟების მიმდინარე შეკეთებისათვის, თუ ტრანსპორტი გზაში დაზიანდებოდა. დანახარჯი ცებრიკოვს სპეციალურ ტყავის წიგნში უნდა ჩაეწერა და უკან დაბრუნებისას წარედგინა საგარეო საქმეთა კოლეგიაში; 3) საკუთარი ხარჯებისათვის (ყვებისათვის) მას 6 თვეში ეძლეოდა 150 მანეთი; 4) ცებრიკოვი ვალდებული იყო მოეთხოვა უფროსებისაგან ღამის გასათევად შესაფერისი ბინები როგორც საელჩოს ამალისათვის, ასევე თავისთვისაც; 5) მოსკოვთან მიახლოებისას ცებრიკოვი უნდა დაწინაურებულიყო და მთავარსარდალ გენერალ-ანშეფ პეტრე დიმიტრის ძე ეროპკინისათვის (გუბერნატორისათვის) მოეხსენებინა (თუმცა მოსკოვის მთავარსარდალი პ. ეროპკინი გ. ჭავჭავაძის მოსალოდნელი გამომგზავრების შესახებ ვიცე-კანცლერ ი. ოსტერმანის ბიერ წინასწარ გაფრთხილებული იყო), რომ მოსკოვში მალე მოვა ქართველი ელჩი, რომელსაც სურს ცოტახნით შეჩერება. ცებრიკოვს უნდა ეთხოვა ეროპკინისათვის, რომ ამ უკანასკნელს ბრძანება გაეცა, რათა როგორც ელჩის გ. ჭავჭავაძის, ასევე მისი ამალისათვის შესაფერისი ბინები გამოეყოთ; 6) ცებრიკოვი ვალდებული იყო ელჩისა და მისი ამალისათვის ყველა შესაძლებელი სამსახური გაეწია, არ მიეყენებინა მათთვის რაიმე უბრალო წყენაც კი, არც პირადად და არც გარეშე პირთაგან. გზაში საზიდები, აგრეთვე სურსათი და სხვა უფასოდ არ აეღოთ (რუსი გლეხებისაგან — ზ. ც.). წინაალმდეგ შემთხვევაში კანონიერად გამოგექვითებათ და დაისჯებითო; 7) მოგილევში მისვლისას ცებრიკოვი ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მოსკოეთან

---

[283] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз., оп. 110/3, 1784—1788, д. 454а, л. 93.

მიახლოვებისას, იგი უნდა დაწინაურებულიყო და გაეფრთხილებინა მხარის გენერალ-გუბერნატორი პეტრე ბოგდანის ძე პასეკი (პ. პასეკიც გ. ჭავჭავაძის მოსალოდნელი გამომგზავრების შესახებ წინასწარ გააფრთხილა ვიცე-კანცლერმა ი. ოსტერმანმა). რადგან ქართველი ელჩის სამშობლოში შემდგომი გამგზავრება დამოკიდებული იყო ფელდმარშალ გ. ა. პოტიომკინის განკარგულებაზე, მოგილევში ჩასვლისთანავე ცებრიკოვს „რაპორტი" უნდა გაეგზავნა გ. ა. პოტიომკინთან და დალოდებოდა მის ბრძანებას. თუ გ ა. პოტიომკინი ბრძანებდა, ელჩს საქართველოს საზღვრებამდე ცებრიკოვი უნდა გაჰყოლოდა, თუ არა და მოგილევიდან უკან, პეტერბურგში დაბრუნებულიყო; 8) მგზავრობის მიმდინარეობის შესახებ ცებრიკოვი ვალდებული იყო წერილობითი მოხსენებითი ბარათები გაეგზავნა პეტერბურგში, საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიაში[284].

იმპერატორ ეკატერინე II-ის ბრძანებით ქართლ-კახეთის ელჩს გ. ჭავჭავაძეს ფულადი საჩუქრის გარდა (ფულადი საჩუქრები მიიღეს აგრეთვე საელჩოს სხვა წევრებმაც) მიეცა: ოქროს საათი, ოქროსავე ძეწკვით, ბრილიანტით და მარგალიტით მოოქვილი, ნახევარი ნაჭერი წითელი მაუდი, სიასამურის კარგი ბეწვი, ერთი ნაჭერი ფარჩა. სხვადასხვა საჩუქრები მიიღეს აგრეთვე გარსევანის მეუღლემ მარიამმა და საელჩოს მდივანმა გიორგი ავალიშვილმა[285].

ქართლ-კახეთის საელჩოს ამალის პეტერბურგიდან მოგილევამდე გამგზავრება რუსეთის მთავრობას 1572 მანეთი და 80 კაპ. დაუჯდა[286]

9 თებერვალს ქართველი ელჩი გ. ჭავჭავაძე და მისი ამალა პეტერბურგიდან სამშობლოსაკენ გამოემგზავრა, 16 თებერვალს გ. ჭავჭავაძე თავისი ამალით მოსკოვში ჩავიდა[287]. ამის შესახებ აქტუარიუსმა ცებრიკოვმა მოსკოვის გუბერნატორს პეტრე დიმიტრის-ძე ეროპკინს აცნობა, რომელმაც ბრძანება გასცა და ქართულ საელჩოს სახაზინო სახლში გამოუყო საცხოვრებელი ოთახები, სადაც სხვა აზიელი ელჩები ცხოვრობდნენ ხოლმე. რადგან ეს სახლი საზამთროდ მომზადებუ-

---

[284] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз. оп. 110/3, 1784—1788, д. 454", л. 80—84; ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 421, св. 121, ч. IV, стр. 2—4 (ეს 8 მუხლიანი დარიგება საგარეო საქმეთა კოლეგიის აქტუარიუსმა ცებრიკოვმა ქართული საელჩოს პეტერბურგიდან გამომგზავრებამდე 4 დღით ადრე, 1787 წლის 5 თებერვალს მიიღო).

[285] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Грузией, оп. 110/3, 1784—1788, д. 454а, л. 84; ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 421, св. 121, ч. IV, л. 4.

[286] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз., оп. 110/3, 1784—1788, д. 454а, л. 88; ЦГВИА СССР, ф. 52, оп. 194, д. 421, св. 121, ч. IV, л. 5.

[287] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Грузией, оп. 110/3, 1784—1788. д. 454а, л. 97.

ლი არ იყო (ღუმელებით გამთბარი არ იყო), გ. ჭავჭავაძემ ითხოვა სასტუმროში გაჩერება და სხვა სახლის გამოყოფა[288].

2 მარტს გ. ჭავჭავაძემ წერილი გაუგზავნა მოსკოვიდან პეტერბურგში ვიცე-კანცლერ ივანე ოსტერმანს და მოახსენა, რომ მან ვერ შეძლო მოსკოვიდან მოგილევში გ. ა. პოტიომკინთან წასვლა მეუღლის ავადმყოფობის გამო[289].

18 მარტს მოსკოვის გუბერნატორმა პეტრე ეროპკინმა წერილი გაუგზავნა ვიცე-კანცლერ ი. ოსტერმანს და აცნობა, რომ თქვენი წერილის მიღებისთანავე ვუბრძანე ქართველი ელჩისა და მისი ამალის მისაღებად სახაზინო სახლის მომზადება, რომელსაც 12 საუკეთესო ოთახი აქვს და აზიური გემოვნებითაა გაფორმებული, მაგრამ ქართველმა ელჩმა ამ სახლში მხოლოდ რამდენიმე დღე იცხოვრა. „**სურდა ევროპულად ცხოვრება, დაუინებით მოითხოვდა სხვა სახლს**"[290] (ხაზი ჩემია—ზ. ც.). ეროპკინი იძულებული გამხდარა ელჩისათვის დაექირავებინა ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი სახლი, თვეში 35 მანეთად. თუმცა მას ელჩი გაუფრთხილებია, თუ თვეზე მეტს იცხოვრებდა ამ სახლში, მაშინ საკუთარი ფულით უნდა გაესტუმრებინა ბინის ქირა[291]. ერთი შეხედვით, თითქოს აქ გ. ჭავჭავაძის აკვიატებულ სურვილთან გვაქვს საქმე, მაგრამ „ევროპულად ცხოვრება" მაშინ არა მარტო მის, არამედ სხვა მოწინავე ქართველ პოლიტიკოსთა მისწრაფებასაც შეადგენდა. თვით ერეკლე II-ც ხომ თავისი ქვეყნის ევროპულად გარდაქმნის მომხრე იყო.

გარსევანი მოსკოვიდან წასვლას (გ. ა. პოტიომკინთან შეხვედრას) არ ჩქარობდა. შეიძლება მას აღარც სურდა გ. ა. პოტიომკინთან შეხვედრა. ცებრიკოვის შეკითხვაზე, თუ როდის აპირებს მოსკოვიდან გამგზავრებას? გარსევანს უპასუხნია: რადგან გაზაფხული ახლოვდება და ზამთრის გზები თანდათან ფუჭდება, მდინარეები მატულობენ, მეუღლეც ჯერ მთლიანად გამოჯანმრთელებული არ არის, აგრეთვე ახლოვდება აღდგომაც და არც გ. ა. პოტიომკინის სახელზე კიევში გაგზავნილ წერილზე მიმიღია რაიმე პასუხი, ამიტომ ჯერჯერობით მოსკოვში ვიცხოვრებო. ამის გამო ცებრიკოვი იძულებული გამხდარა შეეკეთებინა და მოემზადებინა ეკიპაჟი საზაფხულო გზისათვის[292].

1787 წ. 1 ივლისს აქტიორიოსირომან ცებრიკოვი უმორჩილესი მოხსე-

---

[288] იქვე, ფურც. 97 v.

[289] А. Цагарели, Грамоты..., т. II. вып. I, л. III—112.

[290] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз., оп 110/3, 1784—1788, д. 454а, л. 101.

[291] იქვე.

[292] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз., оп. 110/3, 1784—1788, д. 454а, л. 103.

ნებით ატყობინებდა საგარეო საქმეთა კოლეგიას; რომ იგი ასრულებდა მისადმი მიცემული დარიგების ყველა მუხლს, მოსკოვში ქართველ ელჩს ეშსახურებოდა, დანახარჯებს ტყავის წიგნში იწერდა და სხვ., მაგრამ 20 ივნისს მას მოსკოვში ფული დაკარგვია, რომელიც ქართველი ელჩის საჭიროებისათვის იყო გამოყოფილი (სამგზავრო ფული მოგილევამდე) 601 მან. და 86 კაპ., ასევე საკუთარი 140 მან. 14 კაპ. ამის შესახებ 21 ივნისს მას უცნობებია როგორც მოსკოვის პოლიციისათვის («управу благочиния»)[293], ასევე ქართველი ელჩის გ. ჭავჭავაძისათვისაც. ცებრიკოვს ფულთან ერთად დაკარგვია დანახარჯების ჩასაწერი წიგნიც (საეჭვო ამბავია?!). ამ ამბავს მძიმე მდგომარეობაში ჩაუყენებია აქტუარიუსი რომან ცებრიკოვი. დასასრულ, ცებრიკოვი აუწყებდა საგარეო საქმეთა კოლეგიას, რომ ქართველმა ელჩმა 15 ივნისს პასპორტით, უკანვე, პეტერბურგში დააბრუნა ლეიბ-გვარდიის სემიონოვსკის პოლკის ჯარისკაცი სტეფანე ისაკოვი და მისი ცოლი აკულინა ლეონტიევა[294].

აგვისტოს შუა რიცხვებში გ. ა. პოტიომკინის სურვილისთანახმად გ. ჭავჭავაძე წავიდა ეკატერინოსლავის გუბერნიაში, შემდგომ საქართველოში გასამგზავრებლად[295]. ქართველმა ელჩმა თან წაიყვანა თარჯიმანი ფილიპე ხუციშვილი, მსახური იაგორ ბერიძე და საგარეო საქმეთა კოლეგიის აქტუარიუსი რომან ცებრიკოვი. გარსევანმა ცოლშვილი და დანარჩენი ამალა მოსკოვში დატოვა[296].

ქართველი ელჩი მოსკოვიდან კრემენჩუგში ჩავიდა, ხოლო კრემენჩუგიდან ელიზავეტგრადში (დღევანდელი დნეპროპეტროვსკი). ელიზავეტგრადში ჩასვლისას გამოირკვა, რომ გ. ა. პოტიომკინი ხერსონში წასულიყო. ქართველი ელჩი ელიზავეტგრადიდან ხერსონში აღარ წასულა ასე, რომ გარსევანი ვერ შეხვდა გ. ა. პოტიომკინს. ხერსონში გ. ა. პოტიომკინთან, რათა გამოეთხოვა ამ უკანასკნელისაგან უკან დაბრუნების ნებართვა ქართველი ელჩისა და თავისათვის, წავიდა აქტუარიუსი რომან ცებრიკოვი. იგი განიცდიდა დიდ მატერიალურ სივიწროვეს 1787 და 1788 წლების ხელფასის მიუღებლობის გამო: მან საგარეო საქმეთა კოლეგიას ჯამაგირის გამოგზავნა თხოვა, საიდანაც ცებრიკოვის თხოვნის საპასუხოდ ასეთი ბრძანება მოვიდა: აქტუარიუსი ცებრიკოვი დააბრუნეთ პეტერბურგში, ხოლო ფული ხელფასიდან დაუქვითეთო[297]. რომან ცებრიკოვმა 1788 წლის 3

---

[293] იქვე, ფურც. 105.
[294] იქვე.
[295] იქვე, ფურც. 108.
[296] იქვე.
[297] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Грузией, оп. 17 0/3, 1784—1788, д. 454-а, л. 107.

აპრილს ელიზავეტგრადში გ. ჭავჭავაძისაგან წერილობითი მოწმობა მიიღო, რომელშიაც ვკითხულობთ: „მე ამ წერილობითს მოწმობას. ვაძლევ ამ. კოლეგიიდან. გამოტანებულს. ოფიცარს ცებრიკოვს, რომ პეტერბურგიდამ, მოსკოვამდინ. და მოსკოვიდან. კრემენჩუგამდინ. თავის პროგონით მომეკედლა, და მოსკოვს თეთრიც დაკარგოდა“[298].

აქტუარიუსმა რომან ცებრიკოვმა ელიზავეტგრადიდან 5 აპრილს მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა საგარეო საქმეთა კოლეგიას, მას ზედ დაურთო ქართველი ელჩის წერილობითი მოწმობაც (რუსულად და ქართულად) და კვლავ თხოვა საგარეო საქმეთა კოლეგიას ხელფასი, რადგან მთელი წლის განმავლობაში ხელფასის მიუღებლობის გამო ისე ვარ შეწუხებული, რომ განვიცდი ძლიერ ხელმოკლეობასაო[299]. თუ რა ბედი ეწია შემდგომში ცებრიკოვს, ამის შესახებ მასალები არა გვაქვს.

როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრი გ. ჭავჭავაძე პირადად ვერ შეხვდა გ. ა. პოტიომკინს. ამის მიზეზი ალბათ გ. ა. პოტიომკინის დიდი დატვირთულობა უნდა ყოფილიყო (ამ დროს რუსეთ-თურქეთის მეორე ომი იყო).

1788 წ. ზაფხულში გ. ჭავჭავაძე სამშობლოში დაბრუნდა. მის მაგივრად რუსეთის საიმპერატორო კარზე 1788 წ. 22 მაისიდან 1792 წ. 4 იანვრამდე სულხან თუმანიშვილი მოღვაწეობდა[300].

ჯერ კიდევ 1783 წ. სექტემბერში ერეკლე II-მ, რათა არ გამორჩენოდათ ტრაქტატში კურთხევების წესის შეტანა, ტრაქტატის დადებისთანავე გენერალ გ. ა. პოტიომკინთან გაგზავნა თავისი პირველი მდივანი და საყვარელი ადამიანი, თავადი სულხან თუმანიშვილი[301].

1783 წ. 24 სექტემბრის წერილით პ. პოტიომკინი ერეკლეს ატყობინებდა, რომ მან მიიღო გ. ა. პოტიომკინთან მიმავალი „თქვენი ობერ-სეკრეტარი კნიაზ თუმანოვი (სულხან თუმანიშვილი — ზ. ც.). მე ის გავისტუმრე კნიაზ გრიგოლ ალექსანდრიჩთანა ათს რიცხვსა ამ თვესსა“[302]. ამავე წლის 10 ნოემბრის წერილით პ. პოტიომკინი კვლავ აცნობებდა ერეკლეს, რომ „თქვენი გაგზავნილი ობერ-სეკრეტარი კნიაზ თუმანოვი უმაღლეს კარზედა განათლებულს კნიაზს გრიგოლ ალექსანდრიჩს პოტიომკინს დიდათ მოსწონებია და დიდის სიყვარულითაც შეუწყნარებია. განათლებული კნიაზი, როდესაც განთავისუფლებულა სნეულობისაგან, პეტერბურგს წასულა და ისიც თან წაუყვანია“[303].

---

[298] იქვე, ფურც. 117.
[299] იქვე, ფურც. 115.
[300] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, გვ. 66, 270.
[301] Н. Дубровин, История войны..., т. II, СПб, 1886. გვ. 12, შენიშვნა.
[302] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. sd № 2272, წერილი 18.
[303] იქვე, ფ. sd № 2272, წერილი 25.

სულხან თუმანიშვილის ღირსებას ეე ახასიათებს გ. ა. პოტიომკინი იმ-პერატორ ეკატერინე II-ადმი მიწერილ მოხსენებაში: თავადი თუმა-ნოვი — აცნობებდა დედოფალს 7 ოქტომბერს — სწავლული კაცია, ძლიერ კარგი განათლებითა და დიდი ნიჭით. გეგონებოდათ, არ შე-იძლებოდა ასეთად წარმოდგენა თბილისის მცხოვრებისა. ამ გამოგ-ზავნის მიზეზია მეფის კურთხევა, რომელიც სურს ირაკლის და რო-მელზედაც ანახლებს თხოვნას თქვენი იმპერატორობითი უმაღლე-სობის წინაშე[304].

1783 წლის დეკემბერში სულხან თუმანიშვილი პეტერბურგიდან კავკასიის ხაზზე ჩამოსულა. ეს ამბავი კვლავ აცნობა ერეკლე II-ს პ.პოტიომკინმა 1783 წლის დეკემბრის წერილით: „თქვენის უგანათლებულესობის მოწყალებისათვის შემომიველრებია და მომი-ბარებია კნიაზ თუმანოვი, რომელმაც რომ ვარგის ყოფაქცევით, ზრდილობითა და მეცნიერებითა შეიწივა მისის უგანათლებულესობის კნიაზ პოტემკინის ქება და სიყვარული, მეც ჩემის მხრიდამ ასრედ კარგ კაცად მიცნია“[305]. აი ასეთმა კაცმა შეცვალა რუსეთში საქართვე-ლოს სრულუფლებიანი ელჩი გარსევან ჭავჭავაძე 1788 წელს, როცა ეს უკანასკნელი საქართველოში დაბრუნდა. ამავე წლის ერთ დოკუმენტში ს. თუმანიშვილი ერეკლე მეფის კურიერად[306] იხსენიება, მეორე დოკუმენტში — ელჩად[307], თვითონ კი თავს „სენატორს“ უწოდებ-და[308]. მან 1788 წლის 22 მაისს წარდგინება მიართვა ვიცე-კანცლერს, სადაც 6 მუხლში ჩამოაყალიბა ის მოთხოვნები, რაც უნდა გაეთვალის-წინებინა რუსეთის მთავრობას თურქეთთან ზავის დადების დროს, რათა თურქეთს არ შეძლებოდა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის არც აშკარად და არც ფარულად ზიანის მიყენება[309]. ასე, რომ ქართლ-კახე-თის სახელმწიფოს მესვეურები რუსეთის საიმპერატორო კარზე ელჩად ყოველთვის ღირსეულ ადამიანებს არჩევდნენ და გზავნიდნენ.

თავისი დიპლომატიური მოღვაწეობის ბოლო წლებში სულხან თუმანიშვილი ქ. იასაში, გ. ა. პოტიომკინთან (აქვე იყო მაშინ გაიოზ არქიმანდრიტიც), იმყოფებოდა, განიცდიდა დიდ მატერიალურ გაჭირ-ვებას, რადგან თითქმის ორწელიწადნახევრის განმავლობაში არავითარ ფულად დახმარებას არ ღებულობდა რუსეთის მთავრობისაგან, მაშინ-

---

304 Н. Дубровин, დასახელებული ნაშრომი, გვ. 12; შენიშვნა 1.

305 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Н—2272, წერილი 28.

306 А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 86.

307 იქვე.

308 ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 268.

309 А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, გვ. 66—67; იხ. აგრეთვე ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 266—268.

როცა სხვა ელჩები ღებულობდნენ დახმარებას[310] — სწერდა სასო-წარკვეთილებაში ჩავარდნილი ს. თუმანიშვილი რუსეთის ერთ-ერთ გავლენიან პირს (გრაფ პანინს? არა, დოკუმენტში შეცდომაა, ალბათ გრაფ ოსტერმანს — ზ. ც.).

სულხან თუმანიშვილი გ. ჭავჭავაძის მსგავსად სრულუფლებიან მინისტრად არ იწოდებოდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართველი რეზიდენტის გ. ჭავჭავაძის პოსტი რუსეთის საიმპერატორო კარზე უცვლელი რჩებოდა.

გ. ჭავჭავაძე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აგრძელებდა პოლიტიკურ მოღვაწეობას ქართლ-კახეთის სამეფო კარზე. მაგალითად, 1791 წლის 24 აგვისტოს წერილით ერეკლე II არქიმანდრიტ გაიოზს იასაში ატყობინებდა, რომ აღა-მაჰმად-ხანი შუშის ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა და შესაძლებელია ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქროს, ეცადე ამის მოხსენებას, სადაც საჭირო არისო. ჩვენს სხვა მდგომარეობაზე მოგწერეთ გარსევან ჭავჭავაძის საშუალებით, ამასთან ერთად გეგზავნებათ ტრაქტატის ასლი[311].

გ. ჭავჭავაძეს თავისი პოსტი (სრულუფლებიანი მინისტრის) რომ კვლავ ეკავა, ამას ადასტურებს 1792 წლის 8 დეკემბრის წერილი თბილისიდან პეტერბურგს იაკობ რეინეგსის სახელზე გაგზავნილი. გ. ჭავჭავაძეს შეუტყვია, რომ იაკობ რეინეგსი საქართველოს სიცოცხლის „სიმტკიცისათვის“ ზრუნავდა (წამლებს გზავნიდა საქართველოში). გ. ჭავჭავაძეს თავის მოვალეობად ჩაუთვლია რეინეგსისათვის მადლობის გამოცხადება და პატარა კასრით წინანდლის ღვინოც კი გაუგზავნია პეტერბურგში, რადგან „თანამდებობის მებრ. ჩენის. მაქვს. ყოველთვის. უმდაბლესის. პატივ გამოცხადებად — რომ მივიღე აზრი რომ აქაური სიცოცხლის. სიმტკიცისათვის ფიქრობთ. რომლისთვისაც უმდაბლესად გმადლობ“[312].

§ 4. მეორე ელჩობა (1793—1796 წწ.)

1790 წ., როგორც ცნობილია, სოლომონ ლიონიძის ინიციატივით ევერიელ მეფე-მთავრებს შორის სამხედრო კავშირი გაფორმდა. მოკავშირეებმა თავიანთ მეთაურად ერეკლე აღიარეს, ხოლო 1793 წელს ისინი ერთად რუსეთის იმპერატორს მფარველობას სთხოვდნენ[313].

---

[310] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, გვ. 270; იხ. აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Н-609, წერილი 18, ფურც. 72.

[311] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 70.

[312] ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Н-609, წერილი 7. ფურც. 71, იხ. აგრეთვე M. Brosset, Histoire de la Georgie depuis l'antiquite jusqu'au XIXe siecle, ტ. II, ნ. II, ს-პეტერბურგი, 1857. გვ. 404.

[313] საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბილისი, 1946, გვ. 411



ერეკლე II-ის მიერ 1793 წლის 12 დეკემბერს გაცემული რწმუნების სიგელი — გ. ჭავჭავაძისადმი.

1793 წ. 12 დეკემბერს ერეკლე II-მ გ. ჭავჭავაძეს იმპერატორ ეკატერინე II-თან წარსადგენად რწმუნების სიგელი მისცა[314], მასვე გაატანა წერილები რუსეთის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, ვიცე-კანცლერ გრაფ ი. ოსტერმანთან[315], კანცლერ ა. ბეზბოროდკოსა[316] და ეკატერინე II-ის გავლენიან ფავორიტ გრაფ პ. ზუბოვთან[317]. ვიცე-კანცლერ გრაფ ი. ოსტერმანის სახელზე გაგზავნილ წერილში ერეკლე სთხოვდა მას: „კეთილმწადინელობას თქვენგან რათა მცა აზრთა თხოვილთა ჩვენთა ზედა"[318], რომელიც გარსევანისაგან განეცხადების თქვენ ბრწყინვალებასო.

1794 წლის 4 იანვარს გ. ჭავჭავაძე თბილისიდან პეტერბურგისაკენ გაემგზავრა და 1794 წლის 27 თებერვალს კავკასიის მთავარსარდალ გენერალ გუდოვიჩთან, ციხე-ქალაქ გეორგიევსკში ჩავიდა[319].

ამიერიდან გარსევან ჭავჭავაძე გვევლინება არა მარტო ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის უფლებებით რუსეთში, არამედ იგი იმერეთ-ამერეთის ასე ზედაპირულად „გაერთიანებულის" მეფე-მთავართა წარმომადგენელიც გამოდის. 1794 წ. თებერვალში მათი საერთო თხოვნა მიჰქონდა იმპერატორ ეკატერინე II-თან, როცა იგი ქ. გეორგიევსკში გენერალ გუდოვიჩს გამოეცხადა. ახლა პეტერბურგისაკენ მიმავალ ქართველ ელჩს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საზრუნავი ჰქონდა. ირანის ფაქტიური მბრძანებელი აღა-მაჰმად-ხანი საქართველოს მოსაოხრებლად ემზადებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოს საკუთარი ძალებით არ შეეძლო ძლიერი მტრის მოგერიება, ამიტომ ჭავჭავაძეს ზომები უნდა მიეღო, რათა მფარველ რუსეთს საქართველოს საშველად ჯარი გამოეგზავნა და მოსალოდნელი კატასტროფა უკუეგდო[320]. ამასვე ადასტურებს 1794 წ. ერთი მონაწერი[321], რომელიც ეგნატე იოსელიანს ეკუთვნის[322].

---

[314] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 114.

[315] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Грузией, оп. 110/3, д. 454-6, 1794—1796, л. 13.

[316] იქვე, ფურც. 9.

[317] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 114—115.

[318] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Грузией, оп. 110/3, д. 454-6, 1794—1796, л. 13.

[319] იქვე, ფურც. 14.

[320] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 89—91; Грамоты.., т. II, вып. I, с. 117—118; Н. Дубровин, Истор. войны..., т. III, с. 9—10.

[321] ანტონ I-ის გრამატიკაზე მინაწერი. На л. 126 имеется запись Игнатия Иоселиани (?) о посольстве Гарсевана [Чавчавадзе] в Россию, отправленном 4 января 1794 г. с просьбой оказать военную помощь Грузии.

[322] Р. Р. Орбели, Грузинские рукописи Ин-та востоковедения АН СССР, М-Л, 1956, с. 143.

1794 წლის 26 მარტს თავ- უქვეშევრდომლეს მოხსენებაში ,ჭავკასიის ხაზის უფროსი გენერალი ივანე გუდოვიჩი ეკატერინე II-ს აცნობებდა, რომ გარსევან ჭავჭავაძე, თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის უმაღლეს კარზე ელჩად წარმოგზავნილი, გამოვამგზავრეო[323].

მსგავსი მოხსენებები, 1794 წ. 26 მარტით დათარიღებული, გაუგზავნა ი. გუდოვიჩმა საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიასა[324] და კანცლერ გრაფ ა. ბეზბოროდკოს[325], უფრო ვრცელი მოხსენება გაუგზავნა გრაფ პ. ზუბოვს[326]. გენერალი ი. გუდოვიჩი გრაფ. პ. ზუბოვს ატყობინებდა, რომ გ. ჭავჭავაძეს გეორგიევსკიდან პეტერბურგამდე, გზაში, ქართული ენის მცოდნე კაპიტანი ახვერდოვი[327] და სხვა ოფიცრები გააყოლა. გუდოვიჩს ცდა არ დაუკლია, რათა რამდენადაც შეეძლო შეემცირებია მისი ამალა (ქართველი ელჩის — ზ. ც.) და ახლა მგონია ზომიერია, შედგება მისი მდივნისაგან (ეს მდივანი გ. ჭავჭავაძის ცოლის ძმა გ. ავალიშვილი იყო — ზ. ც.), მისი ნათესავისაგან, არტილერიის ქართველი კაპიტნისა და სამი მსახურისაგან[328]. გენერალ ი. გუდოვიჩსავე გამოუყვია თანხა ელჩისა და მისი ამალის პეტერბურგამდე მგზავრობისათვის — 2000 მანეთი, რაც საჭირო იყო გზაში 5 ეტლის დაქირავებისა და ამალის კვებისათვის. პრისტავს კაპიტან ახვერდოვს დავალებული ჰქონდა ყოველდღიური დანახარჯი ზონარგაყრილ წიგნში ჩაეწერა და დაწვრილებით მოეხსენებინა საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი[329].

28 აპრილს გ. ჭავჭავაძე პეტერბურგში ჩავიდა თავისი მცირერიცხოვანი ამალით და დაბინავდა სასახლის მრჩეველ ნიკოლოზ ეფრემოვის ბინაში[330], ვასილევსკის კუნძულზე[331].

---

[323] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз., оп. 110/3, д. 454-б, 1794—1796. л. 1.

[324] იქვე, ფურც. 2.

[325] იქვე, ფურც. 3.

[326] იქვე. ფურც. 4.

[327] კაპიტან ახვერდოვს (შემდეგში მას სეკუნდმაიორობა უბოძეს) თან ახლდნენ პოდპორუჩიკი დუბინინი და პრაპორშჩიკი როსტევანოვი (იხ. А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, გვ. 115—116). სეკუნდმაიორი ახვერდოვი (ეროვნებით სომეხი უნდა იყოს — ზ. ც.) 1795 წლის 2 იანვარს საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიას მოახსენებდა, რომ მან იცოდა აზიური ენები და გუდოვიჩის დავალებით კუბაში დერბენდელ შიხ-ალი-ხანთან იყო, მოაქცია რა ეს უკანასკნელი რუსეთის ერთგულებაზე. გაწეული სამსახურისათვის ახვერდოვი საგარეო საქმეთა კოლეგიას დაჯილდოებას სთხოვდა (იხ. АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз., оп. 110/3, д. 454-б, 1794—1796, л. 69).

[328] იქვე, ფურც. 4.

[329] იქვე, ფურც. 4—5.

[330] იქვე, ფურც. 27.

[331] იქვე, ფურც. 22.

ქართველი ელჩისა და მისი ამალის პეტერბურგამდე გამგზავრება, აგრეთვე ელჩისათვის ყოველდღიური თანხის გაცემა (იმ დღიდან, როცა გ. ჭავჭავაძემ რუსეთის მიწა-წყალს ფეხი დაადგა — 1794 წლის 24 იანვრიდან 1 მაისამდე) რუსეთის მთავრობას 7455 მანეთი დაუჯდა[332].

8 მაისს ქართლ-კახეთის სრულუფლებიანმა ელჩმა პეტერბურგში გ. ჭავჭავაძემ ვიცე-კანცლერ გრაფ ი. ოსტერმანს გაუგზავნა თავისი მდივანი გ. ავალიშვილი, გენერალ ი. გუდოვიჩის გამოტანებული პრისტავი კაპიტანი ახვერდოვი, აცნობა რა მას ქართული საელჩოს პეტერბურგში ჩამოსვლა, და თხოვა თუ როდის შეუძლია ვიცე-კანცლერს მასთან შეხვედრა.

9 მაისს ვიცე-კანცლერმა გ. ჭავჭავაძეს გაუგზავნა თარჯიმანი და სთხოვა რომ მეორე დღეს, ე. ი. 10 მაისს, სადილის შემდეგ, ნაშუადღევის 5 საათზე შეხვედროდა.

დანიშნულ დროზე (10 მაისს, 5 საათზე) ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრი გ. ჭავჭავაძე საელჩოს მდივნის გ. ავალიშვილისა და პრისტავ ახვერდოვის თანხლებით წარუდგა ვიცე-კანცლერ გრაფ ი. ოსტერმანს სათათბირო ოთახში, სადაც იყო საგარეო საქმეთა კოლეგიის რამდენიმე თანამდებობის პირი. გარსევანი მიუახლოვდა ვიცე-კანცლერს და გადასცა ერეკლე II-ის მიერ გამოტანებული წერილები. ვიცე-კანცლერმა ფეხზე მდგომმა აიღო წერილები და სთხოვა ელჩს დაჯდომა მის წინ მდგარ სკამზე. კანცლერი შეეკითხა ქართველ ელჩს მეფის ჯანმრთელობაზე, მგზავრობის შესახებ, კმაყოფილია თუ არა ელჩის დაქირავებული სახლით და სხვ. გ. ჭავჭავაძემ დიდი მადლობა განაცხადა მისი იმპერატორობით უდიდებულესობის მიერ წყალობის აღმოჩენის გამო[333]. შემდეგ ქართველ ელჩსა და ვიცე-კანცლერს შორის გაიმართა საუბარი სხვადასხვა საკითხებზე. ელჩს გაუმასპინძლდნენ ტკბილეულითა და ყავით. მოიცადა რა ცოტახანს, ელჩი იგივე წესით წავიდა, როგორითაც მოვიდა. ვიცე-კანცლერმა ი. ოსტერმანმა განუცხადა შეკრებულთ, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II რწმუნებას აძლევს გ. ჭავჭავაძეს მის იმპ. უდიდ. კარზე ყოფნისათვის. შემდეგ გაგზავნა მასთან თარჯიმანი, მოთხოვა რწმუნების სიგელების ასლები, რომლებიც ელჩმა გადასცა მას როგორც ქართულად, ასევე რუსულ ენაზე გადათარგმნილი[334].

---

[332] АВПР МИД СССР. Ф. Снош. Рос. с Грузией, оп. 110/3, д. 454 б, 1794—1796, л. 22—23.

[333] იქვე, ფურც. 6—8.

[334] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Грузией, оп. 110/3, д. 454б, 1794—1796, л. 8.

21 მაისს ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრი გ. ჭავჭავაძე ცარსკოე სელოში იმპერატორმა ეკატერინე II-მ აუდიენციაზე[335] მიიღო. გარსევანი 21 მაისს, კვირას, დილის 11 საათზე საკუთარი ეტლით მისულა ცარსკოე სელოში ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველის ს. ლაშქაროვის, თავისი ორი მოხელისა და პრისტავ ახვერდოვის თანხლებით. იგი მიაცილეს მოსაცდელ ოთახში, სადაც პირველ ოთახში მას შეხვედრია კაპიტანი ახლოპკოვი და კანცელარიის მრჩეველი სეიდელერი. აქვე მოსულა ცერემონმეისტერიც (ვიცე-კანცლერი გრაფი ი. ოსტერმანი — ზ. ც.)

მღვდელმსახურების დამთავრების შემდეგ ეკატერინემ ინება. შეეყვანათ ელჩი შინა მოსასვენებელში. ცერემონმეისტერმა შეიყვანა გ. ჭავჭავაძე იმ ოთახში, სადაც იყვნენ სასახლის ქალბატონები და კავალრები, აგრეთვე სხვა ცნობილი მოხელენი. ობერცერემონმეისტერის (კანცლერ გრაფ ა. ბეზბოროდკოს) მითითებით ცერემონმეისტერმა შეიყვანა ქართველი ელჩი მისი იმპერატორობით უდიდებულესობასთან აუდიენციაზე, შემდეგ იგი შეხვდა რუსეთის დიდ თავადს, ტახტის მემკვიდრე პავლეს და რუსეთის დიდ ქალბატონს. ეკატერინე II-თან აუდიენციის დამთავრების შემდეგ გარსევანი ხელზე ემთხვია ხსენებულ პირებს. ამის შემდეგ ქართველი ელჩი საუდიენციოდ რუსეთის დიდ თავად კონსტანტინე პავლეს-ძის ოთახში შეიყვანეს, სადაც იყვნენ: დიდი თავადი ალექსანდრე პავლეს ძე (შემდეგში რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I), დიდი ქალბატონი ელისაბედ ალექსის ასული და დიდი თავადი კონსტანტინე პავლეს ძე. აუდიენციის დამთავრების შემდეგ გარსევანი მათ ხელზე ემთხვია.

კანცლერმა ბეზბოროდკომ ქართველი ელჩი მიიწვია მისი იმპერატორობის უდიდებულესობის სუფრასთან. გარსევანი დასვეს კანცლერ ბეზბოროდკოსა და ვიცე-კანცლერ ოსტერმანს შორის, ხოლო თანმხლებ პირებს გაუმასპინძლდნენ ცალკე, ელჩების მისაღებ ოთახში.

სადილის შემდეგ ცერემონმეისტერმა შეიყვანა ელჩი აუდიენციაზე დიდ ქალბატონებთან (პავლე I-ის ქალიშვილებთან): ალექსანდრა პავლეს ასულთან, ელენე პავლეს ასულსა და მარიამ პავლეს ასულთან. ქართველი ელჩი მათაც ხელზე ემთხვია. აუდიენციის დროს ელჩი გ. ჭავჭავაძე სიტყვებს ქართულად წარმოთქვამდა, რომელსაც რუსულად

---

[335] ეს აუდიენცია აღწერილი აქვს ა. ცაგარელს (იხ. Грамоты..., т. II, вып. II, გვ. 57—58), მაგრამ მას სამწუხაროდ შეცდომა აქვს დაშვებული დოკუმენტის დათარიღებაში. ნაცვლად 1794 წლის 21 მაისისა, იგი დოკუმენტს 1786 წლის 21 მაისით ათარიღებს. როგორც ცნობილია, 1786 წლის 21 მაისს გ. ჭავჭავაძეს ეკატერინე II-თან არავითარი აუდიენცია არა ჰქონია. იხ. АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз., оп. 110/3, д. 454-6, 1794—1796, л. 19—20.

თარგმნიდა ს. ლაშქაროვი, ასევე რუსულიდან ქართულად უთარგმნიდა ს. ლაშქაროვი გარსევანს მის საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვებს.

აუდიენციის დამთავრების შემდეგ ელჩი ეწვია ცარსკოე სელოში მყოფ ცნობილ პირებს და შემდეგ დაბრუნდა ქალაქში (პეტერბურგში)[336]. თუ რა საკითხებზე წარმოებდა ლაპარაკი ეკატერინე II-თან ქართველი ელჩის აუდიენციის დროს, ჩვენთვის ცნობილი არ არის. ჯერჯერობით ამის შესახებ ჩვენ რაიმე დოკუმენტს ვერ მივაკვლიეთ (უნდა ვიფიქროთ, რომ საუბრის მთავარი თემა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის აღა-მაჰმად-ხანის საქართველოზე მოსალოდნელი თავდასხმის გამო სამხედრო დახმარების დროული გაწევა უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში ქართველი ელჩი, ალბათ, ამ საკითხს დააყენებდა ეკატერინე II-თან აუდიენციის დროს).

1795 წლის 17 იანვრის წარდგინებით ერეკლე II ეკატერინე II-ს სთხოვდა, რომ მისი ელჩის გარსევან ჭავჭავაძის თხოვნა დაკმაყოფილებულიყო და მისცემოდა საქართველოში (სამხედრო დახმარების გამოგზავნას) „დაუგვიანებლად უმოწყალესობითი რეზოლუცია"[337]. ამასვე სთხოვდა ერეკლე II ვიცე-კანცლერ გრაფ ი. ოსტერმანსა[338] და გრაფ ა. ბეზბოროდკოს[339] 1795 წლის 27 იანვრის წერილებში.

24 მარტის წერილით გ. ჭავჭავაძე ატყობინებდა გრაფ. ა. ბეზბოროდკოს, რომ ერეკლე II დახმარებია იმერეთის მეფე სოლომონ II-ს და იმერეთში მეფედ ყოფილი პრინც დავითის დამხმარე თურქთა და ლეკთა ჯარი სასტიკად დაუმარცხებია. დამარცხებულ თურქებსა და ლეკებს ახალციხისათვის შეუფარებიათ თავი. მასვე თან გაჰყოლია იმერეთის ყოფილი მეფეც დავითიც. ეს ამბავი გარსევან ჭავჭავაძეს თავისი მეფისაგან კი არ მოხსენებია, არამედ ერთი თავისი „სარწმუნო მეგობრისაგან"[340].

20 ივნისს თბილისიდან ერეკლე II-მ წერილი გაუგზავნა გ. ჭავჭავაძეს პეტერბურგში, სადაც მოითხოვდა, რომ ნება დაერთოთ მისთვის (ერეკლე II-თვის — ზ. ც.) პირადად შეხვედროდა სოფ. ჩიმში ან მოზდოკში კავკასიის ხაზის მთავარსარდალს გენერალ გუდოვიჩს. ერეკლე მოითხოვდა თავისი ელჩისაგან, რათა ეს უკანასკნელი ყოველნაირად ცდილიყო ამ დავალების შესრულებას[341].

---

[336] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Грузией, оп. 110/3, д. 454-б, 1794—1796, л. 19—20.

[337] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 116.

[338] იქვე, т. II, вып. II, გვ. 84.

[339] იქვე.

[340] იქვე, т. II, вып. I, გვ. 118.

[341] იქვე, т. II, вып. II, გვ. 91—92; Н. Дубровин, История войны... т. III, გვ. 28.

22 ივნისს გ. ჭავჭავაძემ წერილი გაუგზავნა გრაფ ბეზბოროდკოს და აუწყებდა, რომ ს. ლაშქარევის პირით ებრძანა, „რომ თქვენი ბრწყინვალება დამიბარებს და ჩემი მეფისაგან მობარებულს კომისიაზე მელაპარაკებით, — იმ ჟამის შემდგომად ველი თქვენს ბრწყინვალებას“[342] .... მაგრამ აქამდინ მრავალი საქმის გამო ვერ შეგაწუხეთ, ახლა კი გთხოვთ დრო დამინიშნოთ და ინებოთ ჩემთან საქმეებზე ლაპარაკი, რადგან „ჩემის მეფისაგან წიგნი მომდის და პასუხსა მთხოვს, რომ მივართო“[343]. როგორც ჩანს, გარსევანს ამ წერილზე არ მიუღია რაიმე პასუხი.

ივლისში გ. ჭავჭავაძემ გრაფ. ა. ბეზბოროდკოს ნოტა წარუდგინა და მოახსენა, რომ სპარსეთის ახლანდელი მბრძანებელი აღა-მაჰმადხანი ცდილობს ცნონ იგი შაჰად და საქართველოზე თავდასხმისათვის ემზადებაო. ელჩი კატეგორიულად მოითხოვდა ეცნობებინათ მისთვის: რუსეთის მეფის სასახლე [1783 წ. რუსეთ-საქართველოს] ტრაქტატის ვალდებულების ძალის შესაბამისად მოგვცემს თუ არა დასაცავად [დამხმარე ჯარს]?[344] ქართველი ელჩი სასწრაფოდ მოითხოვდა ნოტაზე პასუხის გაცემას, რადგან ახლა ჩვენ ფრიად აუცილებლად გვინდა ვიცოდეთ ესო[345].

ივლისში გარსევან ჭავჭავაძემ რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას წარუდგინა ნოტა და კვლავ მოითხოვა ტრაქტატის ძალით საქართველოში დამხმარე ჯარის გაგზავნა. ქართველი ელჩის ნოტაში საყვედურის ტონი იგრძნობოდა. იგი შეახსენებდა საგარეო საქმეთა კოლეგიას, რომ ჯერ კიდევ 1787 წელს, როდესაც რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო: „ჩვენ ვსასოებდით, რომ ამ ზემოხსენებულის ორის ბატალიონს სიმაგრისათვის მიემატება სხვა ჯარიც და გვსურდა, რომ ჩვენის მხრიდანაც მონური სამსახური და ერთგულება გვეჩვენა საერთო მტერზე“[346]... მაგრამ მოხდა პირიქით. „იქ მყოფი მინისტრი და ბატალიონებიც წამოვიდნენ თვით საჭირო დროს და დავრჩით ჩვენ მარტო ჩვენის მტრების წინაშე და გავატარეთ დრო შერიგებამდინ ჩვენის მცირის ძალით რაოდენიც ჩვენგან შეიძლებოდა“[347].

1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის მეხუთე მუხლის ძალით წარმოგზავნილი ვიქენ უმაღლესი კარის წინაშე: „მოწყალებით მიღებულ ვიქმენ, და მებრძანა, რომ პასუხი მებრძანება“[348], რომელსაც ახ-

---

342 А. Цагарели, Грамоты.., т. II, вып. I, с. 119.

343 იქვე.

344 იქვე, т. II, вып. II, გვ. 272.

345 იქვე.

346 იქვე, I, с. 117.

347 იქვე.

348 იქვე.

ლაცველი, რათა იგი მოვახსენო ჩემს მეფესო, — დასძენდა გარსევან ჭავჭავაძე.

ქართველი ელჩი აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმის თავიდან ასაცილებლად მოითხოვდა რუსული რეგულარული ჯარის — 6 ან 5 პოლკის გაგზავნას საქართველოში, ისე, რომ ამ ჯარს იქ შემოდგომამდე მაინც მიეღწია. ელჩი მოითხოვდა, აგრეთვე, ნაჩუქარი ზარბაზნების ბოძებას (კავკასიის ხაზზე რომ იყო დარჩენილი) და არტილერიის ერთი განსწავლული ოფიცრის გაგზავნას საქართველოში.

ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრი გ. ჭავჭავაძე საგარეო საქმეთა კოლეგიას სთხოვდა ეკატერინე II-ის წინაშე შუამდგომლობას, „რათა გვებოძის მოწყალებით რეზოლუცია“[349], საშუალება ჰქონებოდა ერეკლე II-ს „უწინარეს მიღებად საჭიროთა ზომათა პირის-პირ წინამდეგისა თვისისა“[350]. მიუხედავად ქართველი ელჩის გ. ჭავჭავაძის ასეთი მტკიცე მოქმედებისა, რუსეთის მთავრობა არ ჩქარობდა განსაცდელში ჩავარდნილი ვასილის დასახმარებლად რაიმე ღონისძიების გატარებას. როგორც ჩანს, რუსეთის საიმპერატორო კარზე ფიქრობდნენ, რომ სპარსეთი რუსეთის შიშით ვერ გაბედავდა საქართველოზე თავდასხმას, თუმცა მათ საკმარისზე მეტი ცნობები ჰქონდათ აღა-მაჰმად-ხანის საქართველოზე მოსალოდნელი თავდასხმის სამზადისის შესახებ. კავკასიის ხაზის მთავარსარდალს გუდოვიჩს ეკატერინე II-საგან ბრძანება არ ჰქონდა მიღებული საქართველოში დამხმარე ჯარის გაგზავნის შესახებ[351].

1795 წლის 29 აგვისტოს ერეკლე II-მ თბილისიდან პეტერბურგში გ. ჭავჭავაძესთან მალემსრბოლი — სტეფანე პავლეს ძე მელიქოვი გაგზავნა და აუწყა ქართველ ელჩს, რომ: „აღა-მაჰმად-ხანმა თავისი საზიზღარი მოქმედება საზეიმოდ გამოაცხადაო“[352]. ერეკლემ გარსევანს დაწვრილებით აცნობა აღა-მაჰმად-ხანის ჯარის მოძრაობის შესახებ; აღა-მაჰმად-ხანის საიდუმლო წერილების ხელში ჩაგდება, აგრეთვე ისიც, რომ ქართლ-კახეთისა და იმერეთის ჯარები ყაზახში დგანან, მიუხედავად ამისა: „აღა-მაჰმად-ხანის ჯარები დიდად აღემატებიან ჩვენსას“[353]. გენერალ გუდოვიჩს 3000 ათასი კაცი ვთხოვე, მაგრამ არ ეიცი, დამეხმარება თუ არაო. სამშობლოს სიყვარულისა და ჩვენი ერთგულებისათვის,—სწერდა ერეკლე გარსევანს,—გამოიყენე ყველა შენი ძალა, რათა უმაღლესი კარიდან ებრძანოს კავკასიის ხაზის

---

[349] ა. ცაგარელი, იქვე, გვ. 118.
[350] იქვე.
[351] იქვე, გვ. 110.
[352] იქვე, გვ. 93.
[353] იქვე, გვ. 94.

მთავარსარდალს გენერალ გუდოვიჩს, რომ იგი სასწრაფოდ მოგვეშველოს ჯარით. ამ წერილის შინაარსი ბატონიშვილ მირიანსაც აცნობე და ღვთის გულისთვის ორივე შეეცადეთ ჩვენს გადასარჩენად ამ ხიფათისაგან სასწრაფო ღონისძიების მიღებას — ამის შესახებ რაიმეს დარიგება არაა საჭირო[354]. ერეკლეს ამ წერილმა საქმეს ვერ უშველა. წერილის გაგზავნის მე-13 დღეს აღა-მაჰმად-ხანის ურდოებმა თბილისი ააოხრეს.

სამართლიანად წერს პროფესორი ი. ციცაძე იმის შესახებ, რომ „ქართლ-კახეთის დიპლომატიამ რუსეთის სამეფო კარს დროულად მიაწვდინა ხმა და აიძულა იგი აღა-მაჰმად-ხანის საკითხი საგანგებო სხდომაზე განეხილა და გარკვეული დადგენილება გამოეტანა“[355] (მაგრამ უკვე გვიანღა იყო).

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ერეკლე II სათანადოდ ვერ მოიმზადა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის მოსაგერიებლად[356]. ამას ადასტურებს ერეკლე II-ის 1795 წლის 15 სექტემბრის წერილი, რომელიც პეტერბურგში მან თავის შვილს ბატონიშვილ მირიანსა და ქართლ-კახეთის სრულუფლებიან ელჩს გ. ჭავჭავაძეს გაუგზავნა. ერეკლე წერს: „Что я, всегда полагаясь на торжественный трактат и всемилостивейшия сбешании, и потому, будучи уверен, не принял нужнаго приуготовления»[357] (ხაზი ჩემია — ზ. ც.). ამასვე ადასტურებს ერეკლე II-ის 1795 წლის 17 სექტემბრის წერილი ღუშეთიდან გიორგი ბატონიშვილის სახელზე გაგზავნილი. ერეკლეს აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდეგ (ე. ი. 1795 წლის 11 სექტემბრის) გიორგი ბატონიშვილისთვის სამი და კახელებისთვის 2 წერილი მიუწერია, მაგრამ პასუხი არც ერთ წერილზე არ მიუღია. ერეკლე იძულებული გამხდარა მეოთხე წერილი მიეწერა გ. ბატონიშვილისთვის და მოეთხოვა: „ეს წიგნი რომ მოგივიდეს, შენი ამბავიცა და კახეთის მდგომარეობა მომწერე. თუ გაღმითის ლეკებისა ამბავი იცოდე რამ ისიც მაცოდინე“[358]. ერეკლე იმასაც აცნობებდა გიორგის, რომ „ჯერ შორის ქვეყნიდამ (ე. ი. რუსეთიდან — ზ. ც.) არა მოსულარა“ (ჩანს, ერეკლეს ჯერ კიდევ არ გადაეწურა რუსეთის დახმარების იმედი). დასასრულ, განაწყენებული ერეკლე აუწყებდა გიორგი ბატონიშვილს: „ერთი თავადიშვილი რომ ყოფი-

---

354 А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 94.

355 ი. ციცაძე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, გვ. 75.

356 ამ აზრს ანვითარებს მკვლევარი ივ. შაიშმელაშვილი (იხ. ივ. შაიშმელაშვილი, კრწანისის ომი, „მნათობი“ № 7, 1964, გვ. 156—180 და № 8, 1964, გვ. 143—170).

357 А. Цагарели, Грамоты..., т. II., вып. II, с. 105.

358 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd—2087.

ლიყო აქ იმისთვისაც უნდა შეგეტყობინებინათ და მე რატომ არ უნდა ვიცოდე. ეცადე და ოთხას-ხუთასი კაცი იშოვე. და ჩვენთან გამოგზავნე. დაუგვიანებლად"[359] (ხაზი ჩვენია — ზ. ც.).

კითხვა ისმის, შეეძლო თუ არა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს დიპლომატიური ან სხვა გზით თავიდან აეცილებინა კრწანისის 1795 წლის კატასტროფა?

თუ ჩვენ გულდასმით გადავიკითხავთ 1795 წლის 14 და 15 სექტემბრის ერეკლეს მიერ გაგზავნილ წერილებს, პირველს (14 სექტემბრისას) — კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ გუდოვიჩისადმი[360] და მეორეს (15 სექტემბრისას) — პეტერბურგში, ბატონიშვილ მირიანისა და ქართლ-კახეთის ელჩის გ. ჭავჭავაძისადმი[361], დავრწმუნდებით იმაში, რომ ერეკლეს შესძლებია აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმის თავიდან აცილება, მაგრამ, თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ რატომ არ გაუგზავნა მან სპარსეთის ხელმწიფეს წერილი, რატომ არ წავიდა მის წინაშე ზოგიერთ დათმობაზე? ვფიქრობთ, აქ სხვა მიზეზი იყო. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, ის კი არ იყო, რომ ქართლ-კახეთის სახელმწიფო 1783 წლის ტრაქტატით რუსეთთან ფიცით იყო დაკავშირებული, ანდა სპარსეთის შაჰის ნდობა არ შეიძლებოდა, არამედ ის, რომ საქართველოს პოლიტიკურ მესაჭეებს აღარ სურდათ ირანის გავლენის ორბიტში მოქცევა (ხაზი ჩემია — ზ. ც.) (ქართველმა ხალხმა, თითქმის 50 წლის წინათ, ფაქტიურად თავი დააღწია ამ გავლენას.)

1793 წელს გარსევან ჭავჭავაძეს ოჯახი პეტერბურგში არ წაუყვანია (როგორც ჩანს, ელჩი ფიქრობდა, მასზე დაკისრებულ მოვალეობას მალე შეასრულებდა), მხოლოდ 1795 წ. დასაწყისში იმპერატორ ეკატერინეს ბრძანებით გარსევანმა მიიღო ცოლ-შვილის პეტერბურგში ჩამოყვანის ნებართვა, რის შესახებ ვიცე-კანცლერმა ოსტერმანმა 1795 წლის 9 იანვრის წერილით კავკასიის მთავარსარდალს გენერალ გუდოვიჩს სპეციალურად აცნობა[362].

---

[359] იქვე.

[360] «Естли б, мы обнадежению всем. Государыни, не были уверены на ваше вспомоществование, то бы чрез других, приглашенных войск, против его вооружились, или бы мы другим способом сохранили бы наше царство (იხ. А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып II, с. 105).

[361] Вы сами все знаете, что ежели б мы присягою к высочайшему двору привязаны не были, а с Агою-Магмед-Ханом согласны были, то бы сего приключения с нами не сбылося» (იხ. А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 106.)

[362] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз., оп. 110/3, д. 454[4], 1794—1796, л. 71.

1795 წ. შემოდგომაზე პორუჩიკმა სკვორცოვმა ქართველი ელჩის მეუღლე საქართველოს საზღვრებიდან პეტერბურგში ჩაიყვანა[363].

საინტერესოა აგრეთვე გარემოებაც თუ რა უჯდებოდა რუსეთის მთავრობას ქართული საელჩოს შენახვა პეტერბურგში. ჩვენ თითქმის ყველა წლის მონაცემები გვაქვს ხელთ, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები სიზუსტით. 1795 წ. მონაცემებით, ქართლ-კახეთის საელჩოს ამალის შენახვა რუსეთის საიმპერატორო კარს თვეში 930 მან., 6 თვეში 5580 მან., ხოლო წელიწადში 11160 მანეთი უჯდებოდა. საგარეო საქმეთა კოლეგიის ხაზინადარი ქართველ ელჩს წელიწადში რამდენიმეჯერ (2-ჯერ ან 3-ჯერ) აძლევდა ფულს; ფულის მიღება ელჩს ხელწერილით უნდა დაემოწმებინა[364].

გ. ჭავჭავაძის მოღვაწეობის დასახასიათებლად ინტერესს იწვევს მისი მოხსენება ერეკლე მეფისადმი, 1795 წლის 16 სექტემბრით დათარიღებული. ეს წერილი გამოქვეყნებული აქვს პროფ. ს. კაკაბაძეს. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მოხსენება „შეეხება აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის ხანას ... დაწერილია მოხსენება პეტერბურგში იმ დროს, როდესაც აღა-მაჰმად-ხანი უკვე ტფილისში იყო, თუმცა ამის შესახებ ჭავჭავაძეს, რასაკვირველია, არ შეეძლო ცოდნოდა"[365].

მოხსენება შედგენილია კითხვა-პასუხის სახით და ამჟღავნებს მისი დამწერის დიპლომატიურ ნიჭსა და გამჭრიახობას; გარსევანი ეხება ქართლ-კახეთის როგორც საშინაო საქმეებს, ისე რუსეთსა და სხვა მეზობლებთან დამოკიდებულების საკითხებს. მივიყვანთ ზოგიერთ ადგილს ამ მეტად საინტერესო მოხსენებიდან.

„უწყება მეორე, ლინიაზე, დარჩომილს ზარბაზნების თხოვნისათვის, რომ მოზდოგიდამ მოიტანონ. და იქიდამ. თქვენ წააღებინებთ: პასუხი, თქვენი სიმაღლე. ნულარ გაირჯება. ამით. ჯარი. რომ. გარდმოვა. ბრძანება. აქესთ. მოცემული. თითონ. ესენი გადმოიტანენ. და მოგართმევენ"[366]. „ჩემი წიგნი. თუ უნდა. ამოფხეკილი. იყოს. თუ უნდა. ძველი და ახალი. არაფერი. მაგრამ. იანვრის. წიგნი ამისთანა. ალაგას. ამისთანა. საჭირო საქმეზე. აგვისტოში. მოსვლა. სამი ათას ვერსზე. დიაღ საუცხოო არს. აქა. და ახლა. ეს. ოსებს. დავაბრალე. სხვა. ვერა. ვიპოვერა. და ამას იქით. ნულარ იქნება"[367]. იწერებით, რომ აღა-

---

[363] იქვე, ფურც. 95; А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, გვ. 119—120.

[364] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз., оп. 110/3, д. 454[б], 1794—1796, л. 100.

[365] ს. კაკაბაძე, გარსევან ჭავჭავაძის მოხსენება ერეკლე მეფისადმი, „საისტორიო მოამბე", წიგნი I, თბ., 1925, გვ. 233—237.

[366] იქვე, გვ. 233.

[367] იქვე, გვ. 234.

მაჰმად-ხანი არდაველს მოსულა და ჯავად-ხანი მასთან კაცს გზავნის და თქვენზე ეპატიჟებაო და „ხუდა ფირინის ჯიდზე მდგომ. ჯარს. იმისი კაცი მიუძღვის". გარსევან ჭავჭავაძე ერეკლეს მოახსენებს — „ნუ გამიწყრებით. ჩემო ყელმწიფევ. ასეთს. ნივთებს. მაძლევთ. რომ სულ წინააღმდეგი უნდა. ვილაპარაკო. ეგ. უწინავე უნდა. გცოდნოდათ. მე. მანდავ ყოფნაშიეე. ვიცოდი-ო". იგი აცნობებს ერეკლეს, რომ ჯავად-ხანიც და მელიქ მაჯნუნიც აღა-მაჰმად-ხანს შეუერთდნენ. ეს ამბავი მე აქ შევიტყვე და თქვენ ალბათ უფრო სწორედ გეცოდინებათო. გარსევანს, ჩანს, სწყენია ის, რომ ერეკლე მას „გაუხვსიტყვებულ" წერილს უგზავნის. „თქვენი სიმაღლე. მიბძანებს. და მაბეჯითებს. განვრცელებით და გაუხვსიტყვებულის, ბძანებით. გულს მოდგინებით. გარჯას. და ამისას. შეტყობას. რომ მოგეშველებიან. თუ. არა. რომ თქვენც. თქვენი. საქმე. იმგვარათ. დაიჭიროთ"[368]. ე. ი. მოსალოდნელია აღა-მაჰმად-ხანის საქართველოზე თავდასხმა და ერეკლე მოითხოვს გარსევანისაგან, რათა რუსის ჯარი დროულად გადმოვიდეს „ლინიიდან" საქართველოს გადასარჩენად. გ. ჭავჭავაძე, რომელიც სულ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე სამშობლოსათვის რამე ეშველა, ზედმეტად თვლის მეფის ასე „განვრცელებით" ბრძანებას მისდამი და ხაზს უსვამს იმას, რომ მას არასოდეს არ დაუზოგია თავი საქართველოს კეთილდღეობისათვის. როგორც ჩანს, საქართველოში მას მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა, რომლებიც მის შესახებ სხვადასხვაგვარ ჭორებს ავრცელებდნენ. იგი წერდა: „მე. აქ. დაბადებულს. ქართველის. კაცის. შვილებს ვხედავ. რომელთაც. არც. საქართველო. თვალით უნახამსთ. არც. მამული. აქვს. მანდ. და ეგების არც ენა იციან რომ. ისინი. ჩემობენ. მაგ. ქვეყნის. ერთგულებასა და კარგის გაგონებისათვის .მხიარულობენ. და უბედურობებისათვის სწუხან. იმათი მაინც უნდა. შემრცხვეს და მაგ. ქვეყნის დაქცევისა. და გაურჯულოებისათვის. გული მეტკინოს. თუ. მე. თქვენის. სიმაღლისა. და მაგ. ქვეყნისა. სრულის. გულით. და უშინაგანესის.გონებით. ერთგული. არა. ვარ. ღ-თან. მეც. შემარცხვინოს, და ჩემი. ფიციც. ალარც ჩემი. ფიცი. დაიჯერება. და ფიცი რაღათ. გარწმუნოთ. ეს უნდა. კმაროდეს და საქმით. ეს არს. რომელიც. მიმოქმედები [ა] გარჩევით. წერილით. მომირთმეია და ან. რაც. ამათ. უთქვამსთ. ისიც მომიხსენებია. და ახლა. ღრაფი. ბეზბოროტკამ რაც. პასუხი მითხრა. თითონ ეს ფილიპეც. იქ. დაგვესწრა. თუ. ამასაც. გვატყუებენ[369] (ჯარით დახმარებას—ზ. ც.) მე

---

[368] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

[369] როგორც ჩანს, ბევრი რამ უკვე მოუტყუებიათ ქართველი პოლიტიკოსებისათვის.

ალარ. ეიცირა"[370]. — ეს პირველი კაცები ხელმწიფის მაგივრად აცხადებენ. რომ დაგეხმარებითო და, თუ მათ თავისი სიტყვა გატეხეს, მე რა ვქნა. მე თქვენი ყველა ბრძანება შემისრულებია. და ახლაც, რაც თქვენგან მებრძანება, იმის შესრულებას „მე ჩემს. ცდას არ დავაკლებ"[371].

1795 წლის 6 ივნისის წერილში, სადაც იმერეთის სამეფოში აშლილობაზეა საუბარი, გარსევანი ურჩევს ერეკლეს, რომ სჯობს იმერეთში მშვიდობა იყოს და ყოველი მსხვილი თუ წვრილი გამარჯვების შესახებ მას აცნობონ. ელჩს მხედველობაში აქვს ალექსანდრე ბატონიშვილის ლაშქრობა იმერეთში, რომელიც პეტერბურგში მას სხვა წყაროებიდან გაუგია. ერეკლეს ამ ლაშქრობის შესახებ გარსევანისათვის არ უცნობებია. ეტყობა, მან ამის შესახებ რუსი მზვერავებისაგან გაიგო, ანდა საკუთარი არხებით.

გარსევან ჭავჭავაძე აფრთხილებდა ერეკლეს, რომ ახალციხის ფაშასთან ურთიერთობა არ გაემწვავებინა: „თქვენ. ეს ჯარი. (მხედველობაში აქვს, რომ რუსეთი ბოლოსდაბოლოს მაშველ ჯარს გამოგზავნის — ზ. ც.). ჯელმწიფემ. აღა. მაჰმად-ხანზე. მოგაშველათ ოსმალთ. ხომ. არ. ეშლებიან. ეს არ უნდა. ფაშამ იწყინოს. და თქვენი. მეგობრობა. მოიშალოს. სწორედ. ბოდიშები. არის. თუ დაგვიჯერეს"[372].

1795 წ. სექტემბერში, როცა აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი აიოხრა, გარსევანი პეტერბურგში იმყოფებოდა. მეფის რუსეთის სახელმწიფომ, მიუხედავად მისი არაერთგზისი თხოვნისა ერეკლესათვის ჯარით, ფულითა და ზარბაზნებით დახმარების გაწევის შესახებ, განსაცდელში ჩავარდნილ მოკავშირეს ხელი არ გაუწოდა. ეს უკვე ფაქტიურად უგულებელყოფდა მფარველობითი ტრაქტატით გათვალისწინებულ მთავარ მუხლს. 23 ნოემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი წარდგენილ წერილში გ. ჭავჭავაძე განმეორებით შეამდგომლობდა საქართველოში რუსთა ჯარის დაუყოვნებლივ გაგზავნის შესახებ:

„მე როგორც პატიოსანი კაცი და ერთგული ძე მამულისა ისე მივილებ ამ კამისიას, რომ მთას აქეთ ჩვენს გრანიცამდინ, რომელ არს პირველი შენობა სტეფან-წმიდა, იქ მომბარდეს ჯარიცა და რაც გადასატანი არის — ისიც, იმას იქით ჩემი თანამდებობა იყოს იმათი მთას მშვიდობით გადაყვანა"[373].

გარსევან ჭავჭავაძე მეფის რუსეთის მთავრობას უმტკიცებდა,

---

[370] ს. კაკაბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 234—235.
[371] იქვე, გვ. 235.
[372] იქვე, გვ. 236.
[373] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 120.

რომ საქართველოს წახდენა რუსეთის დიპლომატიურ მარცხსაც მოასწავებდა: „რომელიც აბიდა აღა-მაჰმად-ხანმა დიდ რუსეთს უყო საქართველოს წახდენით, იმაში უმაღლეს კარსაც ვაჩვენო ჩემი მონური სამსახური და ჩემ მეზობელ ქვეყანასაც და მეორე, რომ ამ თანამდებობაში (ელჩობა — ზ. ც.) ვარ შეკრული, სიტყვა არცერთის მხრიდამ არა მომადგეს რა, და ნება თქვენი ბრწყინვალებისა არის, რომელმაც განზომა საქმეთა უმჯობესად იცით"[374]. ასე ცდილობდა ქართველი ელჩი მეფის რუსეთის მმართველ წრეებში 1795 წ. აგრესიული აქტისადმი საწინააღმდეგო რეაქციის გაღვივებას.

ისტორიკოსი ვ. პოტო იმეორებს იმ აზრს, რომ აღა-მაჰმად-ხანის მიერ საქართველოს აოხრება მეფის რუსეთის იმპერიის შეურაცხყოფა იყო: „1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის მიერ საქართველოს განადგურება, რომელიც მაშინ რუსეთის მფარველობის ქვეშ იყო, იყო დიდი სახელმწიფოს ღირსების პირდაპირი შეურაცხყოფა, პირდაპირი გამოწვევა — და ომი გადაწყდა"[375].

გ. ჭავჭავაძის დიპლომატიური მოღვაწეობის წამყვანი მიმართულება იმაში გამოიხატებოდა, რომ მეფის რუსეთის სახელმწიფო საქართველოსა და ამიერკავკასიის საქმეებით დაეინტერესებინა და ამის შედეგად საქართველოს მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. გ. ჭავჭავაძე ზოგჯერ სათანადო რჩევასაც კი აძლევდა მეფის რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეებს, ეხმაურებოდა რა მათ უშუალო მიზნებს ახალი ტერიტორიების შემოერთებაში. ამის შესახებ მიუთითებდა მისი წერილები მე-18 ს. მიწურულს იმერეთში შექმნილი ვითარების შესახებ[376]. გ. ჭავჭავაძე სწერდა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას 1796 წ. 18 იანვარს, რომ იმერეთის მიმართ ფრთხილი მოქმედება იყო საჭირო, რომ უკეთესი იქნებოდა იმერეთის მეფე დროებით დაეტოვებინათ ახლანდელ მდგომარეობაში, არ მოეთხოვათ მისი ჯარები სამსახურში, რომ ამით თურქების ყურადღება მოედუნებინა და დროებით ისინი მაყურებლად ექციათ[377]. აქვე დასძენდა, რომ საჭირო შემთხვევაში რუსეთს არ მოუხდება ჯარების გაგზავნა ერევნის სახანოში, რადგან ერევნის ხანი და ხალხი ყოველთვის საქართველოს მომხრეა[378].

როგორც ჩანს, გარსევანს წარმოუდგება რუსეთის მფარველობი-

---

[374] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 120—121.

[375] В. Потто, Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т. I, Изд. второе, С.-Петербург, 1877, с. 285.

[376] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, გვ. 118; მისივე, რუსული ტექსტი, Грамоты..., т. II, вып. II, გვ. 123.

[377] А. Цагарели, Грамоты. ., т. II, вып. II, с. 123.

[378] იქვე.

თა და მხარდაჭერით გაძლიერებული საქართველო, რომელსაც სამაგიერო საზღაური შეუძლია მისცეს რუსეთს — გაუადვილოს თავისი მიზნების რეალიზაცია ახლო აღმოსავლეთში.

პეტერბურგში 1795 წ. დამლევსა და 1796 წ. დამდეგს საქართველოდან გ. ჭავჭავაძეს შიკრიკს შიკრიკზე უგზავნიდნენ, აუწყებდნენ რა მას დაწვრილებით ქართლ-კახეთის მძიმე მდგომარეობასა და აღა-მაჰმად-ხანის კვლავ შესაძლო (განმეორებითი) თავდასხმის შესახებ[379].

1795 წლის 5 დეკემბრით დათარიღებულ წერილში გ. ჭავჭავაძის ცოლისძმა სოლომონ ავალიშვილი აცნობებდა ყაზახთა არეულობის შესახებ[380].

31 დეკემბრით დათარიღებული წერილებით ერეკლე II გრაფ ბეზბოროდკოსა და გრაფ ოსტერმანს სთხოვდა, რომ ქართლ-კახეთის ელჩის გ. ჭავჭავაძის წარდგინება (საქართველოში დამხმარე ჯარის გამოგზავნის შესახებ) რუსეთის მთავრობას დროულად დაეკმაყოფილებინა[381]. ერეკლე II და დარეჯან დედოფალმა 1796 წლის 8 იანვარს ანალოგიური წერილები გაუგზავნეს რუსეთის იმპერატორს ეკატერინე II-ს[382].

1796 წლის 5 იანვრით დათარიღებული წერილით ერეკლე II ატყობინებდა თავის ელჩს გ. ჭავჭავაძეს პეტერბურგში, რომ: ქვეითი ჯარის ორი ბატალიონი დეკემბერში მოვიდა ჩვენთანო[383]. ერეკლე კვლავ მოითხოვდა დანარჩენი ბატალიონების გამოგზავნასაც და უბრძანებდა თავის ელჩს, რომ ეს მოთხოვნა წაეყენებინა, სადაც ჯერ იყო[384].

9 თებერვლის წერილით ერეკლე მოითხოვდა გ. ჭავჭავაძისაგან, ეშუამდგომლა, რათა რუსთა სხვა დანარჩენი ძალებიც მარტის 1 ნახევრამდე ჩამოსულიყო საქართველოში, რადგან შემდეგ გზები გაფუჭდებაო. ყველა ჩვენს მეზობელს, განჯის გარდა, გულითადად სურს იმოქმედოს ჩვენთან ერთსულოვნად[385], აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგო — აუწყებდა მეფე ერეკლე თავის ელჩს.

მეფის რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობა. ეკატერინე II-მ 1796 წ. 19 თებერვლის უმაღ-

---

379 А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 118—119.
380 იქვე, ტ. II, ნაკვ. II, გვ. 115—116.
381 იქვე, გვ. 116.
382 იქვე, ტ. II, ნაკვ. I, გვ. 121—122.
383 იქვე, ნაკვ. II, გვ. 121.
384 იქვე, გვ. 122.
385 იქვე, გვ. 126.

ლესი რესკრიპტით სათანადო მითითებები მისცა რუსთა ჯარების მთავარსარდლად დანიშნულ (სპარსეთის წინააღმდეგ მოქმედი კორპუსის) გრაფ ვ. ზუბოვს[386].

27 მარტს ქართლ-კახეთის სრულუფლებიან მინისტრს გ. ჭავჭავაძეს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ შეატყობინა, რომ ელჩის სურვილი დაკმაყოფილებული იქნებოდა[387] (მისი საქართველოში დაბრუნების შესახებ), ხოლო იმავე კოლეგიის 29 მარტის წერილით გ. ჭავჭავაძეს ეცნობა, რომ რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-ª საბოლოოდ დაამტკიცა გ. ჭავჭავაძის სურვილი[388].

რაც შეეხება ბ. ელჩის მიერ გამოთქმულ სურვილს, გაემგზავროს აქედან სამშობლოსათვის დახმარების აღმოსაჩენად, მ. ი. უ., შეაქო რა მისი პატრიოტული გულმოდგინება, გამოაცხადა თავისი უმაღლესი ნებართვა, რის გამოც დაუყოვნებლივ გაიცეს განკარგულება მისი გამგზავრების შესახებ[389]

ეკატერინე II-ის ამ ბრძანების საფუძველზე, ქართველმა ელჩმა საგარეო საქმეთა კოლეგიას საქართველომდე სამგზავრო ფული მოთხოვა[390]. გ. ჭავჭავაძის თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა და მას მიეცა იგივე თანხა, რამდენიც ეძლეოდა საქართველოს ელჩს ... მისი უდიდებულესობის მოწყალებით[391].

9 მაისს ეკატერინე II-ის ბრძანებით ქართველ ელჩს გ. ჭავჭავაძეს გამოუცხადეს, რომ ელჩი, საელჩოს მდივანი გ. ავალიშვილი, ელჩის 2 მსახური — იაგორ ჯავახიშვილი და ივანე დავითაშვილი საქართველოში უნდა გამგზავრებულიყვნენ პეტერბურგ-მოსკოვ-ვორონეჟ-ჩერკასკზე გავლით. ელჩის პასპორტს ხელს აწერდნენ ეკატერინე II და გრაფი ოსტერმანი[392].

პეტერბურგიდან მაისის I ნახევარში წამოსული გ. ჭავჭავაძე 16 ივნისს გეორგიევსკში ჩამოვიდა თავისი ამალით[393]. აქ მან კავკასიის ხაზის მთავარსარდალს გენერალ გუდოვიჩს პ. ზუბოვის გამოტანებული წერილი გადასცა. მეორე დღესვე გ. ჭავჭავაძე გეორგიევსკიდან მოზდოკისაკენ გაეშურა[394]. 18 ივნისს გ. ჭავჭავაძე უკვე

---

[386] ЦГВИА СССР. ВУА, д. 2799, л. 1—7; Бутков, Материалы... ч. вторая, СПБ. 1869, с. 367—368.

[387] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 131—132.

[388] იქვე, გვ. 132—133.

[389] А. Цагарели. Грамоты..., т. II, вып. II, с. 133.

[390] იქვე, т. II, вып. I, გვ. 126—127.

[391] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз., опись 110/3, д. 454ª, 1794—1796. л. 142.

[392] იქვე, ფურც. 144.

[393] იქვე, ფურც. 140.

[394] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз., оп. 110/3, д. 454ª, 1794—1796, л. 140.

მოზდოკში იყო. მოზდოკიდან მან წერილი გაუგზავნა გიორგი ბატონიშვილს, რომელშიაც აუწყა, რომ იგი სამშობლოში ბრუნდებოდა და საქართველოს ნანატრი მშვიდობა მიეცემოდა. „მქონე რტოსა ზეთის ხილისა ნიშნად მშვიდობისა, რომელთაცა განგაყრმობ, განგააახლებ, განგაასფოდელებ ცნობითა საზოგადოსა კეთილობისათა“[395]. გიორგი ბატონიშვილმა ჭავჭავაძის ეს წერილი სოფ. დუშეთში 30 ივნისს მიიღო[396].

გამოიყენა რა პეტერბურგში მყოფი ქართველი ელჩის გ. ჭავჭავაძის სამშობლოში მოსალოდნელი დაბრუნება, თავადი პ. ზუბოვი იმპერატორ ეკატერინე II-ის მითითებით 1796 წლის 31 მაისისა[397] და 30 აპრილის წერილებში[398] ურჩევდა ერეკლეს II-ს უკეთ მოეწყო ქვეყნის შინაური მართვა-გამგეობა და ორგანიზაცია, გააერთიანებინა საქართველო და სხვ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს პლატონური სურვილი, ენახათ საქართველო ძლიერი, ცოტა რამეს ნიშნავდა, „როდესაც აცხადებდნენ ისეთი დიდებულები, როგორიც იყო თავ. პ. ზუბოვი“[399]. ეკატერინე II-ის გარდაცვალებამ პოლიტიკური სცენიდან ჩამოიყვანა ზუბოვები, სპარსეთის ლაშქრობაც და მრავალი სხვაც[400]. შემდეგში კი, სწორედ ზუბოვები იყვნენ 1801 წ. მოწინააღმდეგენი საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ[401].

ეკატერინე II-ის ეს ახალი ფავორიტი (პ. ზუბოვი) აცნობებდა ერეკლე II-ს ქართველი ელჩის გ. ჭავჭავაძის საქებარ სამსახურსა და მონდომებას, საქართველოს საკეთილდღეოდ რომ იყო გამიზნული.

„თ. უ. მინისტრის თ. ჭავჭავაძის ღირსეულად საქებმა ერთგულებამ რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ და თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ აღძრეს ის, თქვენი სამეფოსთვის ამ მძიმე მდგომარეობის დროს, ითხოვოს უაეგუსტოესი იმპერატორისაგან მისი გამოყენება ქრისტიანობის დასაცავად, მტაცებელ აღა-მაჰმად-ხანის მძვინვარების, სისასტიკისა და ბარბაროსობის საწინააღმდეგოდ“[402].

ეკატერინე II-მ, იცოდა რა გ. ჭავჭავაძის უნარი და ერთგულება, გრძანა გაეგზავნათ იგი იქ, სადაც ნამდვილად უფრო საჭირო იქნებოდა. მას შეუძლია მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიოს თქვენს უმაღ-

---

395 ჟურნალი „მოამბე“, 1894, № 1, განყ. II, გვ. 40—48.
396 იქვე, გვ. 48.
397 Н. Дубровин, История войны..., т. III, с. 87.
398 А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 140—142.
399 З. Авалов, Присоединение Грузии к России, СПб, 1906, с. 164.
400 იქვე.
401 იქვე, შენიშვნა 1.
402 А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 140.

ლესობას, თუ იგი გამოყენებული იქნება რუსეთის ძლევამოსილი ჯარების მთავარსარდლებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად, — წერდა პ. ზუბოვი ერეკლეს. გ. ჭავჭავაძე მათთვისაც (რუსეთის ჯარების მთავარსარდლებისათვის) სასარგებლო იქნება, რადგან „გაუადვილებს მათ საჭირო კავშირს მის უ-თან, ისე რომ ეს საერთო საქმე, რომელსაც განაგებს, ასე ვთქვათ, ერთიანი სულითა და მისწრაფებით, ჯეროვნად დაგვირგვინდება წარმატებით"[403].

პ. ზუბოვი ერეკლე II-ს გ. ჭავჭავაძის შესახებ სწერდა: „თ. უ მინისტრ თავად ჭავჭავაძეს პეტერბურგში ყოფნის დროს ბევრჯერ შემთხვევა ჰქონდა ელაპარაკა ჩემთან ამ მდგომარეობის შესახებ. მან, თავისი გონებითა და განათლებით, ისე დაწვრილებით ამიხსნა ყველაფერი, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო თქვენი ხელისუფლების ქვეშ მყოფი ხალხებისათვის გამოსადეგი და სადიდებელი"[404].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაისის I ნახევარში გ. ჭავჭავაძე საქართველოში გამოემგზავრა (ოჯახი კი პეტერბურგში დატოვა). 7 მარტს იმპერატორ ეკატერინე II-ადმი წარდგინებაში. რომელიც ექვს პუნქტადაა ჩამოყალიბებული, იგი აცხადებდა: 1) გზის მშენებლობა უკვე დაწყებულია თბილისიდან თქვენს საზღვრამდე; 2) სურსათი დამზადებულია 12 ათასი კაცისათვის; 3) ერეკლე II-მ უკვე მიიღო გუდოვიჩისაგან 2000 მხედარი; 4) საქართველოს მეფე აღა-მაჰმად-ხანისაგან მიყენებული ზარალის საზღაურად და ქვეყნის აღდგენისათვის სესხად თხოულობს 1 მილიონ მანეთს; 5) მოითხოვს აგრეთვე დარჩენილი ზარბაზნების ნაწილს, რომელიც აჩუქა რუსეთმა საქართველოს მფარველობითი ტრაქტატის ხელმოწერასთან დაკავშირებით (სხვათა შორის, ერეკლე II, შემდეგ კი გიორგი XII მრავალი წლის მანძილზე მიმოწერას აწარმოებდნენ ამის თაობაზე. ერეკლეს ელჩიც დაჟინებით მოითხოვდა ამ „ნაჩუქარი" ზარბაზნების გადაცემას, რომლებიც ვითომ ქ. ვლადიკავკაზში მოიტანეს. საბუთიდან ირკვევა, რომ ეს „ნაჩუქარი" ზარბაზნები განლაგებული იყო კავკასიის სამხედრო ხაზზე)[405]; 6) იმპერატორს სთხოვდა, ნება დაერთო ერეკლესათვის, რათა იგი პირადად შეხვედროდა მთავარსარდალ გუდოვიჩს.

ზაფხულში გარსევან ჭავჭავაძე მოზდოკიდან რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად წავიდა (ისე რომ საქართველოში არ ჩასულა)[406]. იგი გამოცხადდა მთავარსარდალ ვ-

---

[403] А. Цагарели. Грамоты..., т. II, вып. II, с. 140.
[404] იქვე, გვ. 141—142.
[405] იქვე, გვ. 167.
[406] იქვე, გვ. 144.

ზუბოვთან კუსტ-ბულაკსკის ბანაკში და მონაწილეობა მიიღო სპარსეთის ლაშქრობაში, რომელიც წარმატებით წამოიწყეს რუსებმა აღა-მაჰმად-ხანის დასასჯელად[407].

27 აგვისტოს წერილში ერეკლე II გრაფ ვ. ა. ზუბოვს თელავიდან შემახიაში სწერდა: მივიღე ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ ძველ შემახიაში თქვენთან ერთად ჩვენი ელჩი გ. ჭავჭავაძეც იმყოფება, რამაც ჩვენ დაგვამშვიდა, რადგან მას შემდეგ, რაც იგი მოზდოკში ჩამოვიდა, არ ვიცოდით მისი ადგილსამყოფელი. ერეკლე სთხოვდა ზუბოვს, რომ სასურველი იყო ხშირად მიეღო მისი წერილები, თავის მხრივ, ქიზიყიდანაც ეცნობებოდა რუსეთის კორპუსის უფროსს ვ. ა. ზუბოვს ნუხასა და შემახიაში საქართველოს მდგომარეობის შესახებ. ჩვენები ტყვეების (აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისიდან წაყვანილი ტყვეების — ზ. ც.) გამოსასყიდლად ხშირად დადიან ამ გზებზე და შეიძლება მათი დახმარებით ჩემთან წერილების გამოგზავნა. როცა ნუხის მხრიდან უზრუნველყოფილი იქნებით და ნუხის მმართველი დაიმედებული იქნება, — დასძენდა ერეკლე, — მაშინ დერბენტიდან საქართველომდე გზა უხიფათო იქნება და თქვენი და ჩვენი გაგზავნილების მგზავრობაც უხიფათო იქნება[408].

მიიღო რა ერეკლე II-ის ახალი თხოვნა და იცოდა, რომ პური საქართველოში მაინც არ იყო, ვ. ზუბოვმა მეფესთან გაგზავნა რუსთა კორპუსში მყოფი ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრი გ. ჭავჭავაძე. ამ უკანასკნელს უნდა აეხსნა ერეკლესათვის საქმის ვითარება. გ. ჭავჭავაძე გზაში, საქართველოსკენ მიმავალი, ნუხაში დააკავა სელიმ-ხანმა, რომელსაც ეგონა, რომ ქართველ ელჩს ფული მოჰქონდა ერეკლესთან. როცა ნუხის მმართველი სელიმ-ხანი დარწმუნდა, რომ გ. ჭავჭავაძეს ფული არ ჰქონდა, გაათავისუფლა იგი და თხოვა აღნიშნულის შესახებ (მისი დაკავების თაობაზე — ზ. ც.) არაფერი ეცნობებინა გრაფ ვ. ა. ზუბოვისათვის[409]. როგორც ჩანს, სელიმ-ხანს გარსევანი მალე გაუნთავისუფლებია, ამას ადასტურებს 9 აგვისტოს თარიღით გაგზავნილი წერილი დარჩია ბებუთოვისა შანუჩარ მდივნისადმი: „...გარსევანის დაჭერის ამბავს შეიტყობდით. ისევ აუშვიათ, ყაზახის ჯარი დაებარებინა. დღეს ხუთი დღე არის რომ წავიდნენ ღ-თით ამ სამსად დღეში უნდა გაჩნდეს"[410] ... აქაური ამბავი მას უფრო კარ-

---

[407] П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 г. ч. II, С.-Петербург, 1863, с. 397; Н. Дубровин, История войны.., т. III, с. 185.

[408] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 144.

[409] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз. оп. 110/3, д. 18, 1774—1804, с. 217; Н. Дубровин, История войны..., т. III, с. 178.

[410] საქ. ცსსა, ფ. 1448, საბ. № 3553.

ვად ეცოდინება, თორემ სხვა წერილებიდანაც შეგატყობინებდიო. „აღა-მაჰმად-ხან მაშათის მხარეს არის, ჯერ ახლო-მახლო იმისი არა ისმის რა“[411].

მიუხედავად სელიმ-ხანის თხოვნისა, გ. ჭავჭავაძემ მაინც აცნობა მთავარსარდალ ვ. ზუბოვს როგორც ნუხის ხანის საქციელი, აგრეთვე ისიც, რომ ხანი და მისი დიდებულები არ მალავდნენ არაკეთილ განწყობილებას რუსეთისადმი და ტრაბახობენ, რომ ჩქარა საქმე ექნებათ რუსის ჯარებთან[412]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვ. ზუბოვი დაბანაკებული იყო კუსტ-ბულაკსკის ბანაკში, საიდანაც 1,5 თვის შემდეგ, აგვისტოში, იგი იძულებული გახდა წასულიყო ძველი შემახიის გზით სურსათის ნაკლოვანების გამო[413], ე. ი. 1796 წლის ივნისიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე ვ. ა. ზუბოვი იმყოფებოდა კუსტ-ბულაკსკის ბანაკში. აქვე იყო გ. ჭავჭავაძეც (აქედან გაიგზავნა იგი ერეკლესთან და დაკავებულ იქნა სელიმ-ხანის მიერ შემახიაში — ზ. ც.). რუსებს ეხმარებოდა სომეხი. არქიეპისკოპოსი იოსებ არღუთინსკიც, რომელიც აგრეთვე რუსთა ბანაკში იმყოფებოდა.

4 სექტემბერს[414] გ. ჭავჭავაძემ ნუხიდან წერილი გაუგზავნა მაქსიმ პაველეს ძე კაჭკაჭოვს[415]. გ. ჭავჭავაძე სწერდა მაქსიმე[416] კაჭკაჭოვს, რომ გუშინდელ თქვენდამი მოწერილ წერილში ყველაფერი გაუწყეთ, რომელსაც თქვენთან მომსვლელები მოგიყვებიანო. ახლა ახალ წერილს გწერ. სელიმ-ხანი მეფერება, ბოდიშს ისდის და სურს, რომ მისი ქცევის შესახებ არაფერი ვაცნობო არც ზუბოვსა და არც მეფე ერეკლეს. მე იგი დავარწმუნე და მივწერე ერთი წერილი ჰაჯი-ნაზარის მეშვეობით მის ბრწყინვალებას გრაფ ვ. ა. ზუბოვს, სადაც გავამართლე ხანის მოქმედება, ხოლო მეორე წერილი ჩემს ხელმწიფეს (ერეკლე II-ს). თქვენი ნებაა გინდ დამიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ დრომდე საჭიროა დარწმუნებული ვიყო და წერილის მომტანიც არავინ დააშინოს, მაგრამ მოფერებით უკან გამოგზავნეთ[417]. დარწმუნებული იყავით, ამ ჩემ წერილში ზედმეტი არაფერი არ არის და ამ წერილის

---

411 იქვე.

412 Н. Дубровин, История войны..., т. III, с. 178.

413 იქვე.

414 იქვე, გვ. 185.

415 ა. ცაგარელს თავის „გრამოტებში“ ეს წერილი შემოკლებულად აქვს გამოცემული (იხ. А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 144—145).

416 მაქსიმ პაველეს ძე გვარად კაჭკაჭოვია. ამის შესახებ იხ. ხელნაწერთა ინ-ტი, ფ. Н-609, წერილი 8, 71, 72.

417 АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз., оп. 110/3, д. 18, 1774—1804, л. 217.

მომტანიც ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვებათ (როგორც ჩანს, გ. ჭავჭავაძეს ეს წერილი ნუხიდან ფარულად გაუგზავნია მაქსიმე კაჭკაჭოვისადმი — ზ. ც.). კალამი გატეხილი იყო, თუ ღვთის შეწევნით აქედან გავაღწიე, მაშინ ყველაფერს დაწვრილებით შეგატყობინებ[418]. რასაც მე გწერ და რაც სიტყვიერად მოგხსენდებათ შიკრიკისაგან, გთხოვთ ყურადღებით მოუსმინოთ და დაწვრილებით გადასცეთ ყველაფერი ვ. ა. ზუბოვს, რომ ახალციხის შერიფ-ფაშა შეცვალეს და სერასკირი ჯარით მოვიდა ჩილდირში, ახალციხეში ახალი ფაშის დასაყენებლად. გთხოვთ, გაახსენოთ ჩვენთან ჯარების გამოგზავნის შესახებ, რაზედაც მეფეც იწერება[419]. გარსევანი სთხოვდა მაქსიმე კაჭკაჭოვს გადაეცა ვ. ა. ზუბოვისათვის, რომ ერეკლემ ღვინო გაუგზავნა მის ბრწყინვალებას, მაგრამ ქიზიყელებმა, გაიგეს რა ჩემი დაკავება, გამოგზავნილი ღვინო დაიტოვესო.

გ. ჭავჭავაძემ 3 სექტემბრის წერილით აცნობა ერეკლე II-ს თავისი უვნებლობის შესახებ. იგი სთხოვდა მაქსიმე კაჭკაჭოვს, რომ მისთვის რეგულარულად მიეწოდებინა წერილობითი ცნობები[420]. დასასრულ, წერილის მინაწერში აუწყებდა მ. კაჭკაჭოვს, რომ იგი მას ტყუილა-უბრალოდ აწუხებს, მაგრამ როცა მეფე მწერს, მეც ვალდებული ვარ თქვენ მოგწეროთ, რათა თქვენ გრაფ ვ. ზუბოვთან ისაუბროთ ფულის სესხების თაობაზე. შეიძლება გრაფმა ისურვოს და მოახსენოს უმაღლეს კარსო[421]. ფული ერეკლეს მართლაც სჭირდებოდა ამ დროს ერევნისა და სხვა საქმეების გამო (ტყვეების გამოსახსნელად). გ. ჭავჭავაძე სწერდა მაქსიმე კაჭკაჭოვს, რომ ხმები დადის ვითომ ერეკლეს წინადადება მიუღია მოწინააღმდეგე მხრიდან მნიშვნელოვანი თანხის მიცემის შესახებ[422]. ამ საკითხზე ერეკლესთან მოლაპარაკებას აწარმოებდა იუსუფ-ფაშა[423], რის შესახებაც გ. ჭავჭავაძეს რა თქმა უნდა, კარგად იცოდა.

„დარწმუნებული იყავით, — სწერდა გ. ჭავჭავაძე მაქსიმე კაჭკაჭოვს, — რომ ხარჯი, რაც სხვა ადგილებში მოიხმარება, ბოლოსდაბოლოს ამაოდ გაიელის, ხოლო საჭირო დროს ჩვენ დაგვრჩება ერთიანი საქართველო“[424].

ცხადია, ახლა, როცა საქმე ასე კარგად მიდიოდა (სპარსეთის წინააღმდეგ რუსეთის ლაშქრობასთან დაკავშირებით), ქართველ ელჩს

---

[418] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 145.
[419] იქვე.
[420] იქვე.
[421] იქვე.
[422] Н. Дубровин, История войны..., т. III, с. 178.
[423] იქვე.
[424] А. Цагарели, Грамоты..., ч. II, вып. II, с. 145.

არ სურდა, რომ ერეკლეს მიეღო თურქეთის შემოთავაზებული დახმარება (თუმცა რაიმე ხელმოსაკიდი ჯერჯერობით არც თურქეთის მხრიდან ჩანდა). გ. ჭავჭავაძე აფრთხილებდა მაქსიმე კაჭკაჭოვს, რომ იქიდან მოსული დახმარება, ვფიქრობ, მოსაწონი არ არის. სხვათა შორის, ნება თქვენია. მე ორივე მხარეს გულმოდგინედ ვაცნობებ. თქვენ კი შეეცადეთ მოლაპარაკებასო[425].

4 სექტემბრით დათარიღებულ წერილში გ. ჭავჭავაძე გრაფ ვ. ზუბოვს ნუხიდან სწერდა, რომ მან მიიღო ერეკლე II-ს მიერ 28 აგვისტოს გამოგზავნილი ორი წერილი თქვენს სახელზეო (ეს წერილები მას 3 სექტემბერს მიუღია). როგორც ჩანს, ერეკლეს უცნობებია გრაფ ვ. ზუბოვისათვის ნუხის სელიმ-ხანის მიერ გ. ჭავჭავაძის დაკავების ამბავი. ეს წერილი ქართველ ელჩს მაშინ მიუღია, როცა იგი უკვე განთავისუფლებული ყოფილა. წერილი გ. ჭავჭავაძემ, შექმნილი ვითარების გამო, ვ. ზუბოვს არ გაუგზავნა. ამის მიზეზი ახლა უკვე შეშინებული სელიმ-ხანის მოქმედება იყო. გ. ჭავჭავაძეს თავის მხრივ გაუმხნევებია სელიმ-ხანი და თან ცდილობდა რაც შეიძლება ჩქარა გამგზავრებას[426].

ქართველი ელჩი ყოველნაირად ცდილობდა, რომ რუსეთის მთავრობას რაც შეიძლება მალე გაეგზავნა საქართველოში ჯარი მისი ყოფილი ვასალების (ერევნისა და განჯის) დასამორჩილებლად. ამიტომ იყო, რომ გ. ჭავჭავაძემ ვ. ზუბოვს გაუგზავნა ერეკლესადმი ერევნელი სომხების გამოგზავნილი წერილები, რომელშიაც ისინი ეკითხებოდნენ ერეკლეს: „არის თუ არა იმედი იმისა, რომ რუსეთი დაიხსნის მათ (ერევნელ სომხებს — ზ. ც.) მაჰმადიანთა უღლისა და უმკაცრესი შევიწროვებისაგან, რომელშიაც ისინი იმყოფებიან“[427]. პასუხად ვ. ზუბოვი ერეკლეს ურჩევდა ერევნის სახანოს თავის მფლობელობაში დაბრუნებას. ამხნევებდა იმით, რომ პირდებოდა მოკლე ხანში საქართველოში რუსთა ჯარის გაგზავნას, გენერალ-მაიორ რიმსკი-კორსაკოვის სარდლობით, რომ ქართველებს შეუძლიათ ერევანი აიღონ, რომ მტრის ზურგში ჩვენ ვართ და ნუ გეშინიათო. ბრძოლაში ჩვენ ვერ ჩავერევით, რადგან ოსმალეთთან ამჟამად მეგობრობა და მშვიდობა გვაქვსო[428]. მაგრამ ერეკლემ ასეთი რისკიანი ნაბიჯის გადადგმაზე თავი შეიკავა და ავანტიურაზე არ წავიდა.

გენერალ რიმსკი-კორსაკოვს დავალებული ჰქონდა, ჩაეგონებინა

---

[425] იქვე.
[426] იქვე, გვ. 146.
[427] Н. Дубровин, История войны, т. III, с. 179.
[428] იქვე.

ერეკლესათვის, რომ მოეწესრიგებინა ქვეყნის შინაური მდგომარეობა და მოესპო საუფლისწულოები. თუ გაერთიანდებით და განჯა-ერევანს შემოიერთებთ, თქვენ გახდებით მეზობლების რისხვაო[429].

მაგრამ გრაფი ვ. ზუბოვი ამასთანავე აფრთხილებდა გენერალ რიმსკი-კორსაკოვს, რომ: „საქართველოს გაძლიერება განჯისა და ერევნის შეერთებით საიდუმლოდ უნდა შეინახოთ და არავის არ გააგებინოთ გარდა მეფისა და ჭავჭავაძისა "[430] (ხაზი ჩემია — ზ. ც.), მათაც კი ეს დაპირება წერილობით არ მისცეთ, არამედ მხოლოდ სიტყვიერად შთააგონეთ, რადგან ჩვენი შორეული ჰაზრების გამჟღავნება, არა მარტო უეჭვო ცნობებისა, რომლებიც უდროოდ მიუვა აღა-მაჰმად-ხანს, შეაშფოთებს მას [431]. როგორც ჩანს, რუსეთის პოლიტიკურ მესვეურებს ჯერ კიდევ ხელი არ ჰქონდათ აღებული ამიერკავკასიის ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნის იდეაზე, მაგრამ ამ თავის მიზანს შორეულად მიიჩნევდნენ.

10 ოქტომბრის წერილით გენერალ-პორუჩიკი გრაფი ვ. ზუბოვი ატყობინებდა გ. ჭავჭავაძეს, რომ განჯაში გენერალ-მაიორ რიმსკი-კორსაკოვის სარდლობით გაიგზავნება რუსთა კორპუსი: „თქვენი ხელმწიფის, მეფის დიდი საბრძანებლის აღსადგენად და გასაძლიერებლად"[432], ხოლო რიმსკი-კორსაკოვს, ჩემი მიწერილობის თანახმად, განუწყვეტელი კავშირი ექნება თქვენ ბრწყინვალებასთანო. „თქვენი სიყვარული საკუთარი სამშობლოსადმი და განუსაზღვრელი ერთგულება ყოველად უმაღლესი რუსეთის ტახტისადმი მაძლევს კორპუსის სურსათით ადვილად მომარაგების იმედს"[433], აგრეთვე ზუსტი ცნობების მოწოდების საქმეშიო.

რუსთა საექსპედიციო კორპუსის სარდალი გრაფი ვ. ზუბოვი დაბეჯითებით სთხოვდა გ. ჭავჭავაძეს, — როგორც მის ნამდვილ მეგობარს, — დახმარებოდა გენერალ რიმსკი-კორსაკოვს, თბილისში საკმაო რაოდენობის სურსათის დამზადების საქმეში (თანხა სურსათის შესაძენად გენერალ რიმსკი-კორსაკოვს უკვე მიცემული ჰქონდა) აგრეთვე გამოეყენებინათ ფრიად ხელსაყრელი შესაძლებლობა და განედევნათ ერევნიდან აღა-მაჰმად-ხანი. ამის შესახებ დაწვრილებით გაუწყებს თვით რიმსკი-კორსაკოვიო. ვ. ზუბოვს იმის იმედიც კი ჰქონდა, რომ გ. ჭავჭავაძე შეძლებდა აზერბაიჯანის მფლობელების დარაზმვას აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ. იგი ურჩევდა ქართველ ელჩს გადაუდებ-

---

[429] Н. Дубровин, იქვე, გვ. 282.
[430] იქვე.
[431] იქვე.
[432] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 147.
[433] იქვე.

ლად შესდგომოდნენ საქართველოში ერთმმართველობის დამყარებას. თქვენ თვითონ კარგად იცით, — აუწყებდა ვ. ზუბოვი გ. ჭავჭავაძეს, — ჩემო კეთილო მეგობარო, თუ როგორი დიდი სარგებლობა მოაქვს ერთმმართველობას და როგორი დამღუპველია ქვეყნის დაყოფა საუფლისწულოებად[434], სადაც „ხალხს მმართავენ სხვადასხვანაირად და იკმაყოფილებენ საკუთარ სურვილებს და არა საერთო მოთხოვნებს“[435].

თქვენი კეთილგონიერება და ჭეშმარიტი გრძნობა მამულიშვილისა, — მიმართავდა გრაფი ვ. ზუბოვი ქართველ ელჩს, — მჯერა, გიჩვენებთ თქვენ გზებს და შოგაწოდებთ საშუალებებს მნიშვნელოვანი გარდაქმნების მოსახდენად, რომლითაც, აგრეთვე სხვა სასარგებლო ამბებითაც, საქართველოს სამეფო, რა თქმა უნდა, აღდგება და შეიქმნება საკმაოდ ძლიერი ყოველი მტრის დასაძლევად[436].

დასასრულ, ვ. ზუბოვი აცნობებდა გ. ჭავჭავაძეს პოლკოვნიკ სოროხნევისაგან მიღებულ ცნობას, ვითომ თურქებს გადაწყვეტილი აქვთ შეიყვანონ ჯარები იმერეთის სამეფოში სოლომონ მეფის ჩამოსაგდებად და სამეფო ტახტზე განსვენებული დავითის შვილის აღსადგენად. ვ. ზუბოვი დარწმუნებული ყოფილა, რომ ეს ამბავი გარსევანს უფრო დაწვრილებით და კარგად ეცოდინებოდა, ამიტომ იგი არ დააყოვნებდა ყოველივე ამ ამბავის სოლომონ მეფისათვის დროულად შეტყობინებას. ამ ამბით ფრიად დაინტერესებული ყოფილა პირადად ვ. ზუბოვიც და მას იმედი ჰქონებია, გ. ჭავჭავაძე არაფერს დატოვებდა მოუხსენებელს ისეთ მნიშვნელოვანს, რომ იგი რუსთა ჯარის მთავარსარდლობისათვის არ შეეტყობინებინა. ვ. ზუბოვი აუწყებდა გ. ჭავჭავაძეს: „რომ თქვენი მეცადინეობა, შრომა და ღონისძიება საერთო საქმის დასახმარებლად არ დარჩება ხელმწიფის უხვი ჯილდოს გარეშე“[437].

ანალოგიური შინაარსის წერილები გამოუგზავნა გრაფ ვ. ზუბოვმა 10 ოქტომბერს ერეკლე მეორესა[438] და სომეხთა პატრიარქს იოსებ არარატელს[439].

1796 წლის შემოდგომაზე გ. ჭავჭავაძე შეტყობინებას უგზავნის საგარეო საქმეთა კოლეგიას, სადაც აუწყებდა, რომ მირზა პროსიანი, რომელიც გაგზავნილი იყო განჯის მმართველ ჯავათ-ხანთან ტყვეების[440] თაობაზე, იწერება, რომ აღა-მაჰმად-ხანი ადგილიდან აყრილა

---

434 იქვე, გვ. 147—148.
435 იქვე, გვ. 148.
436 А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 148.
437 იქვე, გვ. 149.
438 А. Цагарели, Грамоты, т. II, вып. II, с. 150—151.
439 იქვე, გვ. 149—150.
440 1795 წ. 11 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანის თბილისის აოხრების დროს სპარსე-

და ზემოთ, არეზის პირდაპირ, ძველი ბანაკიდან 12 საათის სავალზე დაბანაკებულა, სადაც ამზადებს ჯარს. ჯავათ-ხანიც 1000 კაცს ამზადებს და სურს ამ ჯარით შეუერთდეს აღა-მაჰმად-ხანსო[441].

ორ უთარიღო წერილში (წერილები დაწერილი უნდა იყოს 1796 წ. შემოდგომამდე) ერეკლე II თავის ელჩს გ. ჭავჭავაძეს აუწყებდა, რომ ახალციხის ფაშამ კონსტანტინოპოლში არ გაუშვა ხუნძახის მფლობელის კაცი, რომელსაც წერილები მიჰქონდა სულთანსა და ვეზირთან[442]. მეორე წერილით ერეკლე კვლავ ატყობინებდა თავის ელჩს, რომ აღა-ყოშიანის ყადმა და სხვა ბეიებმა დაღესტნიდან კონსტანტინოპოლში წერილები გაატანეს ერთ კაცს. მაგრამ შიკრიკს აცნობეს, რომ თურქეთი ამჟამად მეგობრულ დამოკიდებულებაშია რუსეთთან და არ სურს ახლა მასთან მშვიდობიანობის დარღვევა. ახალციხის ფაშამ ეს კაცი ამ მიზეზით დააბრუნაო[443]. ერეკლედან მიღებულ ასეთ ცნობებს გ. ჭავჭავაძე, ალბათ, შემდეგში რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას უგზავნიდა.

13 დეკემბერს რუსთა კორპუსი (მათ თან ახლდათ ქართველთა ლაშქარიც) გენერალ რიმსკი-კორსაკოვის სარდლობით ქ. განჯაში შეევიდა. აქვე იყო სომეხთა არქიეპისკოპოსი იოსებიც[444]. თითქოს ყველაფერი კარგად უნდა წარმართულიყო საქართველოსათვის, მაგრამ 6 ნოემბერს ეკატერინე II გარდაიცვალა და ტახტზე პავლე I ავიდა. მისი ბრძანებით სპარსეთში ლაშქრობა შეწყდა და რუსთა კორპუსი უკან, სამშობლოში გამოიწვიეს. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამწვავა ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობა. კვლავ დღის წესრიგში დადგა აღა-მაჰმად-ხანის ახალი შემოსევების საფრთხე.

რუსთა ჯარის სპარსეთის მიერ დაკავებული ტერიტორიიდან უეცარმა წასვლამ აღა-მაჰმად-ხანს მოპოვებული გამარჯვების ილუზია შეუქმნა. მან გადაწყვიტა, რომ „რკინა უნდა ჭედოს მანამ, სანამ ცხელია“[445]. რა თქმა უნდა, სპარსეთის ტერიტორიებიდან რუსეთის კორპუსის წასვლა მის სიმხდალეს როდი ნიშნავდა. რუსეთის იმპერატორს ახლა სხვა გეგმები ჰქონდა მიზნად დასახული.

ლებმა ტყვედ წაიყვანეს ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრის გ. ჭავჭავაძის და (იხ. ერეკლე II-ის 1795 წ. 14 სექტემბრის წერილი გენერალ გუდოვიჩისადმი, А. Цагарели. Грамоты..., т. II, вып. II, გვ. 104). 1796 წ. გ. ჭავჭავაძემ გამოისყიდა თავისი და ტყვეობიდან და იგი 1797 წ. პეტერბურგში წაიყვანა.

[441] А. Цагарели, Грамоты, т. II, вып. II, с. 153.

[442] იქვე, გვ. 146—157.

[443] А. Цагарели, Грамоты...., т. II, вып. II, с. 157.

[444] Н. Дубровин, История войны..., т. III, с. 182.

[445] З. Авалов, Присоединение Грузии к России, СПб, 1906, с. 165.

§ 5. მესამე ელჩობა (1797—1799 წწ.)

რუსთა საექსპედიციო კორპუსის მოულოდნელი გაწვევით შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ აიძულა ერეკლე II 1797 წლის 5 თებერვალს[446] კვლავ (მესამედ) გაეგზავნა საქართველოს სრულუფლებიანი მინისტრი გ. ჭავჭავაძე (პეტერბურგისაკენ მიმავალ გარსეკანს გზაში, დუშეთთან, 1797 წლის 7 თებერვალს, დარეჯან დედოფლის დავალებით ქაიხოსრო სუფრაჯი დაეწია, რომელმაც მას აუწყა დედოფლის დანაბარები)[447] რუსეთის საიმპერატორო კარზე, ხოლო ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა საქვეყნო რჩევისათვის დაებარებინა[448]. კავკასიის ხაზის სარდალმა გენერალმა გუდოვიჩმა გ. ჭავჭავაძე გზაში კარგახანს გააჩერა და მხოლოდ 24 მარტს გაისტუმრა ეკატერინოგრადიდან[449]. გუდოვიჩმა ქართველ ელჩს ეკატერინოგრადიდან პეტერბურგამდე ქვეითი პოლკის უნტერ-ოფიცერი ლაერენტიევი გააყოლა[450].

აპრილში გ. ჭავჭავაძე მოსკოვში ჩავიდა[451], ხოლო მაისში პეტერბურგში და როგორც ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი დესპანი იმპერატორ პავლე I-ის წინაშე წარსდგა. მან რუსეთის ახალ იმპერატორს ორი სიგელი გადასცა. ერთ მათგანში, ელჩის საშუალებით, ერეკლე II პავლე I-ს ულოცავდა ტახტზე ასვლას, ხოლო მეორეთი სთხოვდა დაედასტურებინა 1783 წ. მფარველობითი ტრაქტატით გათვალისწინებული ყველა მუხლი და დაეცვა იგი, საქართველოსათვის გაეწია სამხედრო დახმარება[452].

აღა-მაჰმად-ხანის ახალი შემოსევის საფრთხემ დიდად შეაშფოთა ქართლ-კახეთის პოლიტიკური მესვეურები, განსაკუთრებით კი ქ. თბილისის მცხოვრებნი. ამას ადასტურებს 24 მარტის წერილი, რომელიც შიოშ თუმანიშვილს მანუჩარ მდივნისათვის (ანაწერის მიხედვით, თვით წერილიდან ეს არ ჩანს) მიუწერია: „აღა-მაჰმად-ხანისა ამბობენ თერანს არისო. ზუბოვი სადაც იდგა იქიდან აიყარა და უკან გაბრუნდა და აქ მყოფი ჯარისაც (თბილისში ამ დროს კიდევ იყო რუსთა ჯარის ნაწილი — ზ. ც.) წასვლას ამბობენ და ქალაქის ხალხი დიდ ღელვაში არის. აქ მყოფი ჯარის კამანდირი (გენერალი რიმსკი-კორსაკოვი — ზ. ც.) ბატონს (ერეკლე II-ს — ზ. ც.) აჯერებინებს ამ ექვს თვეს

---

446 А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, გვ. 132.

447 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბილისი, 1909, გვ. 335.

448 საქ. ცსსა, ფ. 1448, საქ. 3396.

449 АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз. оп. 110/3, д. 454[5], 1797—1798, ფურც. 33.

450 იქვე, ფურც. 34.

451 А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 138.

452 იქვე, გვ. 129—130.

ჩვენი წასვლა არ იქნებაო ... აქ მყოფი ხალხი დიდ მწუხარებაში არის ... დიდ განსაცდელში ვართ მიცემულნი თუ ღმერთმა არ გამოგვიხსნა, უკანიდამ იმისთანა მტერი და წინა ადგილი არსადა ჩანს მოსარჩენად საიმედო"[453]. 19 მარტს რუსის ჯარი განჯას წავიდა, — წერდა შიოშ თუმანიშვილი მანუჩარ მდივანს, — აქ მდგომი რუსის ჯარი უნდა წამოიყვანონ და განჯის ციხე უნდა დაცალონ. ჩვენთან აყალ-მაყალი და დიდი შეწუხება არის სპარსეთიდან რუსის ჯარის დაბრუნების გამო. „აქ მყოფის ჯარის წასვლასაც ამბობენ და მაშ რა იქნება ამ ამბებზედ აყალ-მაყალი და მწუხარება არ იყოს"[454]. ბატონთან საქვეყნო რჩევისათვის არიან მოწვეულნი დიდებულნი, „ვნახოთ რა გაირჩევა...მე ჩემ ჭკუით კარგ ვერას ვხედავ"[455].

16 აპრილს იმპერატორ პავლე I-სადმი წარდგინებაში ერეკლე II აუწყებდა, რომ „რუსეთის ძლევამოსილის მხედრობით სპარსეთში ლაშქრობა ამჟამად დაყენებულია, რაც ჩვენს მფარველად თქვენი იმპ. დიდ. ჯარი აქ იმყოფება, ამათაც წასვლა ეგულებათ, რომელმაც დიდსა შერყევასა და მწუხარებაში შეგვიყვანა"[456]. აღა-მაჰმადხანმა საქართველო ააოხრა და თბილისიდან მრავალი ტყვე წაიყვანა, მაგრამ ჩვენ ყველაფერი მოვითმინეთ ახლა, — წერდა ერეკლე II პავლე I-ს, — „უმეტეს პირველისა ჩვენს სამტეროდ მოქადულ და განძვინებულ იქმნა აღა-მაჰმად-ხან, რომელისაც მოწერილი მუქარის წიგნი აწ თქვენს უდიდებულესობას მოერთმევა, და ჩვენი მოხსენება ეს არის, რომ თუ ახლა თქვენი უმაღლესი საფარველი ჩვენზედ ახდილად ნახეს, რომელნიც აქომომდე ჩემს მეზობლებში მოგებული კაცი მყვანდნენ, ისინიც მტერ მექნებიან, და უეჭველია, რომ საქართველო წახდება"[457]. ერეკლე „მუხლდადგმით" ევედრებოდა პავლე პირველს 2 ან 3 წლის ვადით 4000 ჯარისკაცის მიცემას, „ვიდრემდის ჩვენცა ძალა შევიმატოთ"[458]. ჩვენი სხვა ვითარებანი უმდაბლესად ჩვენ დესპან გ. ჭავჭავაძისაგან მოგეხსენებათ, რომელიც უკვე 5 თებერვალს წარმოვგზავნეთ პეტერბურგშიო.

ერეკლემ აღა-მაჰმად-ხანის ფირმანი რუსეთში მყოფ თავის შვილს მირიანს გაუგზავნა ციხე-სიმაგრე პროჩნოაკოპსკაიაში, სადაც სპარსეთის შაჰის წერილი თვით მირიანმა გადათარგმნა რუსულად და გაუგზავნა ქართველ ელჩს გ. ჭავჭავაძეს უქვეშევრდომლესი წარდგინები-

---

[453] საქ. ცსსა, ფ. 1448, საქ. 3396.
[454] საქ. ცსსა, ფ. 1448, საქ. 3396.
[455] იქვე.
[456] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 132.
[457] იქვე.
[458] იქვე.

სათვის[459]. წერილში აღა-მაჰმად-ხანი კვლავ იმუქრებოდა. ასეთ ვითარებაში ერთი იმედი იყო მხოლოდ, სახელდობრ რუსთა ჯარების დატოვება თბილისში. რუსეთის მთავრობა ამ უკანასკნელ თხოვნაზე დათანხმდა.

18 მაისით დათარიღებულ წერილში საქართველოდან გ. ჭავჭავაძეს ატყობინებდნენ ამ სასიხარულო ცნობას[460]. ამავე წერილით ქართველ ელჩს იმასაც აცნობებდნენ, რომ თბილისში აღა-მაჰმად-ხანისაგან მოსულა ელჩი, გვარად ჭავჭავაძე, მბრძანებლური წერილით, რომლითაც ერეკლესაგან შაჰი მორჩილებას მოითხოვდა და რომ იგი (შაჰი) დიდი ჯარით თავრიზის ახლოს, მიანში, იდგა[461].

იმპერატორ პავლეს კურთხევამ და ამ მიზეზით მისმა ყოფნამ მოსკოვში რამდენიმე ხნით შეაჩერა რუსეთის საიმპერატორო კარის მოლაპარაკება ქართლ-კახეთის სრულუფლებიან მინისტრთან. ამის შესახებ ჯერ კიდევ 28 აპრილით დათარიღებულ შუამდგომლობაში გ. ჭავჭავაძე ა. ბეზბოროდკოს სწერდა: „ვინაიდან ვხედავ, რომ ამჟამს მრავლის საქმისაგან პყრობილ ხარ და წარსასვლელიც ხარ, ამისათვის აწ რომელიცა მეფისა ჩემის ხელმწიფისაგან თქვენთან გამოსაცხადებელნი საქმენი მქონან დავიდუმებ და პეტერბუხს მივიღებ გამოცხადების პატივსა“[462]. გარსევანმა მხოლოდ ის სთხოვა ბეზბოროდკოს, რომ თუ საქართველოში რუსეთის მხედრობის დარჩენის ბრძანება წასული არ იყოს, ებრძანოს კავკასიის ხაზის სარდალს, არ დააჩქაროს საქართველოდან ჯარის გადმოყვანა, ვიდრე „ჩემგან ჩემის მეფის დაბარებულობა მოგხსენდებათ“[463].

მხოლოდ 11 ივნისს მოახერხა მინისტრმა გ. ჭავჭავაძემ წარედგინა თავისი თხოვნა იმპერატორ პავლე I-ადმი[464]. ქართველი ელჩის ეს წარდგინება 8 მუხლისაგან შედგება. ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი მინისტრი გ. ჭავჭავაძე იმპერატორ პაველ I-ს სთხოვდა: 1) დაედასტურებინა 1783 წ. მფარველობითი ტრაქტატის არსებობა რუსეთ-საქართველოს შორის და დაეცვა იგი; 2) ებრძანოს საქართველოში მყოფ რუსეთის მხედრობას, რათა დარჩნენ იქ, „ვ-დის აწინდელნი აღრეულნი გარემოებანი განვლიდნენ“[465], ხოლო შემდეგ საქართველოში იმდენი ჯარი დარჩეს, რაც სეპარატიული არტიკულის ძალით არის

---

[459] იქვე, т. II. вып. II, გვ. 163—164.
[460] იქვე, გვ. 162.
[461] იქვე.
[462] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 133.
[463] იქვე.
[464] იქვე, გვ. 136—140.
[465] იქვე, გვ. 137.

.ბათვალისწინებული (ე. ი. 2 ბატალიონი). გ. ჭავჭავაძის სიტყვით: „მუნ ყოფნა მხედრობასა ამის აძლევს მეფესა და ერსა ვ´ა რ´ლსამე საფარველსა და დიდსა სიმხნესა განსვენებითისა და უშიშროებითისა ცხოვრებისათვის მათისა"[466]; 3) დაემტკიცებინა ტახტის მემკვიდრედ გიორგი ბატონიშვილი, რაც ეცნობოს ქართველ ხალხს; „მისცეთ მეფესა და ერსა მას ჰსჯული ყოვლისა რუსეთისა მმართებულობისათვის სახელმწიფოსა მისისა"[467], რათა აღმოიფხვრას „ძველადვე მიფარულნი" აზიური უსამართლობანი სამართლის წარმოებაში, რაც ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ ქრისტიანულ აღსარებას; 4) ქართლ-კახეთის ციხე-სიმაგრეებში დაინიშნონ კომენდანტები ან უფროსები იმპერატორის ნებით, ხოლო მეფეს ნება დაერთოს თავისი ნებით თვითონ გაამწესოს; 5) დაამუშავეთ საქართველოს მთამადნეული, ოქროვერცხლი. გამოგზავნეთ ამის საქმის მცოდნე 1 ან 2 სპეციალისტი, მუშახელს ადგილზე ვიშოვით, თუ რუსეთის მთავრობა ნახავს სარგებლობას მთამადნეულის დამუშავებიდან, მაშინ შემოსავლის ნაწილს ჩემი ხელმწიფეც აიღებს; 6) რადგან საქართველოში მარადის იბეჭდებოდა ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ფული, ამიტომ გ. ჭავჭავაძე მოითხოვდა, რომ ფულის ერთ მხარეზე გამოსახული ყოფილიყო პავლე I-ის პორტრეტი ან ასო იმპერატორის სახელით, ხოლო მეორე გვერდზე ნიშანი ქართლ-კახეთის მეფისა და საქართველოსი, რათა ადვილად ყოფილიყო გამოცნობილი თუ სად იყო მოჭრილი ფული: 7) მეფის ჩამომავლობას დართოდა რუსეთის სამსახურში შესვლის ნება; 8) მძიმე აოხრების (1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის) გამო საქართველოსათვის მიეცათ სესხი, რამდენიც მოსახერხებელი იქნებოდა. ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი ელჩი გ. ჭავჭავაძე მოითხოვდა, რომ ამ წარდგინებისათვის სათანადო „რეზოლუცია" დაედო პავლე I-ს[468].

ქართველ ელჩს ჯერ კიდევ პასუხი არ მიეღო წარდგენილ ნოტაზე იმპერატორისაგან, რომ საქართველოში აღა-მაჰმად-ხანის ახალი შემოსევის საფრთხე დადგა. მან აიღო შუშის ციხე და იქ გამაგრდა. შუშის მფლობელი იბრაჰიმ-ხანი მთებში გაიქცა.

11 ივნისით დათარიღებული წერილით ერეკლე ატყობინებდა გ. ჭავჭავაძეს, რომ 5 ივნისს[469] აღა-მაჰმად-ხანი თავისმა მოსამსახურეებმა მოკლესო (გ. ჭავჭავაძე ამ წერილს თვენახევარ, ორ თვეზე ადრე ვერ მიიღებდა პეტერბურგში — ზ. ც.).

„მართალია აქ მყოფს რუსეთის მხედრობას ბძანება მოუვიდა აქავ მოცდისა, მაგრამ მოქმედების ბძანება აქვსთ, თუ არა, არ ვიცი,

---

[466] იქვე, გვ. 137—138.

[467] იქვე, გვ. 138.

[468] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 140.

[469] იქვე, გვ. 136.

ეცადე, რომ აქ მყოფს ჯარს ებძანოს საფარში ჩვენთან გამოყოლა" რათა ჩვენ მაშფოთებელ ჭარზე ეილაშქროთ და ჩვენი დაკარგული მამულები განჯა-ერევნითურთ კვლავ დავიბრუნოთო[470].

23 ივნისს გ. ჭავჭავაძე ატყობინებდა საგარეო საქმეთა კოლეგიას, „რომ აღა-მაჰმად-ხან გაზაფხულზედ ჩვენის საზღვრისაკენ აპირებდა წამოსვლას"[471] (გარსევანმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ არ იცოდა აღა-მაჰმად-ხანის მკვლელობის ამბავი).

ერეკლე II-ის 11 ივნისის წერილზე დაყრდნობით გ. ჭავჭავაძე ამავე წლის 18 სექტემბრით დათარიღებულ შეტყობინებაში ა. ბეზ-ბოროდკოს სთხოვდა, რომ მას მითითება მიეცა საქართველოში მყოფ რუსთა მხედრობისათვის, რათა ისინი დახმარებოდნენ ერეკლეს ჭა-რელთა „დამდაბლებაში". ლაშქრობა ჭარელთა წინააღმდეგ ზამთარში უნდა მოწყობილიყო, ვინაიდან იქ არ იცის ცივი ზამთარი, ამიტომ საზოგადო სარგებლობისათვის სჯობს მათზე ზამთარში ვიმოქმედო-თო[472]. გ. ჭავჭავაძის ამ წარდგინებაზეც არაფერი უპასუხნია ა. ბეზ-ბოროდკოს.

30 სექტემბერს ა. ბეზბოროდკოსადმი გაგზავნილ წერილში გ. ჭავჭავაძე უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ რამდენიმე წერილი მიურთმევია ქართველ ელჩს ს. ლაშქაროვის ხელით ა. ბეზ-ბოროდკოსათვის და არცერთზე პასუხი არ მიუღია. ს. ლაშქაროვი კი ეუბნებოდა, რომ „თქვენ თვით ინებებთ და მიბრძანებთ თქვენთან ხლებას და პასუხის თქმას პირისპირ ღირსმყოფთ"[473]. გარსევანი დაბე-ჯითებით მოითხოვდა ა.ბეზბოროდკოსაგან პასუხს, რათა განსაცდელ-ში ჩავარდნილი ქვეყნისათვის რაიმე ეღონა, როგორც ცნობილია, აღა-მაჰმად-ხანის მოკვლის შემდეგ რუსეთმა ზედმეტად ჩათვალა სა-ქართველოში ჯარის დატოვება და ისინი კავკასიის ხაზზე დააბრუნა. 1797 წ. სექტემბრისათვის რუსეთის ჯარი უკვე აღარ იყო საქარ-თველოში. ერეკლეს გამოეცალა უკანასკნელი დასაყრდენი გარეშე მტრე-ბის მოგერიებისა და შინაური აშლილობის დათრგუნვისათვის[474].

ერთ უთარიღო წერილში (წერილი დაწერილი უნდა იყოს 1797 წ. აგვისტო-სექტემბერში) ერეკლე გარსევანს აცნობებდა, რომ: ჭარელ-ები განუწყვეტლივ, გვაწუხებენ; ასირიელებს სურთ ჩვენი ქვეშევრდო-მებად გახდომა; რუსეთის ჯარის, რომელიც ჯერ კიდევ იყო საქარ-

---

470 იქვე.
471 იქვე, გვ. 141.
472 А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 141—142.
473 იქვე, გვ. 142.
474 Н. Дубровин, История войны..., т. III, с. 208.

თველოში, ნახევარი მაინც რომ დარჩენილიყო; ყოველი ღონისძიებით ცდილიყო, რათა მიეღო უმაღლესი კარიდან 200000 მანეთი სესხის სახით, გარკვეული ვადით და პირობით[475].

მიუხედავად გ. ჭავჭავაძის დიდი მეცადინეობისა, იმპერატორი პავლე I და კანცლერი ბეზბოროდკო ივნისიდან დეკემბრამდე არავითარ პასუხს არ იძლეოდნენ საქართველოს მეფის თხოვნაზე. გ. ჭავჭავაძემ რამდენჯერმე მიმართა კანცლერს და სთხოვა მას პასუხის დაჩქარება. მხოლოდ დეკემბერში და ისიც სიტყვიერად ს. ლაშქაროვის პირით კანცლერმა განაცხადა, რომ ქართველი ელჩის თხოვნას ვერ დავაკმაყოფილებთო. გარსევანმა 8 დეკემბრის წერილში ა. ბეზბოროდკოს მადლობა გადაუხადა სიტყვიერი პასუხისათვის; მაგრამ ამასთანავე მოითხოვა წერილობითი პასუხი და პირადი შეხვედრა. გ. ჭავჭავაძე ეკითხებოდა ა. ბეზბოროდკოს ძალაშია თუ არა საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული 1783 წ. ხელშეკრულება? გარსევანი მოითხოვდა ებრძანებინათ კავკასიის ხაზის უფროსებისათვის, რათა ამ უკანასკნელთ გამოეტარებინათ ჩერქეზები საქართველოში, როცა მათ ქართველები მიიწვევდნენ სალაშქროდ. თუ ჩვენს ორ წინადადებაზე მიღებული იქნება მისი უდიდებულესობის ბრძანება, მაშინ „დრომდე ჩვენ შეგვიძლია სხვადასხვა საშუალებით თავის დაცვა, უარს არ ვიტყოდით მომავალშიც ყველაფერი ჩვენი შესაძლებლობით შეგვესრულებინა“[476] — სწერდა გ. ჭავჭავაძე ა. ბეზბოროდკოს.

1795 წ. დიდი განსაცდელის დროს მფარველი იმპერიის დაუხმარებლობამ და 1797 წ. ივნისიდან დეკემბრამდე მეფის რუსეთის პოლიტიკოსების პასიურობამ ქართლ-კახეთის მესვეურებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც ჩანს, ქართველი დიპლომატები საგარეო ორიენტაციის გადასინჯვის საკითხს სვამდნენ. ამის მაჩვენებელია გ. ჭავჭავაძის ნოტა იმპერატორ პავლე პირველისადმი 1797 წ. 31 დეკემბერს. საქართველოს ელჩის ეს წარდგინება გამოხატავს ქართლ-კახეთის პროტესტს და გარკვეულ მუქარას რუსეთთან კავშირის გაწყვეტის შესახებ. ნოტაში ნათქვამია: „დღემდე ყ̄ლთა სათხოვართა მეფისა ჩემისათა სათანადოითა პასუხითა კ̄ დ არა ვარ ღირსქმნილ, ხ̄ მთქმელს უკვე მე ლიტონის სიტყვით უფლის დესტვ. სტ. სოვ. ლაშქროვისაგან, ვ-დ სათხოვარნი მეფისა ჩემისანი არ ხელსაწიფებელ არიან დღეს კმაყოფად, რომლისათვისცა, უკეთუ ესრეთ სათნო იქმნებოდა უმაღლესისა კარისა, ჯერიყომცა გვბრძანებოდა უწინარეს წლისა, მაშინ მეფესა, ჩემსა ხელმწიფესა, შეეძლო მიღება სხვათა საზომთა დასაცველად სამეფოჲსა თვისისა... ინებებაა შენ, დი-

---

[475] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 175—176.

[476] იქვე, გვ. 177.

დო და თვითმპყრობელო ხელმწიფეო, პყრობასა ტრახტატისასა მის პ˘ლისა მებრ ძალისა შ˘ა თვისსა და იხებებთაა, მიცემასა მეფისა ჩემისა, ტრახტატისა მის შეკრულებათა გამო, შემჭიდროებულსა მდგომბასა შ˘ა მიყვანებულისა აღთქმისა მისებრ, შეწევნასა? ანუ დროდმდე, რომელთამე მიზეზთა მიერ ქმნა მისი შეუძლებელ არს?"[477].

როგორც ვხედავთ, გ. ჭავჭავაძე დაბეჯითებით მოითხოვდა იმპერატორისაგან ან დაეცვა ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებანი, ან კიდევ უარი ეთქვა მათზე და საქართველო გამოსავალს თვით მოძებნიდა. როგორც ცნობილია, ამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია.

1798 წ. 11 იანვარს ერეკლე II გარდაიცვალა. სამეფო ტახტზე ერეკლეს უფროსი შვილი გიორგი XII ავიდა.

15 მარტით დათარიღებულ წერილში ევთიმე ბერმა გ. ჭავჭავაძეს პეტერბურგში შეატყობინა საქართველოს შინაური მდგომარეობა ერეკლე II-ის გარდაცვალებისა და გიორგი XII გამეფების პირველ ხანებში[478].

ამ დროს ქართველი ელჩი გ. ჭავჭავაძე პეტერბურგში იყო. ამიტომ სინამდვილეს არ შეიცავს ნ. დუბროვინის ცნობა, ვითომც ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ გ. ჭავჭავაძე გაიგზავნა პეტერბურგში სრულუფლებიან მინისტრად იმპერატორ პავლე I-თან, რათა ეცნობებინა მისთვის გიორგი XII-ის ტახტზე ასვლა და ეთხოვა რუსეთის იმპერატორისათვის მფარველობა გიორგისა და მისი შვილის — ტახტის მემკვიდრე დავითისათვის[479].

სინამდვილეში 1798 წელს გ. ჭავჭავაძე საქართველოში არ ყოფილა. გიორგი XII-მ მხოლოდ რწმუნების სიგელი განუახლა გარსევანს, მიავლინა რა რუსეთში სპეციალურად ამ საქმისათვის ქართველი ელჩის ცოლის ძმა გ. ავალიშვილი.

1798 წლის 23 ნოემბერს გეორგიევსკიდან კანცლერ ა. ბეზბოროდკოს გრაფი მარკოვი სწერდა, რომ ქართველი თავადი გ. ავალიშვილი, რომელიც საქართველოს მეფის გიორგი XII-ის მიერ გამოგზავნილი იყო თხოვნით და წერილობით მის იმპ. უდიდებულესობასთან და თქვენ ბრწყინვალებასთან, კრედიტის წიგნით სანკტპეტერბურგში უმაღლეს კარზე ელჩის ღირსებით მყოფ ქართველ ჭავჭავაძესთან[480], დატო-

---

[477] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 143—144.

[478] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, თბილისი, 1953, გვ. 192—193; იხ. აგრეთვე M. Brosset, Histoire de la Georgie depuis l'antiquité jusqu'ou XIXe siècle, ტ. II, წ. II, ს.-პეტერბურგი, 1857, გვ. 575—576.

[479] Н. Дубровин, История войны..., т. III, с. 138.

[480] АВПР МИД СССР, ф. Сношения России с Грузией, оп. 110/3, 1798—1799, д. 454 г, л. 20.

ვებულ იქნა კარანტინში (გ. ავალიშვილი დაყოვნებულ იქნა კარანტინში შავი ჭირის გამო; იგი მხოლოდ 23 ნოემბერს გაისტუმრეს პეტერბურგში)[481]. როგორც აღვნიშნეთ, გ. ავალიშვილს თან მიჰქონდა პეტერბურგში გ. ჭავჭავაძესთან საქართველოს მეფის გიორგი XII-ის 11 ოქტომბრით დათარიღებული რწმუნების სიგელი, რომელშიაც ეწერა: „ჩვენს დესპანს თავადს გარსევან ჭავჭავაძეს! სანატრელის მეფის მამის ჩვენისაგან რუსეთის უმაღლეს კარზედ სრულის ნებისმქონებელ მინისტრად თქვენ იყავით გამორჩეული. ახლაც თქვენთვისვე გვიბრძანებია, და როგორც ნება გქონდათ, ისევე გქონდესთ, და მანდ იმყოფებოდეთ მეორეს ბრძანებამდე. სადაც ჯერ იყოს ამ ჩვენ ბრძანებით იქ გამოცხადდით, ჩვენს წიგნებს შესაფერისი აუდენცია უთხოვეთ და თქვენი თავი ჩვენს ელჩად გამოაცხადეთ“[482]. მართლაც, პეტერბურგში გიორგი ავალიშვილის ჩასვლისთანავე, დეკემბერში გ. ჭავჭავაძეს პავლე I-თან აუდიენციისათვის მიუღწევია და უთხოვია, რომ: „მომირთმევია მეფისაგან, ჩემი ხელმწიფისაგან, თხოვნა, რომ აღირსოთ მაღალმონარქიული ყურადღება“[483]. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ქართველი ელჩი პეტერბურგში 1798 წლის დეკემბრამდე გულხელდაკრეფილი იჯდა და არ ჰქონდა მოქმედების უფლება.

ჯერ კიდევ 6 ივლისს დავით ბატონიშვილი გ. ჭავჭავაძეს სწერდა, რომ ბაბა-ხანი ურუმიაში მოვიდა და გამოგზავნა თავისი მოხელე ყაჯარ-მაჰმად-ხანი მეფესთან, რათა ამ უკანასკნელს მიეცა მისთვის მძევლად შვილი. თუ ამ პირობას არ შევასრულებთ, ბაბა-ხანი გვემუქრება: ოცჯერ მეტად აგაოხრებთ ვიდრე აღა-მაჰმად-ხანის დროსაო. ახლა არ ვიცით რა ვქნათ, რადგან ეს ნიშნავს საქართველოს რუსეთთან დაშორებას. იმპერატორ პავლესთან თხოვნა წარადგინე და სასწრაფოდ იშუამდგომლე საქართველოში დამხმარე ჯარის გამოგზავნის შესახებო[484]. ამასვე უბრძანებდა გ. ჭავჭავაძეს გიორგი XII 4 აგვისტოს წერილით. მეფე გიორგი აცნობებდა თავის ელჩს, რომ ბაბა-ხანი თავრიზში მოვიდა და „იმისი კაციც გამოგზავნილი ნასახჩიბაში ტფილისის ქალაქში მოვიდა..., რაც ამბავი იქნება იმის სრულის ამბითაც და სხვა ამბითაც შენს მოყვარეს კნიაზ ავალოვს გიორგის გამოვისტუმრებ მ ს წ რ ა ფ ლ ი ს ს ი ა რ უ ლ ი თ და ყ ვ ე ლ ა ს მ ა-

---

[481] იქვე.

[482] А. Ц а г а р е л и, Грамоты..., т. II, вып. I, с. 153.

[483] იქვე, т. II, вып. II, გვ. 196.

[484] იქვე, გვ. 184 (ანალოგიური წერილი გაუგზავნა დავით ბატონიშვილმა თბილისიდან 1798 წლის 28 იულისს სომეხთა არქიეპისკოპოს იოსებ არღუთინსკის. იხ. А. Ц а г а р е л и, Грамоты..., т. II, вып. I, с. 152—153).

შინსცნობთ. და თქვენი ღონისძიება რაცარისახლავ უნდა ეცადო"[485] (ხაზი ჩემია — ზ. ც.).

გ. ავალიშვილის პეტერბურგში ჩასვლას რომ მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამას ადასტურებს ს. ლაშქაროვის 20 აგვისტოს წერილი გიორგი XII-ადმი. ს. ლაშქაროვი გიორგის სწერდა: „რაც შემძლებელობა მაქვს თქვენი სამეფო სახლისა და სამეფოს ერთგული და შემატების მცდელი ვარ, და ღ~თ საქმეს აქამდინაც მოვაწევინეთ, რომელსაც თქვენის სიმაღლის დესპანი უფალი კნიაზი ჭავჭავაძეც მიმოწმებს, და თუ კნიაზი გიორგი ავალოვი გამოგებრუნებინათ, ახლა საქმე სრულებით როგორც თქვენი სამეფო სახლის შესამატი იყო, ისე შესრულებული იქნებოდა"[486].

ამავე 1798 წელს ყაზახის თათართა მოადგილემ[487] და სხვა დიდებულმა თათრებმა გ. ჭავჭავაძეს პეტერბურგში წერილი გაუგზავნეს. მათ სურდათ აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული სინაკ-კორპიას ხიდის აღდგენა და თან ეკითხებოდნენ გარსევანს, თუ როდის დაბრუნდებოდა იგი სამშობლოში, რათა ამის შესახებ მათ წინასწარ სცოდნოდათ. წერილს ხელს აწერდნენ: პენაღ-აღა, სულეიმან-აღა, ქაიხოსროე-ბეი, მუსტაფა-აღა, მუჰამედ-ჰუსეინ-აღა, იუსუფ-აღა, მისაილი. სულ 7 კაცი[488].

10 ივლისს გ. ჭავჭავაძემ ნოტა წარუდგინა კანცლერ ა. ბეზბოროდკოს, რომელშიაც იგი სთხოვდა მას, რომ კავკასიის ხაზზე კარანტინის გამო გაჩერებული წერილები გამოეგზავნათ ფოსტით მასთან ან საგარეო საქმეთა კოლეგიაში. კანცლერს აცნობებდა აგრეთვე ომარხანის ლაშქრის უკან გაბრუნების ამბავს და მის მიერ საქართველოში გაგზავნილი ქართველი საელჩოს მდივნის გ. ავალიშვილის ქიზიყში ჩასვლის შესახებ. გ. ჭავჭავაძე იმედოვნებდა, რომ გიორგი მეფე გ. ავალიშვილს სწრაფად უკანვე, მასთან გამოგზავნიდა[489] (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. ავალიშვილის სწრაფად დაბრუნება პეტერბურგში არ მოხერხდა კარანტინის გამო).

21 ივლისით დათარიღებულ წერილში დავით ბატონიშვილი გიორგი XII-ის დავალებით ს. ლაშქაროვს სწერდა, რომ თურქებმა დაარღვიეს ჩვენთან მეგობრობა, ხოლო ახალციხის ფაშამ მოიყვანა ლეკის

---

[485] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd — 1136; А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 197—198.

[486] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 153.

[487] ამ დროს ყაზახთა ელების ვექილი (მოადგილე) ფანახ-აღა იყო. იხ. ეურნ. „მოამბე", 1900, № 6, გვ. 10.

[488] АВПР МИД СССР, ф. Сношения России с Грузией, оп. 110/3, 1797—1798, д. 454-в, л. 187—188.

[489] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 184—185.

ჭარი და ქართლს არბევს, რაც რუსეთ-თურქეთს შორის დაზავების დარღვევას ნიშნავს. თქვენი კონსტანტინოპოლელი ელჩის მეშვეობით აცნობეთ სულთანს, რომ მან აღუკვეთოს ახალციხის ფაშას ლეკების შეფარება და ჩვენი ტერიტორიის აოხრება[490]. ამავე წერილში დავით ბატონიშვილი აუწყებდა ს. ლაშქაროვს, რათა მას მოეხსენებინა კანცლერ ა. ბეზბოროდკოსთან, რომ: „ამიერიდან ჩვენი თავადი გ. ჭავჭავაძე მიიჩნიეთ ჩვენს მინისტრად უმაღლეს კარზე და რომ, თუმცა თავად ზუბოვის დროს თავადი გარსევან ჭავჭავაძე გამოგზავნილი იყო შიკრიკად, კეთილინებეთ და მოახსენეთ ბრწყინვალე თავადს (ბეზბოროდკოს), რომ მომავალში ჩვენი მინისტრი ასე არ დაამციროს“[491].

ქართლ-კახეთის სამეფო კარმა გადამჭრელი ზომების მიღება სცადა. 30 ივნისის წარდგინებაში გიორგი XII იმპერატორ პავლე I-ს სწერდა, რომ „თქვენის იმპ. დიდ-დმი განპყრობელი ხელი ჩემი თქვენი დიდებულებისაგან არ უგულებელ იქმნას ... და რაგვარადცა თქვენგან მე ვიყო დაუტევებელ, ეგრეთვე მემკვიდრე ჩემი დავით“[492]. ამასთანავე გიორგი მეფე ითხოვდა რუსეთის მხრივ 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის პირობების შესრულებას. დაუხმარებლობის შემთხვევაში იგი ფიქრობდა: მიემართა სხვა სახელმწიფოსათვის და გამოეწვია ს.-პეტერბურგიდან თავადი ჭავჭავაძე[493].

თუ არ გამოგზავნიან სამეფო ნიშნებს (ინვენსტიტურას), გიორგი მაინც გამეფდება და მირონს წაისვამს, — სწერდა ბერი ევთიმე გ. ჭავჭავაძეს[494].

სპარსეთის მხრივ მუქარამ საქართველოს მოსალოდნელი აოხრების შესახებ აიძულა პეტერბურგის საიმპერატორო კარი დადებითი პასუხი გაეცა გიორგი XII-ის თხოვნაზე და დაედასტურებინა 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი[495]. პეტერბურგიდან იმედიანი პასუხის მიღების შემდეგ გიორგი მეფემ ახალი თხოვნა გაუგზავნა პავლე I-ს (რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. ჭავჭავაძემ 1798 წლის დეკემბერში აუდიენციის დროს პირადად წარუდგინა იმპერატორს). გიორგი XII ოქტომბრის ხსენებულ წარდგინებაში, რომელიც 2 პუნქტისაგან შედგებოდა, პავლე I-ს თხოვდა: დაემტკიცებინათ იგი საქართველოს ტახტზედ მეფედ, ხოლო მისი შვილი დავით ბატონიშვილი — ტახტის მემკვიდრედ[496].

---

[490] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 186—187.
[491] იქვე, გვ. 187.
[492] იქვე, т. II, вып. I, с. 152.
[493] Н. Дубровин, История войны..., т. III, с. 239.
[494] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 197.
[495] იქვე, გვ. 194.
[496] იქვე, т. II, вып. I, გვ. 155—156.

11 ოქტომბრით დათარიღებულ იმპერატორ პავლე I-ადმი წარდგინებაში გიორგი მეფე წინააღმდეგი იყო მიწერ-მოწერის გაბმისა მოსაზღვრე მთავართან — კავკასიის ხაზის უფროსთან, რაც საქმეს აჭიანურებდა და აგვიანებდა (ასე იყო ერეკლე II-ის დროს — ზ. ც.). გიორგი მეფე მოითხოვდა, რომ უფლება ჰქონებოდა მას წერილების მიწერისა უშუალოდ იმპერატორთან „და მოგერთმეოდესთ ხელითა თქვენისა მინისტრისათა, რომელსაც მოართმევს ჩვენი მინისტრი"[497].

ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ახსოვდათ რუს დიდმოხელეთა მიერ საქმის გაჭიანურების მწარე გამოცდილებანი, ამიტომ იყო, რომ გიორგი მეფე იმავე წერილში კანცლერ ა. ბეზბოროდკოს სწერდა: „სანატრელს მამა ჩვენს ჰქონდა სასოება დადებული კნიაზ პატემკინზედ, მაგრამ ის ჩვენ გვატყუებდა, ის მხოლოდ თავის სახელის განდიდებას ეძებდა და არავის სხვისთვის ზრუნვედა"[498].

გიორგი XII სურდა რუსეთისაგან ისეთი მფარველობის მიღება, „რომ აღარ ვიყო დამჭირნე სხვისა რომლისამე კარისა შევრდომასა. ანუ შეევედრებასა"[499]. იგი მოითხოვდა საქართველოში სამუდამოდ 3000 ჯარისკაცის დარჩენას, ხოლო თუ ქვეყანას რაიმე საფრთხე შეექმნებოდა, კავკასიის ხაზიდან დამატებით 7000 ჯარისკაცის მოშველებას და სხვ.

საქართველოდან მიღებული ინსტრუქციების საფუძველზე გ. ჭავჭავაძემ 16 დეკემბერს ვრცელი, 11-პუნქტიანი ნოტა წარუდგინა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას[500]. 11 პუნქტიდან 9 პუნქტს (გარდა შე-9 და მე-11 პუნქტებისა) აქვს ნამდვილი საიდუმლო მრჩეველის გრაფ როსტოფჩინის 1798 წლის 24 დეკემბრით დათარიღებული მინაწერი. გ. ჭავჭავაძის წარდგენილ 11-პუნქტიან ნოტაზე ა. ბეზბოროდკომ პასუხი გასცა მხოლოდ 9 პუნქტს (I, II, III, IV, V, VI, VII, VIII და X-ს)[501].

16 დეკემბრის ნოტით ქართველი ელჩი რუსეთის მთავრობისაგან მოითხოვდა: 1) საქართველოში სამუდამო სამყოფელოდ რუსთა 3000-იან კორპუსს; 2) რუსთა კორპუსს საქართველოში გამომგზავრებისას თან უნდა წამოელო კავკასიის ხაზზე დარჩენილი, ჯერ კიდევ ერეკლე II-სათვის ეკატერინე II-ის ნაწყალობევი არტილერია; 3) ნება დაერთოთ უმაღლეს კარზე მყოფ უარაბაღელ მელიქებისათვის, რათა მათი ხალხი (სომხები) დასახლებულიყო საქართველოს მიწა-წყალზე; 4) რუსებს არავინ ეცნოთ ქართველ თავადაზნაურთაგან მეფის

---

[497] იქვე, გვ. 156.
[498] იქვე, გვ. 155.
[499] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 156.
[500] იქვე, т. II, вып. II, გვ. 191—194.
[501] იქვე, გვ. 194—195.

სიგელის გარეშე, გარდა იმათი, რომელთა გვარები შეტანილი იყო 1783 წლის მფარველობით ტრაქტატში; 5) დაკმაყოფილებულიყო ურუმიაში მცხოვრებ სომეხთა და ასირიელთა თხოვნა საქართველოში მათი გადმოსახლების შესახებ; 6) გაეგზავნათ სარდალ ბაბა-ხანთან სპეციალური პირი, საქართველო-სპარსეთის სამფლობელოების გამიჯვნისა და მყუდროების დამყარებისათვის; 7) შეეტყობინებინათ მისთვის (ელჩისათვის), თუ რა მოტივით მიეცა წმინდა ანას ორდენი ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილს, რადგან მეფე გიორგის, როცა იგი ტახტის მემკვიდრე იყო, რუსეთის იმპერატორისაგან მას ეწყალობა ალექსანდრე ნეველის ორდენი? კარგი იქნებოდა თუ დავით ბატონიშვილს ალექსანდრე ნეველის ორდენს უწყალობებდნენ, ხოლო წმინდა ანას ორდენს — იოანე ბატონიშვილს; 8) გიორგი მეფის მეუღლე მარიამისათვის ეწყალობებინათ წმინდა ეკატერინეს ორდენი; 9) გიორგი მეფის ბრძანებით გ. ჭავჭავაძე აცხადებდა, რომ გავრცელებული ხმები, თითქოს თბილისში ავადმყოფობა იყოსო (შავი ჭირი), სინამდვილეს არ შეეფერება; 10) მეფე და მთელი ქართველი ხალხი მოითხოვს წმინდა ნინოს ჯვრის სამშობლოში დაბრუნებას, რომელიც ვახტანგ VI-ის რუსეთში ყოფნის დროს არქიერმა რომანოზმა წამოიღო საქართველოდან და მისცა თავის დას ანა გიორგის ასულს, ბაქარის მეუღლეს; 11) დასასრულ, როცა წარდგენილ სათხოვარ პუნქტებზე იმპერატორი ინებებს პასუხის გაცემას, მეფე თხოულობს ჩვენგან ამის შესახებ მას წინასწარ შეეატყობინო, რათა მან დროულად მიიღოს სათანადო ზომებიო[502].

კანცლერ ბეზბოროდკოს წერილიდან (Записка) ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ იმ პასუხს, რომელსაც ივი აძლევს ქართველ ელჩს 16 დეკემბრის ნოტის I პუნქტზე. იმპერატორმა პავლე I-მა,—სწერს ა. ბეზბოროდკო, — 1798 წლის 8 აგვისტოს გამოაცხადა თავისი ბრძანება, რითაც მან გაამხნევა ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII თავისი მფარველობით, ტრაქტატის ძალით; როგორც კი მიიღებს ფორმალურ თხოვნას ქართველი მეფისაგან, გაუგზავნის მას ინვენსტიტურის ნიშნებს და გაგზავნის სამოქალაქო მრჩეველს პ. კოვალენსკის საგანგებო ელჩად, რომელსაც შემდეგ დატოვებს რეზიდენტად საქართველოში. იმპერატორი გაგზავნის საქართველოში აგრეთვე რუს ფეხოსანთა ორ ბატალიონს[503].

როგორც ცნობილია, 1783 წლის ხელშეკრულებით რუსეთს არ ჰყავდა საქართველოში თავისი რეზიდენტი, თუმცა ტრაქტატით ეს გათვალისწინებული იყო (ს. ბურნაშოვი, ხოლო შემდეგ. ვ. ტამარა ცოტა-

---

[502] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 191—194.
[503] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 194.

ხნით იყვნენ ამ თანამდებობაზე დანიშნულნი) და 1799 წლამდე ეს პირობა არ სრულდებოდა[504]. 1799 წელს პ. კოვალენსკი დაინიშნ. მინისტრად[505], ხოლო ლაზარევი გამოგზავნილ იქნა ჯარის უფროსად, თუმცა მას ერეკლე II-სადმი ეკატერინე II-ის მიერ ნაჩუქარი ზარბაზნები კავკასიის ხაზიდან თან არ წამოუღია საქართველოში.

1799 წლის 2 იანვარს გ. ჭავჭავაძემ შეტყობინება გაუგზავნა საგარეო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც იგი მოითხოვდა საქართველოს მიმართ ახალციხის ფაშის მტრული მოქმედების შეწყვეტას, რათა მას არ შეეფარებინა ლეკები და აღეკვეთა ხალხის მოტაცება ქართლ-კახეთში. ამის შესახებ საჭიროა აცნობოთ რუსეთის კონსტანტინოპოლელ ელჩს (რადგან რუსეთსა და თურქეთს შორის ამჟამად მშვიდობაა)[506].

8 იანვრის წერილით გ. ჭავჭავაძე ა. ბეზბოროდკოს აცნობებდა, რომ ახალციხის ფაშა კვლავ უყრის თავს ლეკებს და „ინახავს მას თავისთანა“, რის გამოც ჩვენი სამშობლო დიდ „მოუსვენებლობაშია“. ქართველი ელჩი უმდაბლესად სთხოვდა ა. ბეზბოროდკოს, რომ რუსეთს თავისი კონსტანტინოპოლელი ელჩის მეშვეობით მიეღო გადამჭრელი ზომები ახალციხის ფაშის მოსათოკად. „არა ერთგზის მრავალთა ჩემ მიერ მორთმეულთა საქმეთა ზ-ა- წერილში თქვენისა უგანმი არ მისცეთ დავიწყებასა, ვინადგან მე, არა მექონი მათთვის რეზოლუციისა, ვშთები წინაშე მეფისა ჩემისა დღემდე უპასუხობასა შ-ა“[507]. ამავე წერილში გ. ჭავჭავაძე აუწყებდა ა. ბეზბოროდკოს, რომ სპარსეთის ხელმწიფედ ახლა აღა-მაჰმად-ხანის ნაცვლად სხვა (ბაბა-ხანი) არის, რომელიც შეეცდება, რათა ჩვენ იგი ვაღიაროთ „დიდებულს ხელმწიფედ“. ამიტომ საჭიროა დროულად გვაცნობოთ რა პასუხი გავცეთ მათ ისე, რომ არც თქვენთვის იყოს საწყენი და არც ჩვენთვის[508].

18 იანვარს გ. ჭავჭავაძემ ორპუნქტიანი წერილი მიართვა საგარეო საქმეთა კოლეგიას, სადაც გიორგი XII დავალებით განაცხადა შემდეგი, რომ: 1) „რუსეთის გასაგზავნელს ჯარში არავინ იყვნენ ქართველთაგანნი მომსვლელნი მუნ ძალთათანა, ხოლო უფროს პოლკოვნიკი თავადი დიმიტრი ორბელიანოვი, რომელიცა უკეთუ აქაურთა ჯართა თანა იქმნების მუნ გაგზავნილ“[509] ჩემი მეფისათვის

---

[504] Н. Дубровин, История войны..., т. III, с. 144.
[505] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 194.
[506] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 160—161.
[507] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 161.
[508] იქვე, გვ. 161.
[509] იქვე, გვ. 162.

ხაეჭვო და საწყენო იქნებაო; 2) რადგან საქართველოს კავკასიის მთების მხრიდან ესაზღვრება ჭარელთა ერი, ხოლო აზერბაიჯანის მხარეს (სამხრეთით) — მდინარე არეზი, ამიტომ, თუ საჭიროება და აუცილებლობა იქნება, დაეხმაროს მას რუსთა ჯარი აბეზარი მეზობლების დათრგუნვაში. რუსთა ჯარი მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების დროს იქნება გამოყენებული და ისიც მხოლოდ საქართველოს ფარგლებს შიგნით. საქართველოს ფარგლებს გარეთ კი რუსთა ჯარი მხოლოდ იმპერატორის ბრძანებით იქნება გამოყენებულიო. ქართველი ელჩი უმდაბლესად სთხოვდა ა. ბეზბოროდკოს, რომ „ზემოდცხადქმნილთა ნიშნებთათვის შ-დ არლა უმეტეს დამაშვროთ და მიოხოთ უმაღლეს. მისის იმპ. დიდებ. ბძანება"[510].

29 იანვარს გ. ჭავჭავაძემ წერილი გაუგზავნა თავად გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონს, რომელშიაც ქართველი მეფისა და მთელი ქართველი ერის სახელით სთხოვდა, რათა დაებრუნებინა სამშობლოში წმინდა ნინოს ჯვარი[511]. თუ რა პასუხი გასცა ამ წერილზე გიორგი ბაგრატიონმა გ. ჭავჭავაძეს ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ 1801 წლამდე ხსენებული ჯვარი კვლავ მასთან ინახებოდა.

11 თებერვალს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ ნოტა გაუგზავნა ქართლ-კახეთის სრულუფლებიან ელჩს გ. ჭავჭავაძეს, რომელიც შეიცავდა პასუხს გ. ჭავჭავაძის 1798 წლის 16 დეკემბრის ნოტაზე[512]. ნოტით გ. ჭავჭავაძეს შეატყობინეს, რომ მისი თხოვნა რუსთა 3000-იანი კორპუსის საქართველოში გაგზავნის შესახებ უკვე სრულდება. გენერალ კისელევს ებრძანა საქართველოში ეგერთა პოლკის გაგზავნა. იქ გაიგზავნება აგრეთვე საქართველოსათვის ნაწყალობევი არტილერიაც; სომხები დარჩებიან საქართველოს ქვეშევრდომობაში, მაგრამ ისინი არ უნდა შეაწუხონ და ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება დაუბრკოლებლად დასახლდნენ და იეაჭრონ რუსეთში; თავად-აზნაურთა შესახებ დაცული იქნება 1783 წლის გათვალისწინებული ტრაქტატის მუხლი, სარდალ ბაბა-ხანს გაეგზავნება ელჩი და განეცხადება, რომ იგი არ ჩაერიოს საქართველოს საქმეებში, რადგან ეს უკანასკნელი რუსთა მფარველობის ქვეშაა; სამოქალაქო მრჩევლის პ. კოვალენსკის გამგზავრების დროს მეფე გიორგის გაეგზავნება ორდენები და მეფის ღირსების ინვენსტიტურის ნიშნები; რაც შეეხება წმინდა ნინოს ჯვარს, თქვენმა მეფემ ამის შესახებ თვით მიმართოს თავად გიორგი გრუზინსკის, რომელთანაც ჯვარი ინახებაო[513].

---

[510] А. Цагарели. Грамоты..., т. II, вып. I, с. 162.

[511] იქვე, გვ. 162—163.

[512] იქვე, т. II, вып. II, გვ. 200.

[513] იქვე.

შეიღო რა საგარეო საქმეთა კოლეგიიდან ასეთი სახის ნოტა გ. ჭავჭავაძემ არ დააყოვნა და 15 თებერვლის ნოტით ჯერ დაადასტურა 11 თებერვლის ნოტის მიღება, ხოლო შემდეგ ითხოვა ოჯახითა და ამალით საქართველოში დაბრუნების ნებართვა, რათა თვითონ დასწრებოდა ცერემონიალს რუსეთის ერთგულებისადმი ფიცის დადებისას „ვითარცა მოწმად დასწრებისა მუნ მათდა ჩემისა, ვინაადგან დამიყვიეს აქა რაოდენიმე ყამი და მიმიღიესცა მცირედი ცნობა შესაბამად მიღებისათვის მის მოწყალებისა“...[514], რომ წესის დაცვის დროს არ დაშვებულიყო რაიმე შეცდომა[515].

22 მარტს გ. ჭავჭავაძემ საგარეო საქმეთა კოლეგიას წარუდგინა ამონაწერი დავით ბატონიშვილის 3 თებერვლის წერილიდან. წერილში აღწერილია ის მძიმე მდგომარეობა, რაშიდაც საქართველო მაშინ იმყოფებოდა სპარსეთის ხანის საქართველოში მოსალოდნელი შემოსევის გამო. დავით ბატონიშვილი პეტერბურგში მყოფ ქართველ ელჩს გ. ჭავჭავაძეს ამ საკითხზე სასარგებლო რჩევას სთხოვდა, „ვითარ ჰგონებ შენ, რაი თანაგვაცს ჩვენ ყოფად მიღებამდე ჩვენგან მისივე ხვედრისა, ვითარნიცა მივიღენით ჩვენ დასხმისა ძალით აღამაჰმად ხანისა?“[516] დავით ბატონიშვილმა ეს წერილი გ. ჭავჭავაძეს გიორგი XII-ის ბრძანებით გაუგზავნა.

14 მარტის ნოტის პასუხში[517] გ. ჭავჭავაძე აცნობებდა (პასუხი ნოტაზე გ. ჭავჭავაძემ თვით დაწერა) რუსეთის საგარეო საქმეთა „მინისტერიას“, რომ რაც საქართველოსა და ყარსსა შორის მტრული მოქმედება წარმოებულა (თუმცა მას ამის შესახებ გიორგი XII-ის ბრძანება არ ჰქონია, მაგრამ მაინც სცოდნია მიზეზი ამ მტრული მოქმედებისა), „კერძოთ იგი (ყარსის ფაშა — ზ. ც.) ინახავს დაღისტნის ჯარს დასაქცეველად მამულისა ჩვენისა, რ˜ლთაც არაერთგზის ცხადჰყვეს ჩვენზედ მტრული მოქმედება, რომელიც წინათვე წერილითაც მოვახსენე მინისტერიას“[518]. საქართველო ყოველთვის იცავს მშვიდობას პორტის მოსაზღვრეებთან და თუ თურქეთს ნამდვილად სურს მშვიდობა, „მაშა. მისცეს ათამანის პოსტამა მესაზღვრეთა თვისთა ახალციხისა და ყარსის. თ˜ვიანთა ბრძანება რომელ მათ არა თუ არ. დაიბარონ. ჯარნი. დაღისტნისანი დასაქცეველად მამულის ჩვენისა არამედ არცა მიუშვან თჳსთანა ... და არცა მისცენ არაეითარი რაიმე ხაზი-

---

[514] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 163.

[515] იქვე, т. II, вып. II, გვ. 201.

[516] იქვე, т. II, вып. I, გვ. 164.

[517] თარიღდება რუსული თარგმანის მიხედვით.

[518] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Грузией, оп. 110/3, 1798—1799, д. 454-в, л. 138.

ნა არა რომელიმე შემწეობა, მაშინ ჩვენის მხრიდამ დაინახვენ ესე მეზობლურსა მშვიდობასა"[519] — დასძენდა გარსევანი. როგორც ნოტის შინაარსიდან ჩანს, არც ქართველები ასვენებდნენ ყარსის მხარეს და, ალბათ, თურქეთის მთავრობამ ამის შესახებ აცნობა რუსეთის სათანადო ორგანოებს. ქართველი ელჩის პასუხში კონკრეტულადაა ჩამოყალიბებული და დასაბუთებული ქართული სამეფო კარის დამოკიდებულება აღნიშნული მოვლენისადმი.

26 აპრილით დათარიღებულ წერილში დავით ბატონიშვილი თავისი მამის, გიორგი XII-ის, ბრძანებით აცნობებდა გ. ჭავჭავაძეს, სადაც ჯერ იყო განეცხადებინა, რომ თურქ ხელისუფალთ საქართველოშივე დაებრუნებინათ საქართველოს ქვეშევრდომი ზომთაბარე თათრის ელები[520].

30 აპრილს გ. ჭავჭავაძემ საიდუმლო მრჩეველ ს. ლაშქაროვისაგან ხელწერილ ქვეშ მიიღო სიგელი გიორგი მეფისათვის გადასაცემად, რომელსაც ხელს აწერდა იმპერატორი პავლე I. ქართველმა ელჩმა მიიღო აგრეთვე ძვირფასი საჩუქრები და ფული თავისი ოჯახისათვის, მთელი თანხა პეტერბურგიდან მოზდოკამდე სამგზავროდ, სულ 6800 მან. პეტერბურგიდან მოზდოკამდე პრისტავად გ. ჭავჭავაძეს პოდპორუჩიკი კოლოსკოვი გააყოლეს[521].

მასთან ერთად ბრუნდებოდა მისი ღვიძლი და, რომელიც აღამაჰმად-ხანის შემოსევის დროს თბილისში სხვებთან ერთად ტყვედ წაიყვანეს[522]. ქართველთა საელჩოს მარშრუტი ასეთი იყო: პეტერბურგი-მოსკოვი-ეორონეჟი-ჩერკასკი-მოზდოკი[523]. სულ პეტერბურგიდან მოზდოკამდე საელჩოს უნდა გაევლო 2711 კმ[524]. ქართველთა საელჩოს და მის ამალას თბილისამდე თარჯიმანი იაკოვლევი გამოაყოლეს.

1 მაისს[525] გ. ჭავჭავაძე თავის ოჯახითა და ამალით პეტერბურგიდან გამოემგზავრა და 10 მაისს[526] მოსკოვში ჩავიდა. 1 მაისს საელჩოს პრისტავს პოდპორუჩიკ კოლოსკოვს მოძღვრავდა საიდუმლო მრჩეველი ს. ლაშქაროვი, რომ იგი (კოლოსკოვი) უნდა მოქცეულიყო კეთილსინდისიერად, როგორც ეს შეეფერებოდა კეთილშობილ ოფიცერს. ცხენების დასაქირავებლად ფული ზუსტად უნდა მიეცა; უფუ-

---

[519] იქვე.
[520] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 165—166.
[521] იქვე, т. II, вып. II, გვ. 206.
[522] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 209.
[523] იქვე, გვ. 207.
[524] იქვე, გვ. 209.
[525] იქვე, т. II, вып. I, გვ. 185.
[526] იქვე, გვ. 166.

ლოდ გზაში არაფერი არ უნდა ეთხოვნა, რომ არაფერი საჩივარი დაწერილიყო მასზე; მოსკოვში უნდა გამოცხადებულიყო სამხედრო გუბერნატორ გენერალ-ფელდმარშალ გრაფ ივანე პეტრეს ძე სალტიკოვთან და ეთხოვა ოთახები; კავკასიის ხაზზე როცა მივიდოდა, უნდა გამოცხადებულიყო მთავარსარდალ გენერალ ივ. გუდოვიჩთან და მიერთმია მოხსენება, შემდეგ ეთხოვა უკან დაბრუნება კომანდაში[527]. მოსკოვში ჩასულმა კოლოსკოვმა 12 მაისს მოხსენება გაგზავნა საგარეო საქმეთა კოლეგიის სახელზე[528].

12 მაისს გ. ჭავჭავაძე მოსკოვიდან პეტერბურგში ვიცე-კანცლერ გრაფ ვ. კოჩუბეის სწერდა, რომ შეიძლება გიორგი მეფემ არ იცოდეს ჩემი სამშობლოში გამომგზავრება, ამიტომ თუ რაიმე წერილი მოვა ჩემ სახელზე, გთხოვთ ის საიდუმლო მრჩეველმა ს. ლაშქაროვმა გახსნას და მოახსენოს, სადაც ჯერ იყოს[529]. მსგავსი წერილები მიწერა მოსკოვიდან გ. ჭავჭავაძემ ს. ლაშქაროვსა[530] და გრაფ ი. ოსტერმანს[531].

10 ივნისს გ. ჭავჭავაძე მოზდოკში ჩამოვიდა[532]. მოზდოკიდან მან 11 ივნისს წერილი გაუგზავნა ს. ლაშქაროვს და აცნობა მას, რომ „რომელიც მაღალ-დიდებულის მინისტერიიდამ ნოტა მებოძა და ან სიტყვა მებრძანა ჯარისა, და ადრითვე ბოძებულის არტილერიისა ხელმეორეთ ბოძებისა და გაშვებისა, ჯერაც ამ ჟამამდინ მოქმედებაში არ შესულან: ჯარიც აქავ არის, რომელსაც აქედამ დაძვრისა და საქართველოსადმი გზის შემდგომის ბრძანება არ ჰბოძებიათ, და ხსენებული არტილერიაც რუსეთისა სხვასა და სხვას პროვინციებში არის დაფანტული და დარიგებული; და ეს ჯარიც რომ გადავიდეს, ამათ თავიანთ არტილერიას გარდა არა გადმოჰყვებათ რა სხვა არტილერია“[533]. ჩემი მოვალეობაა ამის გამოცხადება და ახლა თქვენი ნება არის სათანადო ადგილას გინდ გამოაცხადე და გინდ არაო — წერდა გარსევანი.

1 ივლისს გარსევან ჭაეჭავაძე საელჩოს ამალითა და ოჯახით თბილისში ჩავიდა. თბილისში ჩასულმა გ. ჭავჭავაძემ 16 ივლისს ს. ლაშქაროვს აცნობა, რომ გიორგი მეფემ: „უმაღლესის კარიდამ გამოტანებული ღრამოტა“ დიდის მადლობით მიიღო, და როდისაც პეტრე ივანიჩი კავალინსკი და საააქაო ჯარი ჩვენს გრანიცაში შემოვლენ, და

---

[527] АВПР МИД СССР, ф. Снош. Рос. с Груз., оп. 110/3, 1798—1799, д. 454-в, л. 121.

[528] იქვე, ფურც. 122.

[529] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 211.

[530] იქვე, т. II, вып. I, გვ. 166—167.

[531] იქვე, გვ. 166.

[532] იქვე, გვ. 167.

[533] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 167.

იმათს იქ მისვლას ვსცნობთ, მაშინ იმათი უმაღლესობა მეფე, ხელმწიფე ჩემი, მიიღებს ხსენებულს ღრამატასა სათანადოჲთა დღესასწაულებითითა სახითა ...“[534]

ნოემბერში რუსეთის საგანგებო მინისტრი ქართლ-კახეთის სამეფო კარზე პ. კოვალენსკი თბილისში ჩამოვიდა. მასთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა ეგერთა პოლკი გენერალ ლაზარევის უფროსობით[535]. პ. კოვალენსკი, რომელიც წარმოადგენდა საქართველოში რუსეთის პოლიტიკისა და შინაგანი წესრიგის წარმომადგენელს, პატივმოყვარე და უფლებისმოყვარე ადამიანი იყო, რომელიც თბილისში მოდიოდა არა როგორც შუამავალი, არამედ როგორც გუბერნატორი ან პატრონი[536].

საქართველოს მეფე გიორგი XII-მ რუსეთის სამხედრო დახმარების მიღების შემდეგაც თავი ვერ გაართვა ქვეყნის შინაურ წინააღმდეგობებს[537]. ამიტომ იგი იძულებული გახდა 1800 წელს სპეციალური ელჩობა გაეგზავნა რუსეთის საიმპერატორო კარზე გ. ჭავჭავაძის, გ. ავალიშვილისა და ელიაზარ ფალავანდიშვილის შემადგენლობით, თხოვნით, რათა რუსეთის მთავრობას გადაესინჯა 1783 წ. მფარველობითი ტრაქტატი, რომ ქართლ-კახეთის სამეფო არა მარტო საგარეო საქმეებში, არამედ ქვეყნის შინაგან მმართველობაშიაც დამოკიდებული ყოფილიყო რუსეთზე (შეკვეცილი ავტონომიის ფარგლებში).

§ 6. მეოთხე ელჩობა (1800—1801 წწ.) და გ. ჭავჭავაძის მივართ უსაფუძვლო ბრალდება სამშობლოსადმი ღალატის შესახებ

1800 წ. დასაწყისში გარსევან ჭავჭავაძე მეოთხედ მიემგზავრება რუსეთში იმპერატორის კარზე[538] (გ. ავალიშვილისა და ელიაზარ ფალავანდიშვილის თანხლებით). გიორგი XII სურდა ელჩები ისე გაეგზავნა პეტერბურგის საიმპერატორო კარზე, რომ თუ რისთვის მიდიოდნენ ისინი იქ, ამის შესახებ არაფერი სცოდნოდა საქართველოში მყოფ რუსეთის რეზიდენტს პ. კოვალენსკის. ამ ამბავმა კოვალენსკი გააცეცხლა და მოითხოვა ქართლ-კახეთის მეფისაგან ეცნობებინა მისთვის თუ ვის აგზავნიან ელჩებად პეტერბურგში.

---

[534] იქვე, გვ. 167.

[535] Бутков, Материалы..., ч. II, СПб, 1869, с. 451; Н. Дубровин, Закавказье от 1803—1806 года, СПб, 1886, с. 16.

[536] Н. Дубровин, Георгий XII, последний царь Грузии, и присоединение ея к России, СПб, 1897, с. 89.

[537] Ш. А. Месхиа и Я. З. Цинцадзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений, Тбилиси, 1958, с. 136.

[538] Акты..., т. I, с. 105.

1800 წლის 14 იანვრის განცხადებით გიორგი XII-მ აუწყა პ. კოვალენსკის, რომ პეტერბურგში, უმაღლეს კარზე, უმდაბლესი მადლობის მოსახსენებლად მიემგზავრებოდნენ: „სრულ-შემძლებელი დესპანი, დიდი პოსოლი, სპასპეტი, თავადი გარსევან ჭავჭავაძე, საიდუმლოდ — თანამზრახველმოქმედნი თავადი გიორგი ავალოვი, სამოქალაქო მრჩეველი მდივან-უხუცესი თავადი ელიაზარ ფალავანდოვი“[539].

პ. კოვალენსკიმ დააბრკოლა ელჩების წარგზავნა იმიტომ, რომ იგი ამბობდა, „საიდუმლო“ და „სამოქალაქო“ მრჩეველის ჩინები აქამდე საქართველოში არ ყოფილა და რა უფლებით მიანიჭეთ თქვენს მოხელეებსო. ეს არ მოეწონება პეტერბურგის კარსო. ახლა პ. კოვალენსკიმ მოითხოვა საქართველოს მეფისაგან ეცნობებინათ მისთვის თუ რისთვის მიდიოდნენ ელჩები პეტერბურგში[540].

1800 წლის 27 იანვარს გიორგი XII წერილობითი განცხადება გაუკეთა კოვალენსკის და 6 პუნქტიანი წერილით აცნობა, თუ რისთვის მიდიოდნენ ქართველი ელჩები რუსეთში[541].

კავკასიის ხაზზე ელჩები შეაჩერა გენერალმა კარლ კნორინგმა, ითხოვა რა საქართველოში მყოფ რუს რეზიდენტ პ. კოვალენსკისაგან ვიზა ქართველ ელჩთა პეტერბურგში გამგზავრებაზე, რაზედაც პ. კოვალენსკიმ უარით უპასუხა. ამის გამო ელჩები მოზდოკში დააყოვნეს და მხოლოდ უმაღლესი ნებართვის (იმპერატორ პავლე I-გან) მიღების შემდეგ ისინი 25 აპრილს გაემგზავრნენ მოზდოკიდან პეტერბურგისაკენ[542].

რუსეთის მინისტრი საქართველოში პ. კოვალენსკი გ. ჭავჭავაძესთან ცუდ დამოკიდებულებაში იყო, ამის მიზეზი კი თვით კოვალენსკის შეუფერებელი ქცევა იყო. „აქტებში“ საინტერესო მასალებია დაცული პ. კოვალენსკის საქართველოში „მოღვაწეობის“ შესახებ.

1802 წელს საქართველოში მყოფმა კ. სოკოლოვმა საიდუმლო მოხსენება გაუგზავნა სახელმწიფო კანცლერს გრაფ ა. ვორონცოვს პ. კოვალენსკის ადრინდელ მოღვაწეობაზე.

ჯერ კიდევ 1799 წელს, — მოახსენებს კ. სოკოლოვი გრაფ ა. ვორონცოვს,—როცა პ. კოვალენსკი საქართველოში მოდიოდა, მან მოითხოვა რუსეთისაკენ მიმავალი ქართველი ელჩების გ. ავალიშვილისა და ელიაზარ ფალავანდიშვილის უკან დაბრუნება და აცნობა გიორ-

---

539 А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 168.
540 Н. Дубровин, История войны..., т. III, с. 268.
541 А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 168—169.
542 Н. Дубровин, История войны..., т. 3, с. 268.

ჯი მეფეს, თუ ხსენებული ელჩები არ დამელოდებიან თბილისში, უკან გავბრუნდები და ჯარსაც თან წავიყვანო. გიორგი XII იძულებული ჯახდა უკან დაებრუნებინა ელჩები, მაგრამ წყენა გულში ჩაიმარხაო[543].

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ პ. კოვალენსკიმ გააკვირვა ყველანი თავისი ქცევით. გიორგი მეფე მას ყოველდღე მოკითხვას უგზავნიდა, როგორ ბრძანდებითო, პ. კოვალენსკი კი პასუხობდა — ჯანმრთელადო. პ. კოვალენსკიმ მოითხოვა, რომ აუდიენციის დროს მისთვის მოემზადებინათ ისეთივე სავარძელი, როგორიც მეფეს ჰქონდა, თორემ ისე აუდიენციაზე არ გამოვცხადდებიო. ესეც შეუსრულეს. აუდიენციის დღეს მინისტრი მობრძანდა და მეფესთან შებრძანდა განსაკუთრებული ტანისამოსით — შუბით, თბილი ჩექმებითა და საგზაო ქუდით[544].

სააუდიენციო დარბაზში მას არ მოეწონა სავარძლების განლაგება. თავისი სავარძელი მან მეფის გვერდით დადგა, ისე, რომ თავისი ფეხებით ეხებოდა მეფის ფეხებს. მეფესთან საუბრის დროს თავშეკავებას არ იჩენდა და ამბობდა — მე რუსეთის მეფის სახე ვარო[545].

მეფესთან აუდიენციის დამთავრების შემდეგ იგი ასეთივე მოწყობილობით გამოცხადდა დედოფალთან, დადგა მის პირდაპირ და უყურებდა საათს. როცა 12 საათი შესრულდა, მან განაცხადა, რომ რუსეთის ჩვეულებით შუადღეს ეწოდება ადმირალის საათი და რომ ახლა არაყის სმის დროა[546]. მარიამ დედოფალმა ბრძანა პ. კოვალენსკისათვის არაყის მირთმევა და აუდიენციაც ამით დამთავრდა.

მინისტრის ასეთი უცნაური მოქმედება გიორგი მეფეს არ მოეწონა, რადგან გიორგი მეფემ არ იცოდა მინისტრთა მიღების ევროპული წესი, ამის გამო შეეკითხა თავის ელჩს, გ. ჭავჭავაძეს, მაგრამ თავადმა ჭავჭავაძემ, რომელიც ხედავდა მეფის წინააღმდეგ ასეთ სამწუხარო საქციელს, მ. უ. ყველაფერი აუხსნა, ხოლო მინისტრს შენიშნა, რომ მეფესთან აუდიენციაზე მისვლა შეიძლებოდა იმ ტანისამოსის გარეშეც, რომელიც მას ეცვა[547].

გიორგი მეფემ რუსეთის რეზიდენტს პ. კოვალენსკის დღიურ ულუფად 10 მანეთი დაუნიშნა, მაგრამ იგი ორმაგს თხოულობდა. როგორ შეიძლება, — აცხადებდა პ. კოვალენსკი, — მე და გენერალ ლაზარევს (რუსთა პოლკის უფროსს — ზ. ც.) ერთნაირი გასამრჯელო გვეძლეოდესო. მე ხომ იმპერატორის სახე ვარო. პ. კოვალენსკი აწყობდა ინტრიგებს და სხვ[548].

---

543 Акты..., т. II, с. 5.
544 Акты..., т. II, с. 5.
545 იქვე.
546 იქვე.
547 იქვე.
548 იქვე, გვ. 6.

როგორც ცნობილია, ამ ხანებში შინაურმა აშლილობამ საქართველოში უკიდურეს საზღვარს მიაღწია. პეტერბურგში ჩასულმა გ. ჭავჭავაძემ, გ. ავალიშვილმა და ელიაზარ ფალავანდიშვილმა 1799 წლის 7 სექტემბრისა[549] და 1800 წლის 24 ივნისის[550] რწმუნების საფუძველზე შეიმუშავეს 16 პუნქტიანი ეგრეთწოდებული „სათხოვარ-პუნქტები", რომლებიც 1800 წლის 17 ნოემბერს[551] გ. ჭავჭავაძემ წარადგინა საგარეო საქმეთა კოლეგიაში.

19 ნოემბერს იმპერატორმა პავლე I-მა ყველა პუნქტი მოიწონა, ხოლო 23 ნოემბერს იმპერატორის მიერ აპრობირებული ნოტა გიორგი XII-ს გამოუგზავნა[552]. გ. ავალიშვილი და ელიაზარ ფალავანდიშვილი გამოემგზავრნენ თბილისში, გ. ჭავჭავაძე კი პეტერბურგში დარჩა. ელჩებს თან მოჰქონდათ გრაფ როსტოფჩინის წერილი საქართველოს ქვეშევრდომობის მიღების პირობების შესახებ, რომელიც გიორგი მეფეს უნდა განეხილა და, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, მიეღო.

1800 წლის დეკემბერში გიორგი XII-ს თანდათან უძლიერდებოდა ავადმყოფობა. ავადმყოფობის მთელი ხნის განმავლობაში და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მეფე განუწყვეტლივ ეკითხებოდა ლაზარევს, მალე დაბრუნდება თუ არა პეტერბურგიდან მისი სრულუფლებიანი ელჩი გ. ჭავჭავაძე. ლაზარევი ამხნევებდა ავადმყოფს, ეუბნებოდა, რომ იგი უკვე გზაშია და მალე ჩამოვა თბილისში[553].

მეფე არაერთგზის მეკითხებოდა — სწერდა 1801 წ. 2 იანვარს გენერალი ლაზარევი გენერალ კ. კნორინგს, — ჩქარა ჩამოვა თუ არა თავადი ჭავჭავაძეო. რაკი მე ვატყობდი, რომ მას ანუგეშებდა უკანასკნელის მალე ჩამოსვლა, ყოველთვის მოვახსენებდი, რომ ის ძალიან ჩქარა ჩამოვა. ის ყოველთვის მპასუხობდა: „მაშინ მშვიდად მოკვდებიო"[554].

8 იანვარს ელიაზარ ფალავანდიშვილი და გიორგი ავალიშვილი თბილისში ჩამოვიდნენ[555]. მათ თან ჩამოიტანეს იმპერატორ პავლე I-ის სიგელი, მაგრამ ქართველმა ელჩებმა გიორგი XII-ს ცოცხალს

---

[549] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. I, с. 187—188.

[550] იქვე, т. II, вып. II, გვ. 292.

[551] Акты... т. 2, с. 179—181; З. Авалов, Присоединение Грузии к России, СПб, 1906, с. 291—297.

[552] Акты..., т. I, გვ. 181; З. Авалов, დასახ. ნაშრ., გვ. 298.

[553] Н. Дубровин, Георгий XII, последний царь Грузии и присоединения ея к России, СПб, 1897, с. 171.

[554] Акты..., т. I, с. 190.

[555] ბ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936, გვ. 220.

ველარ ჩამოუსწრეს. 1800 წლის 28 დეკემბერს საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII გარდაიცვალა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველმა ელჩებმა მეფის რუსეთის მთავრობას წარუდგინეს საიდუმლო თხოვნა, რითაც გიორგი XII უარს ამბობდა „მფარველობაზე" და თანახმა იყო „ქვეშევრდომობაზე" შეკვეცილი ავტონომიის ფარგლებში, ისე რომ მეფის ტიტული მემკვიდრეობით გადასცემოდათ ბაგრატიონებს, მაგრამ პავლე I-მა უგულებელყო ეს თხოვნა. 18 იანვარს[556] მოსკოვსა და პეტერბურგში გამოცხადებული მანიფესტით საქართველო უშუალოდ შეუერთდა რუსეთს (მანიფესტი 1800 წლის 18 დეკემბერს იყო დამტკიცებული, მაგრამ ელოდნენ საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის გარდაცვალებას)[557].

რუსეთის ცარიზმმა ქართლ-კახეთის სამეფოში გააუქმა ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება და იქ ახალი მმართველობის სისტემა შექმნა. „ეს იყო სამხედრო ... სისტემა, რომელიც თავისთავში ხალხისათვის ორმაგ—სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას გულისხმობდა"[558].

საქართველო რუსეთმა შეიერთა. სხვა უკეთესი გამოსავალი მაშინ, როცა ქვეყანას ირანის ან ოსმალეთის ჩამორჩენილი სახელმწიფოების მიერ დაპყრობა და ფიზიკური განადგურება მოელოდა, არ არსებობდა. „საქართველოს პროგრესის საქმე ამიერიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა წარმართულიყო. შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი ახლა ეს იყო"[559].

„როცა რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესულ მნიშნელობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ჰამეფო დინასტიათა გაერთიანება როდი გვაქვს მხედველობაში. მთავარია რუსი და ქართველი ხალხების დემოკრატიული ფენების გაერთიანება. მათი ერთად გამოსვლა ისტორიის სარბიელზე, მომავალი კლასობრივი ბრძოლების ასპარეზზე ექსპლოატატორული კლასების რუსი და ქართველი მესაფლავეების ერთად გამოსვლა. ეს არის ჩვენი სამშობლოს ისტორიის ჭეშმარიტი აზრი" ...[560]

---

[556] Полное собрание Законов Росс. Империи, т. XXI, СПб, 1831, № 19721; З. Авалов, დასახ. ნაშრ., გვ. 300—301.

[557] Акты..., т. I, с. 177—178; З. Авалов, დასახ. ნაშრ., გვ. 299—300.

[558] ა. სურგულაძე, რუსეთი XIX ს. პირველ ნახევარში, თბილისი, 1963, გვ. 139.

[559] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი", № 6, 1954, გვ. 130.

[560] ე. შევარდნაძე, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება

1801 წლის 18 იანვრით დათარიღებული სიგელითᲔ61 საქართველოს განმგებელმა, ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილმა განუახლა პეტერბურგში მყოფ გ. ჭავჭავაძეს რწმუნების სიგელი და ქართული საელჩოს (გ. ჭავჭავაძე, გ. ავალიშვილი, ე. ფალავანდიშვილი) უფროსად მას სთვლიდა. ქართველ ელჩებს უფლება ჰქონდათ, თუ რაიმე მიზეზის გამო მარტო დარჩებოდნენ, თითოეულს თავისი ინიციატივით შეეძლო ეწარმოებინა მოლაპარაკება რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან. ეს სიგელი დავით ბატონიშვილმა პეტერბურგში სასწრაფოდ გაბრუნებულ ქართველ ელჩებს გ. ავალიშვილსა და ელიაზარ ფალავანდიშვილს გაატანა, რომლებიც 1801 წ. 20 იანვარს გაემგზავრნენ თბილისიდან პეტერბურგისაკენᲔ61ა.

პეტერბურგში ჩასულ ქართველ ელჩებს რუსეთის იმპერატორი პავლე I ცოცხალი აღარ დაუხვდათ, რუსეთის საიმპერატორო ტახტზე ალექსანდრე I ავიდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმე კვლავ მსჯელობის საგანი გახდა. ქართველი ელჩების მოღვაწეობამ, რათა კვლავ შეენარჩუნებინათ ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დამოუკიდებლობა შეკვეცილი ავტონომიის ფარგლებში, არავითარი შედეგი არ გამოიღო.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით იმპერატორმა ალექსანდრე I-მა საქართველო საბოლოოდ შეუერთა რუსეთის სახელმწიფოს.

ამ ამბავმა ძალზე დაამწუხრა ქართველი ელჩები (გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი, ელიაზარ ფალავანდიშვილი).

„განაწყენებული ელჩი გარსევან ჭავჭავაძე თავის ნათესავებს და ნაცნობებს საქართველოში ატყობინებდა, რომ „სამეფო გააუქმეს, ქვეშევრდომებადაც კი არ მიგვიღეს“... ელჩი უკვე ქართველ საზოგადოებას სთხოვდა რწმუნების გაგრძელებას რუსეთის სახელმწიფოსთან შემდგომი მოლაპარაკებისათვის ქართული თვითმმართველობის დაცვის თვალსაზრისით, მოაგონებდა მას, რომ ქართველებს შეეძლოთ „არ მიეღოთ რუსეთიდან მოსული ბრძანებები“, მაგრამ ასეთმა ცდებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. ამ მიმართულებით ბრძოლამ მარცხი განიცადა“Ე62.

ყოფილ ქართველ ელჩს გ. ჭავჭავაძეს 1801 წ., იმპერატორ ალექ-

და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებათა შუქზე, გაზ. კომუნისტი, 1976 წ. 4 დეკემბერი.

Ე61 А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 220—221.

Ე61ა პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 222.

Ე62 ვ. დუმბაძე, საქართველო XIX ს. I ნახევარში, ხელნაწერი, თბილისი, 1956, გვ. 73, იქვე დამოწმებულია: Акты, Собр. Кавк. Арх. ком. т. II, стр. 304; Н. Дубровин, История войны и влад..., т. III, с. 432.

სანდრე I-ის კურთხევასთან დაკავშირებით, „ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის“ (დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი), ხოლო გ. ავალიშვილს და ელიაზარ ფალავანდიშვილს — „სახელმწიფო მრჩევლის“ (სტატსკი სოვეტნიკი) წოდება უბოძეს[563].

ცნობილია, რომ რუსეთის ორიენტაციის მოწინააღმდეგენი გარსევანს საქართველოს გამცემად და მოღალატედ სთვლიდნენ.

დავით, იოანე და ბაგრატ ბატონიშვილები თავის შრომებში უშუალოდ გ. ჭავჭავაძის მოღვაწეობის შეფასებასაც იძლევიან. დავით ბატონიშვილი გარსევანს მამულის ორგულად იხსენიებს. „წელსა ამასვე 1811, ქ. კს უჟთ, აპრილის 5 (შეცდომაა, უნდა იყოს აპრილის 7 —ზ. ც.) მოკუდა ჭავჭავაძე გარსევან ეშყაბაში წყალმანკით პეტერბურხს, გამცემი მეფობისა და მამულისა თავისასა ორგული“[564]. ბაგრატ ბატონიშვილს თავის „ახალ მოთხრობაში“ ასევე საქართველოს ინტერესების გამყიდველად გამოჰყავს გ. ჭავჭავაძე, ვითომ მან არ გადასცა გიორგი XII-ის მიერ გაგზავნილი წერილი იმპ. პავლე I გიორგის სიცოცხლეშივე დავითის მეფედ გამოცხადების შესახებ. „მსმენელმან ჭავჭავაძემ ამისა იძმაცვა და დამალა წერილი ისე მეფისა შურითა დავითისასა ... , რომლიცა სძულობდა და მტრობდა დავითს, ვიდრე სიკვდილამდე მეფისა გიორგისა, რამეთუ ასმოოდა სნეულობა მისი ... გარსევანმა იცა ჟამი მტერობისა დავითისა და მიართვა წიგნი იმპერატორ პავლეს თვით გაკეთებული სახელსა ზედა მეფისა, რეცა აღება ნეფობისა საქართველოდამ და გაზსნა ლუბერნისა და ესეცა დაურთო თვით ზედა: „უკეთუ არა აღმოფხვრი მეფობასა საქართველოსასა და არა გარდმოსახლებ სრულებით როსიასა შინა მეფისა სქესთა არა ეგების მშვიდობა საქართველოსა შინა და სახლსა სამეფოსა“[565]. იმპერატორ პავლეს ეს არ სურდა, ვინაიდან მას ფიცით დამტკიცებული ჰყავდა დავითი საქართველოს მეფეთო, მაგრამ გარსევანმა „იმპერატორი პავლე იძულებულ ჰყო“[566] და ამ უკანასკნელმა საქართველოში მეფობა გააუქმაო. ასეთი „მსჯელობა“ ბაგრატისა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სასაცილოდ ჩანს. ქართველ ელჩს რუსეთის იმპარატორის თავის ჭკუაზე თამაში, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. ბ. ბატონიშვილი მოგვითხრობს: „ხოლო ეს ჭავჭავაძე იყო კახი თავადი, რომელსა მამუჩიშვილად უხმობდნენ, და აღეზარდა ობოლი მეფესა ირაკლის

---

[563] Н. Дубровин. История войны, т. III, с. 427; П. Бутков, Материалы..., ч. II, с. 532.

[564] მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის-ძისა და მისი ძმებისა, მ. ჯანაშვილის გამოცემა, ტფილისი, 1905, გვ. 97.

[565] ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბილისი, 1941, გვ. 76—77.

[566] ბ. ბატონიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 77.

ვითარცა ძე და განადიდა ესე, რომელ ეპყრა სამოურაოდ ყაზახი და მისცა სოფლები კახეთისა შინა ნაფარეული, ზეგანი და ელი მუღანლო იერისა“ ...[567] მაგრამ თურმე გარსევანს ქართლ-კახეთის ჩაგდება სურდა ხელში, ამიტომ მისცა რუსეთს საქართველო და ჯილდოდ მხოლოდ 1000 მანეთის ოქრო მიიღო. ამავე აზრს ავითარებს იოანე ბატონიშვილიც თავის „კალმასობაში“[568] როგორც ვხედავთ, გარსევანის „ბრალდება“ მძიმეა, მაგრამ საბედნიეროდ ყოველივე ეს ფაქტები არ დასტურდება და შეთხზულია. თუ რატომ და როგორ, ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

გარსევან ჭავჭავაძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის ორიენტაციის ერთ-ერთ მომხრედ ითვლებოდა. მაშინ ის ერთადერთი სწორი გზა იყო საქართველოს აღდგენა-გამოხსნისათვის. ჩვენ აქ ვრცლად არ შევუდგებით გ. ჭავჭავაძის რეაბილიტაციის დასაბუთებას (ისტორიამ იგი დიდი ხანია გაამართლა), მაგრამ იგი რომ ნამდვილი პატრიოტი იყო თავისი ქვეყნისა და ზუსტად ასრულებდა იმ მითითებებს, რასაც მას საქართველოს მეფეები აძლევდნენ, ამაში ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება. რუსეთისა და საქართველოს არქივებში დაცული დოკუმენტები ამაზე ღაღადებდნენ. ჯერ კიდევ პლ. იოსელიანი წერდა: „დრო და არქივი რუსეთისა გამოაჩენს (ხაზი ჩემია — ზ. ც.) რაოდენ მაღლად იდგა გარსევან გონიერებითა და საქმითა სხვათა ზედა ქართველთა. რაჲცა მე ვიცი არქივის საქმეთაგან, — რომელთაცა მე, აღმწერელი მეფისა ცხოვრებისა, არა შევეხები—ვიტყვი გარსევანისათვის, რომელ დროთა ამათ იყო იგი სვეტად მტკიცედ მეფობისა, ერთგულად მეფისა და მამულისა. მგმობული მისი სცოდავს“[569].

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ერთი საბუთი, რომელიც გ. ჭავჭავაძეს 1801 წლის 11 ივლისს მოუწერია პეტერბურგიდან იოანე ბატონიშვილისადმი[570]. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გარსევანი თავის თავს სვინდისისაგან გვებულად თვლიდა დავით და იოანე ბატონიშვილების უსაფუძვლო ეჭვების გამო. „რომელზედაც იჭვი გაქვსთა და გვემული სვინდისისაგან თქვენისა სამართლად ხედავთ“[571]. მიუხედავად 1801 წ. 18 იანვრის მანიფესტის გამოცხადებისა,

---

567 იქვე.

568 ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტფილისი, 1936, გვ. 125—131.

569 პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1936, გვ. 152.

570 თუმცა იოანე ბატონიშვილი ამ დოკუმენტში მოხსენებული არ არის, მაგრამ წერილის შინაარსით მტკიცდება, რომ წერილი გარსევანმა პეტერბურგიდან მას გამოუგზავნა.

571 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd—1530.

იგი კვლავ არ კარგავდა იმედს სამეფოს აღდგენისას — „და კ´დცა შიბრძანებ ცდასა განხმნობასა და ღვაწასა წინამდებარისა საქმისასა, რ´ლიც თჳს ეტყვის სახელის დებად მემკვიდრესა ძმასა თქვენსა, რომლისათჳსცა მიეცა წერილობითი მოხსენებითა ჩემითა გულსავსე ვჰყოფ უგანათლებულესობასა თქვენსა, რაოდენცა ჩემგან შეიძლება ვეცდები და სასოებაც მაქვს წარმართებისა, თუ ღვთის სათნოც იქნება. და ვჳონებ თ´ს თქვენც მიმოწმოდ, რომ თქვენის ძმის დავითის საბედნიერ´ოს საქმეებისათვის ბევრჯელ მიღვწვია და დაჯერებით იცოდეს. რომ რაოდენ შესაძლო იქნება ჩვენ ჩვენი გარჯა არც დამიკლია და არც დავაკლებ, და არც თქვენ შეგიძლიათ და არც ჩვენ. რომელიც სანატრელი მეფის მამის თქვენის ბრძანება გვქონია ის ბრძანება ჩვენ უნაკლულოდ. აღგვისრულებია და მოგვიხსენებია და ახლა ღმერთსა და ჟელმწიფეს ვედრება და ხვეწნა უნდა. სხვა არა გაეწყობარა“[572] (ხაზი ჩემია — ზ. ც.).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველმა ელჩებმა (გ. ჭავჭავაძემ, გ. ავალიშვილმა და ე. ფალავანდიშვილმა) არაფერი იცოდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ მანიფესტის მომზადებაზე. ამის შესახებ მათ მხოლოდ მანიფესტის გამოცხადების შემდეგ გაიგეს. განაწყენებულმა ელჩებმა 1801 წ. 6 ნოემბერს განცხადება მისცეს ვიცე-კანცლერს თავად ალ. ბორისის ძე კურაკინს:

„ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს შეერთება საქვეყნოდ გამოცხადდა, ამის შესახებ მანიფესტი შედგენილია და დამტკიცებული, ჩვენ კი ამის შესახებ **არაფერი ვიცოდით — არც საქართველოს შეერთების, არც მანიფესტის შედგენის შესახებ,** სანამ ყველაფერი არ მოხდა, ჩვენ ამით, — ნუ გაგვირისხდებით, — ნაწყენი ვართ, გარდა ამისა ჩვენ თავს ვთვლით უბედურად, რადგან თქვენთვის სხვებზე უკეთესად იყო ცნობილი ჩვენი მოხსენებები, საქმის წარმოება და მისწრაფება — ამასობაში [საქართველოს] ასეთი შეერთების გამო ორივე სამეფოშიაღმოვჩნდით პატივისცემისა და ნდობის გარეშე“ (ხაზი ჩემია — ზ. ც.)[573].

„1802 წ. 27 იანვარს ქართველმა ელჩებმა, — წერს პროფესორი შ. დუმბაძე, — იმპერატორს სთხოვეს ქართლ-კახეთში დანიშნული რუსი მოხელეების გადაყენება და საქართველოს მთავარსარდალად ვინმე ქართველის დანიშვნა. ეს თხოვნა 6 თებერვალს რუსეთის სა-

---

[572] იქვე, საბ. 1530.

[573] А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 301.

ხელმწიფო საბჭომ განიხილა ელჩებს ცავი უარი უთხრეს და მოაგონეს, რომ ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლების გაუქმებით მათი რწმუნება გათავდა"[574].

საიდუმლო მრჩეველის ს. ლაშქაროვის 1802 წ. 7 ივლისის წერილს ბ. კურაკინისადმი კიდევ უფრო მეტი სიცხადე შეაქვს მომხდარ ამბებსა და, კერძოდ, გ. ჭავჭავაძის უდანაშაულობაში. ს. ლაშქაროვი, რომელსაც არაფერი ჰქონდა დასამალავი მეფის მთავრობის ოფიციალურ პირებთან, გაკვირვებით მოახსენებს კურაკინს, რომ როცა კნორინგმა თბილისში მანიფესტი გამოაცხადა (1802 წ. 12 აპრილს — ზ. ც.) საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ და როცა მას დედოფლები (დარეჯანი და მარიამი) შეეკითხნენ, თუ რატომ მოხდა სამეფოს გაუქმება, კნორინგმა ყოველივე საიდუმლო მრჩეველს ლაშქაროვსა და გარსევან ჭავჭავაძეს დააბრალა: ამის საწინააღმდეგოდ თვით ლაშქაროვი მოახსენებდა ვიცე-კანცლერს ბ. კურაკინს: „თქვენი ბრწყინვალებისათვის ცნობილია, რომ ეს მდგომარეობა (საქართველოს რუსეთთან შეერთება — ზ. ც.) **გაკეთდა მოსკოვში უოველგვარი წარდგენის გარეშე** (ხაზი ჩემია — ზ. ც.). რამდენადაც მახსოვს ნათქვამი იყო, რომ მოსკოვიდან დაბრუნებისას აქ დამთავრდა საქართველოს საქმეებიო, თვით კნორინგმაც აქედან გამგზავრებისას განმიცხადა, რომ საქართველოს საქმეები დამთავრდება მოსკოვიდან დაბრუნებისასო. არ მესმის საიდან განუცხადა მან ეს დედოფლებს"[575].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კნორინგის ეს განცხადება თბილისში გაკეთდა. სწორედ ამ განცხადების შემდეგ წარმოიქმნა ვერსია გ. ჭავჭავაძის ეგრეთწოდებული „ღალატის" შესახებ. მართლაც შემდგომში გარსევან ჭავჭავაძის განმქიქებელნი და რუსული ორიენტაციის მოძულენი კნორინგისეული რედაქციით იხსენიებენ გ. ჭავჭავაძის „ღალატს".

1839 წ., 1812 წლის დიდი სამამულო ომის გმირის, წარმოშობით ქართველი გენერლის, პ. ბაგრატიონის ნეშთის ბოროდინოს ველზე გადმოსვენების დროს, რუსეთში მცხოვრებმა ბაგრატიონთა გვარის წევრებმა პეტიცია მიართვეს ნიკოლოზ I სათხოვარით, აღედგინა 1783 წლის რუსეთ-საქართველოს შორის დადებული მფარველობითი ტრაქტატი. ამ პეტიციაში გ. ჭავჭავაძის „ღალატი" კნორინგისეული რედაქციითაა მოხსენებული.

---

[574] ვ. დუმბაძე, საქართველო XIX ს. I ნახევარში, ხელნაწერი, 1956, გვ. 73. იქვე დამოწმებულია: Архив Государственного совета, т. III, СПб, 1878, с. 1212—1213; Грамоты и др. документы... под ред. А. Цагарели, т. II, вып. II, с. XXXIX, შენ. 1.

[575] ЦГИАЛ СССР, ф. 1284, оп. 3, 1802 г., д. 12, л. 194—195.

„ჟამთა მათ შინა უმაღლესსა კარსა ზედა დესპანად ჩუ©ნდა იმყოფებოდა საქართუ©ლოს თავადი გარსევან ჭავჭავაძე, და რუსეთის მინისტერიიდან ეკითხებოდა საქართველოს საქმეები ქართუ©ლის თესლსავე ტაინი სოვეტნიკსა ლაშქაროეს“ ... ,[576] რომელსაც შთააგონა გ. ჭავჭავაძემ, რომ ვითომც საქართველოში მეფობის გაუქმება „დიადი შესამატი იყოს რუსეთისა“[577]. ამ საქმის შესრულება მათ საიდუმლოდ განიზრახეს. გ. ჭავჭავაძემ მეფის ძეთა შორის შური ჩამოაგდო, ხოლო ს. ლაშქაროვმა საქმე „მინისტერიაში“ მოაგვარაო[578].

დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა ჯერ კიდევ უცნობი მოქალაქის (ალბათ ვაჭრის) რუსეთიდან გამოგზავნილი (1802 წ.) წერილი სარდალ იოანე ორბელიანისადმი: ეს მოქალაქე ჭორებს ავრცელებდა. აი რას სწერს იგი: სარდლობა შენ ჩამოგართვეს და დიმიტრი ორბელიანს მისცეს, ბატონიშვილებს უკან აღარ უშვებენ, ვინც მანდაა იმათაც აქეთ იწვევენ. ბაგრატიონთა ყველა ნათესავს აქ გადმოსახლებას უპირებენ, ხოლო აქაურ კაზაკებს, დაახლოებით 14000 კომლს, — საქართველოში ჩასახლებას. თუ გსურს გაიგო ეს ვინ გააკეთა, ყველაფერი ეს შენმა გარსევანმა გააკეთა. მას მისცეს გენერლის ჩინი, თქვენ კი დაიღუპეთო[579]. იმდენად უსუსურია ეს წერილი, რომ ამის აქ მოტანა მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება, რამდენად დიდი ფრთები გამოისხა 1802 წ. 12 აპრილს კ. კნორინგის მიერ გამოცხადებულმა ჭორმა გ. ჭავჭავაძისა და ს. ლაშქაროვის „ღალატის“ შესახებ. ხსენებული განცხადება თბილისში მალე გავრცელდა და დავით ბატონიშვილის ყურებამდეც მიაღწია.

სინამდვილეში საქმის ვითარება საწინააღმდეგო იყო. ჯერ კიდევ პეტერბურგიდან ქართლ-კახეთის ელჩი გ. ჭავჭავაძე დავით ბატონიშვილს მეგობრულ რჩევას აძლევდა, რომ იგი არ მოქცეულიყო მხოლოდ თავისი უგუნური სურვილის მიხედვით[580]. ასეთი დარიგებები დავით ბატონიშვილს, ჩანს, არ მოსწონდა.

1798 წ. 13 მაისის ერთ წერილში დავით ბატონიშვილი გ. ჭავჭავაძეს სწერდა: „ეს არ გეგონოს, რომ მე თქვენი წიგნები დამეხსნას. ამისთანა ბრიყვი არა ვარ და გლუპი“ (როგორც ჩანს, ელჩი ეჭვობდა, რომ იგი გ. ჭავჭავაძის წერილებსაც ხსნიდა გზაში — ზ. ც.)[581].

---

576 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H-607, ფურც. 26.

577 იქვე.

578 იქვე.

579 Акты..., т. I, с. 442; Н. Дубровин. История войны..., т. III, с. 511.

580 Акты..., т. II, გვ. 175.

581 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, თბილისი, 1963, გვ. 194.

1803 წ. 16 მაისის წერილში გ. ავალიშვილი თავად პ. ციციანოვს. სწერდა, რომ დავით ბატონიშვილი ცილს გვწამებს მე და ჩემს სიძეს გ. ჭავჭავაძეს იმაში, რომ ვითომც ჩვენი მიზეზით (საქართველოს სამეფოს მოწყობის შესახებ — ზ. ც.) არ შესრულდა 1801 წლის 14 იანვრის ბრძანება პავლე I-ისა და გრაფ როსტოფჩინის ხელმოწერილი. რაც შეეხება ჩემ რჩევას დავით ბატონიშვილისადმი, რომ იგი: „ჩამოშორებოდა ცრუ მასხარებს და წესიერად მოქცეულიყო, დაფუძნებული იყო მათთან ჩემს შეერთებაზე, რომ მისი და, უგანათლებულესი ბატონიშვილი გაიანე, ჩემზე იყო დანიშნულიო"[582].

სამი თვის აქ ყოფნის შემდეგ უკვე შეგიძლიათ გაიგოთ ჩვენი აზნაურების ხასიათი, რომლებიც ძველი დროიდან გაყოფილი არიან პარტიებად იმისათვის, რომ ერთმანეთს ავნონ ცილისწამებით[583]. მე არ მინდოდა ისეთი ცოლისძმა (ე. ი. დავით ბატონიშვილი — ზ. ც), რომელიც კახელებს არ უყვარდათ, ამიტომ ეს საქმე (ბატონიშვილ გაიანესთან ჩემი შეუღლება — ზ. ც.) არ მოხდაო[584].

პ. იოსელიანის ცნობით „გარსევან ჭავჭავაძე, სათნო და საიმედო მეფისა ირაკლისა, იყო ერთგულად მიჩნეული მეფისა გიორგისაგანცა. სძულობდენ მას, მეშურნეობით რავდენნიმე პირნი კარისკაცნი"...[585] პ. იოსელიანი გადმოგვცემს აგრეთვე თავისი საუბრის შინაარსს გ. ჭავჭავაძის ვაჟ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან. „მამასა ჩემსაო, — მეტყოდა ალექსანდრე, — სძაგდნენ მეფისა ძმანიო და თუმცა არ უყვარდა მეფე გიორგი, სუსტად დროთა ამათთვის გასაჭირთა საგონებელი ძმათაგან, გარნა დიდად ესვიდა, ვითარცა კაცსა სვინდისიანსა, ქვეყნისათვის მზრუნველსა და გონიერსა ჰაზრითა და მოქმედებითა"[586]. ამას ადასტურებდა ორმოცამდე წერილი გიორგი მეფისა, გარსევანისადმი მიწერილი, რომლებიც ალექსანდრესთან ინახებოდა. ეს წერილები გაანადგურეს ლეკებმა, წინანდალში დავით ჭავჭავაძის სახლის აოხრების დროს, 1855 წელს[587].

„გარსევან, უმეტეს გამოცდილი საქმეთა შინა, მეტისა მნახავი და უკეთ მზრახველი, იყო მტკიცედ და შეურყეველად თვისსა მოვალეობასა ზედა. ჰაზრი მისი იყო ემსახურნა მამულისათვის ... იცნობდა მეფის ძმათა და შვილთა: ოდესმე ასმენდა მათ და ამხილებდა. თვით დედოფალსა დარეჯანსა, მწყალობელსა თვისსა, მოსწერა წერილი მკვა-

---

582 Акты..., т. II, გვ. 175.
583 იქვე.
584 იქვე.
585 პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 150.
586 იქვე.
587 იქვე.

ხე სადამე შფოთთათვის დაუცხრომელსა და დიდად არა მოეწონა არცა ანდერძი მეფის ირაკლისა, არცა მეცადინება თვით დედოფლისა, რათა აღვიდეს ტახტსა და მეფობდეს მაგალითისამებრ ეკატერინასსა"[588]. ამიტომ იყო, რომ „მხლებელნი დედოფლისა ეცინოდნენ გარსევანს, ჰყვედრიდნენ მას და ოდესმე ურიგოდცა მოიხსენებდენ"[589].

თავისთავად ცხადია, საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ გარსევანის მოწინააღმდეგეებსა და მოშურნეებს ფართო ასპარეზი მიეცათ მისი განქიქებისათვის.

1803 წლის 21 მაისით დათარიღებულ წერილში გ. ჭავჭავაძე საქართველოს მთავარმმართველს პ. ციციანოვს სწერდა, რომ პ. კოვალენსკიმ, რომელმაც თქვენ ჩემი პეტერბურგიდან დავით ბატონიშვილისადმი გამოგზავნილი წერილი წარმოგიდგინათ და ეჭვები აქვს ჩემზე ვითომც მე ვამხედრებდი ხალხს საქართველოში, პეტერბურგში ჯერ კიდევ ჩემი ყოფნის დროს, სინამდვილეს არ შეეფერებაო. დავით ბატონიშვილისადმი პეტერბურგიდან ჩემი გამოგზავნილი წერილი იყო: „გულწრფელი, უვნებელი და ერთადერთი მეგობრული რჩევა. გარდა ამისა, თუ რამე იქნებოდა საეჭვო, მაშინაც არავის შეეძლო ბრალი დაედო, რადგან მე ვიყავი ელჩი და ჩემი მოვალეობა მოითხოვდა, რომ ჩემს მიერ ნაკისრ საქმეებზე მელაპარაკა დაუფარავად და ყოველგვარი შიშის გარეშე"[590]. რადგან მე, — დასძენდა გარსევანი, — მაქვს ნამუსი სუფთა, ამ ცილისწამებაზე მშვიდად ვიქნებიო, რადგან თუ ყველამ თავისი სურვილის მიხედვით გაიგო წერილის აზრი, მაშინ შეიძლება ისე მოხდეს... რადგან „მსგავს კადნიერებას იყენებდნენ ერეტიკოსები საღვთო წერილში, თითოეული თავის ნებაზეო"[591].

შემდეგში, 1805 წ. 28 თებერვლის პ. ციციანოვის უქვეშევრდლომლეს მოხსენებაში, როცა უკვე გადაწყვეტილი იყო გ. ჭავჭავაძის საქართველოდან გადასახლება, იგი ამ პუნქტში მაინც იძულებული იყო გაემართლებინა ყოფილი ქართველი ელჩი (რადგან ელჩის მოვალეობა გ. ჭავჭავაძეს აკისრებდა ყველაფერი ზუსტად ეცნობებინა ქართველი პოლიტიკოსებისათვისო)[592].

როგორც ცნობილია, 1803 წ. დავით ბატონიშვილმა წერილი მიართვა რუსეთში მცხოვრებ ნათესავს, თავად ბაგრატიონს (ამ უკანასკნელმა დავით ბატონიშვილის წერილის შინაარსი შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ კოჩუბეის აცნობა). წერილში ჩამოთვლილი

---

588 იქვე, გვ. 151—152.
589 იქვე, გვ. 152.
590 Акты..., т. II, გვ. 175.
591 იქვე, გვ. 175—176.
592 იქვე, გვ. 178.

იყო ქართველ თავადთა გვარები (სულ 20 კაცი), რომლებიც ვითომც აღაშფოთებდნენ ქართველ ხალხს და თესავდნენ საწამლავს მათში. ყველაზე მეტი დანაშაული ამ საქმეში ვითომც გ. ჭავჭავაძეს ჰქონდა ჩადენილი. პ. ციციანოვს მოჰყავს ამონაწერები ამ წერილიდან. აი რას წერდა დავით ბატონიშვილი გ. ჭავჭავაძეზე: „რომ ის (გარსევანი — ზ. ც.), იმყოფებოდა რა რუსეთში, წერდა წერილებს ხალხს, მას, ბატონიშვილ დავითსა და ბატონიშვილ ვახტანგს, სურდა, რომ ისინი წინააღდგომოდნენ მ. ი. უ. ნებას"[593]. ერთი ასეთი წერილი დავითს გენერალ ლაზარევისათვის გადაუცია, ხოლო ორი სხვა — პ. კოვალენსკისათვის: როცა გ. ჭავჭავაძე საქართველოში ჩამოვიდა, მან აამხედრა კახელი თავადები რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ კოვალენსკიმ სათანადო ზომები მიიღო და დააპატიმრა ისინი, ხოლო გ. ჭავჭავაძეს გაფრთხილება მისცა. ამიტომ საჭიროაო, წერდა დავით ბატონიშვილი, რათამცა მომავალში არ იყოს მღელვარება, მისი (გარსევანის — ზ. ც.) რუსეთში გამოძახებაო[594].

დ. ბატონიშვილი ამართლებს პ. კოვალენსკის, რომლის შესახებ 1803 წ. 27 თებერვლის მოხსენებაში პ. ციციანოვი გრაფ კოჩუბეის სწერდა: „ერთი სიტყვით, კოვალენსკის სახლი იყო მთავრობის უზენაესი ადგილი, საიდანაც იგზავნებოდა ბრძანებები გამოძიების, დაჭერისა და კონფისკაციების შესახებ"[595]. კახეთის თავადების დაპატიმრების საქმე და გ. ჭავჭავაძის ღირსების შეურაცხყოფა ამის უდავო დადასტურებაა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პ. კოვალენსკის გ. ჭავჭავაძესთან ძველი მტრობა ჰქონდა. როცა პ. კოვალენსკი მინისტრი იყო, გიორგი XII-თან აუდიენციის დროს იგი უსირცხვილოდ მოიქცა, შებღალა მეფე გიორგისა და ქართველი ხალხის თავმოყვარეობა. ეს ვერ მოითმინა ამავე აუდიენციაზე დამსწრე ქართლ-კახეთის სრულუფლებიანმა ელჩმა გ. ჭავჭავაძემ და აუდიენციის დამთავრების შემდეგ შეეკამათა პ. კოვალენსკის. ამის შემდეგ თავს არ ანებებდნენ ერთმანეთისათვის სხვადასხვა საშუალებით ვნების მიყენებას[596]. პ. კოვალენსკი განსაკუთრებით გააქტიურდა, როცა საქართველოს მმართველი გახდა. იგი ყოველივე ღონეს ხმარობდა გ. ჭავჭავაძის დამცირებისა და სახელის გატეხისათვის.

ლაშქაროვის ზემოთ ხსენებულ წერილს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ელჩის უდანაშაულობის დასამტკიცებლადაც[597]. ლაშქაროვი

---

593 Акты..., т. II, გვ. 177.
594 იქვე, გვ. 177.
595 იქვე, გვ. 25.
596 იქვე.
597 ს. ლაშქაროვის მოღვაწეობის შესახებ, იხ. «Русский Архив», Москва, 1884, кн. II, с. 5—17.

რუსი დიპლომატია ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, მიუხედავად მისი ქართველური წარმოშობისა. ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს მისი მოსაზრება, კურაკინს რომ წარუდგინა. აკრიტიკებდა რა გენერალ კ. კნორინგს მანიფესტის გამოცხადების დღეს უტაქტო მოქმედების გამო, იგი ამბობდა, რომ კნორინგი ისე უნდა მოქცეულიყო თბილისში მანიფესტის გამოცხადების დღეს, როგორც მე ყირიმელი თათრები დავაფიცეო. ვნახოთ რას სთავაზობდა იგი კურაკინს: «И не следовало б им окружать церков войсками, а надлежало б поставить оное в некоторой отдалености: к присяге отдать честь точно так, как в бытность мою в Криму министром я приводил к такой же присяге татар»[598].

გარსევან ჭავჭავაძე ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა იმ პარტიას ეკუთვნოდა, რომელიც კარგად ხედავდა თავისი სამშობლოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაუძლურებას, ამიტომ რუსეთთან დაკავშირების მტკიცე და თანმიმდევრული მომხრე იყო. იგი თავგამოდებით იცავდა საქართველოს საშინაო დამოუკიდებლობას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

გ. ჭავჭავაძის პოლიტიკური მრწამსის დასახასიათებლად მეტად საინტერესოა ის წერილი, რომელიც მან ს. ლაშქაროვს წარუდგინა, ხოლო ამ უკანასკნელმა — საგარეო საქმეთა მინისტრს კურაკინს. ამ წერილში გ. ჭავჭავაძე აღშფოთებულია კნორინგის მოქმედებით. აღწერილი აქვს, როგორც მოიქცა იგი მანიფესტის გამოცხადების დროს. „და როგორც შეიყარნენ დანიშნულს ადგილს, მაშინვე შემოეხვია მათ მხედრობა ყოვლისა რუსეთისა შეიარაღებული, როგორც საშტურმოდ"[599]. კნორინგმა მაჩაბელი და ამირეჯიბი, აგრეთვე კახეთის თავადები დაიჭირა და გუშაგის ზედამხედველობის ქვეშ ჰყავსო. ასეთ საქციელს გარსევანი ძალადობასა და „უპატიოსნებას" უწოდებდა და დასძენდა, რომ „ამათის ამგვარ ყიზილბაშურ ქცევას კი ვერ მოვითმენთ", ამას მწერენ მე საქართველოდან და ჩემს პასუხს ელოდებიანო[600].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოს ელჩების (გ. ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი, ელიაზარ ფალავანდიშვილი)1801 წ. აპრილის თვეში წარდგენილი ნოტა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, რომელიც 20 პუნქტს შეიცავს.

„დავითის ელჩებმა, — წერს პროფ. მ. დუმბაძე, — 1801 წ. აპრილ-

---

[598] ЦГИАЛ СССР, ф. 1284, оп. 3; 1802 г., д. 12, л. 194—195.

[599] იქვე, ფურც. 196.

[600] იქვე.

ში რუსეთის მთავრობას წარუდგინეს ნოტა, რომლითაც ითხოვდნენ პავლე იმპერატორის დროს მომხდარი აქტების ახალი მეფის მიერ დამტკიცებას. ნოტა იცავდა ქართლ-კახეთის სამეფოს შეზღუდულ ავტონომიურ უფლებებს. ელჩები მოითხოვდნენ საქართველოს მეფის ხელისუფლების შენარჩუნებას რუსეთის მეფისნაცვლის უფლებებით. საქვეყნო მართვა-გამგეობაში ქართველ მოხელეებს უნდა დაკისრებოდათ ხელმძღვანელი როლი, მათ თანაშემწეებად და მრჩევლად კი ვარაუდობდნენ რუს მოხელეებს. ნოტა აყენებდა ქვეყნის თითქმის განახლებული მმართველობის პროექტს, რომელიც აქ მეფის რუსეთისა და ქართლ-კახეთის ფეოდალური საზოგადოების ინტერესებს უნდა შეხამებოდა... ერთი სიტყვით, ის, რასაც ადგილობრივი მეფის სუსტი ხელისუფლება ვერ ახორციელებდა, უნდა განეხორციელებინა რუსთა რაზმებით საფუძველ განმტკიცებულსა და განახლებულ ქართულ მმართველობას. ამ მოთხოვნებს ძირითადად იზიარებდა ქართველ ფეოდალთა პროგრესული ნაწილი, რომელიც მაშინ 1783 წლის ტრაქტატის პრინციპებს იცავდა და რუსეთთან შეერთებას ავტონომიის საფუძველზე უპერდა მხარს«[601].

1802 წ. 24 ოქტომბერს[602] გ. ჭავჭავაძე თბილისში ჩამოვიდა. თბილისში ჩამოსვლამდე ყაზბეგში მას შეეგებნენ ყაზახების თითქმის მთელი აღალარები, 200-მდე კაცი[603] (ბუტკოვის ცნობით 300 კაცი).

ალექსანდრე ჭავჭავაძემ, გ. ჭავჭავაძის შვილმა, გენერალ ლაზარევს სთხოვა ნებართვა იმის შესახებ, რომ ყაზახის აღალარები შეხვედროდნენ თავის მოურავს ყაზბეგში. ლაზარევმა ურჩია ამ საკითხზე პ. კოვალენსკის მიმართეო. პ. კოვალენსკი ამაზე დათანხმდა, მაგრამ შემდეგში აღალარებთან მან გაგზავნა თავისი მოხელე მერაბოვი, რომ ისინი არ შეხვედროდნენ გ. ჭავჭავაძეს. ალექსანდრე ჭავჭავაძე იძულებული გახდა მეორედ მიემართა პ. კოვალენსკისათვის და საბოლოოდ დაეთანხმებინა იგი ასეთი შეხვედრის საჭიროებაზე. ასეთი შეხვედრა ჩვეულებრივი მოვლენა იყო მაშინ, ეს იყო უბრალო ჩვეულება, ხალხის საყვარელი ადამიანისადმი თავისი პატივისცემის გამოსახვისა[604].

თბილისში გ. ჭავჭავაძის ჩამოსვლისთანავე პ. კოვალენსკიმ მას მოსთხოვა წერილობითი ახსნა-განმარტება და იგი ხელახლა დააფიცა რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. თავადი ჭავჭავაძე, რომელ-

---

601 მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. I ნახევარში, თბილისი, 1958, გვ. 42—43.

602 საქ. ცსსა, ფ. 1448, ანაწერი I, საქმე 9272.

603 Н. Дубровин, История войны..., т. III, с. 529.

604 იქვე.

მაც უკვე დაიფიცა პეტერბურგში, მივიდა ექსპედიციაში და ხელმეორედ დააფიცეს[605] (გ. ჭავჭავაძე მესამედაც დააფიცეს რუსეთის ერთგულებაზე, როცა მას კოვალენსკის მიერ ჩამორთმეული ყაზახის მოურავობა კვლავ დაუმტკიცეს)[606]. გ. ჭავჭავაძემ მადლობა გადაუხადა პ. კოვალენსკის, რომ მოაგონა მას თავისი პირდაპირი მოვალეობა, რომელიც აქამდე არ იცოდა, თან ღვარძლიანად დასცინა პ. კოვალენსკის ამის გამო. ამასთანავე განუცხადა მას, რომ მისი უღირსი საქციელის შესახებ ყველაფერს მიწერენ ჩემი თანამემამულეები იმპერატორ ალექსანდრე I-სო. ჯერ კიდევ 1802 წ. ივლისში, ხოლო შემდეგ 1803 წ. 23 თებერვალს თვით გ. ჭავჭავაძემ[607] და კახეთის თავადაზნაურობამაც (1802 წლის ივლისში)[608] პ. კოვალენსკის აუტანელი საქმიანობის შესახებ ყოველივე დაწვრილებით აცნობეს რუსეთის ხელმწიფეს.

გ. ჭავჭავაძის ჩამოსვლას დაემთხვა ხალხის მღელვარება კახეთის ზოგიერთ კუთხეში, რაც გამოწვეული იყო რუსული მმართველობის დამყარებით. საქართველოს მმართველმა პ. კოვალენსკიმ მომხდარი არეულობა დააბრალა გ. ჭავჭავაძეს, რომელიც, მისი აზრით, ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს აღელვებდა ქართველებს[609].

1802 წ. 1 ნოემბრის წერილით კ. სოკოლოვი თბილისიდან გრაფ ვორონცოვს აცნობებდა, რომ ოქტომბრის ბოლოს აქ ჩამოვიდა ქართლ-კახეთის ყოფილი ელჩი რუსეთში გ. ჭავჭავაძე, რომელსაც დიდი გავლენა აქვს აქაურ ხალხში. მან ჩემთან გამოგზავნა თავისი შვილი ალექსანდრე და მოითხოვა შეხვედრა. მასთან შეხვედრაში გამოირკვა, რომ იგი ბევრს ფიქრობდა და მწუხარებით ამბობდა: „თუნცა ვიმედოვნებდი სახლში მოსვლას და სიმშვიდით დატკბობას, მაგრამ ამაში შევცდიო"[610]. მისი თანამემამულეების კეთილდღეობას არ შეიძლება ჰქონდეს მყარი საფუძველი, — ამბობდა გ. ჭავჭავაძე, — რადგან ისინი უკმაყოფილონი არიან საქართველოს ახლანდელი მთავრობისა. ხალხს სურს მთავრობის შეცვლა, რომელიც მეტისმეტად დამძიმდა, ხალხი ვერ შეეგუა სასამართლო საქმეს; ახალ მმართველობას თან ახლავს უდიდესი ბოროტება რუს ჩინოვნიკთა მხრივ. 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ მდგომარეობა არ შეცვლილა, ამიტომ ხალხი მერყეობსო. ხალხის ერთი ნაწილი რუსეთის მფარველობაში ხედავს გამოსავალს; მეორე ნაწილს მეფის არჩევა

---

605 იქვე.

606 საქ. ცსსა, ფ. 26, აღწ. I, საქმე 147, ფურც. 8—9.

607 ЦГИАЛ СССР, ф. 1284, оп. 3, 1802, д. 12, л. 270.

608 Акты..., т. II, გვ. 387.

609 იქვე, გვ. 381—384.

610 იქვე, ტ. II, გვ. 10.

სურს, ხოლო მესამენი მზად არიან ან იქით დაიჭირონ მხარე, ან აქეთ, საიდანაც უფრო მეტი სარგებლობა იქნებაო.

სოკოლოვის თხოვნაზე, რომ იგი მოელაპარაკოს თავად-აზნაურობას და დაელოდოს პ. ციციანოვის ჩამოსვლას საქართველოში, გ. ჭავჭავაძეს უპასუხია: ხალხს იმის უფლებაც კი არა აქვს, რომ ხელმწიფისაგან დაცვა ითხოვოს. მაგალითად, როცა ხალხმა დეპუტატები გაგზავნა იმპერატორთან, კ. კნორინგმა მათ ჩამოართვა ქაღალდები და დაჰპირდა შუამდგომლობას იმპერატორთან, სინამდვილეში კი ქაღალდები მან დაიტოვა, ხოლო შემდეგ დაცინვით გამოუცხადა დეპუტატებს, რომ მათი წერილები მასთან ინახებოდა[611]. გარსევანმა ისიც აცნობა სოკოლოვს, რომ ხმები დადის, ვითომც თავად-აზნაურობას რუსეთში ასახლებენ, მოურაობა და სხვა თანამდებობანი ისპობა; ხალხმა არც ის იცის, რა უფლებით სარგებლობდნენ ისინი.

თუ რაიმე მოხდა, — განუცხადებია გ. ჭავჭავაძეს სოკოლოვისათვის, — მე მხოლოდ ჩემი თავის პასუხისმგებელი ვიქნები რუსეთის ერთგულებაზე, „ხოლო აღელვებული საზოგადოებისათვის პასუხს ვერ ვაგებო“[612].

საინტერესო ცნობას შეიცავს გენერალ ლაზარევის 1803 წლის 15 იანვრით დათარიღებული წერილი პ. ციციანოვისადმი[613]. გენერალი ლაზარევი აცნობებდა ახლად დანიშნულ საქართველოს მთავარმართებელს პ. ციციანოვს, რომ მას საუბარი ჰქონდა გ. ჭავჭავაძესთან, რომელსაც მისთვის განუცხადებია შემდეგი: ხალხი გმინავდა ბაგრატიონების უღელქვეშ, ამიტომ მფარველობისათვის მიმართეს ხელმწიფეიმპერატორს, იმედი ჰქონდათ, რომ მოაცილებდნენ ამ უღელს, მაგრამ ახლა უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ამჟამად ხალხის სურვილია თხოვონ ხელმწიფეს საქართველოს სამეფოს აღდგენა. მას განუცხადებია, რომ ის დიდი ხანი იყო რუსეთში და იცის ყველაფერი, მაგრამ ხალხი ამ მძიმე მდგომარეობას ვერ მოითმენს. უკმაყოფილებას მეფის მრავალრიცხოვანი ოჯახი უფრო ბერავდა. საჭიროა დარეჯან დედოფალთან ერთად ყველა რუსეთში გაიგზავნოს, მხოლოდ ერთ-ერთი დატოვეთ მმართველად, ყველა თავადის აზრია, რომ — ასკვნიდა გენერალი ლაზარევი გარსევანთან საუბრის შემდეგ, — ძველებურად აღდგეს მეფობა და სამეფო[614] (ე. ი. გ. ჭავჭავაძე ქართლ-კახეთის საეფოს გაუქმების შემდეგაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თავდადებული მომხრეა, შეკვეცილი ავტონომიის ფარგლებში).

---

[611] Акты..., т. II, გვ. 11.
[612] იქვე.
[613] Акты..., т. II, გვ. 302—303.
[614] იქვე, გვ. 303.

დასასრულ, გენერალი ლაზარევი აუწყებდა საქართველოს მთავარმართებელს თავად პ. ციციანოვს, რომ დროულად ჩამოდი თბილისში, საშიშროებაო[615].

როგორც ცნობილია, 1802 წლის 8 სექტემბრის[616] უმაღლესი რესკრიპტით საქართველოს მთავარმართლებად პ. ციციანოვი დაინიშნა, ხოლო კ. კნორინგი და პ. კოვალენსკი რუსეთში გაიწვიეს (პ. ციციანოვი თბილისში მხოლოდ 1803 წლის თებერვალში ჩამოვიდა — ზ. ც.).

ამავე რესკრიპტში იმპერატორი ალექსანდრე I გენერალ პ. ციციანოვს უბრძანებდა, რომ „შენ შეგხვდება აგრეთვე საჩივრები თავად გარსევან ჭავჭავაძისა, რომლის წინაპრებსაც ჰქონდათ მემკვიდრეობითი მმართველობა ყაზახის მომთაბარე ხალხისა. თუ ნახავ, რომ მას (გარსევანს — ზ. ც.) ეს უფლება ნამდვილად აქვს, ნუ წაართმევ ამ უფლებას“[617].

საქართველოში ჩამოსვლისთანავე პ. ციციანოვმა გამოიძია პ. კოვალენსკის მიერ გ. ჭავჭავაძისადმი წარდგენილი ბრალდებები და სრულიად გაამართლა იგი. მანვე გამოძიება დანიშნა საქართველოს ყოფილი მმართველის, ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის პ. კოვალენსკის ბოროტმოქმედებაზე. პ. კოვალენსკისადმი წარდგენილი ბრალდებები 4 ნაწილად იყოფოდა[618].

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა პ. ციციანოვის პირით ბოდიში მოუხადა გ. ჭავჭავაძეს იმ შეურაცხყოფისათვის, რაც მას პ. კოვალენსკიმ მიაყენა: „თავად გ. ჭავჭავაძეს გამოუცხადეთ ჩემი სინანული მისთვის მიყენებული შეურაცხყოფისათვის და დაარწმუნეთ, რომ მის ერთგულებაში არასოდეს ეჭვი არ მქონია“[619].

1803 წლის 17 თებერვალს ქიზიყის მოურავი იოსებ ანდრონიკაშვილი ქალაქიდან 40 თავადით და სხვა ხალხით ალექსანდრე ბატონიშვილთან წავიდა. საქართველოს მთავარმართებელმა პ. ციციანოვმა 21 თებერვლის მოწერილობით სთხოვა გ. ჭავჭავაძეს დაებრუნებინა ეს ხალხი კახეთში, გამოეყენებინა რა ამისათვის თავისი ავტორიტეტი და დაემშვიდებია აღელვებული ხალხი. ამ დავალების შესრულება მან შეძლო[620].

14 ივნისს გ. ჭავჭავაძე დაამტკიცეს საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლად. იგი ამიერიდან ყველაფერში უნდა

---

[615] Акты..., т. II, გვ. 303.
[616] იქვე, გვ. 3—4.
[617] იქვე, გვ. 4.
[618] ЦГИАЛ СССР, ф. 1284, оп. 3, 1802, д 11—12, л. 45—364.
[619] Акты..., т. II, გვ. 29.
[620] იქვე, გვ. 303—304; Н. Дубровин, История войны..., т. IV, с. 61.

დახმარებოდა მეფის მთავრობას საქართველოში რუსეთის მმართველობის განმტკიცებისათვის. მიუხედავად ამისა, 1802 წ. ნოემბრიდან საქართველოში მყოფი გ. ჭავჭავაძე რუსეთის მმართველობის ფარული ზედამხედველობის ქვეშაა, რადგან ეშინოდათ მისი გავლენისა და ავტორიტეტისა ხალხში.

საქართველოდან 1803 წლის 19 მაისს პ. ციციანოვის მიერ იძულებით გაგდებულმა ყოფილმა საქართველოს მმართებელმა პ. კოვალენსკიმ გ. ჭავჭავაძის თავადაზნაურთა წინამძღვრად დანიშვნის ამბავი გეორგიევსკში გაიგო. მან კვლავ განაცხადა, რომ თავადი ჭავჭავაძე საქართველოში მოქმედებდა ხალხის ასაღელვებლად და ძლიერი გავლენა ჰქონდა აჯანყებაზე[621]. მან აგრეთვე აღნიშნა, არ შემიძლია გავჩუმდე, «что настоящий выбор сего князя в маршалы грузинского, — что относятся единственно властному влиянию господина главноуправляющего, есть одним из предметов способствования ему, мнимым сим доверием общества себя оправдат»[622]. ასე მტრობდა პ. კოვალენსკი გ. ჭავჭავაძეს საქართველოდან გაგდების შემდეგაც კი.

§ 7. გ. ჭავჭავაძის გადასახლება რუსეთში 1805 წ. და მისი შემდგომი მოღვაწეობა

1804 წ. როცა მთიულეთის აჯანყებამ იფეთქა, ხოლო ციციანოვს ალყა ჰქონდა შემორტყმული ერევნისათვის, გ. ჭავჭავაძე ყაზახში იმყოფებოდა. მას ევალებოდა სურსათით მოემარაგებინა ერევნის ფრონტის ჯარები. ამ დავალების შესრულება შეფერხდა, რის გამოც ციციანოვმა ეჭვი შეიტანა რუსეთის ტახტისადმი მის ერთგულებაში. გენერალი მას ტამბოვში გადასახლებითაც კი დაემუქრა[623].

14 სექტემბერს გ. ჭავჭავაძის 18 წლის ვაჟი, მომავალი ქართველი პოეტი ალექსანდრე, აჯანყებულ მთიულებთან გაიქცა და შეუერთდა ბატონიშვილ ფარნაოზს. ამ ამბავმა კიდევ უფრო გააუარესა გარსევანის მდგომარეობა. იგი ამ დროს თბილისშია თავად ვოლკონსკისთან და ერთგულად ემსახურება რუსებს, მაგრამ ციციანოვი უკვე ალარ ენდობა მას, იგი გამოთქვამს საყვედურს, რომ გ. ჭავჭავაძეს ალექსანდრე ბატონიშვილთან ფარული ურთიერთობა აქვს. ყოველივე ამის დამტკიცება ციციანოვმა ვერ შესძლო.

ჩვენი აზრით, მცდარია ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიის მკვლევართა თვალსაზრისი (ი. გრიშაშვილი, ლ. ასათიანი და სხვ.),

---

[621] ЦГИАЛ СССР, ф. 1284, оп. 3, 1802, д. 11—12, л. 404—405.

[622] იქვე, ფურც. 406.

[623] Акты..., т. II, გვ. 463.

რომლებიც აცხადებენ: გ. ჭავჭავაძე თავის შვილს ალექსანდრეს, თავისივე ნებით გაჰყვა ტამბოვში, სადაც იგი გადაასახლეს მთიულეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვისო. სინამდვილეში გ. ჭავჭავაძე შვილს ნებით კი არ გაჰყოლია, არამედ „გააყოლეს" ტამბოვში. ამის დამამტკიცებელ საბუთებს, სხვა რომ არა იყოს რა, „აქტებიც" საკმარისად იძლევა. რუსეთის ცარიზმმა აიძულა იგი ეთხოვა რუსეთში გადასახლება.

1805 წ. 28 თებერვლის მიმართვაში პ. ციციანოვი გრაფ კოჩუბეის სწერდა, რომ მან შესანიშნავი ხერხი მოიგონა გ. ჭავჭავაძის საქართველოდან გადასასახლებლად: ჩემი აზრით, მის აქედან გადასასახლებლად თქვენ უნდა გამოიძახოთ ის რაიმე დამაჯერებელი აზრით და პირადად აღუთქვათ სოფლების გაცვლის შესახებ[624]. რადგან გ. ჭავჭავაძის შვილი ალექსანდრე ბატონიშვილ ფარნაოზთან ერთად მთიულეთის აჯანყებაში მონაწილეობდა და დამნაშავეა, ამიტომ კარგი იქნებათუ ასეთი შინაარსის ბრძანებას მომწერთო: „თითქოს მამის წერილზე დაფუძნებით, რომელიც მე მომერთვა, სადაც ის თხოულობს შუამდგომლობას მისი შვილის შესაწყალებლად, მ. ი. უ., შეიწყალა რამამის თხოვნა და არასრულწლოვანი შვილის პატივისცემით და მისი ბედის შესამსუბუქებლად, მიუთითებს შვილის სასწრაფოდ გაგზავნას რუსეთში"[625]. თუ ეს ბრძანება მე მომივა აპრილში, — სწერდა პ. ციციანოვი გრაფ კოჩუბეის, — მაშინ მე მამას და შვილს (გ. და ა. ჭავჭავაძეებს) ერთად გავამგზავრებ რუსეთშიო. პ. ციციანოვის ამ მზაკვრულმა ხერხმა გაჭრა და მართლაც გრაფ კოჩუბეის მიმართვაში პ. ციციანოვისადმი, 1805 წ. 23 აპრილს აღნიშნულია: თავადი გარსევან ჭავჭავაძე კი გამოძახებულ იქნეს აქეთ (რუსეთში — ზ. ც.). გამოიყენეთ ის საშუალება, რომლის გამოყენებასაც თქვენ ინებებთ, მის სოფლებზე მომიზეზებით, პირადად მასთან ასახსნელად[626]. ან კიდევ — რაც შეეხება თავად ჭავჭავაძეს, რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ინტრიგების შესამცირებლად ის თავის შვილთან ერთად გაეგზავროს, რომლის ტამბოვში გაგზავნისათვის, როგორც თ. ბ. წარმოგზავნილი ბრძანებულებით ინებებთ, საჭიროა მონარქის ნების დართვა[627]. მთავარმართებელი ციციანოვი მოახსენებდა გრაფ კოჩუბეის: „წინა მოხსენების დასამტკიცებლად მოგახსენებთ თ. ბ., რომ მისი (გ. ჭავჭავაძის — ზ. ც.) აქედან გადასახლება აუცილებელია სიწყნარისათვის, და, მით უმეტეს, რომ მასზე დიდია ეჭვები საზღვარგარეთ მყოფ

---

[624] Акты..., т. II, с. 1060.
[625] იქვე.
[626] Акты..., т. II, გვ. 1028.
[627] იქვე.

ბატონიშვილებთან ურთიერთობისა, თუმცა, მიუხედავად ჩემი უმკაცრესი ძიებისა, მისი მხილება ვერ შევძელი"[628]. ციციანოვს სურს შვილს „გააყოლოს" გ. ჭავჭავაძე და ამით დიდი ტვირთი მოიცილოს. „მაისის პირველ რიცხვებში შვილი (ე. ი. ალექსანდრე — ზ. ც.) გაიგზავნება, მასთან ერთად გაემგზავრება მამაც, როგორც ვიმედოვნებ, და მე დიდი ტვირთისაგან გავთავისუფლდები"[629].

1805 წ. 28 თებერვალს პ. ციციანოვი იმპერატორ ალექსანდრე პირველს გარსევანის შესახებ სწერდა: „თუმცა მასზე დიდი ეჭვები გვაქვს, მაგრამ მიუხედავად უმკაცრესი გამოკვლევებისა და ძიებისა ვერ შევძელით მხილება. მისი აქ მუდმივად ყოფნა, სანამ ობივატელებში არ განმტკიცდება ერთგულება, შეუთავსებლად შეიძლება ჩაითვალოს. რაკი მან ითხოვა სოფლების შეცვლა და ნებართვა რუსეთში საცხოვრებლად წამოსასვლელად, ამ შემთხვევას ვთვლი ფრიად სასიამოვნოდ მისი აქედან მოსაშორებლად"[630] (ხაზი ჩემია — ზ. ც.), მაგრამ თუ როგორი იყო „თხოვნა" და „სურვილი" რუსეთში სამუდამოდ ცხოვრებისა, ამას ააშკარავებს მთავარმართებელ გუდოვიჩისადმი გარსევან ჭავჭავაძის პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილი 1806 წ. 9 ნოემბერს: „როგორი ძნელიც არ უნდა იყოს თითოეულისათვის სამშობლოს დატოვება, მაგრამ წინადადებაზე რომელიც მომცა პ. ციციანოვმა საქართველოდან გადასასახლებლად, გადავწყვიტე დათანხმება (ხაზი ჩემია — ზ.ც.). იძულებული ვიყავი რა იმდროინდელი მდგომარეობით. ჩამოვედი რა სანკტ-პეტერბურგში, შინაგან საქმეთა მინისტრს, გრაფ ვიქტორ პავლეს ძე კოჩუბეის წარვუდგინე ჩემი საქმეები, რომლებიც გადმოგეგზავნათ თქვენ"[631].

ალექსანდრე ჭავჭავაძის ტამბოვში გაგზავნა მხოლოდ 1805 წ. ნოემბერში მოხერხდა. მას თან გააყოლეს გ. ჭავჭავაძეც. თბილისში ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია საქმე გარსევან ჭავჭავაძის რუსეთში გადასახლების შესახებ[632].

ეს იყო გარსევანის მეხუთე და უკანასკნელი, სამწუხაროდ, იძულებით „გამგზავრება" რუსეთში (1805 წ. ნოემბერი), საიდანაც იგი

---

[628] იქვე, გვ. 1059—1060.
[629] იქვე, გვ. 1060.
[630] იქვე, გვ. 178.
[631] ს. მაღლაკელიძე, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 177; შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 92.
[632] საქ. ცსსა, ფ. 2, საქმე 91 (Дело о переселении Г. Чавчавадзе в Россию, л. 1—49).

ცოცხალი. აღარ დაბრუნებულა. გარსევან ჭავჭავაძე რუსეთში გადასახლების დროსაც საკმაოდ პატივისცემაში იმყოფებოდა.

როდის გაანთავისუფლეს გ. ჭავჭავაძის ვაჟი — ალექსანდრე ტამბოვის გადასახლებიდან, ამის დადგენა ძნელდება, მაგრამ 1806 წ. ნოემბერში იგი უკვე განთავისუფლებული ჩანს[633]. ამავე წლის ნოემბერში გ. ჭავჭავაძეც პეტერბურგშია, ხოლო 22 ნოემბერს უკვე თხოვნას აძლევს ალექსი ბორისის ძე კურაკინს მისი ცოლის ძმის — გ. ავალიშვილის სამსახურში მოწყობის გამო[634]. გ. ჭავჭავაძეს თხოვნა შეუსრულეს და გ. ავალიშვილი მოაწყვეს ეგემმეისტერად მოსკოვში. ამის შემდეგაც გ. ჭავჭავაძე კვლავ პეტერბურგშია და, ალბათ, შვილის აღზრდას ადევნებს თვალყურს.

1811 წ. 7 აპრილს, საღამოს 4 საათსა და 30 წუთზე, 54 წლის ასაკში, პეტერბურგში, დალია ამ ადამიანმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დღენი[635]. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

გ. ჭავჭავაძე რთული პიროვნება იყო, ისეთივე რთული და მშფოთვარე, როგორც ის ეპოქა, რომელშიაც მას უხდებოდა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა.

---

[633] ა. კენჭოშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, თბილისი, 1953, გვ. 7.

[634] ЦИАЛ СССР, ф. 1284, оп. 3, 1806 г., д. 46, л. 46.

[635] მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, მ. ჯანაშვილის გამოცემა, თბილისი, 1905, გვ. 97; ბაგრატ ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112, შენიშვნა; მ. ბროსე, დასახ. ნაშრ., გვ. 494—495; ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, თბილისი, 1940, გვ. XV.

დასკვნა

1. გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე, ქართლ-კახეთის სახელმწიფოს უკანასკნელი პერიოდის გამოჩენილი მოღვაწე, მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი, დიდმოხელე და ერეკლე მეორესთან დაახლოებული პიროვნება იყო.

2. გ. ჭავჭავაძე ეკუთვნოდა იმ პროგრესულ დასს, რომელიც ერეკლეს თაოსნობით იბრძოდა თავადური საქართველოს ჩიხიდან გამოსაყვანად. ამ დასს შეგნებული ჰქონდა, რომ საშინაო სიძნელეების გადალახვა და საგარეო მტრების მოგერიება პატარა და სუსტ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს საკუთარი ძალებით არ შეეძლო. ამიტომაც იგი საჭიროდ თვლიდა, რომ საგარეო დამხმარე ძალა მოეწვია, მიეღო უცხო ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური დახმარება ქართლ-კახეთის წინაშე მდგარ პრობლემათა გადასაწყვეტად.

გ. ჭავჭავაძე, ისევე როგორც ერეკლე მეორე, სწორად აფასებდა მეთვრამეტე საუკუნის II ნახევარში შექმნილ საგარეო-პოლიტიკურ სიტუაციას, ამიერკავკასიის გარშემო მებრძოლ სახელმწიფოთა როლსა და მნიშვნელობას საქართველოს მომავალი განვითარებისათვის. მას სწამდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფო, რომელიც თავისი სოციალ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი წყობილებით გაცილებით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ოსმალეთი და ირანი, ქართლ-კახეთის გაძლიერებას შეუწყობდა ხელს, დაიცავდა მის საშინაო დამოუკიდებლობას და ირან-ოსმალეთის აგრესორებს ჩამოაშორებდა. ასე ესმოდათ ქართველ მოღვაწეებს 1783 წ. რუსეთ-საქართველოს მფარველობითი ტრაქტატი, რომლის გაფორმების ერთ-ერთ მთავარ მოღვაწედ გარსევან ჭავჭავაძე ითვლება.

4. ტრაქტატისა და პეტერბურგის ქართული საელჩოს მოღვაწეობის შესახებ არსებული დოკუმენტური მასალების შესწავლის საფუძველზე მტკიცდება, რომ გარსევან ჭავჭავაძე აღნიშნული პოლიტიკური კურსის თანმიმდევრული დამცველი და საკმაოდ ნიჭიერი დიპლომატი იყო.

5. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ გ. ჭავჭავაძე, ისევე როგორც ერეკლე, რომანოვთა სახელმწიფოს აგრესიულ ხასიათს არ ივიწყებდა და ფხიზლობდა, რომ მისთვის ქართლ-კახეთის საშინაო სუვე-

რენიტეტის ხელყოფის საშუალება არ მიეცა; თუმცა ამ მიმართულებით პასიური საქმიანობა მაშინდელი ქართული დიპლომატიის (და ქართლ-კახეთის სახელმწიფოს) სისუსტის მაჩვენებელი იყო.

6. გარსევან ჭავჭავაძე, ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი ელჩი პეტერბურგში, 1784—1801 წლებში ენერგიულად იბრძოდა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს საშინაო დამოუკიდებლობის, ეროვნული თვითმმართველობისა და თვითმყოფობის დასაცავად, მაგრამ ეს ბრძოლა, როგორც ცნობილია, მარცხით დასრულდა. 1801 წ ცარიზმმა ქართლ-კახეთის მეფის ხელისუფლება გააუქმა და თავისი მმართველობა დაამყარა. გარსევანი ამ აქტით უკმაყოფილოთა რიგში აღმოჩნდა, ამიტომაც იყო, რომ იგი თავის მოჯანყე შვილთან — ალექსანდრესთან — ერთად რუსეთში გადაასახლეს 1805 წ.

7. გ. ჭავჭავაძე თავისი სამშობლოს ერთგული პატრიოტი იყო და უსაფუძვლოა ბრალდება მის მიმართ სამშობლოსადმი ღალატის შესახებ.

ГОСУДАРСТВЕННАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ Г. Р. ЧАВЧАВАДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ ВНЕШНЕЙ ПОЛИТИКИ ГРУЗИИ ПОСЛЕДНЕЙ ЧЕТВЕРТИ XVIII В

резюме

Гарсеван (Давид) Ревазович Чавчавадзе — видный деятель последнего периода Грузинского царства, представитель крупной феодальной аристократии, вельможа и приближенный царя Ираклия II.

Гарсеван Чавчавадзе активно участвовал в оформлении Георгиевского покровительственного трактата 1783 года и боролся за претворение его в жизнь. Так же, как и Ираклий II, он правильно оценивал сложившуюся во второй половине XVIII века внешнеполитическую ситуацию, роль и значение в будущем развитии Грузии, государств, борющихся за овладение Закавказьем, верил тому, что единоверное Российское государство, стоящее значительно выше Турции и Ирана по своему социально-экономическому развитию и государственному строю, будет способствовать укреплению Грузии, защитит ее внутреннюю независимость и пресечет агрессию со стороны названных стран. Так понимали русско-грузинский покровительственный трактат 1783 года и другие грузинские деятели последнего периода существования Грузинского царства и начала XIX века, среди которых Гарсеван Чавчавадзе, бесспорно, является одной из весьма значительных политических фигур.

Работа состоит из введения, трех глав и заключения. Работа основывается на архивном материале. Учтены также соответствующие научные исследования и литературные источники.

В первой главе дан краткий обзор основной литературы и источников.

Во второй главе показано социально-экономическое и политическое положение Грузии последней четверти XVIII и начала XIX веков (общий обзор).

В третьей главе дана краткая биография Г. Чавчавадзе, освещена разносторонняя деятельность при заключении покровительственного трактата 1783 года и дипломатическая

работа в качестве чрезвычайного и полномочного посла Грузии при Российском императорском дворе с 1784 года по 1801 год. Эта же глава повествует о деятельности Г. Чавчавадзе после ликвидации Картли-Кахетинского царства с 1802 года по 1805 год. Здесь же рассказывается о переселении Гарсевана в 1805 году на постоянное жительство в Россию, где он прожил до самой смерти (1811 г.).

Третья глава состоит из 7 параграфов.

Как и Ираклий, так и окружающие его передовые круги, среди которых особенно выделялся Гарсеван Чавчавадзе, хорошо понимали необходимость создания сильного централизованного государства. Но в Грузии того времени еще не было соответствующих условий для достижения этой цели. Ираклий энергично боролся за обновление страны, стремился к ее политическому и экономическому укреплению, к упрочению государственного строя, смело брался за новые начинания. Но для успешного претворения в жизнь всех этих мероприятий нужны были материальные средства.

Раздору внутри страны, которому сопутствовали беспрерывные нападения соседей, угрозе физического уничтожения грузинского народа надо было противопоставить решительные меры. Ираклий считал, что ликвидировать своеволье князей и агрессивность внешних врагов он сможет только лишь с помощью Российской империи.

Как было сказано выше, Гарсеван Чавчавадзе являлся одним из участников заключения покровительственного трактата в июле 1783 года, самозабвенным сторонником претворения его в жизнь.

Обе стороны с большой серьезностью отнеслись к подготовке трактата. В город-крепость Георгиевск, где должна была состояться встреча уполномоченных, в июле 1783 года выехала из Тбилиси делегация Грузии.

Первым послом был назначен зять царя Ираклия Иоан Константинович Мухранбатони (Багратиони), вторым — Гарсеван Ревазович Чавчавадзе, который упоминается как «генерал-адъютант» Ираклия и «глава Казахской провинции». Ассистентом послов был назначен архимандрит Гайоз, владеющий русским языком. Секретарем посольства является Заза Габашвили. Уполномоченным от России был генерал Потемкин Павел Сергеевич.

В Центральном государственном военно-историческом архиве хранятся материалы об этом посольстве, озаглавленные: «Секретный рапорт» и «Подневная записка». Оба документа в тот же день, 24 июля 1783 г., были отправлены генералом Потемкиним П. С. генерал-фельдмаршалу Потемкину Г. А.

15 июля 1783 года полномочные представители Грузии, состоящие из двадцати четырех человек, прибыли в Моздок, а 18 июля в Георгиевскую крепость. В первый день аудиен-

ций — 19 июля 1783 года — главнокомандующий П. С. Потемкин принял представителей Грузии с подобающим им почетом.

Во время первой аудиенции 19 июля второй посол Гарсеван Чавчавадзе произнес торжественную речь.

Смиренным тоном покорности представители Грузии стремились добиться военной помощи со стороны России. Грузинские послы и сам царь Ираклий II не скрывали от представителей Российской империи своих целей.

Грузинские политические деятели, как видно, полагали, что признание Российской империи политической покровительницей Грузии даст ей возможность существовать в качестве вассального государства (трактат 1783 года понимался в Грузии, как акт «присоединения» к России), что, в свою очередь, явится предпосылкой дальнейшего усиления этого государства и достижения полнейшей независимости. В тот же день, 19 июля 1783 года в Георгиевске, во время первой аудиенции у Павла Потемкина, полномочный представитель Грузии Г. Чавчавадзе заявил, что Ираклий «не перестанет... жертвовать и собою и владением своим». Это заявление Гарсевана, также как Ираклия, отвечало интересам самодержавия на Ближнем Востоке. Он заверял царских дипломатов, что Грузия окажет им содействие всеми своими силами.

Царская самодержавная политика в отношении Грузии основывалась на односторонней позиции. Иначе в то время и не могло быть. Бескорыстная помощь одного государства другому возможна только в эпоху социализма. Зачинателем такой политики была **Советская Россия**.

24 июля 1783 года пополудни полномочные представители Грузии и России подписали соглашение. Таким образом, трактат был оформлен. Посланцы Грузии стоя благодарили П. Потемкина, а Г. Чавчавадзе произнес прощальную речь.

О грузинских послах П. Потемкин 24 июля 1783 года (после заключения трактата) так писал Г. А. Потемкину:

«Полномочные Грузинские, из коих князь Багратион, зять царской, а второй князь Джадзевадзев, его любимец и которой по делам видно прислан надежною особою, крайнюю изъявили ревность к приобретению высочайшаго Ея Императоркаго Величества благоговения...»[1].

Как видно из сказанного выше, главной фигурой посольства являлся Гарсеван, хотя и был направлен в качестве «второго посла».

Согласно 5 артикулу покровительственного Трактата 1783 года в Россию направлялся полномочный министр Грузии, а в Грузию — русский министр-резидент.

23 января 1784 года, накануне ратификации трактата в

---

[1] ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, оп. 1/194, стр. 163.

Тбилиси, Г. Чавчавадзе был официально утвержден полномочным министром Картли-Кахетии при Российском императорском дворе.

В конце мая 1784 года Г. Чавчавадзе со свитой отбыл в Петербург. С ним вместе отправились в Россию сыновья царя Ираклия — Мириан и Антон.

Ираклий II направил послом в Россию человека, способного быстро изучить европейскую дипломатию и разобраться в действительных намерениях самодержавия — этого «защитника всех слабых и христиан». Ираклий II учел также, что Гарсеван был предан Кахетинской династии Картли-Кахетинского царства и тенденция к соглашательству с наследниками Вахтанга VI — представителями Картлийской ветви Багратионов — с его стороны полностью была исключена. Посланник Грузии должен был обеспечить «всякое нужное сношение и соглашение с Российским Императорским двором»[2]. Ему же поручали обмен информацией и наблюдение выполнением обязательств, предусмотренных трактатом. В пятой же статье трактата указывалось, что полномочный министр резидент Картли-Кахетинского царства, как полноправный представитель в Петербурге, должен быть аккредитован наравне с другими представителями суверенных государств. С другой стороны, и в Грузии должен находиться полномочный министр России.

В верительной грамоте, датированной 23 мая 1784 года, врученной императрице Екатерине II, царь Ираклий дал следующую характеристику своему послу:

«Предъявителя сего письма князя Гарсевана Чавчавадзе отправили мы к в. и. в., для пребывания при высоч. дворе в. и. в., в силу всем Трактата пятаго артикула, котораго (Чавчавадзе) и препоручаю милостивому покровительству в. и. в., как своего сына и достойнаго доверия во всех делах которому и вверены все наши дела, представляемыя к высоч. двору в. и. в-а»[3].

В сентябре 1784 года Г. Чавчавадзе прибыл в Петербург и стал готовиться к приему императрице. Предварительно он посетил вице-канцлера графа Остермана. Прием при императорском дворе состоялся 20 сентября 1784 года. И после этого приступил к исполнению своих обязанностей.

Это было первое грузинское посольство при государственном дворе другой страны. Поэтому никто из политических деятелей Грузии не мог в должной мере предвидеть практическую деятельность грузинского резидента в Петербурге.

Создание посольства при Российском государственном дворе имело для грузинского царства не только дипломатическое значение. Посольство должно было ознакомиться с новыми

[2] А. Цагарели, Грамоты...., т. II, вып. 11, с. 35.
[3] Там же, с. 269.

правилами и порядками государственного управления, чтобы в дальнейшем применить их в своей стране. Но, как известно, стремлениям грузинских государственных деятелей не суждено было претворяться в жизнь.

Трактат 1783 года явился в жизни Грузии весьма значительным явлением, сыгравшим исключительную роль в ее историческом развитии. «Этим актом Грузия отмеживалась от азиатской (турецко-иранской) отсталости и решительно повернулась к прогрессивному Северу»[4].

Вместе с тем этот трактат послужил интересам народов всего Закавказья.

Деятельность Гарсевана Чавчавадзе в первые годы сводилась к тому, что он, главным образом, выступал в роли информатора по вопросам Закавказья и удовлетворялся передачей информации своего государства по различным вопросам.

Так продолжалось до лета 1785 года, когда участились набеги внешних врагов на Восточную Грузию и активизировались соседние с ней дагестанские феодалы и магометанские ханства. С этого времени Г. Чавчавадзе стал категорически требовать у России усиления помощи Грузии. Но обстоятельства к этому времени изменились: грузинский вопрос уже занимал во внешней политике России второстепенное место. В связи с этим Г. Чавчавадзе писал из Петербурга архимандриту Гайозу: «Когда я находился там, то видел одно, а теперь вижу совсем другое»[5].

Деятельность Г. Чавчавадзе была полностью подчинена директивам царского двора Восточной Грузии, но он имел право проявлять и собственную инициативу; был обязан высказывать свое мнение и давать советы Грузинскому правительству.

Перед грузинским посольством в Петербурге стояло много актуальных вопросов, требующих неотложного разрешения. Следует подчеркнуть, что Гарсеван выполнял свои обязанности со всей серьезностью и усердием. При составлении докладных записок он лаконично выражал мысли, всегда подчеркивая именно то обстоятельство, которое в данный момент являлось наиболее актуальным как для Грузии, так и для России.

Грузинский посол не только передавал Российскому правительству поступающую из Грузии информацию, но и посылал на родину сообщения о всех международных событиях.

---

[4] Н. Бердзенишвили. К вопросу об историческом значении присоединения Грузии к России. «Мнатоби», № 6, Тб. 1954, с. 138 (на грузинском языке).

[5] ЦГИА ГССР, ф. 1449, оп. № 1, д. 287.

Позиция царской России в вопросе о помощи Грузии вызвала некоторые изменения внешнеполитической линии Грузинского царства. В создавшейся критической обстановке Грузия взяла курс на более лояльные отношения с русским правительством.

В феврале 1786 года Г. Чавчавадзе поставил вопрос о своем возвращении в Грузию, но сумел добиться этого лишь летом 1788 года. Представителем Грузии вместо Г. Чавчавадзе был назначен С. Туманишвили (но он находился не в Петербурге, а в Яссах у Г. А. Потемкина).

Находясь в Грузии с 1788 по 1793 год, Г. Чавчавадзе продолжал оставаться в звании полномочного министра при Российском императорском дворе.

Как известно, в 1790 году по инициативе Соломона Лиоидзе был оформлен военный союз между грузинскими царями и князьями. Союзники признали Ираклия своим предводителем. В 1793 году они сообща просили покровительства Российского императора.

С этого времени Гарсеван Чавчавадзе имеет права не только полномочного представителя Картли-Кахети в России, но и представителя других царств и княжеств Грузии. С их общей просьбой о покровительстве Гарсеван (второй раз) выехал в Петербург в январе 1794 г. В это время положение Грузии было крайне осложнено. Фактический повелитель Ирана Ага-Магомет-Хан готовился к войне против Грузии. Картли-Кахетинское царство не могло своими силами справиться с врагом, поэтому Гарсевану Чавчавадзе поручалось принять меры к тому, чтобы покровительствующая Грузии Россия прислала ей на подмогу войска и тем самым избавила от надвигающейся катастрофы.

Главное направление дипломатической деятельности Гарсевана Чавчавадзе заключалась в том, чтобы заинтересовать Российское государство делами Грузии и Закавказья, что должно было привести к улучшению их положения.

Когда Ага-Магомет-Хан разорил Тбилиси, Гарсеван находился в Петербурге. Он узнал об этом событии лишь во второй половине октября 1795 года. Как уже было сказано выше, его неоднократные просьбы о помощи Грузии войсками, деньгами и оружием не имели успеха. Царское самодержавие фактически отказалось от выполнения предусмотренной трактатом основной статьи.

Гарсеван Чавчавадзе доказывал Российскому правительству, что разорение Грузии является дипломатическим поражением России: «как Ага-Мугаммед-хан причинил обиду великой России разорением Грузии, то я желаю сказать высочайшему двору ревностныя и всеподданическия мои услуги, равно и моему отечеству; второе, когда нахожусь я обязанным в возло-

женной на меня должности, то и не желаю ни с которой стороны, чтоб я перетерпевал за что-либо выговоры...»[6].

Так грузинский посол старался вызвать в правящих кругах России реакцию на агрессивный акт Ирана 1795 года. Его усилия привели к желаемому результату.

В начале 1796 года Россия объявила Ирану войну. В мае того же года Г. Чавчавадзе отправился на юг для урегулирования отношений с русским военным руководством. Явившись к главнокомандующему В. Зубову в Куст-Булакский лагерь, он принял участие в походе против Ага-Магомет-Хана, успешно начатом русскими войсками и приостановленном по приказу нового императора Павла I.

Известно также, что еще в 1785 году армянский архиепископ Иосиф (Аргутинский-Долгоруков) в письме, посланном из Астрахани, просил находящегося в Петербурге Рейнегса, обратиться от имени армян к Гарсевану Чавчавадзе со следующей просьбой: «Теперь прошу Вас переговорить с послом его величества о том, что наш святейший патриарх имеет поручение, через него передать послание императору.... и сообщить Потемкиным (имеются в виду П. С. и Г А. Потемкины — З. Ц.), чтобы и они сказали послу. Это будет Вашей заслугой перед Эчмиадзинским престолом»[7].

Таким образом, Г. Чавчавадзе интересовал армянских деятелей, которые также старались наделить его представительскими функциями.

В феврале 1797 года Чавчавадзе в третий раз направился в Россию как полномочный представитель Грузии. На этот раз он предстал перед императором Павлом I и передал ему две грамоты. В одной из них Ираклий II поздравлял Павла с вступлением на престол, во второй содержалась просьба подтвердить все статьи, предусмотренные трактатом 1783 года, и соблюдать их, т. е. оказать Грузии военную помощь.

Позиция, занятая царским императорским двором в 1795 году, в период тяжелых испытаний покровительствуемой страны, вызвала в высших кругах Грузии серьезные недовольства. Видимо, грузинские дипломаты ставили вопрос о пересмотре внешнеполитической ориентации. Гарсеван Чавчавадзе настоятельно требовал, чтобы Павел либо выполнил предусмотренные трактатом обязательства, либо отказался от них. В последнем случае Грузия будет самостоятельно искать выхода из создавшегося положения.

В июле 1799 года Г. Чавчавадзе возвращается в Грузию, чтобы присутствовать на коронации Георгия XII.

А. Цагарели, Грамоты..., т. II, вып. II, с. 115.

Институт рукописей, ф. Н-609, письмо 23, лист 109.

В начале 1800 года, когда внутренний разброд в Грузии достиг крайнего предела, Гарсеван Чавчавадзе в четвертый раз едет в Россию в качестве полномочного и чрезвычайного посла Грузии в Петербурге.

На этот раз он обратился к русскому правительству с секретной просьбой, согласно которой Георгий XII отказывался от «покровительства» и соглашался на «подданство» в пределах ограниченной автономии с условием, что царский титул будет передаваться по наследству Багратионам.

18 января 1801 года манифестом Павла I Грузия была непосредственно присоединена к России. Этот манифест был подготовлен еще 18 декабря 1800 года, но его опубликование задержалось в ожидании кончины последнего царя Восточной Грузии. 28 декабря 1800 года Георгий XII скончался. Вскоре был задушен Павел I. На престол вступил его сын Александр и вопрос о присоединении Грузии к России стал предметом обсуждения. Старания грузинских послов (Г Чавчавадзе, Е. Палавандишвили, Г. Авалишвили) сохранить для своей страны автономию ни к чему не привели.

Манифестом от 12 сентября 1801 года император Александр I окончательно присоединил Грузию к Российской империи.

«Несмотря на утрату государственной независимости, присоединение Грузии к России, в сложившейся тогда обстановке, являлось единственным путем, чтобы избавить Грузию от захвата такими отсталыми государствами, как Турция и Иран... Россия, более близкая Грузии по культуре и религии, являлась единственным прогрессивным государством, способным объединить грузинские земли и обеспечить Грузии развитие ее производительных сил»[8].

Противники русской ориентации считали Гарсевана предателем и изменником Родины, но документальные данные, хранящиеся в архивах Грузии и России, со всей определенностью свидетельствуют о том, что он был настоящим патриотом своей страны и точно выполнял все указания своего правительства.

Широко известно также, что грузинские послы ничего не знали о готовящемся манифесте 1801 года. Он стал известен им только после его опубликования. Послы высказали свой протест по поводу этого одностороннего акта в заявлении от 6 ноября 1801 года на имя вице-канцлера Александра Борисовича Куракина.

Письмо тайного советника С. Лашкарева министру иностранных дел А. Куракину от 7 июля 1802 года вносит яснос-

---

[8] Н. А. Бердзенишвили, В. Д. Дондуа, М. К. Думбадзе, Г. А. Меликишвили, Ш. А. Месхиа, История Грузии, I, Тбилиси, 1962, 406.

ти в происходящие события и, в частности, подтверждает невинность Г. Чавчавадзе. С. Лашкарев, которому в данном случае незачем было оправдываться перед официальными лицами из царского правительства, с удивлением сообщает Куракину, что Кнорринг, оглашая 12 апреля 1802 года в Тбилиси манифест о присоединении Грузии к России, на вопрос цариц (Дареджан и Мариам) о причинах ликвидации Грузинского царства, обвинил во всем его лично и Г. Чавчавадзе. Опровергая эту версию, Лашкарев пишет: «Вашему Сиятельству известно, что сие (присоединение Грузии к России — З. Ц.) **сделано в Москве без всяких представлений** (подчеркнуто нами — З. Ц.), а сколько мне помнится, сказано, — что по возврате из Москвы, грузинские дела здесь будут кончены, да и сам Кнорринг при выезде отсюда, тудаж и тож самое мне объявил, что грузинские дела по возвращении из Москвы кончутся. Я не понимаю, откуда же он взял и объявил оное царицам»[9].

Следует отметить, что версия о так называемой «измене» Г Чавчавадзе возникла именно после заявления Кнорринга царицам. Именно в кнорринговской редакции противники Гарсевана Чавчавадзе — ненавистники русской ориентации — в дальнейшем упоминают об «измене» бывшего посла Грузии. Упомянутое письмо Лашкарева имеет большое значение в доказательстве невинности Г. Чавчавадзе.

В конце октября 1802 года Г. Чавчавадзе вернулся в Грузию. Его приезд совпал с народными волнениями в некоторых частях Кахети, вызванными утверждением новых порядков, знаменующих собой установление нового режима.

Правитель Грузии П. Коваленский обвинил в происходящих волнениях Г. Чавчавадзе, который, по его мнению, сеял смуту среди грузин еще в период своего пребывания в Петербурге.

8 сентября 1802 года главным правителем Грузии был назначен П. Цицианов, а Кнорринг и П. Коваленский были отозваны в Россию. П. Цицианов рассмотрел обвинения, предъявленные Гарсевану П. Коваленским и оправдал бывшего грузинского посла.

14 июня 1803 года Г. Чавчавадзе был утвержден предводителем дворянства Грузии. С этого времени он должен был содействовать царскому правительству в укреплении самодержавного управления в Грузии. Однако, с ноября 1802 года Гарсеван пребывал под негласным надзором местной власти.

В 1804 году, когда произошло восстание горцев, а П. Цицианов окружил Ереван, Г. Чавчавадзе находился в Казахе. На него была возложена обязанность снабдить продовольствием войска, обложившие Ереван. Выполнение этой обязан-

---

[9] ЦГИАЛ СССР, ф. 1284, оп. 3, 1802 г., № 12, лист 193—195.

ности задержалось, и Цицианов, усомнившийся в преданности Г. Чавчавадзе, пригрозил ему даже высылкой в Тамбов.

14 сентября 1804 года восемнадцатилетний сын Гарсевана, будущий грузинский поэт Александр, бежал к восставшим горцам и присоединился к царевичу Парнавозу. Это обстоятельство еще более ухудшило положение Гарсевана Чавчавадзе.

В 1805 году Г. Чавчавадзе переселили из Грузии в Россию.

В Центральном историческом архиве Грузии хранится «Дело о переселении кн. Чавчавадзе Г. Р. с семейством в Россию», которое дает ясное представление о том, как выглядело в действительности его «добровольное» переселение.

Пятая, и в данном случае вынужденная, поездка Гарсевана в Россию была вместе с тем и последней.

В ноябре 1806 года Г. Чавчавадзе вместе со своим сыном прибыл в Петербург. 22 ноября этого же года он подал прошение Куракину о принятии на службу его шурина Г. Авалишвили. Просьбу Гарсевана удовлетворили. Авалишвили был назначен егермейстером в Москву.

В Петербурге Г. Чавчавадзе проживал до конца своих дней. Он скончался 7 апреля 1811 г., в возрасте 54 лет. Похоронен в Александро-Невской лавре.

*

Гарсеван Чавчавадзе принадлежал к той плеяде грузинских политических деятелей, которые хорошо учитывали экономическую и политическую слабость своей Родины и поэтому являлись твердыми и последовательными сторонниками ее союза с Россией.

Гарсеван Чавчавадзе был последовательным сторонником указанного политического курса и являлся талантливым дипломатом. Будучи в курсе захватнической внешней политики русского царизма, он боролся за внутреннюю независимость своей родины, находившейся под эгидой царской империи. Но пассивность грузинской дипломатии в этом направлении была обусловлена слабостью самого грузинского государства.

Чавчавадзе был верным патриотом своей родины, и обвинение в измене, предъявленное ему, лишено всякого основания.

დამატება

№ 1. 1783 წ. 24 ივლისი. პ. ს. პოტიომკინის საიდუმლო მოხსენებითი ბარათი გ. ა. პოტიომკინისადმი (ერთვის „ყოველდღიური ჩანაწერები“ 1783 წ. ტრაქტატზე ხელმოწერის ცერემონიალის შესახებ)[1].

По секрету

ЕГО СВЕТЛОСТИ КОМАНДУЮЩЕМУ ВОЙСКАМИ В КРЫМУ И ЮЖНЫХ ГУБЕРНИЯХ РАСПОЛОЖЕННЫМ И ФЛОТАМИ НА ЧЕРНОМ И КАСПИЙСКОМ МОРЯХ, ГЕНЕРАЛУ И КАВАЛЕРУ КНЯЗЮ ГРИГОРИЮ АЛЕКСАНДРОВИЧУ ПОТЕМКИНУ

РАПОРТ

Соверша и подписав сего утра, в силе полномочия данного мне от вашей светлости, Трактат с царством грузинским, написанной от слова до слова таков как Проект онаго знаменует, поспешаю я оной чрез подполковника Тамара вашей светлости поднести.

Ваша светлость усмотреть изволите, что я старался выполнить все то, что в ордере вашем от 3-го апреля под № 106 мне предписано и не упустил того правила в рассуждении первенства, которого мне держатся повелели.

Сотрудившиеся со мною в заключении сего Трактата полномочныя грузинскаго царя первой князь Багратион и второй князь Джаджевадзев и при них архимандрит Ганос, не останавливая ни в чем как трактата, так и сепаратных артикулов и образца присяги, подали мне перед заключением меморию, которую в журнале подношу, и требовали моего решения. Неимея власти разрешить статьи оной по неотступной просьбе их и дабы не сделать затруднения в совершении Трактата, должен я был дать им некоторое мнение мое, здесь подносимое; оно способствовало их много вывести из сомнения, к коему они крайне наклонны, и будучи объяснением довольны убедительно

[1] Документы впервые напечатаны в книге «Вопросы истории феодальной Грузии», I, 1970, Тб., с. 161—171.

просят именем царя о нелишении вступающих на царство коронования по древнему их обычаю. Засим просят они о дозволении царю именоваться в отчестве своем Умаглесо, титул которой до ныне давался ему во всей Азии.

На подносимые в ответе моем на их меморию пять статей, ежели последует какая высочайшая воля, осмелюсь покорнейше просить предварительное дать мне повеление, дабы я сообразно тому и тон, и меры предпринять мог.

Заключая уже трактат, просили они, чтоб я в силу оного немедленно повелел ввести два батальона: но как сего движения без точнаго повеления вашей светлости я учинить не смею, в ожидании предписания обнадежил я их, что коль скоро в силу второго сепаратнаго артикула сделаем соглашение с царем о содержании сих баталионов, то немедленно их отправлю, а между тем приуготовлять их к выступлению начну.

Полномочныя грузинския, из коих князь Багратион зять царской, а второй князь Джаджевадзев его любимец, и которой по делам, видно, прислан надежною особью, крайнюю, изъявляли ревность к приобретению высочайшего ее императорскаго величества благоволения, наипаче же архимандрит, которой и желает быть помещен в какой-либо должности в России.

Подноситель донисения моего подполковник Тамара по сущей истине заслуживает мое предстательство пред вашею светлостью. В бытность его в Грузии и в Имеретии приобрел он и доверенность и похвалу обоих царей, в письмах ко мне объясняющих особливое удовольствие о его поведении, и сие тем охотнее свидетельствуют вашей светлости, что и здесь употреблен будучи, изъявлял и расторопность и прилежание.

Все плакаты вашей светлости на имена разных адрибеженских и дагестанских владетелей отправлю я к ним немедленно.

Нужным нахожу донести вашей светлости, что царь грузинский Ираклий желает и убедительно просит меня с ним видется на половине пути в горах Кавказских, где ныне производят работу. Донеся о том вашей светлости, буду я ожидать, угодно ли будет повелеть мне с ним видется.

Подневная записка всего отряда и поданных мне от полномочных грузинских князей и дворян списки имею честь вашей светлости представить.

Генерал-порутчик Потемкин.

№ 351

Июль 24-го дня
1783 года

Кр. Георгиевская

ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 286, ч. I, л.л. 162—163.

о совершении трактата в признании империею российскаго ца- л.161
ря грузинскаго Ираклия со всеми областями, его вассалом заключеннаго 1783 года, июля 24 дня.

15 июля — Чрез возвратившегося из Грузии подполковника Тамару, получа известие о прибытии полномочных послов от стороны его светлости царя грузинскаго Ираклия на линию в Моздок, главнокомандующий корпусом войск, уполномоченный к совершению трактата, предпоруча стан войск, расположенных у вершин Кубани, старшему по себе, отправился в крепость Георгиевскую, яко назначенное в предшедших мероположениях место, для переговоров, куда и прибыл на другой день.

16-го числа. — Учреждены подставы по пятидесяти лошадей, для полномочных и свиты посольства от Моздока до Георгиевской крепости. Того же дня отправлен порутчик князь Челокаев к послам от главнокомандующаго с комплиментом.

17-го числа. — Отправлен паки подполковник Тамара в
Моздок экипажами, для препровождения полномочных в Глав- л.164
ную квартиру. Того же дня назначен на следующий день. об.

Церемониал

Завтрашняго дня, то есть: 18-го числа отправится секунд-майор Комарской навстречу следующим из Грузии послам до Павловской крепости, где дождавшись их прибытия, воздравит их от главнокомандующего с благополучным приездом и препроводит их до крепости Георгиевской.

Секунд-майор граф Апраксин определяется на все время пребывания послов быть маршалом посольства и потому должен он верхом встретить полномочных за переправою от крепости и, представясь им, поздравить от главнокомандующаго с благополучным путем и следует пред ними верхом до самого дома, для них назначенного.

Плац-майор Гиль встретит оных у крепостных ворот и, по въезде их в крепость, всей посольской свите покажет назначенныя им квартиры.

Господин полковник Мольженнинов, яко крепостной на-
чальник, встречает их у крыльца дому, назначеннаго для пол- л.165
номочных и приводя их в покой угощает их приготовленными в доме напитками и ужином.

18-го числа. В 8 часу вечера полномочныя со всею свитою, состоящею в двадцати четырех человеках, по учрежденному церемониалу, всеми встречены и препровождаемы, прибыли в Георгиевскую крепость.

19-го числа. — По утру в 9 часов, маршал посольства граф Апраксин посылан был от главнокомандующего с комплиментом к полномочным и просит их на первую аудиенцию в 11 часов, и к обеденному столу: для чего и посланы были к ним екипажи. Приезд полномочных был следующим образом.

В первой карете сидели:

Первой полномочный князь Иван Константинович Багратион, генерал войск грузинских, командующий левым крылом и с ним — второй полномочный князь Гарсеван Ревазович Джаджевадзев, царский генерал-адъютант и начальник Казахскаго народа.

Во второй карете:

Отец архимандрит Ганос и с ним секретарь посольства.

Когда полномочные поравнялись с гауптвахтой, фронт приступя отдал честь с полным барабанным боем.

л.165 об. По приезде их к главнокомандующему встречены были у крыльца всеми ординарцами: **в сенях — младшим адьютантом, в передней — старшим адъютантом,** а потом маршалом посольства, которые и препровождали их до аудиенц-каморы, где господин генерал-майор Самойлов и все штаб-офицеры находились.

При вступлении послов в аудиенц-камору, главнокомандующий встал с места своего, приветствуя их, просил сесть на уготовленные кресла пред портретом ея императорскаго величества. А правой стороны, несколько уступя первому послу князю Багратиону и с левой — в том же расстоянии второму послу князю Джаджевадзеву.

Отцу архимандриту поставлен был стул ниже послов.

Второй посол князь Джаджевадзев говорил речь нижеследующую:

л.166 «Пред опредлением судеб божих, устроящих род человеческой, подвиглась душа к новой щедроте премудрой в свете, дивной и непосудимой государыни императрицы великия Екатирины, коей побед и добродетелей сияние пролилось во всю вселенную. Син-то немерцающия лучи просияли ныне на отчество наше к неизреченной радости благочестивейшаго государя нашего, которому угодно было нас назначить для объявления, что подчиняясь всероссийскому престолу сердце его будет светилищем чистаго и непорочнаго огня, где не престанет он жертвовать и собою и владением своим. Внуши, победоносных войск вождь! Сие изречение. Удостой положить с нами на алтарь сей жертвы нашей свет, подаваемый нам чрез предста-

тельство светлейшего князя знаменитые особы, ближайшаго к императорскому престолу министра, Григорья Александровича Потемкина. Прими наше присутствие в лице нашего царя и государя, ревностию к монархине горящаго и каторой к особе вашей особливо доброжелательствует».

Ответ главнокомандующаго

«Издавна уже известно мне усердие благочестиваго царя Ираклия к престолу всероссийкому и наипаче к священной особе августейшей самодержицы. Чрез все время моего пребывания в здешних краях довольно видел я горячую ревность его светлости к службе ея императорскаго величества. Ныне сей подвиг наивящий опыт подверженности его доказует. По возложенному на меня полномочию приятно мне видеть, толь избранных мужей, содействующих мне в предполагаемом деле». л.166 об.

После сего условленность о размене взаимно полных мочей и потом угощаемы были в диванной комнате.

В час пополудни были трактованы обеденным столом и назнача после полудни аудиенцию обратно отправились.

В пять часов после полудни полномочныя паки прибыли к главнокомандующему со всею предписанною встречею.

При выходе в Аудиенц-камеру главнокомандующий просил, дабы приступить к исполнению совершением, во-первых, молебствия. Почему отец архимандрит грузинский с двумя полковыми священниками приносили богослужение. По совершении онаго главнокомандующий, во-первых, угощал их и потом, взяв заседание за уготовленым столом в Главном месте, просил полномочных садится в назначенных для них креслах, по сторонам стола и в то же время дал знак сесть за поставленным другим столом отцу архимандриту, подполковнику Тамаре и секретарю грузинскаго посольства. Оставя при себе двух переводчиков, а именно: порутчика князя Челокаева и порутчика Севарсимінцова, дал знак всем присутствующим, чтоб они вышли. л.167

Заседание открыл главнокомандующий следующею речью.

«Ея императорское величество моя августейшая самодержица снисходя на прошение его светлости царя Ираклия, вашего государя и обладателя искавшего столь долговремянно присоединения к числу многих областей, составляющих пространную всероссийскую империю, приемлет ныне царство Грузинское и Кахетинское под всемогущное свое владычество. Признает царя своим вассалом и царствие его подчинимым блистательному своему скипетру: обещает покровительствовать царскую особу и защищать его область. Духовенство и вельмож причисляет и сравнивает с духовными и боярами своея дер- л.167 об.

жавы. Народ грузинской повелевает отныне признавать яко единоплеменных российских сограждан, дарует им те же права и те же преимущества, какими пользуются благословенною ее державою природныя подданыя и наконец, последуя склонности щедрой и великой души своей во всем ей свойственной, оставляет всякую дань, от царя ее величеству предлагаемую, обращая токмо премудрыя очи свои на благотворение народу грузинскому, единою верою с россами связанному, простирает десницу свою на покровительство ему, изъявляет благотворение свое к царю, котораго ревность проникла до высочайшего его престола и открыла путь к величеству и славе, готовящейся разсеять слух о нем во все концы обитаемого света. К исполнению сего знаменитого постановления, угодно было ея императорскому величеству уполномочить ближайшаго монаршей своей доверенности войск ея генерал-аншефа, военных дел министра, многих первейших степеней чиноначальника, всех российских и всех Северных держав первых орденов кавалера, графа Григория Александровича Потемкина, князя священныя Римския империи, высочайшие соизволяя Ему по многим обращения дел у двора и в других краях преподать ту же полную мочь иному. Я, избран будучи для заключения толь знаменитаго трактата, ставлю себе честь, что во дни великия Екатерины, безсмертной славой блестящия и во время когда царь Ираклий, наивяще украсивший громкое имя свое, возвышает славу царствования своего в сий толь благословенныя дни, поставлен я утвердителем сего союза между обоих государств и что присоединение Грузии к скиптеру всероссийскому запе-
л.168 чатлено будет посредством трудов моих. Со удовольствием бу-
об дут иметь соучастниками себе в сем полезном и славном союзе толико достойных мужей, каковых взираю в лицах ваших, и коих достоинства мне уже давно известны. Надеюсь, что вы, государи мои, имея тех чувства, проницаете ясно все выгоды и пользу совершения сего для отечества и народа вашего, льстит честолюбие ваше тем, что в будущия времяна народ грузинской, наслаждаясь тишиной, безопасностию и славой, не престанет воспоминать имена ваши, яко совершителей постановления сего».

По окончании речи предложил им о размене полных мочей и читал сам даную полную мочь от ея императорскаго величества его светлости князь Григорью Александровичу Потемкину, отдав перевод оные первому полномочному князю Багратиону.

Засим читана полная мочь, данная от его светлости князя Григорья Александровича Потемкина на имя главнокомандующего и потом полномочныя поднесли свою полную мочь.

По размене взаимно полных мочей читаны были трактат,

сепаратные артикулы и образ присяги, во-первых на российском языке, а потом на грузинском.

По окончании сего полномочныя взаимно положили трактат в следующий день приказать переписывать набело. л.169

Конференция кончилась в 8 часов вечеру. По окончании оной полномочные трактованы были кофеем, чаем и прохладным.

Вечернее кушанье изготовлено было в доме полномочных грузинских для лучшего их после трудов отдохновения.

20-го числа в 9 часов утра посылан был маршал посольства граф Апраксин со здоровьем и объявлением о визите к послам. В десять часов главнокомандующий и при нем господин генерал майор Самойлов со всеми штаб-офицерами посещали полномочных, где и пробыли до самого времяни, когда крепостной развод караулу последовал, главнокомандующий дав позволение вступать новому разводу, пригласил полномочных, и откланяясь, шел на место парада. Полномочныя провожали чрез все комнаты на крыльцо и с крыльца вне дома весьма далеко и потом вскоре пришли на парадное место, где караул сменялся. Зрелище сие не токмо нравилось полномочным, но и приводило их в восхищение. Они сматривали людей, образ вооружения и примечали обороты фронта с крайним прилежанием. По окончании развода главнокомандующий, прощаясь с ними, пригласил их к обеденному столу. Ополудни посланы были экипажи и приезд их, столь продолжался, и отъезд был на том точно основании, как и прежде происходили. л.169 об.

Во весь день сей переписывали трактат набело.

21-го числа. Продолжали переписывать трактат. Ополудни полномочные прибыли к главнокомандующему на обеденной стол. После стола в Конференц-каморе полномочныя просили позволения подать некоторые статьи, которыя, хотя и не останавливают заключение трактата, но на которыя просят они однакож мнения от стороны главнокомандующего и положено к вечеру оныя изготовить.

В девять часов вечера отец архимандрит Ганос подал письмо, прося именем полномочных и рассмотрении поданных статей. Объяснение оных довело разговор о многих статьях. Отец архимандрит представлял, какую царь грузинский должен иметь монету, и просил письменнаго ответа.

Предложение полномочных и ответ главнокомандующаго прилагаются.

Мемория полномочных послов

В третьем артикуле трактата сказано, что все преемники престола грузинских царей долженствуют получать от высочайшаго императорскаго двора инвеституру, или грамоту ут- л.170

вердительную: но как издревле цари грузинские, принимая престол всегда были коронованы (кроме тех, которые воспитаны в Персии или закон магометанский имели) и сие постановление продолжалось до поздних времен, так что и ныне владеющаго царя Ираклия отец Теймураз был коронован во время шаха Надира, который не только возбранял сему законоположению, но к произведению коронования присылал многих от себя знатных особ присутствовать. Обычаи и положений наши таковы были, что царь, вступая на престол, в то же время и миропомазан был. Неизвестно нам, в которое время инвеститура от высочайшаго императорскаго двора жалована
л.170 будет при совершении коронаций, или при восшествии на пре-
об. стол преемников.

Всегда грузинские цари во всей Азии имели от прочих владетелей отличную знаменитость, а наипаче в Иверии, и для того будучи предпочтительны прочим титуловались от всех и в печатных книгах высочеством. Ныне же всегда в переводах пишут светлость. Сие наименование для грузинскаго народа и тем более удивительно, что и прочим владетелям Иверским, дают то же самой титул светлости, какой царю грузинскому, хотя царь грузинский всегда превозвышал их и титулом и почестьми.

Католикос, или верховный архиепископ верхней Грузии, управляющий многими митрополитами и архиепископами имел от вселенских патриархов самовластие. Во уважение всего не будет ли унижено, что место степени его назначается в числе архиреев, ниже места в России имеющих, а именно после казанского и прочих. Чем, кажется, как будто, царство, грузинское, ниже тех Россиею приобретенных мест.

Каким титулом пишутся цари грузинские, какой герб царства и прочих ими обладаемых земель предполагаем форму, прося чтоб оное так внесено было в ратификацию.

Понеже ея императорское величество обещает совершенно
л. 171 и непременно сохранить все преимущества царской особы и установлении царства грузинскаго, нижеподписавшиеся просим принять наше предложение и на все оное дать нам ответ.

На подлинной подписано.

Князь Иван Багратион

Князь Гарсеван Джанджевадзев

Форма титула:

л.171 Ираклий вторый, Царь Кахетинский и царь Карталинский.
б.о наследный князь Самцхесаатабагский, князь Казахский, князь Борчалский, князь Шамышадылский, князь Кахский, князь Шакский и князь Ширванский, владетель и покровитель Ганджинский, Эриванский и прочих.

Ответ главнокомандующаго

От генерала-порутчика и кавалера Потемкина, уполномоченнаго к совершению трактата, ответныя статьи полномочным грузинским послам.

«Проект трактата, нами совершаемой, не токмо полномочныя, но и сам царь Ираклий видел оной, конфирмованной собственною ее императорскаго величества рукою и потому должен быть священ и при совершении одного долженствует быть в самом трактате внесено точное ознаменование всякого слова; но дабы их сиятельства полномочныя, столь усердно ревнующия о славе своего государя и толь искренне тщащияся о скором совершении трактата, выведены были из всякаго сомнения, прилагаю на статьи их следующий ответ.

1. Неизвестен, будучи как древле, и с каким положением точно царей грузинских, приемлемых царство, короновали. Всегда ли оное и непременное сохранялось и по каким причинам переменилось? Невозможно поставить времяни, когда от высочайшаго императорскаго двора приемникам царства будет л.172 присылаема инвеститура, а понеже ныне владеющий царь об. Ираклий при вступлении своем не был миропомазан, следовательно как бы пресек сей священный обряд. Нужно, чтоб к возобновлению онаго принес он к высочайшему двору особенное прошение.

2. Отличность грузинскаго царя пред прочими окрестными владетелями не уменьшена, но явно провозвещается. Ознаменнное от ея императорскаго величества царю грузинскому и царскому дому высочайшее благоволение, изъявленныя монаршия щедроты ко всему царству, видимая польза и выгоды всех и каждаго из них, грузинскому народу предлагаемыя, суть тому свидетельством.

Ея императорское величество, снисходя на неоднократное прошение приемлет царство грузинское под сень мощнаго своего покрова, тем самым царю дарует уже сугубое отличие; титул светлости на российском языке есть общий, каковой дают всем владельным князям, он точно тот, каковой на всех языках и во всей Европе с сим знаменованием употребляют. Высочество в России дают единому императорскаго Российского престола наследнику. К отличию царя от прочих иверских кня- л.173 зей представляю я, не благоугодно ли будет высочайшему двору об. именовать грузинскаго обладателя царской светлостью, чтож касается до грузинскаго изречения, даваемый ныне титул Умаглесо не воспрещен употреблять в Грузии, ни в книгах, ни в сношениях от окрестных владетелей, но от высочайшего двора, яко от верховной власти, царь грузинский да восприимет наименование, какое императорскому двору угодно, не сравнивая с другими владельцами, дающими ему титул Умаглесо.

3. Католикос, или верховный архиепископ верхней Грузии сохранит все свои прежние преимущества, чиноначалие и власть внутри царства грузинскаго. Ея императорскому величеству благоугодно было оставить всякое законоположение и всякое
л.173 управление в полном оных течении; в прочем как может по-
об. честь обидным, помешение его в число восьмой степени, когда и все царство грузинское, подчиняясь России, признает онаго верховную власть, каждая епархия не составляет ли часть самой России. Всякий чин, духовный ли, военный или гражданской Российской империи, сравня ее с таковым же чином грузинскаго царства непременно по союзу заключаемому и по общей связи дел должны взять первенство, по самому сему сравнению найдется, что католикос грузинский, составляя часть по духовной степени всего царства, купно с царством подчиняется России. Не должно помышлять того, что Казань в прежния времена была, но что оная ныне составляет и памятовать, что обладающая Россиею самодержица высочайшее, ознаменяя благоволение свое к перво-архиепископу грузинскому, жалует ему место непременнаго члена в святейшем Синоде. Почесть весьма знаменитая в России.

4-е. Титул царский и герб представлен будет при моих донесениях.

5-е. На словесное объявление о монете сообщаю мое мнение, что, хотя в трактате о том не сказано; но по признанию верховной власти всероссийской; польза народа грузинскаго и ревность самого царя к императорскому престолу указуют, чтоб монета грузинская была уравнена с российскою и в ознаменин славы грузинскаго народа была б под изображением
л.174 лица императорской особы, означая с другой стороны или герб грузинской или что царь заблагорассудит.

В заключение всего прошу их свидетельств полномочных прилежно рассмотреть все артикулы трактата, внимая силе и содержанию онаго, без сомнения найдут они, что все содержание онаго основано на безопасность, ограждение, выгоды, возвышение и очевидную пользу царства Грузинскаго. Я весьма благонадежен, что его светлость, царь Ираклий, яко благоразумный владетель, проникл существо пользы сей и не перестанет благославлять величие Екатерины, простершия десницу на покровительство царской особы и всего царства Грузинскаго.

22-го числа. Пред полуднем в девять часов полномочные присылали просить главнокомандующаго о позволении быть им для поздравления со днем тезоименитства ея императорска-
л.174 го высочества, благоверной государыни великой княгини Ма-
об. рии Федоровны и чрез полчаса потом сами прибыли в главную квартиру, где, пробыв до десяти часов, и потом пошли к литур-

гии, куда по окончании развода главнокомандующий пришел во время молебствия. Отец архимандрит Гаиос исправлял богослужение, и потом все купно возвратились в Главную квартиру к обеденному столу, где производились все обряды, приличныя в торжественныя дни.

После полудни соглашенность на утро читать переписанный набело трактат.

23-го числа. Пред полуднем послан был маршал посольства граф Апраксин к послам пригласить их к главнокомандующему на обеденный стол. Во время пребывания послов условленность того же дня прочесть изготовленной набело трактат и о подписании онаго положить меры, а в пять популудни в посланным к ним екипажах прибыли в главную квартиру, встречены и угощены были обыкновенным порядком и потом приглашены в аудиенц-камору, где главнокомандующий, заняв л.17
свои кресла, показал каждому послу за своим столом места, отцу архимандриту, подполковнику Тамаре и секретарю грузинскаго посольства за другим столом приказано было занять места по прежнему и потом подполковнику Тамаре повелено читать трактат, сепаратные артикулы и образец присяги на российском, а отцу архимандриту на грузинском языке; каждой артикул особенно, сличая оныя посредством обоих переводчиков, князя Челакаева и Севарзиминдзева, которые утвердили, что грузинский перевод от слова до слова весь внесен сходно с русским и ни малейшего смысла не потеряно. По прочтении всего главнокомандующий в силу втораго сепаратнаго артикула требовал условиться о положении, каким образом, войски, по трактату, назначенные при вступлении в грузинские пределы будут довольствованы провиантом и фуражем. Положено прежде отправления их особое о том сделать условие; но послы, с своей стороны, просили главнокомандующаго о скорейшем отправлении тех войск в Грузию. Засим положили взаимно назавтрее трактат торжественно совершить.

24-е число. Поутру приуготовлены были в аудиенц-каморе на столах все бумаги с обеих сторон для совершения трактата. В одиннадцать часов предполуднем послы прибыли обыкновенным порядком в главную квартиру, встречены были в введены и аудиенц-камору и приближены к заседанию. Как скоро заняты л.175
были места, от главнокомандующаго предложено в силу об.
уполномочия взаимно с обеих сторон даннаго: заключить трактат к чему немедленно приступили и подписали в обоих экземплярах, как на российском, так и на грузинском, трактаты, сепаратные артикулы и образец присяги, сохраняя первенство высочайшаго императорскаго двора повсюду, первым подписуя и прилагая печать со стороны российской и потом полномочные грузинския, что и совершенно подписано в час после полудни.

По заключении сего главнокомандующий поздравил полномочных грузинских и совершением трактата, толь славнаго и полезнаго для грузинскаго царя, изъявил им удовольствие, которое находил он в течение договоров, видя их истинную ревность к их государю и прямое тщание сделаться достойным высочайшаго ея императорскаго величества благоволения.

Полномочные встали с кресел, благодарили главнокомандующаго за оказанные им усердие в совершении трактата, просили чтоб принял он на себя изъявить благодарность именем царя и их особенно, яко представляющих всю нацию, за предстательство его светлости князя Григорья Александровича
л.176 Потемкина. «Чтож до сердец наших — говорил князь Герсеван, — то воссылают они теплые молитвы всевышнему, да продлит он нейсчетные годы всеавгустейшей монархини, возвышившей славу грузинскаго царя и царство».

По окончании всего приглашены были полномочные к обеденному столу, в продолжении коего все обряды торжественнаго происшествия совершены:

Ввечеру весь город был иллюминован и потом ужин.

Полномочные просили главнокомандующаго о позволении съездить в лагерь, куда и отправятся они 25-го дня, а 27-го возвратясь паки примут обратный путь в Грузию.

Со дня приезду полномочных в Моздок производилась свите посольской по шестидесяти рублей на день и продлится до приезду их в не постов войска нашего расположенных.

Генерал поручик Потемкин.

ЦГВИА СССР, ф. 52, д. 286, ч. I, 1/194, л.л. 164—176.

შინაარსი

შესავალი 3

თავი I. ძირითადი წყაროებისა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა. 5

თავი II. ქართლ-კახეთის სამეფო XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XIX საუკუნის დამდეგს (ზოგადი მიმოხილვა) 16

თავი III. გ. ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა 42

§ 1. გ. ჭავჭავაძის მოკლე ბიოგრაფია 42

§ 2. ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან და გ. ჭავჭავაძის როლი 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის დადებაში . 50

§ 3. პირველი ელჩობა (1784—1788 წწ.) 68

§ 4. მეორე ელჩობა (1793—1796 წწ.) 115

§ 5. მესამე ელჩობა (1797—1799 წწ.) 141

§ 6. მეოთხე ელჩობა (1800—1801 წწ.) და გ. ჭავჭავაძის მიმართ უსაფუძვლო ბრალდება სამშობლოსადმი ღალატის შესახებ . . . 158

§ 7. გ. ჭავჭავაძის გადასახლება რუსეთში 1805 წ. და მისი შემდგომი მოღვაწეობა 177

დასკვნა 181

Резюме 183

დამატება 193

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1841

რედაქტორი მ. დუმბაძე
გამომცემლობის რედაქტორი ნ. კონდრატენკო
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი ნ. გაბუნია
კორექტორი ო. გიგინეიშვილი

გადაეცა წარმოებას 2.4.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.10.1982;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 13.0;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,6;

უე 00981; ტირაჟი 6000; შეკვეთა № 1247;

ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამოსცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19